

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის



# მაცნე

675/  
1975/2

ფილოსოფიის,  
ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

1 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და სამართლის  
სერია

СЕРИЯ

ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,  
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

86921



თბილისი  
ТБИЛИСИ

1·1975

ქ. მ. კუპის საბ. სსრ  
სახ. კომ. სსრ  
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,  
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прагишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე  
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 ტელეფონი

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.4.1975; შეკვ. № 3879; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.45; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 14.73; უე 01862; ტირაჟი 600  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

±

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა რ ს ი

### ფილოსოფია

|  |    |
|--|----|
| ხ. გომბოზური, ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხი ნ. ბერ-<br>დიაევის ფილოსოფიასი | 5  |
| ლ. ლორია, ლოგიკური ფორმების საკითხი ნ. ლოსკის ინტუიტივისტურ ფი-<br>ლოსოფიაში             | 20 |

### ფსიქოლოგია

|   |    |
|---|----|
| შ. ნაფარიძე, სოციალური წარმოდგენების განვითარება სკოლამდელ ასაკში | 34 |
|---|----|

### ეკონომიკა

|  |     |
|--|-----|
| დ. ჰანგულაშვილი, მასების შემოქმედებითი ინიციატივის უმნიშვნელოვანესი<br>პირობა  | 43  |
| ი. მაცაბერიძე, მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის შესახებ   | 50  |
| ჰ. აბულაძე, ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის მანვენებლები   | 57  |
| რ. სარჩიშვილი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების შესახებ   | 66  |
| თ. თურმანიძე, სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობისა და სტრუქტურის<br>განსაზღვრა საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში<br>მოკლევადიანი პრიორიტეტებით | 73  |
| ო. მანუაშაშვილი, მეტსოფეულობის განვითარების ზოგიერთი საკითხისა-<br>თვის საქართველოს სსრ-ში   | 82  |
| ლ. ღათუნაშვილი, შრომის მწარმოებლურობის ზრდის საკითხები საქართველოს<br>სსრ კოლმეურნეობრივ მეაბრეშუმეობაში   | 94  |
| ა. თონაძე, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხები  | 105 |
| ი. რუბინშტაინი, აკადემიური სამეცნიერო გამოკვლევების ეფექტიანობის შეფა-<br>სებისათვის   | 117 |
| ბ. კურატაშვილი, რენტაბელობა და სამეურნეო ანგარიში  | 125 |
| შ. ლოპხანიძე, ტექნიკური პროგრესი და სოციალური დაგეგმვა საქართველოს<br>სსრ თევზის მრეწველობის საწარმოებში   | 136 |

### სამართალი

|   |     |
|---|-----|
| ა. მენაბდე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და დროის რაციონალური გამოყუ-<br>ნება       | 148 |
| ბ. ბარტონსკი, გამოგონებაზე ავტორისეული უფლების წარმოქმნის მომენტის<br>დადგენისათვის | 161 |

### ფსიქოლინგვისტიკა

|  |     |
|--|-----|
| კ. ბაბაშვილი, რ. საყვარელიძე, სემანტიკის ზოგიერთი საკითხის კვლევის მე-<br>თოდისათვის | 164 |
|--|-----|

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

|  |     |
|--|-----|
| ბ. არბოლიშვილი, ბუნძალტრული აღრიცხვის პრობლემისათვის | 184 |
|--|-----|

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

|   |    |
|---|----|
| Х. Г. ГОГОЧУРИ, Вопрос взаимоотношений философии и религии в мировоззрении Н. А. Бердяева | 5  |
| Л. П. ЛОРИЯ, Вопрос логических форм в интуитивистической философии Н. Лоского             | 20 |

### ПСИХОЛОГИЯ

|  |    |
|--|----|
| Ж. И. НЕПАРИДЗЕ, Развитие социальных представлений в дошкольном возрасте | 34 |
|--|----|

### ЭКОНОМИКА

|  |     |
|--|-----|
| Д. И. ДЖАНГУЛАШВИЛИ, Важнейшее условие творческой инициативы масс  | 43  |
| И. И. МАЦАБЕРИДЗЕ, О превращении науки в непосредственную производительную силу  | 50  |
| Д. А. АБУЛАДЗЕ, Показатели экономической эффективности технического прогресса  |     |
| Р. А. САРЧИМЕЛИЯ, Об экономико-математическом моделировании  | 66  |
| Т. Г. ТУРМАНИДЗЕ, Определение общего объема и структуры покупательского спроса в государственной и кооперативной торговле Грузинской ССР при краткосрочном прогнозировании | 73  |
| О. МАНДЖАПАРАШВИЛИ, Некоторые вопросы развития животноводства в Грузинской ССР   | 82  |
| А. Е. ДАТУНАШВИЛИ, Вопросы повышения производительности труда в колхозном шелководстве Грузинской ССР  | 94  |
| А. В. ТОТАДЗЕ, Вопросы профессиональной ориентации молодежи  | 105 |
| И. М. РУБИНШТЕЙН, Об оценке эффективности академических научных исследований   | 117 |
| А. Д. КУРАТАШВИЛИ, Рентабельность и хозрасчет  | 125 |
| Ш. Я. ЛОБЖАНИДЗЕ, Технический прогресс и социальное планирование на предприятиях рыбной промышленности Грузинской ССР  | 136 |

### ПРАВО

|   |     |
|---|-----|
| А. И. МЕНАБДЕ, Научно-технический прогресс и рациональное использование времени | 148 |
| А. Н. БАРТНОВСКИЙ, Вопрос момента возникновения права на изобретение у автора   | 161 |

### ПСИХОЛИНГВИСТИКА

|   |     |
|---|-----|
| К. В. ГАБАШВИЛИ, Р. Т. САКВАРЕЛИДЗЕ, К методу исследования некоторых вопросов семантики | 164 |
|---|-----|

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

|   |     |
|---|-----|
| Т. АРБОЛИШВИЛИ, К проблеме бухгалтерского учета | 184 |
|---|-----|



## ფილოსოფია

სმითსო ბოზოჭური

### ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხი ნ. ბერდიაევის ფილოსოფიაში

თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება კრიზისს განიცდის, რაც გამოხატულებას პოულობს არა მარტო ეკონომიკაში, არამედ — იდეოლოგიაშიც. ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს უნარი არ შესწევთ მეცნიერული პასუხი გასცენ ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებს. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია ითვისებს სხვადასხვა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა იდეებს, რომლებმაც თავის დროზე მარცხი განიცადეს მარქსიზმ-ლენინიზმთან ბრძოლაში; იგი „სულ უფრო ფართო მასშტაბით მიმართავს მასების დამონების იდეოლოგიურ საშუალებებს, მთელი რეაქციული ძალების „ტოტალურ“ იდეურ მობილწავლას ანტიკომუნისმისა და ანტისოვეტიზმის აღმით“<sup>1</sup>.

ანტიკომუნისმის ბანაკში რელიგიური იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა რუსი მისტიკოსი-ფილოსოფოსი ე. წ. ქრისტიანული ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი — ნ. ბერდიაევი (1874—1948), რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო როგორც „ლიტერატურა-მარქსისტმა“. თავის ერთ-ერთ ადრეულ შრომაში — „სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი საზოგადოებრივ ფილოსოფიაში. კრიტიკული ეტაჟი ნ. კ. მიხაილოვსკის შესახებ“ (1901) იგი ცდილობს მარქსისტული მოძღვრება საზოგადოების შესახებ შევკვალოს „ეთიკური სოციალიზმით“. ბერდიაევის შეხედულებათა სისტემა საბოლოოდ ყალიბდება სტატიკაში — ფილოსოფიური კეშმარტივობა და ინტელექტუალური სიმართლე“, რომელიც 1909 წელს გამოქვეყნდა თურნალში — „ვეხი“. ბერდიაევი მარქსიზმთან „კრიტიკული“ დამოკიდებულებიდან გადადის აშკარა ანტიმარქსიზმზე, იგი ხდება „ვეხელების“ იდეოლოგი და ე. წ. „ახალი ქრისტიანობის“ დამაარსებელი.

ბერდიაევის მსოფლმხედველობის საფუძვლანაი კრიტიკის აუცილებლობა ლენინმა ჭერ კიდევ 1901 წელს მიუთითა. მიუხედავადან შევიცარიაში ლენინი პლენსაოვს წერდა: „რუსეთიდან იწერებთან, რომ ხალხი საშინლად გატაცებულია ბერდიაევით. აი ვინ უნდა დავგმომოთ სასტეკად არა მარტო სპეციალურ-ფილოსოფიურ დარგში“<sup>2</sup>. 1909 წელს ე. ი. ლენინმა გამოაქვეყნა სპეციალური სტატია — „ვეხის შესახებ“. ლენინის თქმით, „ვეხი“ იყო კადეტების იდეური ბელადების მიერ მათი პოლიტიკური მიმართულების დედაარსის ჩინებული გამოაშკარავება“. სადაც მატერიალიზმი განხილულია როგორც დოგმატიზმი, „ფილოსოფოსობის ყველაზე ელემენტარული და დაბალი ფორმა“. ლენინმა აჩვენა ამ იდეოლოგიის კლასობრივი ფესვები: „რუსეთის დემოკრატია არ შეუძლია არც ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ, ვიდრე ის ამ პოლიტიკის დედაარსს არ შეიგნებს, მის კლასობრივ ფესვებს არ გაიგებს“<sup>3</sup>.

ნ. ბერდიაევი როგორც ანტიკომუნისტი 1922 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა. აქ მან აქტიურ ანტისაბჭოთა მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა თურნალი „Путь“. ის მოღვაწეობდა აგრეთვე საზღვარგარეთის სხვა რეაქციულ პერიოდულ გამოცემებში. მისი ავტორიტეტი საზღვარგარეთ ყოველწლიურად იზრდებოდა და ბერდიევი რუსი ემიგრანტების იდეური წინამძღოლი გახდა. მისმა მსოფლმხედველობამ ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებზეც მოახდინა გავლენა (ეგზისტენციალიზმი, პერსონალიზმი). იგი ნობელის პრემიაზეც კი წარადგინეს.

1 ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თვისებები, თბ., 1970, გვ. 59.  
2 ე. ი. ლენინი. თხზ., ტ. 34, გვ. 86.  
3 ე. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 145, 156.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია ბერდიევის მსოფლმხედველობას დღესაც იყენებს მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. ამაზე მეტყველებს თუნდაც 1969 წელს საზღვარგარეთ გამოცემული კრებული „ვები“. ნათელია, თუ რაოდენ აქტუალურია ბერდიევისა და სხვა ვებელების მეცნიერული კრიტიკა.

1. ბერდიევის მიხედვით, რელიგიებს შორის ყველაზე უნივერსალურია ქრისტიანობა. მას მიაჩნია, რომ ქრისტიანობა ახალი ეპოქის შესაბამისად უნდა იქნას მოდერნიზებული და მან უნდა შეძლოს სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე ყველა პროცესის ახსნა, ყოფიერების ყველა გამოცანის გადაჭრა; ახალი რელიგია, ახალი ქრისტიანობა შესძლებს თანამედროვე ადამიანის მთავარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, შესძლებს პასუხას გაცემას ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე. საკითხის ამგვარმა გააზრებამ დღის წესრიგში დააყენა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი უღება ამ „ახალი ქრისტიანობისა“ ფილოსოფიასთან და, საერთოდ, როგორ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართება? — ამ პრობლემას ბერდიევემა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთკავშირის საკითხი აზროვნების ისტორიაში ყოველთვის აქტუალური იყო და სხვადასხვაგვარ გადაჭრას პოულობდა. ფილოსოფია ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში გაგებული იყო როგორც რელიგიის მსახურა, იარაღი რელიგიური დოგმების დასაბუთებისათვის. ამ დროს ფილოსოფია საკუთარი საგნის დამოუკიდებელი კვლევის საშუალებას მოკლებული იყო. რელიგია თავისი ბატონობის ეპოქაში ვერ ეგუებოდა ფილოსოფიის დამოუკიდებლობას. თეოლოგები ავიწროებდნენ და დევნიდნენ ფილოსოფოსებს. ბერდიევი ვერ უარყოფს ამას: „მოწამლული სოკრატე, ცეცხლშიცემული ჯორდანო ბრუნო, დეკარტი რომელიც იძულებული იყო პოლანდიაში წასულიყო, სინაგოგასაგან დაწყევლილი სპინოზა მოწმობენ დევნასა და წამებას, რაც ფილოსოფიამ განიცადა რელიგიის წარმომადგენლებისაგან“<sup>4</sup>.

რელიგიის ბრძოლა ფილოსოფიის წინააღმდეგ რელიგიის არსებიდან გამომდინარეობს. იდეალიზმი, მიუხედავად რელიგიასთან მჭიდრო კავშირისა, სინამდვილის შემეცნების პრეტენზიით გამოდის და ამიტომ იყენებს დასაბუთების გარკვეულ საშუალებას — ლოგიკას; რელიგია კი არის „წარმოდგენების; განწყობილებებისა და მოქმედების მეტად ან ნაკლებად მწყობრი სისტემა. წარმოდგენები ქმნიან რელიგიის მითოლოგიურ ელემენტს, განწყობილება ეკუთვნის რელიგიური გრძნობების სფეროს, ხოლო მოქმედება — რელიგიურ თაყვანისცემას ანუ, როგორც სხვანაირად ამბობენ კულტს“<sup>5</sup>. რელიგია გამოირცხავს ყოველგვარ რაციონალურ ელემენტს, იგი ლოგიკურ მტკიცებას არ საჭიროებს. ღმერთამდე მისვლა, ღმერთის წვდომა მისტაკური ხილვით, რწმენით ხდება. ღმერთი კი არ უნდა ვიცოდეთ, არამედ უნდა ვირწმუნოთ. რელიგიასა და ფილოსოფიის წინააღმდეგობა სწორედ ამ სხვაობის გამო არსებობს.

<sup>4</sup> Бердяев Н. Я и мир объектов, Париж, 1934, ст. 6—7.

<sup>5</sup> Плеханов Г. В. Сочинения, т. XVII, ст. 197.

ბერდიაევი მიიჩნია, რომ რელიგიის პირველყოფილი სახე არ ეწინააღმდეგება ფილოსოფიას, პირიქით, იგი ფილოსოფიის საფუძველია. მხოლოდ შემდეგ მოხდა მისი ობიექტივაცია, როცა საზოგადოებამ იგი სოციალური დაკვეთებისათვის გამოიყენა. ამიტომ ბერდიაევი ფიქრობს, რომ წინააღმდეგობა რელიგიასა და ფილოსოფიას შორის რელიგიის სოციალური ობიექტივაციითაა გამოწვეული.

მაუხედავად რელიგიასთან წინააღმდეგობისა და მისგან განსხვავებისა იდეალისტური ფილოსოფია ხშირად იყენებს რელიგიას და მის დოგმებს თავისი ინტერესებისათვის. იდეალიზმსა და რელიგიას შორის გარკვეული კავშირი ჩანს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ონტოლოგიური მხარის ერთნაირ გადაწყვეტაში და სოციალური საკითხებისადმი დამოკიდებულებაში. ყოველგვარა რელიგია დამყარებულია ზებუნებრივი ძალების რწმენაზე, რომლებიც მართავენ სამყაროს. სამყარო, რელიგიის მიხედვით, სხვა არაფერია თუ არა ღმერთის შემოქმედების შედეგი. აქედან გამომდინარეობს სოციალური საკითხებისადმი თავისებური დამოკიდებულება: თუ სამყაროს შექმედელა ღმერთია, ეს სამყარო მეორადია, — მასში მიმდინარე პროცესები (მათ შორის საზოგადოებაშიც) ღმერთის ნების გამოვლენაა; არ არის საჭირო ბრძოლა საზოგადოებაში ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ, უნდა მოთმინებით ველოდეთ ღმერთის განჩინებას. რელიგია ქადაგებს პასიურობას, ამქვეყნიურზე უარის თქმას. ამიტომ იგი ყოველთვის მჩაგვრელთა ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა და გამოდის როგორც საზოგადოებაში მიმდინარე მწვავე სოციალური პრობლემებიდან ყურადღების ჩამოცილების იარაღი. არსებითად ამასვე ქადაგებს იდეალიზმი, რომლის მიხედვით, არამატერიალური, სულიერი ძალა უდევს საფუძვლად სამყაროს. თვალხილული — მოჩვენებითი და არანამდვილია. ნამდვილი სამყარო — არამატერიალური, სულიერი სამყაროა; საზოგადოებას მართავს იდეები, საზოგადოების მამოძრავებელი იდეებია; თუ გვსურს რეალურის შეცვლა, საჭიროა იდეებში მოვანდინოთ ცვლილება. როგორც რელიგიის მაგალითზე ვნახეთ ესეც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებას შინაგანი მატერიალურ მიზეზის ძეგნაზე უარის თქმას ნიშნავს, რაც გაბატონებული კლასების ინტერესებს გამოხატავს.

ფილოსოფიისა და რელიგიის დამოკიდებულების საკითხს ბერდიაევი თავისებურად წყვეტს: XX საუკუნემდე ფილოსოფია იკვებებოდა განყენებული აზრით ან მეცნიერებებით, რამაც ფილოსოფია კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა: „ის განთავისუფლდა მაღალის ბატონობისაგან და დაექვემდებარა დაბალს, ის იჭყლიტება ორ ძალას — რელიგიასა და მეცნიერებას — შორის და დიდა ვაჭირვებით სუნთქავს“<sup>6</sup>. ბერდიაევი ეჭვის ქვეშ აყენებს განყენებულ, რაციონალური ფილოსოფიის შესაძლებლობას. იგი თვლის, რომ დროა ფილოსოფიამ განყენებული აზრის სფეროში ამდენი ხეტიალის შემდეგ კვლავ მონახოს თავისი ადგილი, მონახოს დაკარგული რეალობა და ხელახლა ეზიაროს ცხოვრების საიდუმლოებათ, რაც გადმოცემულია რელიგიაში. ფილოსოფიამ, რომელსაც რელიგიის გარეშე არსებობა არ შეუძლია, თავისი საკვები რელიგიიდან, პირველი ცხოვრებიდან უნდა აიღოს.

<sup>6</sup> Бердяев Н. Я и мир объектов, стр. 13.



რელიგიას, ბერდიაევის მიხედვით, შეუძლია ფილოსოფიისაგან დამოუკიდებელი არსებობა. რელიგიის საფუძვლები დასაბუთებას არ მოითხოვენ, ისინი აბსოლუტურია, დოგმატია; რასაც რელიგია ეყრდნობა არ არის არც ინტელექტუალური თეორიება, არც მეტაფიზიკური მოძღვრებები, — არამედ ფაქტები და ხილვებია. რელიგია არასოდეს ქადაგებს ინტელექტუალურ-თეორიული ხასიათის დოგმებს. ამას, ბერდიაევის მიხედვით, ღვთისმეტყველური დოგმატაჟა აკეთებს, რომელიც უკვე რელიგია აღარაა: ეკლესიის დოგმები არასოდეს ყოფილა რაციონალურა და ინტელექტუალური, — ისინი მხოლოდ მისტიკურ ფაქტებს ხსნიდნენ. ერეტიკოსებს სურდათ ისინი გამოეხატათ რაციონალურად. საეკლესიო დოგმატებში ყოველთვის მაქსიმალური მისტიკაა, მაქსიმალურა უაზრობაა, მაქსიმალური ანტინომიურობაა; ერესებში კი ყოველთვის რაციონალიზმია, დასუსტებული ანტინომიურობაა, უაზრობისადმი შიში და ნაკლები წინააღმდეგობებისაკენ სწრაფვაა. უაზრო მისტიკამ, — აღნიშნავს ბერდიაევი, — გაბედა და გამოაცხადა ღმერთის სამება: ერთსა და იმავეზე, ერთსა და იმავე დროს თქვა ერთიც და სამიც. რაციონალისტი ერესები კი ერთზე ამბობდნენ ერთს და სამზე — სამს. მისტიკას ეყო შემართება ეთქვა, რომ ქრისტე ერთსა და იმავე დროს არის სრულყოფილი ადამიანიც და სრულყოფილი ღმერთიც. ერეტიკოსები კი ამბობდნენ, რომ ქრისტე აყო მარტო ღმერთი და ადამიანური ბუნება მასში იყო მოჩვენებითი, ან პირიქით, ქრისტე იყო სრულყოფილი ადამიანი და მასში ღვთაებრივი იყო მოჩვენებითი.

რელიგიის ამგვარი ბუნების გამო, ფიქრობს ბერდიაევი, ფილოსოფიური აპარატი რელიგიური დოგმებისათვის არ არის საჭირო, მაშინ როცა ფილოსოფიისათვის რელიგია საჭიროა და აუცილებელია. ბერდიაევი აღნიშნავს, რომ ფილოსოფია ადამიანის გონითი მოღვაწეობის სხვა ფორმებთან არ არის ისეთივე დამოკიდებულებაში, როგორც რელიგიასთან. ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართება სრულიად თავისებურია, სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ფილოსოფიასა და მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და თეოლოგიისა. როცა რელიგია ფილოსოფიის წყაროა, ფილოსოფიას ასაზრდოებს მაშინ მეცნიერებისა და თეოლოგიის შეჭრა ფილოსოფიაში ამ უკანასკნელისათვის მომავლენინებელია. ამიტომ ბერდიაევი თვლის, რომ გამოსავალი იმ კრიზისული მდგომარეობიდან, რომელშიც მოექცა ფილოსოფია XIX—XX საუკუნეებში, ასეთია: ფილოსოფიამ უნდა შეაჭციოს ზურგი მეცნიერებასა და თეოლოგიას, თავის ერთადერთ წყაროდ აღიაროს მისტიკა, პირველყოფილი ქრისტიანობა. „რელიგია, — აღნიშნავს ბერდიაევი, — არის ფილოსოფიის ცხოვრებისეული საფუძველი. რელიგია კვებავს ფილოსოფიას რეალური ყოფიერებით“<sup>7</sup>.

2. ბერდიაევი თვლის, რომ ფილოსოფიის ამოცანაა ადამიანის საზრისის დადგენა, ყოფიერების შემეცნება ადამიანიდან და ადამიანის საშუალებით. ადამიანი გაგებულნი უნდა იქნას როგორც მიკროკოსმი, რომლიდანაც მთელი სამყარო იყურება.

ადამიანი, ბერდიაევის თანახმად, მისთვის უცხო გარესსამყაროსთან მიმართებაში განიცდის მარტობას, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე

<sup>7</sup> Бердяев Н. Философия свободного духа, кн. I, Париж, 1927, стр. 25—26.



ებრძვის. მარტობა, მიტოვებულობა ადამიანისათვის ცუდია, ამ დროს ის ვერ ხედავს ღმერთს და ვერ გრძნობს მას, მხოლოდ ღმერთის დახმარებით შეიძლება აიტანოს ადამიანი მარტობა<sup>8</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი თვითმკვლელობამდე მიდის. კაცობრიობის ამოცანა იმაშია, რომ ადამიანი გავიდეს თავისი თავიდან სხვაში, ღირებულებათა სამყაროში, რომელსაც ზეპიროვნული მნიშვნელობა აქვს. მაშინ ადამიანი იპოვის არა მარტო თავის თავს, არამედ ღმერთსაც და მის არსებობას აზრი მიეცემა. ადამიანის სახე შერყვნილია ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში. ადამიანს სიკვდილი ემუქრება; ადამიანის გადარჩენა, მისი შენარჩუნება მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია<sup>9</sup>. ამ მიზნის განხორციელებისათვის ტრადიციული ქრისტიანობა არ გამოდგება, მისი საშუალებით ვერ გაიგება სამყაროსა და ადამიანის საზრისი. ტრადიციული ქრისტიანობა ვერ გადაარჩენს ადამიანს დაღუპვისაგან.

ბერდიაევი ეყრდნობა ქრისტიანულ რელიგიას და იძლევა მის თავისებურ ინტერპრეტაციას. ადამიანისა და სამყაროს რაობის გარკვევისათვის საჭიროა პასუხი გავცეს შემდეგ ძირითად კითხვებს: როგორ შეიქმნა ღვთაებრივი სამება? როგორ აყო შესაძლებელი ღვთაებრივი არარადან სამყაროს შექმნა? როგორ გაჩნდა ღვთაებრივი შემოქმედი? — ამ კითხვებზე პასუხს იძლევა მის მიერ შემუშავებული თეოგონია. ღმერთისა და სამყაროს დამოკიდებულების ტრადიციული ქრისტიანული გაგება, ბერდიაევის მიხედვით, გავს ღმერთის თავის თავთან თამაშს. ღმერთი სამყაროს ქმნის საკუთარი განდრდებისათვის, სამყაროსა და ადამიანის შექმნა მას არაფერში სჭირდება. ღმერთი ადამიანს ანიჭებს თავისუფლებას, მაგრამ ადამიანს ამ თავისუფლებით, ტრადიციული თეოლოგიის გაგებით, სამყაროსათვის არაფერი მიუმატება. მას არც ჰქონდა ახლის შექმნის უფლება. ტრადიციული თეოლოგიის თანახმად, ადამიანი არის ღმერთის სათამაშო, რომელიც თავისუფლებას ღებულობს გარედან. ადამიანის თავისუფლება ღმერთზე დამოკიდებული, მაშასადამე, იგი ფიქტიურია. გამოდის, რომ ღმერთი პასუხს ადამიანის თავისუფლებაზე ითხოვს თავისი თავიდან. თუ ღმერთი თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს და თვითონ არაფრით არაა განსაზღვრული, მაშინ მან თავისუფლების შედეგებიც იცის. ქრისტიანობის ასეთ გაგებას ღმერთის უარყოფამდე მივყავართ. თუ ღმერთი არაფრით არაა განსაზღვრული, სხვას კი განსაზღვრავს, მაშინ მასი შექმნილის ყოველგვარი საქციელი მისი მონაწილეობით ხდება. ასეთ შემთხვევაში გამართლებულია ადამიანის ყოველგვარი საქციელი, როგორც თვით ღმერთის სურვილი. ასეთი ღმერთი ან არ უნდა არსებულებო და გამოგონილია, ან არ არის ღირსი არსებობისა და ის უნდა მოკვდეს. ამგვარმა თვალსაზრისმა სრულყოფილი გამოხატულება პპოვა ფოიერბახისა და ნიცშეს მსოფლმხედველობებში.

ბერდიაევის თანახმად, ღმერთს ზემოაღნიშნული ბრალდებისაგან ვერ იხსნის ვერც მოძღვრება ნებისყოფის თავისუფლებაზე. ამ მოძღვრებას მხოლოდ პედაგოგიური, მორალური და იურიდიული დანიშნულება აქვს. ნებისყოფის თავისუფლება მხოლოდ იმისათვისაა მოგონილი, რომ არსებობდეს შესაძლებლობა ვინმე დავსაჯოთ. თუ გვსურს ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვ-

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> Бердяев Н. Философия свободного духа, кн II, ст. 45—46.



ჩნდეთ და ღმერთი შევინარჩუნოთ, სამყაროსა და ადამიანის ქმნალობა უნდა გავივოთ არა როგორც თამაში, არამედ როგორც ტრაგედია. საჭიროა ბიბლიის ასეთი წაკითხვა, რომ მოიხსნას წინააღმდეგობანი, რაც მის ტრადიციულ გავებას ახასიათებს. ღმერთი უნდა განთავისუფლდეს ბოროტებაზე პასუხისმგებლობისაგან. ამისათვის ბერდიაევი იყენებს იაკობ ბიომეს მოძღვრებას Ungrund-ის შესახებ Ungrund-ი არის საწყისი, არადეტერმინირებული, მეონური თავისუფლება<sup>10</sup>. Ungrund-ი არის უსაფუძველო საფუძველი, უძირო უფესკრული, არარა, არადეტერმინირებული ნება. აქ ჩამოთვლილი ატრიბუტების მათხედავად, ბერდიაევის მიაჩნია, რომ შეუძლებელია მასზე რაციონალური ცნების ჩამოყალიბება. მიუხედავად მისი ირაციონალური ხასიათისა, Ungrund-ის საშუალებით ბერდიაევი ცდილობს მოკვცეს ადამიანისა და ღმერთის წარმოშობის თავისებური ინტერპრეტაცია. ბოროტება სათავეს იღებს Ungrund-იდან, „შეუქმნელი თავისუფლებიდან“<sup>11</sup>. ღმერთი მასთან შედარებით მეორადია, ამიტომ იგი პასუხს არ ავებს შექმნილზე. შექმნილი, კერძოდ, ადამიანი, არ არის მხოლოდ ღმერთზე დამოკიდებული. ღმერთი ღვთაებრივი არარას ნაყოფია, არარა გაურკვეველობა და წყვედიანია. ღმერთი, როგორც Ungrund-ის ნაყოფი ნაზიარებია თავისუფლებას, ამიტომ შეუძლია მას შემოქმედება. შემოქმედება თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. თავისუფლება კი Ungrund-ში, არარაში ძეგს.

ბერდიაევი ითვალსწინებს მოწინააღმდეგეთა შესაძლებელ არგუმენტებს იმ შემთხვევისათვის, თუ მას შეედავებოდა, რომ ღმერთის აქტიურობიდან, შემოქმედების შესაძლებლობიდან ადამიანის პასიურობა უნდა გამომდინარეობდეს. ბერდიაევი თვლის, რომ ყველაფერი ღმერთზე არ არას დამოკიდებული, მარტო ღმერთი რომ იყოს აქტიური, მაშინ ბოროტება არ იარსებებდა. ბოროტება არსებობს იმიტომ, რომ ადამიანი აქტიურია, თავისუფალია. იგი აქტიურად ღებულობს ღვთაებრივ სხივს, გარდატეხს მას თავის წყვედიანში და ამახინჯებს მას თავისი პირადი და სოციალური ინტერესების მიხედვით. ღმერთი უმადლესი შემოქმედი. იგი ღვთაებრივი არარას ნაყოფია. სამყარო ღმერთის შემოქმედებაა. დაისმის კითხვა: როგორაა შესაძლებელი ბოროტება? ღმერთში არის ის, რაც არ არის ღმერთი, მასში არის ბნელი ნება, ე. ი. Ungrund-ი, „ღმერთი ყოვლის შემძლეა ყოფიერების მიმართ, მაგრამ არა არარას, არა თავისუფლების მიმართ. აი ამიტომ არსებობს ბოროტება“<sup>12</sup>. ბოროტება იმითაა განსაზღვრული, რომ ღმერთისა და ყოფიერების საფუძველში ძეგს ბნელი და ირაციონალური, არაფრით დეტერმინირებული Ungrund-ი. ბნელი თავისუფლება შეუღწეველია ღმერთისათვის. მას არ შეუძლია გაითვალისწინოს მასი შედეგები. ის არ არის პასუხისმგებელი ბოროტებაზე, რომელიც ამ სამყაროში არსებობს. ბოროტება „შეუქმნელი თავისუფლების“<sup>13</sup> ნაყოფია. Ungrund-ი იძლევა რელიგიაში შემოტანილი შემოქმედების გამართლების შესაძლებლობას. შემოქმედება იმიტომაცაა შესაძლებელი, რომ არსებობს არარა, მეონური თავისუფლება, Ungrund-ი. ბერდიაევი არ ეთანხმება ბიომეს იმაში, რომ Ungrund-ი,

<sup>10</sup> Бердяев Н. Из этюдов о Якове Беме, жур. «Путь», № 120. Париж, 1930, стр. 57.

<sup>11</sup> „შეუქმნელი თავისუფლების“ ცნება ბერდიაევის ვკუთნის.

<sup>12</sup> Бердяев Н. Философия свободного духа, кн. 1, стр. 233.

ბნელი საწყისი თვით ღმერთში ვიპოვოთ, იგა ღმერთის გარეთ — არარაში უნდა ვეძებოთ. ბერდიაევი ღმერთისა და ღვთაებრივი არარას განსხვავებისათვის იყენებს ეკპარტის ტერმინს *Goffheit*-სა და *Gott*-ს და აღნიშნავს, რომ *Gottheit*-ში და არა *Gott*-ში არის ბნელი (არა ბოროტი) საწყისი *Ungrund*-ი. ძე-ღმერთში არ არის უძირო *Ungrund*-ი ის სინათლე, სიყვარული და სიკეთე, მაშინ როცა მამა-ღმერთში, ღვთაებაში არის *Ungrund*-ი.

ქრისტე-ღმერთი ბერდიაევმა გაათავსულა ბოროტებაზე პასუხისმგებლობისაგან, მან ღმერთი ისევ „გააცოცხლა“. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა *Ungrund*-ის საშუალებით. ამის შემდეგ ბერდიაევის საქმე გადავიღებულა. იგი იწყებს ღმერთის თეოგონიურა პროცესის ინტერპრეტაციას ისე, რომ საზრისი მიეცეს ადამიანისა და სამყაროს არსებობას.

3. *Ungrund*-ი, ღვთაებრივი არარა, არის „შეუქმნელი თავისუფლების“ სამეფო. შემოქმედება შესაძლებელია იმატომ, რომ არსებობს არადეტერმინირებული, მეონური თავისუფლება. თეოგონიური პროცესის პირველი აქტი არის მამა-ღმერთის წარმოშობა თავისუფლებიდან. ეს არის ღვთაება (*Gottheit*-ი), რომელიც არ არის თავისუფალი *Ungrund*-ისაგან: მასში არის უმაღლესი შემოქმედების უნარი, მაგრამ იგი განსაზღვრულია, შეიძლება ითქვას, ღვთაებრივი იერარქიის მეორე საფეხურია. ღვთაება იწყებს შემოქმედებას, ქმნის სამყაროსა და ადამიანს. ეს არის თეოგონაური პროცესის შემდგომი ეტაპი ღვთაების შექმნის შემდეგ. ბერდიაევი, როგორც აღნიშნული იყო, არ ეთანხმება ტრადიციული ქრისტიანობის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის ახსნას. ასეთმა გაგებამ ღმერთის უარყოფამდე მიიყვანა კაცობრიობა. ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნა თამაში და კომედია კი არაა, არამედ ტრაგედიაა. ტრაგედიის საფუძველი „შეუქმნელ თავისუფლებაში“ ძევს. ღმერთი ვერ აკეთებს იმას, რაც სურს, რადგან იგი თვითონაა სხვით განსაზღვრული. მაგრამ „ტრაგიაში ღვთაებრივ ცხოვრებაში მის არასრულყოფილებას კი არ გამოხატავს, არამედ, პირიქით, ღვთაებრივი ცხოვრებისა და ღვთაებრივი მისტერიის სრულყოფილების მაჩვენებელია“. ღვთაება ქმნის ადამიანს თავის „ხატად და მსგავსად“. ადამიანი როგორც ღმერთის სახე და ხატი ნაზიარებია *Ungrund*-ს, თავისუფლებას, ამიტომ მას აქვს შემოქმედების უნარი<sup>13</sup>. ღვთაება ცდილობდა შეექმნა სრულყოფილი ადამიანი, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომ ღვთაება ტრაგიკული არსებაა. მას უყვარს ადამიანი როგორც თავისი სახე და ხატი, მაგრამ ადამიანი ბოროტებასაც სჩადის, რაც ღმერთის სურვილით კი არაა, არამედ *Ungrund*-ის მიზეზითაა, რომლის წინაშეც იგი უძლურია.

ძველი აღთქმის პირველ წიგნში მოთხრობილი მათი ადამიანის სამოთხიდან გაძევების შესახებ ბერდიაევს თავისებურად ესმის: დასაწყისში ადამიანი ღმერთს და მის ნება-სურვილს მისდევს. ღმერთი მოითხოვს ადამიანისაგან „ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა ჰამოთო“, — წინააღმდეგ შემთხვევაში, — სიკვდილით ემუქრება. ჯველი — ყველაზე „უგონიერეს ყოველთა მხეტა“ — ეუბნება ადამიანს, რომ ეს არ არის სწორი. ღმერთს არ სურდა ადამიანი ყოფილიყო „ვითარც ღმერთი, მეცნიერ კეთილისა და

<sup>13</sup> Бердяев Н. О назначении человека, опыт парадоксальной этики. Париж, 1931, стр. 33.

ბოროტისა<sup>14</sup>. ბერდიაევის ინტერპრეტაციის მიხედვით, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ღმერთა ადამიანების მტერი იყო, არამედ, პირიქით, მან იცოდა, რომ „ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ნაყოფის გასინჯვა ნიშნავს ადამიანში Ungrund-ის გამოქმედებას, შემოქმედების, შემეცნების დასაწყისს. ეს კი ღმერთისაგან ჩამოიცილების დასაწყისს ნიშნავს. ღმერთს სურს ადამიანის შემოქმედება სიკეთეს ემსახურებოდეს, მაგრამ მისი მოქმედება ღმერთზე აღარაა დამოკიდებული. ადამიანშიც, რომელიც ღმერთის მსგავსად და ხატადაა შექმნილი, Ungrund-ია, ისიც მცირე შემოქმედი და მეცნიერია, — ესე იგი თავისუფალია. ასეთი მკრეხელობასათვის ღმერთი ადამს (ადამიანს) სამოთხიდან აძევებს.

დასმება კითხვა: რატომ არ მოიხურვა ადამიანი მათ მოთხეში დარჩენა? ბერდიაევის არ მიანდა სწორად ამ აქტის ტრადიციულ-თეოლოგიურა ახსნა და ფიქრობს, რომ ეს მოხდა არა მიწიერი მიზეზებით, არამედ იგი ადამიანში თავისუფლების გამოვლენის შედეგია. ადამიანის ტრაგედია აქედან იწყება, ტრაგედია, რომელიც თავისუფლებასთან და ადამიანის შემეცნებითს ლტოლვებთანაა დაკავშირებული. ღმერთიცა და ადამიანიც — ორივე ტრაგიკულია, ტრაგიკულობა კი თავისუფლებასთან და შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ღმერთს არ შეუძლია მიატოვოს ადამიანი. ადამიანში როგორც ღმერთის შემოქმედებას ნაყოფში აუცილებლობით იგულისხმება შემოქმედი, ღმერთი. ღმერთსა და ადამიანს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. განსხვავება ამ ურთიერთსიყვარულისა იმამია, რომ ღმერთს ესმის ადამიანის მიტოვების შეუძლებლობა, ადამიანს კი არა. ღმერთი ბიბლიის მიხედვით, ორჯერ სჯის ადამიანს. ერთხელ სამოთხიდან გამოძევებით, მეორედ წარღვნით, მაგრამ თავის მიზანს მაინც ვერ აღწევს. ადამიანი უფრო და უფრო სცილდება ღმერთს და მეტ ბოროტებას სჩადის: უფრო და უფრო ხშირად ერევა ღმერთის საქმეებში. ღვთაება ადამიანის ხსნისათვის კიდევ ერთ ნაბიჯს ღვთის ადამიანისაკენ: იგი მსხვერპლად სწირავს თავის ძეს — ქრისტეს სახით, რომელიც ღმერთ-კაცია. სწორედ ეს ღმერთია Gott-ი, აბსოლუტური სინათლე, რომელშიც არ არის ბნელი საწყისი Ungrund-ი. ქრისტე არის გონიერი ღმერთ-კაცი, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ადამიანი. მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის დამოკიდებულებით არ მთავრდება ღვთაებრივი მისტერია. ეს დამოკიდებულება — სიყვარული თავისი მოყვასისადმი სრულდება მესამეში, რომელიც არის სულიწმინდა, ხოლო სულიწმინდა არას თვით პირველცხოვრება. ბერდიაევი ასხვავებს ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულების სამგვარ გაგებას:

1. ტრანსცენდენტურ-იდეალისტური, რომელიც გარეგნულად უქვემდებარებს ადამიანის ნებას ღვთაებრავს, — ორი ბუნება ერთმანეთისათვის უცხო რჩება;

2. იმანენტური მონიზმი აიგივებს ადამიანისა და ყოფიერების ნებას, უარყოფს ადამიანის ბუნების ყოველგვარ თვითყოფობას, ადამიანში ხედავს მხოლოდ ღვთაებრივი ცხოვრებას ერთ-ერთ გამოვლენას;

3. შემოქმედებით-ქრისტიანული, ღმერთ-კაცობრიული ანთროპოლოგიზმი ცნობს დამოუკიდებლობას ადამიანური და ღვთაებრივი ბუნებისას, ხედავს

<sup>14</sup> ძველი აღთქმა, ტფილისი, 1900, გვ. 6—7.

ლეთაებრივი მადლისა და ადამიანურა თავისუფლების ურთიერთმოქმედებას<sup>15</sup>.

თვითონ ბერდიაევი ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულების უკანასკნელ თვალსაზრისს იზიარებს. მისი აზრით, არ არის სწორი ეს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ღმერთი და ადამიანური ბუნება ერთმანეთისათვის უცხოა და არც ის თვალსაზრისი, როცა ადამიანური ბუნება ღმერთისაა დაქვემდებარებული. ქრისტე, ბერდიაევის მიხედვით, არის ახალი ადამი, რომელიც იწყებს ღმერთ-კაცობრიობის ახალ ეპოქას. ადამიანის მიზანია კაც-ღმერთამდე ამაღლება. ეს იქნება შეხვედრა ღმერთისა, რომელიც ქვევით ეშვება ღმერთ-კაცის სახით, ადამიანთან, რომელიც მაღლა ადის და კაც-ღმერთი ხდება<sup>16</sup>. ამ მიზნის მიღწევის საშუალება ორგვარია:

1) მონანიება, რომელიც ისტორიული ქრისტიანობის ღმერთამდე ამაღლებას ძირითად საშუალებას წარმოადგენდა (ბერდიაევი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს როგორც ცალმხრივს და არასაკმარისს, მისი აზრით, მონანიების რელიგია არის მონობის, აუცილებლობის რელიგია, რასაც ღმერთი მიყავს მის უარყოფამდე);

2) შემოქმედება, მონანიებასთან ერთად, ბერდიაევის თვალსაზრისით, არის ღმერთთან შეხვედრის, კაც-ღმერთამდე ამაღლების ძირითადი საშუალება.

თუ ქრისტიანობა, როგორც ეს ტრადიციულად იყო გაგებული, მხოლოდ მონანიების რელიგია იქნება, აუხსნელი დარჩება შემოქმედებისა და საახლის წარმოშობის ფაქტი. თუ ღმერთის დახმარებით ავხსნით ყოველივეს და ადამიანს მხოლოდ პასიურ იარაღად ვიზრებთ, ეს, როგორც ვნახეთ, ღმერთის უარყოფამდე მიგვიყვანს. ამიტომ თვლის ბერდიაევი, რომ ქრისტიანობა გაგებული უნდა იქნას როგორც მონანიების, ასევე შემოქმედების რელიგია. შემოქმედების აუცილებლობა ბერდიაევის გამოყავს ძველი აღთქმიდან, სადაც ლაპარაკია ადამიანის ღმერთის სახედ და ხატად შექმნაზე; ეს კი ამას ნიშნავს, რომ ღმერთმა როგორც უმალესმა შემოქმედმა ადამიანი შექმნა როგორც პატარა შემოქმედი თავის მსგავსად. სწორედ ამიტომაც, რომ იგი მოითხოვს პასუხს ამ უნარზე ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი არ იძლევიან საშუალებას მარტო შემოქმედებით ღმერთამდე ამაღლებისათვის. ამიტომ ბერდიაევი მონანიების რელიგიას კი არ უარყოფს, არამედ თვლის, რომ იგი ღმერთამდე მისვლის ერთ-ერთი აუცალკეული საშუალებაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ბერდიაევი ტრადიციულ ქრისტიანობას კი არ აკრიტიკებს ან უარყოფს, პირიქით, მისი მიზანია ქრისტიანობის სრულყოფა, გასწორება ეპოქის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ასეთია ბერდიაევის მიერ აგებული „ახალი ქრისტიანობა“. მისა აზრით, იგი თავისუფალია ტრადიციული ქრისტიანობის წინააღმდეგობებისაგან; ასე გაგებული ქრისტიანობა კი შეიძლება დაედოს საფუძვლად ახალ ფილოსოფიას, რომელსაც ექნება უნარი გასცეს ამომწურავი პასუხა ყველა ძირითად ფილოსოფიურ საკითხებს. ასეთი ფილოსოფია, ბერდიაევის მიხედვით, თავისუფლების ფილოსოფია იქნება.

<sup>15</sup> Бердяев Н. Философия свободного духа, кн. I, стр. 155.

<sup>16</sup> Бердяев Н. Философия свободного духа, кн. II, стр. 22.

4. ბერდიაევის მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგიის მოდერნიზება ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მასზე გარკვეულ მსოფლმხედველობის დაფუძნება. მას სურდა ღმერთის განთავისუფლება ბოროტებაზე პასუხისმგებლობისაგან (თეოდოცეა), ქრისტიანული რელიგიის გაწმენდა იმ წინააღმდეგობებისაგან, რამაც რელიგია ახალ საუკუნეებში ღმერთის უარყოფამდე მიიყვანა. მხოლოდ ასეთი რელიგია შეიძლება გამომდგარიყო მისი მიზნებისათვის. ბერდიაევმა თავისი გეგმა განახორციელა, მაგრამ წინააღმდეგობებს თავი ვერ დააღწია. მისა მითითებები თავისი ფილოსოფიის „აფორისტულ“ და „ფრაგმენტულ“ ხასიათზე საქმეს ვერ შევლის. ბერდიაევი როგორც ირაციონალისტი, რელიგიური ფილოსოფოსი თვლიდა, რომ წინააღმდეგობანი რაც მის ნააზრევს ახასიათებს არ უნდა ჩაითვალოს მისი ფილოსოფიის ნაკლად. მისი თქმით, იგი არ ცდილა თავისი მსოფლმხედველობის სისტემატიზაციას, რადგან ეს აუცილებლობისადმი დამონება აქნებოდა.

ბერდიაევის ასეთი თვალსაზრისი ფილოსოფოსობაზე მის მსოფლმხედველობას რელიგიად გადაქცევის საშიშროებას უქმნის. სწორედ რელიგიურ მოძღვრებებს არ მოეთხოვებათ სისტემატურობა, რელიგიის დებულებები დოგმებს წარმოადგენს. წინააღმდეგობრიობისა და არაწინააღმდეგობრიობის მოთხოვნა რელიგიაში არ არსებობს. რელიგიის დოგმები განსჯას არ ექვემდებარება, მორწმუნემ ისინი უნდა ირწმუნოს. არსებითად ასეთი ბუნებისაა ბერდიაევის რელიგიური ფილოსოფია, ამიტომ მისი მსოფლმხედველობას დალაგება და კრიტიკა გარკვეული სიძნელის შემცველია, რასაც რუსული ფილოსოფიის ბურჟუაზიული ისტორიკოსი ზენკოვსკიც აღნიშნავს<sup>17</sup>.

ფილოსოფოსი ადამიანია და ლოგიკის (ფართო აზრით) გარდა სხვა იარაღი არ გააჩნა სინამდვილის შემეცნებისათვის. ფილოსოფიას სინამდვილის შემეცნების პრეტენზია აქვს. თუ ვიტყვით, რომ ფილოსოფიაში არ არის საჭირო ლოგიკა (როგორი ლოგიკაც არ უნდა იყოს ის სულერთია) ამით ფილოსოფიას ვაუქმებთ და მას რელიგიად ვაქცევთ. ბერდიაევს სრულებითაც არ უნდა ფილოსოფიის გაუქმება, მას მხოლოდ მისი რელიგიაზე დაფუძნება სურს, კერძოდ კი — ქრისტიანობაზე. მისი ნააზრევი წინააღმდეგობის შემცველია, რაც მისი ფილოსოფიის ირაციონალურობით ვერ გამართლდება.

ბერდიაევი თვლის, რომ ღმერთი (მამა) სამყაროში არსებულ ბოროტებაზე პასუხს არ აგებს, იმიტომ რომ არსებობს Ungrund-ი, რომელიც მასზე არ არის დამოკიდებული. თვით ღმერთი არ შეიძლება არ იყოს Ungurnd-ს ნაზიარება იმიტომ, რომ ის შემოქმედია, თავისუფალია. ამის გამო ბერდიაევს არ შეეძლო „მამაზე“ ეთქვა, რომ იგი თავისუფალია Ungrund-ისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ქმნის ადამიანს, როგორც პატარა შემოქმედს და არა Ungrund-ი. თუ შემოქმედში არ არის Ungrund-ი, მაშინ არც შექმნილში იარსებებს. ეს ყველაფერა ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ გარკვეული აზრით გასაგებია. გაუგებარია და წინააღმდეგობრივი ძე-ღმერთის არათავისუფლება და არაშემოქმედებითობა, რომელზედაც ლაპარაკობს ბერდიაევი, რომ ქრისტე — აბსოლუტური სინათლე და სიკეთეა, მასში არ არის ბნელი საწყისი.

<sup>17</sup> Зеньковский В. В. История русской философии, т. 2, Париж, 1950, стр. 300—302.

ბერდიაევი რომ დათანხმებოდა ბიომეს დებულებას იმის შესახებ, ჯერ კრისტე Ungrund-ის შემცველია, მაშინ მამა-ღმერთის საქციელი უაზრო გამოვიდოდა. ღმერთი ებრძოდა ადამიანში Ungrund-ის გამოვლენას, ცდილობდა იგი თავისკენ შემოეტრიალებინა და გაეთავისუფლებინა ტრაგედიისაგან. ღმერთმა ამ მიზნით თავისი ძე შესწირა ადამიანებს, რათა მისგან მაგალითი აეღოთ და მოწინააღმდეგეობით, რომელიც ამქვეყნიურზე უარის თქმაში გამოიხატება, ღმერთებს ზიარებოდნენ. აქედან გამომდინარე, ბერდიაევის არ შეეძლო ქრისტეში Ungrund-ი ეაზრა, მაშინ ხომ ქრისტეს საქციელი უაზრობა იქნებოდა, რომ არაფერი ვთქვათ მამა-ღმერთზე, რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ Ungrund-ს ნაზიარები ქრისტე ვერ შეასრულებდა იმ მისიას, რომელიც მას ეკისრებოდა. მამა-ღმერთმა ხომ სწორედ ადამიანში Ungrund-ის აღმოფხვრას შესწირა ქრისტე. აქედან ნათელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პრინციპული სიყალბის მიუხედავად, ისტორიული ქრისტიანობა უფრო მწყობრია და შინაგანი წინააღმდეგობებისაგან უფრო დაცული, ვიდრე — ბერდიაევის მიერ ინტერპრეტირებული ქრისტიანობა. ქრისტიანობა სწორედ მოწინააღმდეგის ასეკტიზმის რელიგიაა და არასგზით არ შეიძლება მასში შემოქმედების ცნების შეტანა. ქრისტიანულ რელიგიაში შემოქმედების შეტანის ცდა ბერდიაევის ფილოსოფიაში წინააღმდეგობის შემცველია. რელიგია და შემოქმედება ერთმანეთთან სრულიად შუთავსებელია.

წინააღმდეგობას და გაუგებრობას იწვევს ქრისტეში, როგორც ღმერთ-კაცში Ungrund-ის არარსებობა. ქრისტე როგორც ღმერთის ძე ღმერთია და მხოლოდ შემდეგ ხდება ადამიანის სახით მისი ქვეყნად მოსვლა. როგორ არის შესაძლებელი ზოგიერთი ადამიანი (თუნდაც ადამიანი ქრისტეს სახით) იყოს ღმერთის შექმნილი და არ იყოს მასში Ungrund-ი? თუ მამა-ღმერთს ამის უნარი შესწევს, მაშინ თვითონ რატომ არ თავისუფლდება Ungrund-ისაგან? თუ თვითონ არ სურს, ან არ შეუძლია Ungrund-ისაგან განთავისუფლება, რატომ ყველა ადამიანს არ გაათავისუფლებს Ungrund-ისაგან ისე, როგორც ეს ქრისტეს ადამიანში გამოვლენით გააკეთა? მაშინ ხომ ძის შეწირვაც აღარ იქნებოდა საჭირო? — ეს და კიდევ მრავალი სხვა საკითხები ბუნდოვანებითაა მოცული ბერდიაევის ფილოსოფიაში. ამის გამო მისი მსოფლმხედველობა ექვის ქვეშ დგება. ბერდიაევის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ვერ დადგინდება სამყაროსა და ადამიანის საზრისი. ყალბ, დაუსაბუთებელ საფუძველზე აგებული შენობა, მისი ფილოსოფიის სახით, პრინციპულად მიუღებელია. ეს რაც შეეხება ბერდიაევის მსოფლმხედველობის იმანენტურ კრიტიკას, ახლა ვნახოთ, თუ როგორაა გადაწყვეტილი ფილოსოფიისა და რელიგიის დამოკიდებულების საკითხი მარქსიზმში.

რელიგია და ფილოსოფია საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეული ფორმებია. ისინი იზოლირებულად არ იმყოფებიან. მათ შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ფილოსოფიაში ორი დამირიასპირებული მიმდინარეობა არსებობს იდეალიზმისა და მატერიალიზმის სახით. იდეალიზმი და მატერიალიზმი ორივე ფილოსოფიაა და მამასადამე, ორივე ამ ხაზს უნდა ჰქონდეს გარკვეული კავშირი რელიგიასთან. კავშირი რაიმესთან შეიძლება იყოს და-





დებითი ან უარყოფითა. რელიგიის კავშირი ფილოსოფიასთან დავახასიათოთ როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

იდეალიზმისა და რელიგიის კავშირზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, სადაც აღვნიშნეთ, რომ იდეალიზმის ძირეული პრინციპი სულაგის პირველადობის შესახებ სხვა არაფერია თუ არა რელიგიის ძირეული პრინციპის თავისებურ ფორმაში განმეორება. იდეალიზმის ყოველგვარი ფორმა საბოლოო რაში წარმოადგენს რელიგიის რაფინირებულ სახეს, რომელიც ყალბ მეცნიერულ საფუძველზე ცდილობს დაასაბუთოს და გააპართოს რელიგიური მსოფლმხედველობის ძირითადი დებულებები. რელიგია თავის ობიექტს გამოცხადების, ხილვის სახით იღებს, იდეალიზმი კი ცდილობს, დაასაბუთოს ლოგიკური არგუმენტების დახმარებით. იდეალიზმს მეცნიერებისთან კავშირი გაწყვეტილი აქვს, მისი დებულებები მეცნიერებათა საწინააღმდეგოა, ამიტომ იდეალიზმის ე. წ. „მეცნიერულობა“ ყალბია. მართალია, იდეალიზმი და რელიგია ერთმანეთზე არ დაიყვანება, მაგრამ არსებითად ისინი ერთმანეთთან მკიდრო კავშირში არიან. თუ რელიგიასა და იდეალიზმს შორის შეჯახებები ხდებოდა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რელიგია იცავდა მის არსებულ ფორმას. იდეალიზმი კი, მართალია, იცავდა რელიგიას საერთოდ, მაგრამ იბრძოდა მისი კონკრეტული გამოვლენის გასუმჯობესებლად. ასეთ იდეალისტ ფილოსოფოსთა რიცხვს მიეკუთვნებან ბერლიაევი. მას სურდა მართლმადიდებლური ეკლესიის არსებული ფორმის გაუმჯობესება და არა რელიგიის მოსპობა. ამიტომაც, რომ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბერლიაევი მთლიანად არ მიიღო, თუმცა მისთვის არც ანათემა გაუგზავნია.

მატერიალისტური ფილოსოფია რელიგიასთან უარყოფით კავშირში იმყოფება, რაც მათს არსებითს დაპირისპირებაში გამოიხატება. თუ იდეალიზმი რელიგიასთან კავშირში ვითარდებოდა, მატერიალიზმი როგორც ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მეცნიერებასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის მეცნიერებათა მიღწევებით საზრდოობს.

დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების არსებობას. რელიგია, მისი მიხედვით, არას „იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანთა თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ. ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწაერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულაობენ“<sup>18</sup>.

მატერიალისტური ფილოსოფიის მიხედვით, არავითარა ზებუნებრივი ძალები არ არსებობენ. ღმერთისა და სხვა ზებუნებრივ არსებათა იდეალები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მიერ შექმნილა ყოვლისშემძლე არსების იდეა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა აქვს მინიჭებული. ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარქსიზმი აპირებდეს რელიგიას ერთი ხელის მოსმით განადგურებას, რელიგიას განიხილავდეს როგორც არარაობას, აბსოლუტურ სიყალბეს. მარქსიზმი ესწრაფვის ახსნას რელიგიის წარმოშობა, მასი ფუნქცია საზოგადოების ისტორიაში, კავშირი საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებთან.

რელიგია უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც ადამიანის უკიდურესი არარაობის ასახვა იდეოლოგიაში, არამედ როგორც პროტესტას გამოხა-

<sup>18</sup> ფ. ენგელსი. „ანტი-დიურინგი“. თბ., 1952, გვ. 378.

84921

ტულებაც მისი ფაქტიური უზადრუკობის წინააღმდეგ, რომელიც არ ქრება მანამ, სანამ ადამიანი არ გახდის თავის საზოგადოებრივ ურთიერთობას ისევე გონიერს, როგორი ურთიერთობაც მას უნდა ქონდეს ბუნების ძალებთან<sup>19</sup>. „რელიგია, — აღნიშნავს მარქსი, — არის თვითცნობიერება და თვითგრძნობა ადამიანისა, რომელსაც თავისი თავი ან ჭერ კიდევ არ მოუპოვებია, ანდა ავი კვლავ დაუკარგავს“<sup>20</sup>. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რელიგიის ჩათვლა არარაობად არამეცნიერული მიდგომა იქნება მისდამი. რელიგია არის რწმენის როლის გაზვიადება, რაც გარკვეული ისტორიული და სოციალური პირობებით იყო გამოწვეული. დიალექტიკური მატერიალიზმი არ უარყოფს რწმენის მონაწილეობას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც ფილოსოფია არ უდრის კერძო მეცნიერებათა ჯამს. ფილოსოფიას ყოველსმომცველი ინტერესები ამოძრავებს. გარდა ფილოსოფიისა არ არსებობს ადამიანის გონითი მოღვაწეობის სხვა უნარი, რომელსაც ასეთი ყოველსმომცველი ინფორმაციის პრეტენზია ქონდეს. ფილოსოფიას ევალეზა, პასუხი გასცეს კითხვებს: რა არის სინამდვილე როგორც მთელი და შესაძლებელია თუ არა მისი შემეცნება? რა ვარ მე და რა ადგილი მიკავია სამყაროში? და სხვა. კერძო მეცნიერებებს, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, აინტერესებს სინამდვილის როგორც მთელის კონკრეტული ნაწილები. მათი შემეცნებითი პრეტენზიები არ არის უნივერსალური. ისინი გარკვეულ სფეროთი (მაგალითად, ფიზიკური სინამდვილით) იფარგლებიან.

ფილოსოფია, როგორც უნივერსალური მსოფლმხედველობა, ვერ შემოიფარგლება მარტო იმით, რაც კერძო მეცნიერებათა კვლევის ობიექტია. სამყარო, როგორც უსასრულობა, მეტია იმაზე რაც მასზე კერძო მეცნიერებათა საშუალებით დგინდება. ფილოსოფიას თუ გავივებთ როგორც მხოლოდ კერძომეცნიერულ მსოფლმხედველობას, მაშინ იგი ნაკლოვანი და არასრულყოფილი მსოფლმხედველობა იქნება. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მეტია ვიდრე სამყაროს კერძო მეცნიერული სურათი. რაში მდგომარეობს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მეტობა კერძომეცნიერებისეულ მსოფლმხედველობასთან შედარებით? — ამ კითხვაზე პასუხი დაგვეხმარება, რათა გავარკვიოთ ფილოსოფიის რაობა, მისი სპეციფიკა.

ადამიანი გონითს მოღვაწეობას აწარმოებს მეცნიერების, რელიგიის, ხელოვნების და ფილოსოფიის საშუალებით. გონის ეს მოღვაწეობანი, ფილოსოფიის გარდა, სინამდვილეს როგორც მთელს სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ. ფილოსოფია კი დაინტერესებულია მთელათ, როგორც მთელიათ. მას აინტერესებს სინამდვილე როგორც ორგანული მთლიანობა. სხვა უნარებს ასეთი ყოველსმომცველი პრეტენზია არა აქვს. მხოლოდ ფილოსოფიაა დაინტერესებული უზოგადესი ცოდნით. უზოგადესია იმას ნიშნავს, რომ ის თავის თავში მოიცავს ზოგადებს როგორც მომენტებს. აქ გარეგადააწვედომია უზოგადესი. ზოგადების ბუნება უზოგადესითაა განსაზღვრული. ეს დამოკიდე-

<sup>19</sup> დონი ნ. ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბ., 1965, გვ. 5—6.

<sup>20</sup> კ. მარქსი, ჰეგელს სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი. თბ., 1971, გვ. 3.

2. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია 1975 № 1,

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა



ბულება სხვანაირად ასე შეიძლება გამოითქვას: არასრულყოფილ სრულყოფილთა შორის. ზოგადი არასრულყოფილი უზოგადესია. უზოგადესი კი სრულყოფილი ზოგადია. ფილოსოფია როგორც უზოგადესი ცოდნა რომელიმე ზოგადის ბუნებისა არ შეიძლება იყოს. ის არ შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო მეცნიერული, მხოლოდ რელიგიური და მხოლოდ შემოქმედებითი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ფილოსოფიისაგან მოწყვეტილი არიან. ფილოსოფია არის მეცნიერებაც, რწმენაც და შემოქმედებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ფილოსოფია, როგორც გონის უზოგადესი სპეციფიკური მოღვაწეობა ზედმეტი ვახდებოდა, მაშინ ფილოსოფიას უნდა ეარსება ან როგორც ერთ-ერთ მეცნიერებას, ან როგორც ერთ-ერთ რელიგიას, ან როგორც ერთ-ერთ ხელოვნების დარგს. ფილოსოფიური ცოდნის ფაქტი სხვაზე მიგვიბრუნებს. ფილოსოფია არ არის არც ხელოვნების არც რელიგიის და არც კერძო მეცნიერებათა იგივეობრივი. მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანის ნიშნებს ატარებს. დაისმის კითხვა: ფილოსოფია ამ სამი უნარის ჯამს ხომ არ წარმოადგენს? უზოგადესი მთელი და საერთოდ ყველა სახას მთელი დამოუკიდებელი თვისებრიობის მატარებელია. იგი არასოდეს არ დაიყვანება ნაწილების მექანიკურ ჯამზე. ფილოსოფიური ცოდნა წარმოადგენს მეცნიერების, რელიგიისა და ხელოვნების მიერ დანახულ ორგანულ მთლიანობას და არა მექანიკურ ჯამს. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადი როგორც არასრულყოფილი, ნაკლოვანი უზოგადესი, განსაზღვრულია სრულყოფილთა ანუ, სხვანაირად, ნაწილები მთელითა განსაზღვრული. უზოგადესი მთელი დაპირისპირებულთა ერთიანობაში გარეგანდამწვდომია. აქედან გამომდინარე, ფილოსოფია კი არ არის განსაზღვრული კერძო მეცნიერული ცოდნით, რელიგიური რწმენით და ხელოვნებით, პირიქით, უმაღლესი მეცნიერულობა, უმაღლესი რწმენა, უმაღლესა შემოქმედება სწორედ ფილოსოფიის კუთვნილებას წარმოადგენს<sup>21</sup>. ამ საკითხში ბერდიაევის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ფილოსოფია რელიგიურ რწმენასა და შემოქმედებას დაუქვემდებარა. იგი თავის მსოფლმხედველობაში იბრძოდა მეცნიერებისადმი ფილოსოფიას დაქვემდებარების წინააღმდეგ და ისე გაერთო ამ ბრძოლაში, რომ სხვა უკიდურესობაში გადავარდა. მეცნიერება, რელიგია და ხელოვნება ერთნაირი ზოგადობის, ერთნაირი რანგის მოღვაწეობანია. მაშინ პრინციპულად არაფერი განსხვავება აღარ არის, თუ ვისი მონა იქნება ფილოსოფია მეცნიერებისა, რელიგიისა თუ ხელოვნებისა. ერთი „მონათმფლობელის“ შეცვლა მეორეთი, თუნდაც უფრო ლმობიერით არ ცვლის საქმას დედაარსს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ფილოსოფიური და რელიგიური რწმენა. ორი სახის რწმენის აღიარება, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობის შემცველია, რადგან რწმენა ერთა უნდა იყოს. ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. აქ ლაპარაკია არა ორი დამოუკიდებელი რწმენის არსებობაზე, არამედ ერთის ორ სხვადასხვა მავრამ აუცილებელ მხარეზე. ფილოსოფიური რწმენასთან შედარებით, რელიგიური რწმენა კონკრეტულია, რელიგიური რწმენის განსაზღვრა შესაძლებელია. ის შეიძლება სხვით განვსაზღვ-

<sup>21</sup> ამ სტატიაში ჩვენ ვეხებით მხოლოდ ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართებას, ამიტომ მეცნიერებასთან და შემოქმედებასთან დამოკიდებულებას აქ არ განვიხილავთ.

რომ, იმიტომ რომ ის სხვა ზოგადი მოღვაწეობანიც არსებობს. რელიგიური რწმენა არის ის, რაც არ არის მეცნაერება და ის, რაც არ არის შემოქმედება. ფილოსოფიური რწმენა მეცნიერულიცაა და შემოქმედებითიც. ისევე როგორც ფილოსოფიის მეცნიერულობა და შემოქმედებითობა რწმენის ფენომენის გარეშე არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფალოსოფიური ცოდნის უზოგადესობა, უპირობობა ხელიდან გაგვიქრება. ამ სამი უნარის უმაღლესი ორგანული ერთიანობა სწორედ ფილოსოფიურის სპეციფიკას წარმოადგენს. ფილოსოფიურა და რელიგიური როგორც ორი განსხვავებული რწმენის აღიარება საექვოდ მოგვეჩვენება მაშინაც, როცა უზოგადესსა და ზოგადს გავივივებთ. უზოგადესი თავის თავში შეიცავს ზოგადებს, ამ შემთხვევაში კონკრეტულ ზოგადს, რელიგიური რწმენის სახით. ერთ-ერთი ზოგადი და უზოგადესა ივიეობრივი არ შეიძლება იყოს. თუმცა მათ შორის მსგავსება აუცილებლად არსებობს. ფილოსოფიურ და რელიგიურ რწმენას შორის სრულყოფილისა და არასრულყოფილის დიალექტიკური დამოკიდებულებაა, სადაც გარეგანდამწვდომია სრულყოფილი რწმენა — ფალოსოფიური რწმენის სახით. ამიტომ რელიგიური რწმენის კრიტერიუმით არ უნდა გავზომოთ ფილოსოფიური რწმენა<sup>22</sup>.

ფილოსოფიური რწმენის აღიარება არ ნიშნავს მის დაქვემდებარებას რელიგიისადმი, უზოგადესის დაქვემდებარებას ზოგადისადმი. უზოგადესი თვითონ შეიცავს თავის თავში სრულყოფილ (არარელიგიურ) რწმენას. ამიტომ ფილოსოფიური რწმენას კრიტერიუმით უნდა გავზომოთ რელიგიური რწმენა, სრულყოფილი რწმენით უნდა გავზომოთ არასრულყოფილი რწმენა, უზოგადესით უნდა გავივოთ ზოგადის საზრისი. ფილოსოფიურ რწმენაში ივლლისხმება გარკვეული არჩევანი, რომელაც სისტემაში დასაბუთდება ლოგიკური აპარატი (ფართო გაგებით). რელსიური რწმენა არის რწმენის ობიექტის ბრმა, დაუსაბუთებელი არჩევანის უნარი.

მარქსისტული ფალოსოფია არ უარყოფს შეგნებულ რწმენას. იგი გამოდის ცოდნის რელიგიური, ფანატიკური რწმენის შეცვლის წინააღმდეგ; მკაცრად განასხვავებს დოგმების ბრმა რწმენას, რაზედაც დაფუძნებულია რელიგია, რწმენისაგან, რომელიც ობიექტური რეალობას ცოდნიდან გამომდინარეობს და ლოგიკური გზით (ფართო გაგებით) საბუთდება.

<sup>22</sup> ნწირია შემთხვევები როცა ამ მცდარი თვალსაზრისის გამო ფილოსოფიაში რწმენა, როგორც მხოლოდ რელიგიისთვის დამახასიათებელი, მთლიანად უარყოფილია.

ლიანა ლორია

### ლოგიკური ფორმების საკითხი ნ. ლოსკის ინტუიტივისტურ ფილოსოფიაში

ლოგიკური ფორმების საკითხი ლოსკისთან მჭიდროდაა დაკავშირებული მის ინტუიტივისტურ ფილოსოფიასთან. საქმე აქ მართლ ლოგიკისა და ფილოსოფიის პრობლემატიკის სიახლოვეს როდი ეხება; არც იმას, რომ ლოგიკა თავისი სპეციალური ამოცანების გადაწყვეტისას უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ მსოფლმხედველობრივ პრინციპებს. „ლოგიკა არ წარმოადგენს იმ ნეიტრალურ მიწას, რომელზედაც ყველას ერთნაირად შეუძლია იდგეს, ავტომატურად და მორიგდეს“<sup>1</sup>. — იგი თავის საკითხებს ყოველთვის განიხილავს „ზოგადფილოსოფიურთან უშუალო კავშირში. მაგრამ სულ სხვა რამ განაპირობებს ლოგიკისა და ეპისტემოლოგიის დაახლოვებას ლოსკის სისტემაში: აქ ლოგიკა სპეციალურად იმიტომ იჭრება ფილოსოფიური საკითხების კვლევის სიღრმეში, რომ მოემსახუროს იდეალისტური მსოფლმხედველობის დასაბუთებას, კერძოდ, ინტუიტივიზმის ძირითადი პრინციპების გამართლებას; ამ მიმართულებით ლოსკის ორიგინალური ცდები დიდი ხანია რაც დასაფუძვლავს თანამედროვე მუტუაზიონულ ფილოსოფიაში მკვლევარების ყურადღებას იმაპრობენს.“

ინტუიტივიზმის მიხედვით, სინამდვილის შეცნობადობის პირობას, ე. ი. სამყაროს შესახებ ჭეშმარიტების შესაძლებლობის პირობას წარმოადგენს სამყაროს თავისებური სტრუქტურა: სამყაროს ყოველი საგანი შეიცავს თავის თავში იდეალურ მხარეს — ფორმალურ საფუძვლებს. ეს იდეალური ფორმები ანიჭებს მთელ სინამდვილეს მკაცრად მოწესრიგებულ გონიერულ ხასიათს, სისტემატურ ერთიანობას, რადგანაც მათში განხორციელებულია მსოფლიო გონება — ლოგოსი. ლოგოსი, — როგორც ლენინი უწოდებს, — ფიდეაზმის ეს ძველი ფორმულა, ლოსკისთან მიწოდებულია იდეალიზმის სასარგებლოდ მოვლენათა მისტიფიკაციისათვის. იდეალიზმმა მისი მეოხებით უნდა მოახერხოს, რათა ბუნების წესრიგი და აუცილებლობა გამოიყვანოს არა გარეგანი ობიექტური სამყაროდან, არამედ — ცნობაერებიდან, გონებიდან, ლოგიკიდან; მატერიალური ბუნება მოკლებულია წესრიგს, კანონზომიერებას, იგი იქ გონებამ უნდა შეიტანოს, ლევაგებრივმა გონებამ. აქაც, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია იდეალიზმისათვის, თავის რეალურ ბუნებრივ საფუძველს მოწყვეტილია და აბსოლუტამდეა განვითარებული ადამიანური გონება, რის შედეგადაც გვაქვს „ლოგოსი, ე. ი. გონება აბსტრაქციაში; ჩვეულებრივი გონება კი არა, არამედ გონება ასომთავრული ასოთი, არა ადამიანის ტვინის ფუნქცია, არამედ რაღაც ყოველგვარი ტვინის გარეშე არსებული, რაღაც ლევაგებრივი“<sup>2</sup>. ამ იდეალური ფორმების გარეშე საგნის არც არსებობაა შესაძლებელია და არც მისი აღქმა. მათი გამოყენებით

<sup>1</sup> К. С. Бакрадзе. Логика, 1951, стр. 4.  
<sup>2</sup> А. S. Kohanski, Lossky's. Teory of Knowledge, Nashville, Tenn., 1936;  
В. В. Зеньковский. История русской философии, Париж, 1948—1950; L. I. Shein, N. O. Lossky. в. The Encyclopedia of Philosophy, vol. V, 1967, pp. 86—87.  
<sup>3</sup> ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 189.



უნდა უზრუნველყოს ლოსკიმ თავის სისტემაში იდეალიზმის საფუძველზე აზროვნებასა და ბუნებას, ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის შესაბამისობის ახსნა: საგნები, რომლებსაც ერთი და იგივე იდეალური საფუძველი გააჩნია, არ შეიძლება არსებობდნენ ერთმანეთისაგან მოწყვეტით, ყოველი მათგანი შეიცავს თავის თავში ყველა დანარჩენთან ერთიანობის მხარეს — იგივეობრივ ასპექტს, საერთო იდეალურ არსებას. ასეთ პირობებში საგანთა „განსხვავებული ასპექტები და გამოვლინებებიც კოორდინირებულია ერთმანეთთან და არსებობენ ერთმანეთისათვის...“, არიან რა მოცემული ერთმანეთში იმ იდეალური და არა რეალური ყოფნით, რომელიც განვითარების ცნობიერების საფეხურზე თავს იჩენს როგორც „საგნის ცნობიერებაში ყოფნა“... შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი ყველაფრის ამანენტურია<sup>4</sup>. ეს საყოველთაო იმანენტურობის პრინციპი გულისხმობს, რომ საგნებს შესწევთ უნარი შეაღწიონ ერთმანეთის სიღრმეში, გამსჭვალონ ერთმანეთი. შემშვეცნებული სუბიექტისათვის კი იგი უზრუნველყოფს შესაძლებლობას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოვიდეს თავისი ინდივიდუალობის სფეროდან და ჩაწედეს გარემომცველი საგნების სიღრმეს.

ამგვარად სრულდება ცოდნის განხორციელებისათვის აუცალკებელი პირობა: სუბიექტი უშუალოდ დედანში ეუფლება საგნებს, ანუ საგნები ექცევიან ცნობიერების სფეროში. ამის აღიარებით ლოსკი თითქოსდა სპობს დაპირისპირებულობას ცოდნასა და ყოფიერებას შორის. მათი შეთანხმება ხდება იმის საფუძველზე, რომ ცოდნა კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ შეიცავს მას ორიგინალში.

მარქსისტული ფილოსოფია მიუთითებს ცნობიერებისა და ყოფიერების შესაბამისობის ახსნის ამგვარი ცდის ანტიმეცნიერულ ხასიათზე. ენგელსის თქმით, იდეალისტებს იმიტომ ეჩვენებათ მეტისმეტად უცნაურად ცნობიერება და ბუნება, აზროვნება და ყოფიერება, აზროვნებისა და ბუნების კანონები — ასე რომ ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ ისინი „ცნობიერებას“, „აზროვნებას“ ღებულობენ როგორც რაღაცას თავისთავად მოცემულს, ყოფიერებისადმი, ბუნებისადმი წინასწარ დაპირისპირებულს. „მაგრამ თუ შემდეგ ასე დავსვამთ საკითხს, რა არის აზროვნება და ცნობიერება, საიდან ჩნდებიან ისინი, მაშინ დავინახავთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტებია. ხოლო თვითონ ადამიანი — ბუნების პროდუქტი, რომელიც ვითარდება გარკვეულ გარემოში და ამ გარემოსთან ერთად. ამის გამო, თავისთავად ცხადია, რომ ადამიანის ტვინის პროდუქტები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით აგრეთვე წარმოადგენენ ბუნების პროდუქტებს, კი არ ეწინააღმდეგებიან ბუნების დანარჩენ კავშირს, არამედ შეესაბამებიან მას“<sup>5</sup>.

ლოსკის იდეალია ცოდნისა და ყოფიერების ისეთი დაახლოება, როცა სინამდვილის გაგების პროცესსა მოიცავს ყოფიერების რეალურად განხორციელებას პროცესს. ამიტომ ნებისმიერი მოვლენა შეგვიძლია განვიხილოთ ორი თვალსაზრისით: როგორც სამყაროს ელემენტი და როგორც ცოდნის ელემენტი. როგორც სამყაროს ელემენტი, ის არის ყოფიერება, ხოლო როგორც ცოდნის ელემენტი — ცნობიერება.

<sup>4</sup> Н. О. Лосский. Чувственная, интеллектуальная и мистическая интуиция, 1938, стр. 19.

<sup>5</sup> ფ. ენგელსი. ანტიდუბიანი, 1952, გვ. 44.

ფაქტიურად სხვა განსხვავება ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის ცნობიერებასთან არ არსებობს. ამიტომ ცოდნის ლოგიკურა ფორმები ეს იგივე ყოფიერებას ონტოლოგიური ფორმებაა. „ლოგიკური და მეტაფიზიკური პრინციპები ემთხვევიან ერთმანეთს თავის საფუძველში: ისინი არიან გამოხატულება ერთი და იმავე წყობისა, რომელიც მხოლოდ განიხილება სხვადასხვა მიმართებაში — თავისი მნიშვნელობით ყოფიერებისათვის და თავისი მნიშვნელობით ცოდნისათვის“<sup>6</sup>. „სამყაროს ონტოლოგიური იდეალური საფუძველები, შედიან რა ცნობიერების სფეროში, თამაშობენ ცოდნის ლოგიკურ საფუძველთა როლს“<sup>7</sup>.

ამრავად, ლოგია როგორც მეცნიერება აზროვნების შესახებ ლოსკისთან კარგავს თავის რეალურ ნივთს და მის იდეალისტურ ონტოლოგიაში ითქვიფება. ამ პრინციპზე დაყრდნობით, ლოსკი ცდილობს ყველა ლოგიკური ფორმისათვის გამოხატოს მისი ონტოლოგიური მნიშვნელობა, რათა ამით მოახერხოს ლოგიკის დასაბუთება ინტუიტივიზმის პოზიციებიდან: თუ ლოგიკური ფორმები თავიანთ ახსნას ინტუიტივისტურ ფილოსოფიაში იპოვნიან, ამით მართლდება არ მარტო ლოგია, არამედ თითონ ინტუიტივისტური მოძღვრების აუცილებლობაც. ამ მხრივ ყველაზე რთული ფუნქცია აკისრია მსჯელობას, რომელაც ლოსკისთან წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გნოსეოლოგიურ კატეგორიას.

ინტუიტივიზმის მიხედვით, ყოველი შემეცნებადი ყოფიერება იმანენტურია ცნობიერებისა. მაგრამ ცნობიერებაში გარე სამყაროს მოცემულობის აღიარება ეს არას მხოლოდ პირობა, რომლის გარეშეც ცოდნა გარე სამყაროს შესახებ საერთოდ ვერ განხორციელდება. სინამდვილე, ცხოვრება — თავისთავად ჯერ კიდევ არ არის ცოდნა, თუმცა უშუალოდ შემოდის ჩვენი ჰერეტის ველში. იგი რომ ცოდნად იქცეს, საჭიროა რაღაც დამატებითი პროცესი: საჭიროა შემეცნებელმა ინდივიდმა მოახდანოს სინამდვილის დიფერენცირება, ანუ მთელი სინამდვილიდან ჰერეტისათვის გამოყოს სამყაროს გარკვეული მონაკვეთი. ამ პროცესის წყალობით ცხოვრება თავისი რეალობის დაუკარგავად იქცევა წარმოდგენილ ცხოვრებად, წარმოდგენად. სინამდვილის დიფერენცირება კი ყოველთვის მსჯელობის ფორმით ხორციელდება.

ამგვარად, მსჯელობამ ლოსკისთან აიღო ინტუიტივისტური გნოსეოლოგიის მთელი სიმძიმე, კერძოდ, სინამდვილის გადაყვანა ცოდნის ფორმაში. საერთოდ, სიმწიფე საგნების გადაყვანისა ცოდნის ფორმაში მართლაც მსჯელობის ხედურია. მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, მსჯელობა ეს არის საგნის აზრით წვდომის პროცესი. „მსჯელობა არის ყოველგვარი შედარებით დასრულებული აზრი, რომელიც ასახავს სამყაროს ნივთებს, მათს თავისებურებებს, კავშირებსა და ურთიერთობებს“<sup>8</sup>. მაგრამ, თუ, მარქსისტული შემეცნების თეორიის მიხედვით, მსჯელობა ადამიანის ცნობიერებაში სინამდვილის ასახვის ფორმაა, აზრის ლოგიკური ფორმაა, „საგნის განსაზღვრულობის აზრობრივი გამოთქმა“<sup>9</sup>. — ლოსკისთან იგა თვითონ შესამეცნებელ ყოფიერებას წარმოადგენს, ყოფიერებას, რომელიც ისე უნდა იქცეს

<sup>6</sup> Н. О. Лосский. Мир как органическое целое, 1917, стр. 148.

<sup>7</sup> Н. О. Лосский. Основные вопросы гносеологии, 1919, стр. 39.

<sup>8</sup> П. В. Копнин. Философские идеи В. И. Ленина и логика, М., 1969, стр. 225.

<sup>9</sup> ს. წერეთელი. დიალექტიკური ლოგია, 1965, გვ. 241.

ცოდნად, წარმოდგენად, რომ შეინარჩუნოს თავისი რეალობა, თავისი პირვანდელი ფორმა. ამასთან დაკავშირებით ლოსკის საყვედურობდნენ (ა. ა. ვედენსკი), რომ „ინტუიტივიზმს შეაქვს წინააღმდეგობრიობა ჭეშმარიტი ყოფიერების ცნებაში, რადგანაც ეს ყოფიერება ერთდროულად აღმოჩნდება ჩვენს წარმოდგენადაც და ჩვენი წარმოდგენისაგან დამოუკიდებლად არსებულად“<sup>10</sup>. ინტუიტივიზმის დასაცავად ლოსკის მეტად თავისებური არგუმენტაციის გამოყენება დაჭირდა.

მაინც როგორ იქცევა საგანი ყოველგვარი მეტამორფოზის გარეშე ცოდნად? ლოსკისთან ამის განხორციელებას საფუძვლად უდევს ცოდნის თავისებური სტრუქტურა: — „ცოდნა გარე სამყაროს შესახებ თავისი შემადგენლობით არის ზეინდივედუალური რამ: ერთი მხრივ იგი მიეკუთვნება ინდივიდის შინაგან სამყაროს, მეორე მხრივ გამოდის ამ ინდივიდის საზღვრებს გარეთ“<sup>11</sup>. მსჯელობა აერთიანებს თავის თავში ცოდნის ამ ორმაგ ბუნებას: ერთი მხრივ იგი გამოდის როგორც სუბიექტის მოღვაწეობა, ხოლო მეორე მხრივ — როგორც თვითონ სინამდვილე, რაზედაც მიმართულია ეს მოღვაწეობა. ესაა მსჯელობის ორი მხარე — სუბიექტური და ობიექტური.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობის ეს ორი მხარე ერთმანეთის გარეშე არ გვხვდება, ლოსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათს გამოკვეთას და ყოველთვის ცდილობს ბოლომდე მიჰყვეს ამ მიჯნებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლოსკის მსჯელობის თეორიას, თავისთავად მსჯელობას ობიექტური და სუბიექტური მომენტების გამოკვეთა და ლოგიკისა და ფსიქოლოგიისათვის თავისი საგნის მიჩნევა წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შემეცნების თეორიისათვის. ლოსკის მოძღვრებაც ამ საკითხთან დაკავშირებით შეიცავს მრავალ საყურადღებო არგუმენტაციას, რომლებიც ინარჩუნებენ თავის ღირებულებას სუბიექტური იდეალიზმის და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია იდეალიზმისათვის, ლოსკი, აღებს რა თავის გამოსავალ დებულებად შემეცნების ჭეშმარათ ელემენტს, მისი ცალმხრივი, არაკანონზომიერი განვითარების შედეგად ნამდვილი პროცესების დამახინჯებულ სახეს ვეთავაზობს: თუმცა, სინამდვილის მოვლენებს შემეცნების ფსიქოლოგიური აქტის გარეშე არ შეუძლიათ ცოდნად იქცნენ, ლოსკისთან სუბიექტის მთელი შემეცნებითი მოღვაწეობა ცნობიერებაში მოცემული მასალის უბრალო გადასინჯვის აქტით ამოიწურება, რომელიც ფაქტურად არც წარმოადგენს სინამდვილის შემეცნების ნამდვილ პროცესს. „ცოდნის მთელი შინაარსი აიგება თითონ სამყაროს სინამდვილისაგან. შემეცნებითი მოღვაწეობა მხოლოდ ახდენს მის გარეგნულ დამუშავებას შედარების გზით... მას არ სჭირდება სინამდვილის არც შექმნა, არც თუნდაც მისი აღდგენა ცნობიერებაში: იგი თითონაა მოცემულა ორიგინალში... „აზროვნების მოღვაწეობამ მხოლოდ თვალი უნდა ადევნოს შედარების რეზულტატებს...“<sup>12</sup>

<sup>10</sup> Н. О. Лосский. Новая форма философского критицизма, «Вопросы филос. и псих.» 1912, I (111).

<sup>11</sup> Н. О. Лосский. Введение в философию, 1918, стр. 289.

<sup>12</sup> Н. О. Лосский. Обоснование интуитивизма, 1908, стр. 339.





გარდა იმისა, რომ შემეცნების ფსიქოლოგიურ აქტს ლოსკისთან ენიჭება მეტად შეზღუდული, არაშემოქმედებითი როლი, იგი სავსებით მოწყვეტილია ამ მოღვაწეობის რეზულტატს — სახეს, რაც შემეცნებას პროცესის სრულ გაყალბებას იწვევს. არ შეიძლება ცალკე განვიხილოთ პროცესი მის რეზულტატთან, პროდუქტთან ურთიერთობის გარეშე, „აზრი — ესაა ერთსა და იმავე დროს აზროვნების პროდუქტიც, აზროვნებითი პროცესის რეზულტატური გამოხატულებაც და მისი ობიექტის ასახული არსებობის ფორმაც, — ეს ორი დებულება შერწყმულია ერთ მთლიანში, იმიტომ, რომ თითონ აზროვნების პროცესი დეტერმინირებულია ობიექტით, რომელიც მასში იხსნება აზრის ფორმით — აზროვნება აშუალებს აზრის დამოკიდებულებას ობიექტისაგან და თვითონ დეტერმინირებას განიცდის მისგან. ამის ძალითაა, რომ შემეცნების პროცესში ყოფიერების როგორც აზრის ობიექტის „ლოგიკა“ ვადადის აზროვნების წყობაში“<sup>13</sup>. გაყალბებულია მსჯელობის ობიექტური (ლოგიკური) მხარეც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა თვითონ საგანი (სამყაროს მონაკვეთი) ორიგინალში, რომლის დიფერენციაციასაც ახდენს შემეცნებელი სუბიექტი. თათონ შესამეცნებელი სინამდვილის ელემენტები მსჯელობის გამოთქმის მომენტში იქცევიან მის შინაარსად და იძენენ ლოგიკურ მნიშვნელობას. სწორედ სინამდვილესთან ეს იგივეობა, პარადაპირა მნიშვნელობით, ანიჭებს მსჯელობის შინაარსს ობიექტურ მნიშვნელობას, უზრუნველყოფს ლოგიკურის ობიექტურობას; ე. ი. მსჯელობის, ცოდნის ობიექტურობა გავებულია არა როგორც აზრის შინაარსობრივი განსაზღვრა ობიექტის მიერ, არამედ როგორც სინამდვილესთან მისი აბსოლუტურა იგივეობა.

ლოსკი ისე წარმართავს მსჯელობის თავის თეორიას, რომ მსჯელობის ბუნება ინტუიტივაზმის მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს. მსჯელობის გნოსეოლოგიური მნიშვნელობა ზუსტად უნდა ეთანხმებოდეს ინტუიტივისტურ პოზიციას და მხოლოდ მასში პოულობდეს ახსნას. ამ პრინციპის თანახმად, ლოსკისთან მსჯელობის სტრუქტურა წარმოადგენს სპეციალურ ფორმას, რათა ცოდნის პროცესი, როგორც შედარების გზით სინამდვილის დიფერენციაციის პროცესი გამოხატოს. მსჯელობა იმიტომ შეიცავს სამ ელემენტს, რომ სინამდვილის დიფერენცირების აქტი მოითხოვს ამას: მსჯელობის სუბიექტი (S) ეს არის თითონ სინამდვილე, ბუნელი მოცული, ჯერ კიდევ სავსებით შეუცნობელი (არადიფერენცირებული) ანდა გაცნობიერებული მხოლოდ ზოგიერთ მიმართებაში, — ლოსკი მას ცოდნის საგანს უწოდებს; პრედიკატი (P) წარმოადგენს დიფერენცირებას შედეგად ამ სინამდვილიდან გამოცალკეებულ მის რაღაც ახალ მხარეს — ცოდნის შინაარსს; ხოლო რაც შეეხება კოპულას, ესაა სინამდვილის გარკვეული დამოკიდებულება მის გაცნობიერებულ მხარეებთან.

მსჯელობის სტრუქტურის ამგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მსჯელობის ფორმალურ-ლოგიკურ გავებასთან, ლოსკის საშუალებას აძლევს გაარკვიოს მისი გნოსეოლოგიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხი — ანალიზურ და სანთეზურ მსჯელობათა საკითხი, — რომელმაც შემდგომ დიდი როლი უნდა ითამაშოს კემპარიტების პრობლემის

<sup>13</sup> С. Л. Рубинштейн. Бытие и сознание, 1957, стр. 49.

თავისებურ გადაჭრაში. მსჯელობის ორმაგი ბუნება, ე. ი. მასში სუბიექტური და ობიექტურა მხარის არსებობა, ლოსკის აზრით, განაპირობებს იმას, რომ ყოველი მსჯელობა ერთდროულად უნდა იყოს როგორც ანალიზური, ასევე სინთეზური იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში განვიხილავთ მას. რამდენადაც მსჯელობა წარმოადგენს სუბიექტის მიერ შესამეცნებელა სინამდვილის დიფერენციაციას, ე. ი. რამდენადაც მასში ხდება S-ის ანალიზი, იგი ანალიზურია, ხოლო რამდენადაც იგივე მსჯელობა თავის თავში შეიცავს საგანთა ობიექტურ დამოკიდებულებას ანუ S-ისა და P-ის კავშირს — სინთეზური. ამრიგად, ანალიზი გამოხატავს მსჯელობის სუბიექტურ მხარეს, სინთეზი — ობიექტურ მხარეს.

ყველა გნოსეოლოგიურმა საკითხმა, რომელთა გადაწყვეტაც ლოსკისთან გვხვდება, მსჯელობის ეს გაგება უნდა გაიაზროს. აქ აფარებენ თავს აშკარა ანტიმეცნიერული დებულებანი და პოულობენ წყაროს ინტუიტივიზმის ძირითადი სოფიზმება. ამიტომ მონადღმა ლოსკიმ დიდი დრო მის დამუშავებას. განსაკუთრებით მჭიდროდაა მსჯელობის ამ თეორიასთან დაკავშირებული ჭეშმარიტების პრობლემატიკა.

ჭეშმარიტება ლოსკისთან ტრადიციულად მსჯელობის ფორმაში გამოდის, მაგრამ მის მოძღვრებაში ჭეშმარიტების არისტოტელესეულ გაგებას — მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ მასში შეერთებულია ის, რაც სინამდვილეშია შეერთებული, და დაცილებულია ის, რაც დაცილებულია სინამდვილეში, გამოცლილი აქვს თავისი მატერიალისტური არსება. ცოდნა, ლოსკის მიხედვით, ეს არის სინამდვილის გარჩევა — დიფერენცირება, ხოლო მსჯელობა წარმოადგენს ცალკე აქტს იმ დიფერენცირებისა. მთელი რიგი ამგვარი აქტების მეშვეობათ მსჯელობას სულ უფრო და უფრო გადაჰყავს საგნები ცოდნის ფორმაში. თუ ამ პროცესის წყალობით მართლაც მიიღება შესამეცნებელი ობიექტის სახე, მიზანი მიღწეულია, ჩვენ გავგაჩნია ჭეშმარიტება. შეგვიძლია ვიფიქროთ, თითქოს ლოსკი პირდაპირ მიუთითებდეს ჭეშმარიტებაზე როგორც მსჯელობის შინაარსზე, რომელიც განპირობებულია ობიექტური ასახვის კანონზომიერებით. მაგრამ, როგორც ჩანს, თითონ ლოსკი გრძნობს ამას და ჩქარობს დააზუსტოს, რომ სახეში იგი გულისხმობს თვითონ ყოფიერებას გარჩეულა, დიფერენცირებული ფორმით. ჭეშმარიტება ყოფიერების სახეზე ყოფნაა მსჯელობაში და სულაც არ არის შესაბამისობა ცოდნასა და იმ რაღაცას შორის, რაც იმყოფება ცოდნის გარეთ. ასეთი აღიარება მეტად საზიფათოა, რადგანაც იგი ლოსკის ხელდან აცლის ობიექტურ რეალობას და სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე გადაყვანით ემუქრება. თუ ლოსკი ახერხებს ამას თავი დააღწიოს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობის თეორია შეიცავს წინასწარშემუშავებულ გადაწყვეტას იმისას, თუ როგორ გადაიქცევა სინამდვილე მსჯელობის ობიექტურ მხარედ ანუ ჭეშმარიტებად.

მსჯელობა ლოსკის გნოსეოლოგიასა და ლოგიკაში გამოდის არა მხოლოდ როგორც ჭეშმარიტების მატარებელი, არამედ როგორც მისი კრიტიკიუმის. ფაქტიურად მსჯელობის არსებობა მასთან უკვე არის გარანტია ჭეშმარიტებისათვის; კიდევ მეტი; მსჯელობას თავისი ორმაგი ბუნების წყალობით შეუძლია ერთდროულად შეასრულოს სუბიექტური ანუ ფსიქოლოგიური და ობიექტური ანუ ლოგიკური კრიტიკიუმის როლი.

ფსიქოლოგიური კრატერიუმი ჭეშმარიტებისა არის ე. წ. თანხმობის, დადგენის აქტი, ესაა სუბიექტის დარწმუნებულობა, რომ მსჯელობა შეიცავს ჭეშმარიტებას. თუ ობიექტის გაცნობიერების (მსჯელობის) აქტის დროს ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენმა მოღვაწეობამ წარმატებით ჩაიარა, — ე. ი. სწორედ ობიექტის დაფერენცირება მოვახდინეთ, არ შევეუბრეთ მას არაფერი გარეშე, — მივიღებთ რა დიფერენცირების პროდუქტს, ვთვლით, რომ მივალწიეთ მიზანს, რადგანაც შემეცნებელი ინდივიდუმი რაღაცას აღგენს როგორც ჭეშმარიტებას. მაგრამ ლოსკი შესანიშნავად გრძნობს, რომ ჭეშმარიტებას მსგავსი კრიტერიუმი არასიძმედოა. ფაქტიურად მას ეს არც მიაჩნია კრიტერიუმად, არამედ იმისთვის იყენებს, რომ გააძლიეროს განცდა ჭეშმარიტების აღქმისა, რომელიც ინტუიციამ უნდა განახორციელოს. ამიტომ ჭეშმარიტების ფსიქოლოგიურა კრიტერიუმი გამოდის როგორც დამხმარე მომენტე; მაგრამ, რამდენადაც შემდეგ დავინახავთ, ეს მომენტე არც თუ უმნიშვნელოა. ჩემი თანხმობის, დადგენის აქტი არა ქმნის არც ჭეშმარიტებას და არც მცდარობას, — განაგრძობს ლოსკი, — იგი მხოლოდ მხდის მე პასუხისმგებლად იმისა, რომ ვიზიარებ ჭეშმარიტებას ან მცდარობას. იგი მხოლოდ მაშინ იქცევა ჭეშმარიტების დადგენის აქტად, როცა მასში განიცდება გარეგანი იძულება მსჯელობის ობიექტური მხარის მიერ. ჭეშმარიტებასათვის დამახასიათებელია არა ის, რომ მე ვცნობ მას, არამედ ის, რომ თვითონ ჭეშმარიტება როგორც რაღაც გარეგანი ჩემი მეცადმი, მიძულებს ცნო იგი. მაგრამ არც ეს კრიტერიუმი სახდო: ხშირად არის, რომ არაზუსტ, მცდარ ცოდნას თან სდევს ჭეშმარიტებაში დარწმუნებულობას გრძნობა და არანაკლებ ძლიერი განცდა გარეგანი იძულებისა, — ეს რომ არ იყოს, არც მცდარი და არაზუსტი აზრები იარსებებდნენ, საერთოდ. საჭიროა სხვა გარანტია იმისათვის, რომ სინამდვილეს სწორად ვამეცნებ, სხვა კრიტერიუმი, რომელსაც შეუძლია ახსნას, თუ რა იძულებს სუბიექტს, აღიაროს მსჯელობის ჭეშმარიტება, მაშინ ექნება ჭეშმარიტების განცდას კრიტერიუმის ღარებულება.

სწორედ აქ გამოდის მსჯელობა მთელი თავისი შექუთვილობით ინტუიტივიზმის დასაცავად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტუიტივიზმი ამტკიცებს, რომ სინამდვილის შემეცნებას აქვს უშუალო ჭერეტის — ინტუიციის ხასიათი. სამყაროს ესა თუ ის მონაკვეთი თავისი რეალობის დაუკარგავად თვითონ შემოდას დედანში, შემეცნებელი ინდივიდუუმის ცნობიერების სფეროში. ასე, რომ სამყაროს ამ მონაკვეთს აქვს ორმაგი ბუნება: ერთდროულად ის არის შესამეცნებელი სამყაროს საგანიც და მსჯელობის ობიექტური მხარე. ამიტომ მსჯელობის ობიექტური მხარეც იმ პრინციპით უნდა იყოს აგებული, როგორითაც შესამეცნებელი სამყარო; მსჯელობის ლოგიკურ სტრუქტურასაც იგივე ონტოლოგიური კავშირები უნდა აწარმოებდნენ, რომლებიც ქმნიან შემეცნებადი სამყაროს სტრუქტურას. ერთი შეხედვით, ეს დასკვნა შეიძლება სწორად მოგვეჩვენოს, თუ ონტოლოგიურ კავშირებს გავიგებთ როგორც მატერიალური ბუნების ობიექტურ კანონებს, ხოლო მსჯელობის ლოგიკურ სტრუქტურას — როგორც მათი ასახვის ლოგიკურ ფორმას. მაგრამ ლოსკისთან ისინი წარმოადგენენ სამყაროს იდეალურ ფორმებს, რომლებიც ერთნაირად მონაწილეობენ როგორც ბუნებაში, ასევე ცოდნაში. ამრიგად, ლოგაიკის კანონები, რაც „მხოლოდ ადამიანის აზროვ-

ნების განვითარების გარკვეული საფეხურის პროდუქტს წარმოადგენს მისტიკურ-იდეალისტურ ახსნას პოულობს.

რადგანაც, ამ თეორიის მიხედვით, მსჯელობის ლოგიური ფორმები, ამავე დროს უნდა იყოს ყოფიერების ონტოლოგიური ფორმები, ლოსკი თავისი ლოგიკის წინაშე აყენებს ამოცანას, მონახოს ყველა ლოგიკური ფორმისათვის მისი ონტოლოგიური მნიშვნელობა, ე. ი. მათთვის საერთო იდეალური ფორმა და ამით ლოგიკის მთელი სისტემა საკუთარ ფილოსოფიურ პრინციპებზე ააწყოს. ამ მხრივ ლოგიკის სისტემისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოფიერების იმ იდეალურ ფორმას, რომელიც განაპირობებს საგნების გარკვეულობას. მთელი სამყაროს ყოფიერება ემორჩილება გარკვეულობის ამ ფორმას. ბუნებაში იგი ანიჭებს სამყაროს ელემენტებს მკაცრ განსაზღვრულობას, ხოლო მსჯელობაში საწყისს აძლევს აზროვნების სამ კანონს: ი გ ი ვ ე ბ ი ს. წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ბ ი ს ა და გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი მ ე მ ს ა მ ი ს კ ა ნ ო ნ ს. — რომლებიც ასევე წარმოადგენენ გასაზღვრულობას გამოხატულებას. ამიტომაც, რომ სინამდვილის დიფერენციაცია, რომელიც ეყრდნობა საგანთა გარკვეულობას, ლოგიკის ამ სამი კანონის თანახმად უნდა ხორციელდებოდეს. სწორედ ისინი არიან სინამდვილის ანალიზის კანონები, ე. ი. კანონები, რომლებიც განაგებენ მსჯელობას სუბიექტურ მხარეს და წარმოადგენენ კეშმარტების მიღწევის აუცილებელ პირობას.

მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ლოსკა ყოფიერების იმ იდეალურ ფორმებს, რომლებიც გამოხატავენ სამყაროს სხვადასხვა საგანთა და მხარეთა კავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს. ამ იდეალური ფორმების წყალობით სამყაროს ყოველ მონაკვეთს აქვს სისტემატური ერთიანობის ხასიათი, ხოლო როცა იგი იქცევა შემეცნებელა სუბიექტის ცოდნის საგნად, სინამდვილის იგივე ფორმები მსჯელობასაც ანიჭებენ სისტემატური ერთიანობის ხასიათს. სამყაროს ნებასმიერი მონაკვეთი შეიცავს თავის თავში ყველანაირი ონტოლოგიური კავშირების, ონტოლოგიური ურთიერთობის (იდეალური ფორმების) — დროულის, ვრცეულის, რაოდენობრივის, მიზეზობრივის და ა. შ. — ერთობლიობას. ამიტომ S-იც, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს სამყაროს გარკვეულ მონაკვეთს, უნდა შეიცავდეს თავის თავში, გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი ფორმით იმ პირობათა მთელ ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ მის კავშირს P-თან. ორგანული მსოფლმხედველობის თანახმად, სამყაროს ყველა მხარე ემორჩილება ე. წ. ფუნქციონალური დამოკიდებულების კანონს, რაც სამყაროს ელემენტთა აუცილებელ მიმართებაში მდგომარეობს: სინამდვილის ყოველი მონაკვეთი იმგვარია, რომ, თუ მოცემული გვაქვს მისი ერთი მხარე, სხვა მხარეები აუცილებლობით შეუერთდებიან მას. სამყაროს ელემენტთა მიმართებების აუცილებლობა მსჯელობასაც გადმოეცემა: როგორცაა დამოკიდებულება სინამდვილის ნაწილებს შორის, იგივეა მსჯელობის სუბიექტსა (S) და პრედიატს (P) შორის. მსჯელობა ცნებათა და წარმოდგენათა უბრალო ჯამი კი არ არის, არამედ გარკვეული ფუნქციონალური დამოკიდებულება მათ შორის და ეს გამოიხატება ფორმით: სადაც არის S, იქ აუცილებლად არის P.

14 ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ბუნების დიალექტიკა, 1952, გვ. 250.

ასე, რომ მსჯელობის პრედიკატი უბრალოდ კი არ უერთდება სუბიექტს, არამედ აუცილებლობით გამომდინარეობს მისგან. პირობათა სრულ ერთიანობას, რომლისგანაც, მისი სისრულის ძალით, შედეგი გამომდინარეობს აუცილებლობით, ეწოდება საკმაო საფუძველი; ე. ი. ყოველ მსჯელობაში სუბიექტი არის საკმაო საფუძველი პრედიკატისათვის, S-სა და P-ს შორის ყოფილა საფუძვლასა და შედეგის დამოკიდებულება.

ამრიგად, ლოსკი გეთავაზობს მსჯელობის კიდევ ერთ განსაზღვრას: მსჯელობა ისეთი ლოგიკური სისტემაა, რომელიც თავის თავში შეიცავს საფუძვლისა და შედეგის ობიექტურ კავშირს. მსჯელობის ამ გავებაში უნდა უზრუნველყოს ჭეშმარიტების შესაძლებლობა ინტუიტივიზმის საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში, ლოსკის მიაჩნია, რომ იგი სავსებით გამოდგება როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი. მსჯელობის ლოგიკური მხარე, სახელდობრ საფუძვლისა და შედეგის აუცილებელი მიმართება, წარმოადგენს გამართლებას ჭეშმარიტების დადგენის სუბიექტური აქტისათვის. სწორედ იგი აიძულებს შემეცნებელ სუბიექტს აღიაროს მსჯელობის ჭეშმარიტება: მასში კავშირის ერთი და იგივე იდეალური ფორმა განაპირობებს იმასაც, რომ სამყარო ემორჩილება ფუნქციონალური დამოკიდებულების კანონს და იმასაც, რომ მსჯელობა სამყაროს შესახებ ექვემდებარება საკმაო საფუძვლას კანონს. საკმაო საფუძვლის კანონი თვითონ სინამდვილის კანონია, ამიტომ, რამდენადაც მსჯელობა ექვემდებარება მას, იგი უნდა იყოს მხოლოდ ჭეშმარიტი და არ შეიძლება იყოს მცდარი.

მცდარი მსჯელობები? მცდარი მსჯელობების არსებობა ლოსკისათვის მეთოდურად მოუხერხებელია, ამიტომ იგი საერთოდ უარყოფს მათს შესაძლებლობას. მსჯელობის დედააზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული სუბიექტი მოითხოვს პრედიკატის აღიარებას, ამიტომ, თუმცა არსებობენ გამოთქმანი, რომლებიც გრამატაკული წყობით მსჯელობის მსგავსია და შეიძლება ჭეშმარიტების დადგენის სუბიექტური განცდაც ჰქონდეს ვისიმე გონებაში, მაგრამ მათში არ არის ლოგიკური კავშირი საფუძვლისა და შედეგისა და ამდენად ასეთი გამოთქმები არც არიან მსჯელობები. მაგრამ, თუ მე ფსიქოლოგიური განცდა ასეთივე მაქვს, როგორც ნამდვილი მსჯელობის დროს მიჩნდება, თუ სინამდვილის დამახინჯებულ ასახვას თან სდევს ჭეშმარიტების დადგენის განცდა ჩემს გონებაში, საიდან შემიძლია ვიცოდე, რომ დარღვეულაა მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურა, რომ მსჯელობის სუბიექტი არ არის საკმაო საფუძველი პრედიკატისთვის?

ლოსკიმ ამ საკითხს სხვა მხრიდან შემოუარა. ჭეშმარიტება ეს არის ცოდნაში მოცემულობა თვითონ სინამდვილისა მთელი მისი კავშირებით, გაცნობიერებული, ვარჩეული სახით. მთელი შინაარსი ცნობიერებაში მოცემულია თავისთავად, ინტუიციურად; სუბიექტი მხოლოდ თვალს აყოლებს მას, აცნობიერებს შედარების გზით. სუბიექტს ეს მოღვაწეობა არის აზროვნება, რომლის შემეცნებითი ღირებულება იმით შემოიფარგლება, რომ მან უნდა მოახდინოს ინტუიციით მოცემული მასალის ანალიზი და გამოყოს სინამდ-

ვილიდან მისი რომელიმე მხარე. მას ყველაზე ნაკლებად შემოქმედებითი ფუნქცია ეკისრება, იგი პასაჟურად უნდა დაეყარდნოს მოცემულ მასალას და სწორედ მის ამ პასიურობაში არის პირობა სამყაროს ადექვატური აღქმისა. ამიტომ, თუ აზროვნება მართლაც აზროვნებაა, ე. ი. თუ იგი ასრულებს თავის ფუნქციას და მხოლოდ თავის ფუნქციას, იგა არ შეიძლება არასწორი იყოს, იგი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ქეშმარიტების წყარო. ამიტომ ლოსკი თვლის, რომ იმ ვამოთქმებს, სადაც დარღვეულია მსჯელობის ობიექტური პირობა, ანუ საფუძვლასა და შედეგის ლოგიკური კავშირი, არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება ეწოდოს მსჯელობა. ფსიქოლოგიური ასპექტით მასში არ არის უმნიშვნელოვანესი ნიშანი: ის არის პროდუქტი არა აზროვნებასა, რომელმაც თვალი უნდა ადევნოს სისტემატურობის იდეალურ ფორმებს, არამედ — ფანტაზიის ან რომელიმე სხვა სუბიექტური პროცესისა.

ამგვარად, თუ აზროვნება მართლა აზროვნებაა, მსჯელობა მართლა მსჯელობა იქნება, ხოლო თუ მსჯელობა — მსჯელობაა, იგი აუცილებლად ქეშმარიტი უნდა იყოს. ასეთია ლოსკის დასკვნა. მაგრამ, ვიდრე ქეშმარიტებამდე მივიდოდეთ, დასძინს იგა, საჭიროა სინამდვილის რთული კომპლექსები დაუუქვემდუბაროთ ღრმა დიფერენციაციას. სინამდვილის მხოლოდ მეტისმეტად დახვეწილი ანალიზი გვაჩვენებს საბოლოო სინამდვილის რომელ ელემენტებს როგორც კავშირში აქვთ ობიექტურა მნიშვნელობა. ლოსკის თქმით, ეს შრომა იმდენად ძნელია, რომ თავდაპირველად ქეშმარიტება ყოველთვის გამოითქმის მცდარობასთან შერეული და მეცნიერების განვითარების მთელი პროცესი არის პროცესი ქეშმარიტებას ვაწმენდისა მცდარობისაგან ობიექტის დიფერენციაციის გზით.

ჩვენ არ დავუწყებთ ლოსკის დავას იმაში, რომ ქეშმარიტ ცოდნას მართლაც რთული, მცდარობასთან გადახლართული გზა აქვს დასაძლევნი. მაგრამ თითონ მიზეზი ცოდნას მცდარობისა და მისი დაძლევის გზა ლოსკის ცალმხრივად, მეტაფიზიკურად და ამიტომ მთლიანად დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი: მცდარობის მიზეზი მასთან წმინდა ფსიქოლოგიურია, შემოსაზღვრული შემმეცნებელი სუბიექტის ვიწრო შინაგანი სფეროთი მაშინ, როცა ეს მიზეზები არც წმინდა ფსიქოლოგიურია და არც, ასე ვთქვათ, წმინდა გნოსეოლოგიური. მარქსისტული შემეცნების თეორიის თანახმად, შემმეცნებელი სუბიექტის დამოუკიდებელი მოღვაწეობა კი არაა შემეცნება, არამედ მთელი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესია. ამიტომ ცოდნის მცდარობასაც საფუძველიც საზოგადოებრივი ხასიათისაა და არა ინდივიდუალურა. არც ქეშმარიტების კრიტიკიუმის დადგენა შეიძლება „წმინდა გნოსეოლოგიურ“ სფეროში. ქეშმარიტების კრიტიკიუმის პრობლემის გადაჭრა გნოსეოლოგიას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა თითონ ამ კრიტიკიუმს განიხილავს არა როგორც ცოდნის შემოწმების ცალკე აქტს, არამედ — როგორც ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესს, მიმართულს სამყაროს ბუნებრივი და სოციალური გარდაქმნისაკენ, სადაც ადამიანი უბრალოდ კი არ ჰერეტს ბუნებას, არამედ პრაქტიკულად მოქმედებს და მატერიალურად ხორცს ასხამს თავის იდეებს: „პრაქტიკაში უნდა დამტკიცოს ადამიანმა თავისი აზროვნების ქეშმარიტება... კამათი პრატიკისაგან გამოცალკეებული

აზროვნების რეალობის ან არარეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია<sup>15</sup>.

ამიტომაც ჭეშმარიტების კრიტერიუმი ლოსკისთან მაინც დაუდგენელი რჩება. აქ არ ჩანს, თუ რის საფუძველზე ვაღგენთ, რომ უკვე მივალწიეთ ობიექტის ჭეშმარიტ გაგებას. ინტუიტივიზმის მიხედვით, ჭეშმარიტების საბოლოო კრიტერიუმი არის თითონ შესამეცნებელი სინამდვილის არსებობა ცოდნის აქტში. მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ საკმარისად, რადგანაც იგი ხომ მაშინაც თან ახლავს ცოდნის პროცესს, როცა მცდარ მსჯელობას გამოვთქვამთ. „თუ სუბიექტს სურს ჭეშმარიტება, მან უნდა სცნოს მხოლოდ ის, რაც მას ეძლევა ინტუიციამში, რაც არის სახეზე და გვაიძულებს ჩვენ ვცნოთ იგი“<sup>16</sup> — ასეთია ლოსკის უკანასკნელი პასუხი. ამის აღიარებით ლოსკის ინტუიტიზმა ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს წინ. იგი უბრალოდ უბრუნდება იმ გამოსავალ დებულებას, რომლისთვისაც არგუმენტაციას ეძებდა. ლოსკის ამ ლოგიკურ არათანმიმდევრობას შენიშნავდა ს. ჰესენი, როცა წერდა: „ცოდნაში საგნის სახეზე არსებობა არის არა ჭეშმარიტების კრიტერიუმი, არამედ — თვითონ ჭეშმარიტება და ამიტომ ლოსკის განსაზღვრა არის წმინდა ტავტოლოგია, რომელიც ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმი არაა ჭეშმარიტება“<sup>17</sup>. სუბიექტმა უნდა დოგმატურად აღიაროს, რომ ჭეშმარიტების მიღწევის ერთადერთი გზა ინტუიციაა და, რადგანაც ასეთი მასტიკური უნარის არსებობს, ჭეშმარიტების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

ჭეშმარიტების პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ლოსკის მოძღვრება სინთეზურა მსჯელობების შესახებ, რომელმაც დიდი საქმე უნდა გააკეთოს ინტუიტივისტური გნოსეოლოგიის დასაბუთებისათვის. კანტის კვალდაკვალ ლოსკი სავსებით სამართლიანად ამტკიცებს, რომ ყოველი ცოდნა შესაძლებელია როგორც მხოლოდ სინთეზური. მაგრამ სინთეზს შემეცნებელა სუბიექტი როდი ახდენს. აზროვნებას არ აქვს სინთეზის არავითარი უფლება. კიდევ მეტი, შეცდომის მიზეზი არის სწორედ აზროვნება, რომელიც ახდენს სინთეზს. რაც უფრო პასიურია იგი თავის მოღვაწეობაში, რაც უფრო მონურად მისდევს ობიექტებს, რაც უფრო შეიზღუდება იმ მასალით, რომელსაც მას ყოველგვარი მასი მონაწილეობის გარეშე აწედიან, მით უფრო მეტი წარმატებით მიმდინარეობს მისი მოღვაწეობა, მით უფრო უზრუნველყოფილია ადეკვატური ცოდნის შესაძლებლობა.

აზროვნების როლის ასეთი შეზღუდვა, მისი დაყვანა განსჯითი მოღვაწეობის ამ დონემდე, როცა იგი მხოლოდ მექანიკურად აჯგუფებს მოცემულ მასალას, არა მარტო აზროვნების დისკრედიტირებას ნიშნავს, არამედ — მისი მიზნებისა და დანიშნულების სრულ უგულებელყოფასაც. მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, აზროვნება არ არის აბსტრაქციების უბრალო ოპერირება მოცემული სქემის ფარგლებში, რომელსაც არავითარი საქმე არა აქვს თავის მასალასთან, არ აინტერესებს მისი შინაარსი და ბუნება, — ის არის სინამდვილის აქტიური, მიზანდასახული ასახვა, რომელიც უკან კი არ მიჩანჩალებს ბუნებას, არამედ წინ უსწრებს კიდევაც. „აღამიანის ცნობიერება არა

<sup>15</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ობ. ნაწ., ტ. II, გვ. 484.

<sup>16</sup> Н. О. Лосский и др. Обоснование интуитивизма, 1908, стр. 216.

<sup>17</sup> С. И. Гессен. Новый опыт системы логики на русском языке, Логос, 1925, кн. I, стр. 191.

მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ ჰქმნის კიდევაც მას<sup>18</sup>. ამაშია აზროვნების შემოქმედებითი ხასიათი და მისი დანიშნულებაც. თავისა ამ თვისებით აღწევს იგი არა მარტო ცოდნის ჰეგმარობის უზრუნველყოფას, არამედ ამ ჰეგმარობის შემოწმებასაც.

მაგრამ ინტუიტივიზმს ჰეგმარობის მიღწევის სრულიად სხვა არარაციონალური საშუალება აქვს, აზროვნება კი მხოლოდ შავ სამუშაოს ასრულებს, რომელსაც, ფაქტიურად, შემეცნებით მოღვაწეობას ვერც ვუწოდებთ: „ანალიზს აწარმოებს შემეცნებელი ინდივიდუუმი, ხოლო სინთეზური კავშირი საგნის გაცნობიერებულ მხარესა და პრედაკატს შორის „მოცემულია“ ჰერტისათვის თითონ საგნის მიერ. გამოდის, რომ ცოდნა არის ინდივიდუუმის მიერ წარმოებული სინამდვილის ანალიზი, რომელსაც მიეყვართ იმ სინთეზური კავშირების თვალყურის დევნებამდე, რომლებიც არსებობენ სინამდვილეში“<sup>19</sup>. ე. ი. შემეცნების სუბიექტა აწარმოებს ანალიზს იმ მიზნით, რომ დაეუფლოს ჰეგმარობას, რომელიც მზამზარეული სახით საღაც უკვე არსებობს. აზროვნება თითონ კი არ აცნობიერებს სამყაროს კავშირებსა და ურთიერთობებს, არამედ მხოლოდ ემსახურება სხვა მასზე მაღლა მდგომ პროცესს ამ ამოცანის განხორციელებაში. მან უნდა შექმნას პირობა, რომ კავშირი „S არის P“ თავისუფალი იყოს ჰერტისათვის, გაწინდოს უნდა იგი სხვა ურთიერთობებისაგან. ამისათვის იგი ოპერირებს სამი ლოგიკური კანონით: იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხულა მესამის კანონით, რომლებიც, ლოსკის მიხედვით, წარმოადგენენ ანალიზის პირობას. აზროვნების მოღვაწეობა მხოლოდ ამ კანონთა მოქმედების სფეროთია შემოსაზღვრული.

სულ სხვა სფეროს ეკუთვნის სინთეზი. ანალიზი ცოდნის სუბიექტური მხარეა, ანალიზს აწარმოებს შემეცნებელი სუბიექტა, სინთეზი კი იმყოფება თითონ შესამეცნებელი საგნის შემადგენლობაში. იგი არის საფუძვლისა და შედეგის ობიექტური კავშირი — ფუნქციონალური დამოკიდებულება სინამდვილის ელემენტებს შორის. კავშირი „S არის P“ თვითონ ყოფიერებას ახასიათებს და ხორციელდება აზროვნების ყოველგვარა მონაწილეობის გარეშე. აქ ამჟამად დარღვეულია სინთეზისა და ანალიზის დიალექტიკური ერთიანობა. ისინი აზროვნების მოღვაწეობის ორი მხარე კი არაა, არამედ ორა სავსებით დამოუკიდებელი პროცესია, რომლებიც მოქმედებენ სრულიად განსხვავებულ სფეროებში. აზროვნების განკარგულებაში შერჩენილი ანალიზი კი იმდენად უმწეოდ გამოიყურება, რომ, ჰეგელის მოსწრებელი გამოთქმა რომ ვინმართ, „ანალიზს დაქვემდებარებული საგანი განიხილება ისე, თათქოს იგი წარმოადგენდეს ხახვის ბოლქვს, რომელსაც აკლიან ერთმანეთზე მიყოლებით შრეებს“<sup>20</sup> მარქსიზმი გადაჭრით უარყოფს სინთეზისა და ანალიზის ამგვარ გაგებას. „აზროვნება იმდენადვე წარმოადგენს ცნობიერების საგანთა ელემენტებად დაშლას, რამდენადც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების გაერთიანებას. უანალიზოდ სინთეზი არ არსებობს“<sup>22</sup>.

<sup>18</sup> ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხ. ტ. 38, გვ. 210.

<sup>19</sup> Н. О. Лосский. Введение в философию, 1918, стр. 275.

<sup>20</sup> Гегель. Соч. т. I, стр. 333.

<sup>22</sup> ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 1952, გვ. 51.





რამდენადაც სინთეზს მსჯელობაში წარმოადგენს ფუნქციონალური და მოკიდებულების იდეალური ფორმა, ამიტომ სინთეზი ლოსკისთან თავის საბოლოო ახსნას მის იდეალისტურ ონტოლოგიაში პოულობს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ლოსკის მოძღვრებაში დასკვნაზე, რომელიც პრინციპულად არაფრით არ განსხვავდება მსჯელობის ინტუიტივისტური თეორიისაგან. ლოსკი სამართლიანად გამოდის დასკვნის ტრადიციული ანალიზური თეორიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, დასკვნა არ იძლევა ახალ ცოდნას, არამედ წარმოადგენს მხოლოდ იმ შინაარსის გადაჭყულებას, რომელიც უკვე მოცემულია წინამძღვრებში. ამის საპირისპიროდ ლოსკი აყალიბებს დასკვნის სინთეზურ თეორიას, სადაც ამტკიცებს, რომ დასკვნა არის სინთეზური სისტემა, რომელშიც დანასკვი აუცილებლად შეიცავს ახალ, წინამძღვრებისაგან როგორც ფორმით, ასევე შინაარსითაც განსხვავებულ ცოდნას. მაგრამ დასკვნის სინთეზი, გაშლილი ინტუიტივიზმის ფონზე, ფაქტიურად კარგავს თავის მნიშვნელობას. მისი შემეცნებითი ღარებულება მეტად უმნიშვნელოა, რადგანაც აუცილებელი კავშირი მოვლენებს შორის უკვე მოცემული გვაქვს აღქმაში — ინტუიციისაში, დასკვნა კი, მსჯელობას მსგავსად, ემსახურება უკვე აღქმაში მოცემულ ურთიერთობათა გაცნობიერებას. ფუნქციონალური ლოსკი შენიშნავს, რომ კავშირი „S—P“ დანასკვეში არაა იგივე, რაც „S—M“ და „M—P“, მაგრამ სინამდვილეში დანასკვი „S—P“ უკვე მოცემულია წინამძღვრებში არადიფერენცირებული სახით. სინთეზს S-სა და P-ს შორის არ ახდენს შემეცნებელი სუბიექტი, იგი ახდენს მხოლოდ მის კონსტატაციას. ამ კავშირის აღმოსაჩენადაც არაა საჭირო აზროვნების რაიმე შემოქმედებითი მოღვაწეობა, საჭიროა მხოლოდ იმის ანალიზი, რაც უშუალოდ გვაქვს მოცემული აღქმაში, ისევე, როგორც მსჯელობაში S-ის ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს P-ს, დასკვნაში „S—M“ და „M—P“ კავშირთა ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს „S—P“ კავშირს. ამიტომ, ლოსკის მიხედვით, წინამძღვრებიდან დანასკვეზე გადასვლა, ისევე როგორც მსჯელობაში S-დან P-ზე გადასვლა, დამყარებულია გადასვლის სინთეზურ აუცილებლობაზე, რომელაც წარმოადგენს საკმაო საფუძვლის კანონის განხორციელებას.

ლოსკის მტკიცებით, დასკვნის პროცესი შესაძლებელია იმიტომ, რომ ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ წინამძღვრების შინაარსს, იმყოფებიან ცოდნის აქტში სახეზე როგორც რეალური ყოფიერება, ამიტომ მათი საფუძველიც ასევე უნდა იყოს სახეზე და შედეგიც მისგან უნდა გამომდინარეობდეს, ასე ეთქვათ, ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით. სინამდვილის ელემენტები, როგორც ლოსკი ამბობს, დადარუღნი არაან ნიშნებით, ნაქდევით, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ მოვლენათა რომელი კავშირები მიეკუთვნებიან ერთმანეთს. შემეცნებელი სუბიექტი მხოლოდ უნდა მიჰყვეს სინთეზის აუცილებლობას და მაშინ დასკვნას, ისევე როგორც მსჯელობას, მიუყვებარო მხოლოდ ჰეგელიანობაზე.

ლოსკი მშვენიერად გრძნობს ფორმალური ლოგიკის შესუღუღელობას, განსაკუთრებით მის გულგრილ დამოკიდებულებას სააზროვნო მასალის ხასიათისადმი. იგი ბრალს სდებს ტრადიციულ ლოგიკას იმაში, რომ მას არ ძალუძს უზრუნველყოს ჰეგელიანობის შესაძლებლობა, რადგანაც წყვეტს რა ფორმას მატერიისაგან, მატერიალური მცდარობის პირობებში ხელოვნურად

აღგენს ფორმალური სისწორის ცნებას. ფორმა, ლოსკის თქმით, არ არის ბადე ან კავა, რომელსაც შეუძლია ერთნაირად ჩაეჭიდოს ნებისმიერ ჰეგელ-მარტიტ თუ მცდარ შინაარსს. მაგრამ ფორმალური ლოგიკის კრიტიკას ლოსკი ეწევა ინტუიტივიზმის პოზიციებიდან და ამ პოზიციების გამაგრებას მიზნით.

ინტუიტივისტურ ლოგიკას არ მიაჩნია, რომ ფორმა დამოუკიდებელია შინაარსისაგან, მაგრამ მას ამ დამოკიდებულების თავისებური გაგება აქვს. ემპირიულად ჰეგელმარტიტ მსჯელობა ფორმალურ-ლოგიკურადაც სწორი უნდა აყოს და პირიქით. ლოგიკურად სწორი ცოდნის ფორმები არ შეიძლება მცდარი იყოს, რადგანაც მათში განხორციელებულია საკმაო საფუძვლის კანონი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ, თუ არის S მან აუცილებლობით უნდა მოითხოვოს ის კავშირები და ელემენტები, რომლებიც მასთან რეალურად და დაკავშირებულია. საფუძვლისა და შედეგის კავშირი არა მარტო ლოგიკური, არამედ რეალური კავშირაცაა, რადგანაც იგი წარმოადგენს თითონ ყოფიერების აუცილებელ სინთეზებს. ამიტომ სწორედ ეს რეალური სინთეზური აუცილებლობა არის ჰეგელმარტიტების საბოლოო კრიტიერიუმი. „გამოაცხადეს რა ინტუიცია „ჰეგელმარტიტების“ მიღწევის ერთადერთ მეთოდად, რუსა ინტუიტივისტები ასრებიტად მივიდნენ შემეცნებითი მოღვაწეობის ადამიანისაგან და მისი პრაქტიკული მოღვაწეობისაგან სრულ მოწყვეტამდე. აქედან „ჰეგელმარტიტების“ კრიტიკაში მათთან არის არა ჩვენი ცოდნის ობიექტურ სამყაროსთან შესაბამისობის დადგენაში საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში, არამედ თვითგანდგომა ყოველივე ინდივიდუალურისაგან გრძნობადისაგან უნივერსალურის, ღვთაებრივი სახელით“<sup>23</sup> — აღნიშნავს ი. ჩუევა.

მართლაც, გარანტია აუცილებელი სინთეზისა ლოსკისთან სამყაროს ორგანული პრინციპია როგორც აბსოლუტის ანუ ღმერთის ყოვლისმომცველობის განხორციელება; სინთეზს ცოდნაში ახორციელებს არა შემეცნებელი სუბიექტი, არამედ — უმაღლესი აქტიური სულიერი საწყისი — აბსოლუტი, რომელიც უზრუნველყოფს სამყაროს ორგანულ ერთიანობას. ამიტომ აქვთ სინთეზებს ასეთა მტკიცე და გარდუვლად აუცილებელი ხასიათი. ამით ლოსკის სურს ჰეგელმარტიტების ზებუნებრივი, ღვთაებრივი ბუნება დამტკიცოს, ხოლო ჰეგელმარტიტის ცოდნის არსებობამ, თავის მხრივ, ამ ზებუნებრივი, ღვთაებრივი საწყისას აღიარებამდე უნდა მიგვიყვანოს. ლოგიკური ფორმები ლოსკისთან გამოდიან როგორც ღმერთის შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტი, მისტიფიცირებული, დამახინჯებული სახით. ისანი მოწყვეტილი არიან თავიანთ მატერიალურ-სოციალურ საფუძველს, განხილულნი არიან აბსტრაქტულად, ადამიანის პრაქტიკისაგან მოწყვეტით მაშინ, როცა თითონ ადამიანთა მოღვაწეობა, პრაქტიკა არის საფუძველი ლოგიკური ფორმების განვითარებისა. „ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას — წერდა ლენინი — მილიარდჯერ უნდა მიეყვანა ადამიანის ცნობიერება სხვადასხვა ლოგიკური ფიგურების განმეორებამდე, ამ ფიგურებს რომ აქსიომების მნიშვნელობა მინიჭებოდა“<sup>24</sup>.

<sup>23</sup> И. П. Ч у е в а. Критика идей интуитивизма в России, 1969, стр. 73.

<sup>24</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 38, გვ. 188.



## ფსიქოლოგია

შეშუა ნაშრომი

### სოციალური წარმოდგენების განვითარება სკოლამდელ ასაკში

სოციალიზაცია თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ადამიანი, რომელიც იზადება მისგან დამოუკიდებელ სოციალურ გარემოში, სრულიად უშეუბრალო და განუვითარებელი. თანდათან, ზრდასთან ერთად, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სოციალურად ორგანიზებულ ჯგუფებში და ჩამოყალიბდეს სრულყოფილ სოციალურ პიროვნებად, რომელსაც აქვს თავისი შეხედულებები და განწყობა ამა თუ იმ სოციალური მოვლენის მიმართ. სოციალიზაციის პროცესში ადამიანები სწავლობენ იმას, თუ როგორ უნდა ჩაერთონ სოციალურ ჯგუფებში, — ასეთი ჩვევები და წარმოდგენები შეიძინება და ყალიბდება ბავშვობაში; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ის სოციალური განწყობები, რომლებიც უმუშავდება ადამიანს ადრეულ ასაკში, ძირითადად განსაზღვრავენ მის შეხედულებებს მთელ რიგ სოციალურ მოვლენებზე, დამოკიდებულებებს თავისი ქვეყნისა და კლასისადმი, როგორც შიბუტანი, წერდა<sup>1</sup>, ბავშვობის წლები ესაა სოციალიზაციის დასაწყისი, როდესაც იქმნება ამ სოციალიზაციის საფუძვლები.

ამჯერად ჩვენ არ ვეხებით ზრდადასრულებული, ჯგუფში მოქმედი ადამიანის სოციალურ შეხედულებებსა და განწყობებს, რაც ხანგრძლივი სოციალური ზემოქმედების შედეგია. ჩვენ ვეცადეთ გამოგვეკვლია; თუ რა ასაკში აღმოუცენდება ბავშვს სოციალურ მოვლენებზე წარმოდგენები და როგორ ვითარდება იგი? სოციალური ქცევა, რომელიც საკმაოდ ადრევე ვლინდება, ემთხვევა, თუ არა სოციალური წარმოდგენების აღმოცენებას? — ეს საკითხი საინტერესოა არა მარტო გენეტიკური, არამედ პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. ლ. ვიგოდსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომზადებას, მათი წარმოდგენების განვითარებას, რის გარეშე შეუძლებელია საგნობრივი სწავლების დაწყება: „Подготовить это общее представление относительно мира природы, относительно общества, относительно мира величин — всё это и составляет не посредственную задачу, которую школа ставит перед дошкольным воспитанием“<sup>2</sup>.

ბავშვის ფსიქოლოგიის მკვლევარი (პიიე, ბოლდუანი და სხვები) მიუთითებენ, რომ ბავშვს თავიდან არ შეუძლია, არამც თუ სოციალურის გამოყოფა ფიზიკურისაგან, არამედ საკუთარი თავისაც. როცა ბავშვი არა უშუალო აღქმის, არამედ დასკვნის შედეგად აღმოაჩენს ობიექტს, როგორც თავს თავთან იდენტურს, ამეირიდან საკუთარი სხეულიც გაგებულია როგორც ობიექტი. ეს ხდება VI სტადიაზე. 1 წლისა და 10 თვის ბავშვი პრაქტიკული სოლიფსიზმიდან მიდის სამყაროს კონსტრუქციამდე<sup>3</sup>. ბავშვი ჯერ ფიზიკური სამყაროდან გამოყოფს ადამიანებს, ხოლო შემდეგ იწყებს განსხვავ-

<sup>1</sup> Т. Шибутан. Социальная психология, 1969.

<sup>2</sup> Л. С. Выгодский. Умственное развитие детей в процессе обучения. 1935, стр. 30.

<sup>3</sup> ე. პიიე. სამყაროს კონსტრუქცია ბავშვებთან, 1949, (თარგ. რუსულ ენაზე).

ვებს დაჭერას ადამიანთა შორის: „Ребенок сначала научается стлчать себя от остального мира, затем он приходит к отличению человеческих от других объектов. Он начинает понимать характерные переживания в подобных обстоятельствах. Поскольку он овладевает языком своей группы, он научается классифицировать свой переживания и приписывать мотивы, чтобы объяснить то, что делают люди. Этот процесс движения от своих собственных переживаний к характеристикам других и обратно Болдуин обозначил как „диалектику развития личности“<sup>4</sup>.

პიაჟესთან დაპირისპირებით (რომელიც ფიქრობს, რომ ბავშვი 7 წლამდე მეტყველებს არა სოციალიზებულიად, არამედ ეგოცენტრულად), სამართლიანად მივეჩინა ვიგოდსკის მოსაზრებები. მისი აზრით, მეტყველებას პირველყოფილი ფუნქცია არის სოციალური ფუნქცია. ეგოცენტრული მეტყველება აღმოცენდება სოციალური გზათ, კოლექტიური თანამშრომლობის ნიადაგზე. პიაჟეს მიერ დადგენილ ეგოცენტრულ მეტყველებაში ვიგოდსკი ზედვს გენეტიკურ მომენტს, გადასვლას გარეგანი მეტყველებიდან შინაგანზე, საბოლოოდ სქემა ასეთ სახეს იღებს: სოციალური მეტყველება — ეგოცენტრული მეტყველება — შინაგანი მეტყველება. ვიგოდსკის მიხედვით, პიაჟე სრულიად არ იღებს მხედველობაში სიტუაციის მოთხოვნილებებს, სადაც ცხოვრების პირობები გადამწყვეტ როლს თამაშობენ<sup>5</sup>.

ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბავშვა ძალიან ადრე ავლენს სოციალურ ქცევას — მოქმედებას, რომელიც შემდეგ თანდათან დიდფერენცირდება; თავიდანვე იგი ბაბავს მოზრდილებს (მაგალითად, სკუპინის 1,3 თვის ბავშვი თუთუნას წევას ბაბავდა, ასევე ბიულერის ბავშვი 0,11 თვის იყო, როცა ძილობანას თამაშობდა). შიბუტანის მიხედვით, „ესაა არაცნობიერი წაბაძვა სხვებისა“; ე. პიაჟე ხაზს უსვამდა იმავეს, რომ ჭგუფის ნორმების გაგება თანდათან ხდება, ბავშვი თავიდანვე უბრალოდ იმეორებს მოქმედებებს და ფაქტურად არ ესმით წესი. როლების თამაშში გამოვლენილი ბავშვის სოციალური ქცევის ელემენტები ჭერ კიდევ არ ლაბარაკობს იმაზე, რომ ბავშვს აქვს რაიმე წარმოდგენები სოციალურ მოვლენებზე. ბავშვა მთლიანადაა ჩართული ქცევაში და არ შეუძლია ქცევისაგან წარმოდგენის გამოყოფა.

დ. უზნაძეს სპეციალურად არ უკვლევია ეს საკითხები, მაგრამ ბავშვის ფსიქოლოგიის მის სახელმძღვანელოში საჯულისხმო დაკვირვებებს ვხვდებით<sup>6</sup>. როდესაც ის სამი-ოთხი წლის ბავშვის ქცევას ანალიზებს, ჭგუფურადამოკიდებულების (თანამშობისა და თანამშრომლობის) მომენტებზე მიუთითებს. იგი ბავშვს პიროვნებას უწოდებს, რადგან სხვისი ქცევის მნიშვნელობას წვდება. ამ ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია სხვებისადმი თანაგრძნობის უნარი. უზნაძის აზრით, კონსტრუქტული თამაში სოციალური ქცევის განვითარების შესაძლებლობას ქმნის: „პროდუქტის დამუშავების პროცესი მასში ობიექტურის ცნობიერებას აღვიძებს და სუბიექტური მიდრეკილების დომინანტობას ასუსტებს<sup>7</sup>. და ბოლოს უზნაძე ხაზს უსვამს თა-

<sup>4</sup> Т. Ш и б у т а н. Социальная психология, 1969, стр. 415.

<sup>5</sup> ლ. ვიგოდსკის წინასიტყვაობა პიაჟეს წიგნზე — «Речь и мышление», 1932.

<sup>6</sup> დ. უზნაძე. ბავშვის ფსიქოლოგია, 1947, გვ. 380—384.

<sup>7</sup> დ. უზნაძე. ბავშვის ფსიქოლოგია, 1947, გვ. 381.

ნამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს: 1. თანამშრომლობის წინა საფეხური, 2. ელემენტარული თანამშრომლობა, 3. რთული თანამშრომლობა.

როდესაც დ. უზნაძე ილუზიის თამაშის შესახებ მსჯელობს, ასევე მიუთითებს, რომ ილუზიის თამაშსა და მიმართულებას ფუნქციონალური ტენდენცია განსაზღვრავს, ხოლო მის თემას — ბავშვის სოციალური გარემო. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი მასალა დაგროვდა თანამედროვე ფსიქოლოგიაში. ავტორები წერენ არა მარტო როლების თამაშის დიდ მნიშვნელობაზე სოციალიზაციის პროცესისათვის, არამედ სოციალური გარემოს, ოჯახის, ტელევიზიისა და სხვათა შესახებაც, — რომლებსაც სოციალური „ატიტუდების“ ჩამოყალიბებაში გარკვეული ზეგავლენა აქვთ. ლეონტიევი, შიბუტანი, სლავინა, სარბინა, ელკონინი და სხვები აღნიშნავენ, რომ როლების თამაშში იხვეწება ბავშვის ქცევის შაბლონები; იგი თავიდან მარტივი სახით გვხვდება, შემდეგში კი რამდენიმე როლი ერთიანდება კოლექტიური მიზნის მისაღწევად: „В сюжетных или „ролевых“ играх играющий ребенок принимает на себя ту или иную человеческую функцию, которую он осуществляет в своих действиях“<sup>8</sup>. ელკონინის აზრით, როლების თამაშის არსი შემდეგში მდგომარეობს: 1. მოქმედების გამოყოფა საგნებისაგან და მათა განზოგადება; 2. ბავშვის მიერ არაფორმალური საგნების გამოყენება; 3. თავისი მოქმედების გამოყოფა ღიღების მოქმედებისაგან და საკუთარი მოქმედების აღმოცენება; 4. ბავშვის მოქმედების შედარება მოზრდილთან და მათი გაიგივება; 5. ბავშვს მოქმედების ასახვა ცხოვრებაში, — როცა მოზრდილის ქცევა პირველად ხდება ნიმუში ბავშვისათვის, — ესაა აუცილებელი წინამძღვარი როლების თამაშზე გადასასვლელად.

ამრიგად, ადამიანთა ურთიერთობის პროცესში იბადება მოქმედების სრულიად ახალი ტიპი — როლების თამაში, რომელიც თავისი წარმოშობით და შინაარსით სოციალურია<sup>9</sup>. როლების თამაშის შესახებ სპეციალურა გამოკვლევა ეკუთვნის თ. სარბინს, რომელმაც ერთმანეთისაგან გაარჩია როლი, პოზიცია, მოლოდინი. შრომაში ხაზგასმულია აზრი, რომ სხვების როლების მიუღებლობა აფერხებს სოციალიზაციის პროცესს<sup>10</sup>.

თანამედროვე საზღვარგარეთელ მკვლევარებს (ბ. დოიჩი, ჩ. ჩარლზი, ა. კარლი, კ. ჯოამი, ჯ. ტომსონი, დ. ფრანსი და სხვები), საინტერესო ექსპერიმენტები აქვთ ჩატარებული იმ მიმართულებით, თუ რა გავლენას ახდენენ მშობლები, საბავშვო ბაღი, სკოლა, ტელევიზია და სხვა ბავშვის თამაშის ტენდენციებზე და სოციალურ ატიტუდების წარმოქმნაზე; ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი სოციალური წარმოდგენების აღმოცენებასა და განვითარებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო კანონიერად მივიჩნავთ ექსპერიმენტულად გამოგვეკვლია საკითხი, თუ რომელ ასაკში უჩნდება ბავშვს სოციალურ მოვლენებზე წარმოდგენები და რა ფსიქოლოგიური თავისებურებით ხასიათდება (ცდები ჩავატარეთ თბილასის № 1 და № 39 საბავშვო ბაღებ-

<sup>8</sup> Леонтьев, Проблемы развития психики, стр. 397.

<sup>9</sup> ელკონინი. ბავშვის ფსიქოლოგია, გვ. 149—150 (რუსულ ენაზე) 1964.

<sup>10</sup> Теория роли, автор главы Т. С а р б и н. 1950.

ში, გამგეები: ქ. კაკუშაძე და ქ. ჩახუნაშვილი). საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც ძირითადი კითხვებას გარდა დამხმარე კითხვებსაც შეიცავს (კითხვარი შედგენილია საბავშვო ბაღის პროგრამის შესატყვისად)<sup>11</sup>.

#### ძირითადი და დამხმარე კითხვები:

1. რა არის ამხანაგობა? გყავს ამხანაგი? გიყვარს? რატომ? რას აკეთებ მასთან ერთად?
2. რა არის თანამშრომლობა? ბაღის მასწავლებელი, ექიმი, მზარეული, დამლაგებელი ვინ არიან? რას აკეთებენ? მიწას რომ თხრიან ქიანჭველები თანამშრომლებია, ბაღის ბავშვები თანამშრომლები ხართ?
3. რა არის ოჯახი? ვინ არიან ოჯახში? კრები და წიწილები ოჯახია?
4. რა არის დღესასწაული? რა დღესასწაულებს აწყობთ ხოლმე საბავშვო ბაღში? დღეობა დღესასწაულია? რით განსხვავდება დღეობა დღესასწაულისაგან?
5. რა არის ომი? როცა მეზობლები ჩხუბობენ ომია? ბიჭმა ქუჩაში რომ ბიჭი მოკლას, ეს ომი იქნება?

**ცდების შედეგები და ანალიზი.** ჩატარებული ცდების შედეგებს განვიხილავთ ზემოაღნიშნული კითხვარის თანმიმდევრობით. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაუვსვთ იმას, რომ საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს მასალის არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივ დახასიათებას, — კერძოდ, — რა ფსიქოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება 5-6 წლის ბავშვის წარმოდგენები ისეთ სოციალურ მოვლენებზე როგორცაა: ამხანაგობა, თანამშრომლობა, ოჯახი, დღესასწაული, ომი? მოგვაქვს ბავშვთა პასუხები ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე:

**ამხანაგობა.** „ამხანაგობა არის, როცა ბავშვები თამაშობენ ერთად“, „ამხანაგობა თამაშია“, „კარგი ამხანაგი რომ ხარ“, „ამხანაგობა ისაა, ცემა რომ არ შეიძლება“, „ამხანაგობა თამაშობაა და რომ უყვართ“, „რომ ვთამაშობთ და ერთად რომ ვაკეთებთ ყველაფერს“, „რომ არ ვუჭავრდები ამხანაგს“, „რომ შერიგდებიან და ერთად თამაშობენ“ და სხვ.;

**თანამშრომლობა.** „თანამშრომლობა არის დედა და მამა რომ წავლენ სამსახურში“, „თანამშრომლობა არის ერთმანეთის ამხანაგობა“, „თანამშრომლობა არის სამსახურის უფროსი“, „თანამშრომლები სამსახურში მუშაობენ“, „თანამშრომლები წერენ, საკმელს ამზადებენ“, „მამას რომ ერთი მეგობარი ჰყავს სამსახურში“, „ინსტიტუტი რომ დადიან და მუშაობენ“, „რომ მუშაობენ ისაა, ამხანაგები რომ ერთად მუშაობენ“, „თავისი უფროსი რომ ჰყავთ“. და სხვ.;

**ოჯახი.** „ოჯახი არის დედა და მამა“, „სუყველანი რომ ერთად არიან“, „სადაც სახლებია და ცხოვრობს ხალხი“, „ოჯახი არის თბილისი“, „როცა ცხოვრობენ ბავშვები, კაცები, ქალები“, „შინაური ცხოველებიც რომ ჰყავთ“, „ოჯახი იგივე აღამიანებია, კარგად რომ იცხოვრონ“, „უფროსები რომ არიან და საკმელზე ეპატიებებიან აღამიანებს“, „ოჯახი არის ფლიაშვილის ქუჩაზე“, „როცა ცხოვრობენ საღმე სოფელში, ან ცხაკაიაში“, „ოჯახი არის ცხოვრება კარგი“, „როცა ბავშვები მეცადინეობენ და იციან წერა, აღამიანები რომ ერთად ცხოვრობენ“, „ოჯახი არის მეგობრობა“, „ოჯახი არის რომ ცხოვრობენ სოფელში, ქალაქში“, „ოჯახი არის ქვეყანა კარგი“ და სხვ.;

**დღესასწაული.** „დღესასწაული არის დროებით რომ დადიან“, „დღესასწაული ზეიმია“, „რამე სასწაულს რომ გააკეთებენ ხოლომე“, „თოვლის ბაბუა რომ მოდის, ისაა დღესასწაული“, „დღესასწაული სწავლა, ზეიმი და ნაძვის ხეა“, „დღესასწაული ისაა, ლექსებს რომ ამბობენ ხოლმე“, „დღესასწაული მაისია პარადზე“, „სალუტებს რომ ჩამოუშვებენ“, „არმიელების დღე რომ არის“, „დღესასწაული ბაღის ზეიმებია“, „როცა ბევრი ხალხია ქუჩაში“, „დღესასწაული პირველი მაისია“, „დღესასწაული გვიქნება 7 ნოემბერს“,

<sup>11</sup> იხ. საბავშვო ბაღის აღზრდის პროგრამა, განათლება, 1972, გვ. 87, 120, 157.



„დღესასწაული არის როცა ხალხი ერთად არის და პარადს უყურებს“, „როცა ვხედავთ პარადს, „დღესასწაული არის გამარჯვების დღე“, „პარადი არის პირველი მისისი“, „პარადი არის გახაფხულის“, „დღესასწაული ლენინის დაბადების დღე“ და სხვ.;

ო.მ.ე. „ომია სახლები რომ ინგრევა“, „თოფებს რომ ისერიან“, „ომი ბრძოლა“, „აგრძობა რომ აფეთქებენ ხოლმე“, „ომი ხანჯლობა და თოფების სროლა“, „ომია რუსები და გერმანელები რომ იბრძვიან“, „ადამიანებს რომ მორატყამენ ხოლმე და მერე საავადმყოფოში წაიყვანენ და მოარჩენენ“ და სხვა მრავალი.

როგორც ფაქტური მასალა გვიჩვენებს, სკოლამდელი ასაკის 5—6 წლის ბავშვს თავისებური წარმოდგენები და შეხედულებები გააჩნია რაც სოციალურ მოვლენებზე. სანამ შეხედულების ანალიზზე გადავადლოდეთ, მანამ შევეხებით 3-4 წლიან ბავშვებს, რომლებთანაც ექსპერიმენტების ჩატარება არ მოხერხდა, — ისინი ჩვენ მიერ შედგენილ კითხვარზე ვერ პასუხობენ და ამას ფსიქოლოგიური საფუძველი გააჩნია: ჯერ ერთი, ამ ასაკის ბავშვს ინტერესს ფიზიკური სამყარო შეადგენს, — იგი ყოველი საგნის (ფართო გაგებით) შესახებ კითხულობს: რა არის ეს? მას სამყაროს მოვლენებიდან ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია, რომელია ცოცხალი და არაცოცხალი. ვიგორსკი წერდა: „Восприятие развивается раньше, чем мышление и раньше чем память поскольку оно является предпосылкой и для памяти и для мышления“<sup>12</sup>. გარდა ამისა, მათ ეს-ესაა ფიზიკური სამყაროდან გამოყვეს და აღმოაჩინეს მეორე სამყარო — ადამიანთა მოქმედების სამყარო, რომლის გასაცნობიერებლად და წარმოდგენაში ჩამოყალიბებისათვის გარკვეული დრო და ფსიქიკური განვითარებაა საჭირო, თუ უფრო ადრეულ ასაკში, წინ წამოწეულია საგნები და მათი თვისებები, ახლა წინა პლანზე დადგა ადამიანი და მისი თვისებები. ყოველივე შემოთქმული სრულიად არ მიუთითებს იმაზე, რომ 5 წლამდე ბავშვი სოციალურ ქცევას არ ახორციელებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, სოციალურა გარემოს შვილია და მის ქცევას სოციალური გარემო განსაზღვრავს; მაგრამ ეს ქცევა ჯერ ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ პლანში აისახება და შემდეგ ხდება მისი გაცნობიერება და წარმოდგენების სახით ჩამოყალიბება. მთელი რიგ ავტორები ამ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როლების თამაშს, რომლებიც ასახვენ ურთიერთობებს ადამიანთა შორის. პიაჟე და შიბუტანი აღნიშნავენ, რომ თავიდანვე, რაც უფრო პატარაა ბავშვი ის უბრალოდ იმეორებს მოზრდილის მოქმედებას, ესაა არაცნობიერი წაბაძვა სხვებისა, ხოლო რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო დასრულებული და განზოგადებული ხასიათი აქვს მის მოქმედებას: დაბოლოს, ბავშვები თამაშის დროს ექვემდებარებიან წესებსა და კანონებს. როლების თამაშის განვითარება სტიქიური ბუნებას არ არის, საზოგადოებრივი მოქმედების აზრი მათ სწორედ ადამიანთა ურთიერთობებში აღმოაჩინეს, სწორედ ადამიანთა ურთიერთობები ქმნიან პირობას თამაშის სიუჟეტისა და შინაარსისათვის.

პიაჟესა და შიბუტანის აზრს ავითარებს თ. სარბინი თავის შრომაში — „როლების თეორია“, იგი წერს: თუ წინასწარ პირობად მივიღებთ, რომ პერცეფცია არის ორგანიზმის რეაქცია სტიმულირებულ ობიექტზე, მაშინ შესაძლებელი ხდება ამ თვალსაზრისის გავრცელება სოციალურ აქტზე. როლების პერცეფცია შეიძლება გავიგოთ როგორც ქცევებას აქტების თანამიმდევრობა, რომელშიც პერცეფციული რეაქცია პირველი ნაწილია, ხოლო

<sup>12</sup> Выгодский. Обучение и развитие в дошкольном возрасте, 1935, стр. 26.

მეორე ნაწილი მოტორული რეაქცია და იგი როლის შესრულებაზე მიუთითებს. ავტორის აზრით, ბავშვთან ეს ორი ფაზა, საერთოდ, გაუერთიანებელია. ბავშვის მიერ სხვისი როლის აღქმა მიბაძვითაა, გარეგნულია, — მას არ ესმის ამ სოციალური ქცევის არსი; ამიტომ 5 წლამდე ბავშვს არც აქვს ქცევისაგან გამოყოფილი წარმოდგენები ამა თუ იმ სოციალურ მოვლენაზე, ავი მხოლოდ აღიქვამს სოციალურ აქტს და იმეორებს. სწორედ მაშინ, როცა როლების თამაში კულმინაციურ წერტილს აღწევს და უკვე მისი თავდაპირველი, მარტივი სახით აღარა გვხვდება (თამაში ექვემდებარება წესებსა და კანონებს, ვითარდება რთული სიუჟეტის მიხედვით), ბავშვი აცნობიერებს მის მიერ განხორციელებულ ქცევას და შესატყვისი წარმოდგენებიც აღმოუცენდება. ვიგოლსკი წერდა: „Мыслить, значит разбираться в своих общих представлениях. Представление это всё равно что обобщенное воспоминание. Общее представление характеризуется тем, что оно способно, если грубо сказать, вырвать предмет мышления из конкретной временной ситуации, в котором он включен и может устоять, между общими представлениями такого порядка в опыте ребенка еще дана не была“<sup>13</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს მე-ს ცნობიერების ინტენსიური განვითარება, რაც თავს იჩენს მის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვაში („მე თვითონ“), ამჟღავნებს ერთად თამაშის მოთხოვნილებას, მეგობრობის გრძნობას და პრაქტიკულად ახორციელებს ამა თუ იმ სოციალურ ქცევას, ბავშვი მიიჩნევს ვერ ახერხებს, როგორც ზემოთ ვიგოლსკი მიუთითებდა, კონკრეტული სიტუაციიდან საგნის გამოყოფას და მისგან დამოუკიდებლად გააზრებას. მართალია, ბავშვი 5 წლამდე ახორციელებს რთულ სოციალურ ქცევებს (მიბაძვით), რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ბავშვის წარმოდგენით სფეროშიც იყოს ასახული. ბავშვებზე დაკვირვებისა და ყოველივე ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ბავშვის სოციალური ქცევა ჯერ ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ პლანში აისახება (როლების თამაში და სხვ.) და შემდეგ ხდება მისი გაცნობიერება და წარმოდგენების სახით ჩამოყალიბება.

პარველად სოციალურ მოვლენებზე წარმოდგენებს ვხვდებით 5-6 წლის ბავშვებთან. ასეთი წარმოდგენების აღმოცენება როლების თამაშის კულმინაციურ პერიოდს ემთხვევა. როგორც ექსპერიმენტების შედეგებიდან ირკვევა, ბავშვს თავისი წარმოდგენები და შეხედულებები აქვს ისეთ სოციალურ მოვლენებზე, როგორიცაა ამხანაგობა, თანამშრომლობა, ოჯახი, დღესასწაული, ომ. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი შეხედულებანი ცნებებშია მოცემული? დ. რამიშვილმა თავის შრომაში — „ყოველდღიური ცნებების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ — ფსიქოლოგიურად შეისწავლა და გააანალიზა თუ რას ეყრდნობა ან რა საფუძველი აქვს მობრძილი ადამიანის მიერ ყოველდღიური ცნებების გამოყენებას: „ყველგან მოელს მასალაში თავს იჩენს განსვლა სატყვის თავისუფალ თუ ნაკლებად დარწმუნებულ გამოყენებასა და ამ სიტყვის განმარტების სიძნელეს შორის. ეს განმარტებანი არა მარტო ხშირად ეწინააღმდეგებიან და გამორიცხავენ

<sup>13</sup> В. Выгодский. Обучение и развитие в дошкольном возрасте, 1935, стр. 26.



ერთმანეთს თვით ერთსა და იმავე ცდისპირთან, არამედ ზოგჯერ განმარტებაც შეუძლებელია<sup>14</sup> („ია ბალახი არაა, იგა ყვავილია“). ბავშვებზე დაკვირვებისა და ყოველივე ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვის სოციალური ქცევა ჯერ ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ პლანში აისახება (როლები თამაშში და სხვა) და შემდეგ ხდება მისი გაცნობიერება და წარმოდგენების სახით ჩამოყალიბება; რომ თურმე სუბიექტი ყოველდღიურ ცნებას განმარტავს რალაც უშუალო ნიშნის მიხედვით, პირველ რიგში იმათ, თუ მოვლენას რა უშუალო შინაარსი გააჩნია. საბოლოოდ იგი ასკვნის: სიტყვის განმსაზღვრელი არის ის როლი, რომელსაც ასრულებს ეს საგანი სუბიექტის გარემოს პრაქტიკაში.

სოციალური მოვლენებს ასახსნელად ბავშვი, რასაკვირველია, ყოველდღიურ ცნებებს მიმართავს, სიტყვაში ნაგულისხმევი შინაარსი რალაც ნიშნითაა განსაზღვრული. რა ცოდნა აქვს ბავშვს, ან როგორ წარმოუდგენია მას სოციალური მოვლენები? შევჩერდებით ზემოდასახელებულ თითოეულ სოციალურ კატეგორიაზე. ამხანაგობა ადამიანთა დამახასიათებელი ურთიერთობაა და მთელ რიგ ადამიანურ მოვლენებს შეიცავს (გამტანობა, თანაგრძნობა, დახმარება და სხვ.). 5-6 წლის ბავშვთა წარმოდგენები ძირითადად ასახავს ამ სოციალური მოვლენის არსს, ვინაიდან ამ ასაკის ბავშვთა ქცევას წამყვანი ფორმა თამაშია; ამიტომ ამხანაგობის აზრს ისინი თამაშში ხედავენ („ერთად ვთამაშობთ და იმიტომა ჩემი ამხანაგი“). მათი უმრავლესობა ამხანაგობის განმარტების დროს იყენებს სიტყვა — „ერთად“, რაც ამხანაგობისათვის დამახასიათებელ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ამხანაგობა ადამიანთა ჯგუფს გულისხმობს. მათივე ლოგიკის მიხედვით, რაკი ამხანაგობა ერთად თამაშია, და ან ძმა არ შეიძლება იყოს ამხანაგი, თუ კი ისინი არ თამაშობენ ერთად. კითხვაზე შენი ძმა შენი ამხანაგი? — არა, — პასუხობს ბავშვი და ასე ასაბუთებს: „ის დიდი, სკოლაში დადის და არ მეთამაშება“. ასეთი პასუხი ხშირია 5 წლის ბავშვებთან, ხოლო ზოგიერთი 6 წლიანი აცნობიერებს, რომ და ან ძმა შესაძლებელია ამხანაგი იყოს. ბავშვი გრძნობს ამხანაგისადმი მოვალეობას, „რომ არ უნდა აწყენინოს, არ უნდა ცემოს“, „უნდა დაეხმაროს“ და სხვ.

ადამიანთა შრომა არა მარტო საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნას, არამედ ადამიანთა ურთიერთობასაც გულისხმობს. ადამიანი საზოგადოებრივ პროდუქტს ქმნის არა ცალკე, არამედ ამა თუ იმ დაწესებულებაში სხვებთან ერთად. ერთად მუშაობა ასახულია სიტყვებში — „თანამშრომლობა“, „თანამშრომელი“ და სხვ. 5-6 წლის ბავშვმა იცის, რომ თანამშრომლები სამსახურში დადიან და იქ მუშაობენ. ზოგი უფრო კონკრეტულ პასუხსაც იძლევა მშობლის ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ. შრომა მხოლოდ ადამიანთა, დამახასიათებელია, აგი საზოგადოებრივი მოვლენაა; ამიტაც განსხვავდებიან ადამიანები ცხოველებისაგან. ზოგიერთა 5-6 წლის ბავშვი კარგად ხედავს ამ სხვაობას, რაც გამოვლინდა მათს პასუხებში: „ჭიანჭველები რომ მიწას თხრიან თანამშრომლებია?“ მათი წარმოდგენით, მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს თანამშრომელი, ადამიანები ერთად უნდა მუშაობდნენ, უნდა ლაპარაკობდნენ (ჭიანჭველა ადამიანი არაა და ამიტომ არაა თანამშრომელი“.

<sup>14</sup> დ. რამიშვილი, ყოველდღიურ ცნებების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ფსიქოლოგია, ტ. IX.

„არ ლაპარაკობენ და თანამშრომლები არ არიან“. 6 წლისანი კლდე უფრო ცდილობენ დასაბუთებას იმისას, რომ ჭიანჭველები არ არიან თანამშრომლები, რადგან „ისინი ცალ-ცალკე აშენებენ“, „უნდა ჰყავდეთ თავიანთი უფროსი“ და სხვ. ესენი გრძნობენ, რომ შრომა არაა ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი, არამედ საზოგადოებრივი მოვლენაა; ასევე გამოხატავენ აზრს, რომ შრომობენ მხოლოდ მოზრდილები და სწავლობენ ბავშვები. ეს კარგად გამოვლინდა დამხმარე კითხვით: „თქვენ ბავშვები ერთმანეთის თანამშრომლები ხართ?“ ისანი პასუხობენ „ჩვენ ჯერ ვთამაშობთ“, „პატარები ვართ“, „ჩვენ მხოლოდ ვსწავლობთ“ და სხვ. მართალია, თამაში თანამშრომლობასაც გულისხმობს, მაგრამ ბავშვი თუ ხვდება თანამშრომლობასაც, ვეკითხებით: აქაც, ისევე როგორც ამხანაგობის განმარტებისას, ბავშვი ხმარობს სიტყვას „ერთად“, რაც თავისთავად ნაგულისხმევია თანამშრომლობის ცნებაში. ბავშვას ცნობიერებაში იღვიძებს იმის შეგნება, რომ ერთად მუშაობის პროცესში რაღაც პროდუქტი იქმნება, ვიღაცა ზრუნავს ვიღაცაზე, ერთმანეთს ეხმარებიან და სხვ.

ოჯახი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ერთეულია, აგი ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფს გულისხმობს, რომელიც შედგება ნათესაუბისაგან (მშობლები, შვილები, შვილიშვილები); როგორ აისახება იგა ბავშვის წარმოდგენებში? ბავშვს ესმის ამ სოციალური მოვლენის არსი, თითქმის ყველა ერთ აზრს გამოხატავს ოჯახის შესახებ: „სადაც სახლებია და ხალხი ცხოვრობს“. ბავშვს თავისუფლად შეუძლია ჩამოთვალოს ოჯახის წევრები და მეტიც: თბალისს დიდ ოჯახად თვლის, რადგან იგი ბევრი სახლებისაგან შედგება. ბავშვმა იცის, რომ ოჯახი ისაა, სადაც იზრდებიან ბავშვები და სტუმრებსაც უმასპინძლებიან; ბავშვთა მცირე რაოდენობას ოჯახი ქვეყანადც კი მიაჩნია („ოჯახი არის ქვეყანა დიდი“). რაც მთავარია, ბავშვი კარგად არჩევს იმას, რომ ოჯახი მხოლოდ ადამიანებს შეუძლია ჰქონდეთ და არა სხვა ცოცხალ არსებებს. ამაში დაგვარწმუნა ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე გაცემულმა პასუხებმა („კრუხი და წიწილები ოჯახია?“). მათი მტკიცებით, კრუხი და წიწილები „ოჯახა არ არის იმიტომ, რომ ბუდე აქვთ“, „იმიტომ, რომ საქათმეში არიან“, „იმიტომ რომ ადამიანები არ არიან“, „იმიტომ რომ სტუმრად არ დადიან ერთმანეთთან“, „იმატომ რომ ბებია და ბაბუა არ ჰყავთ“ და სხვ. ე. ი. ბავშვი მთელ რიგ ნიშნებს ჩამოთვლის, რომლითაც კრუხი და წიწილები არ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახად. რასაკვირველია, ბავშვა ვერ განმარტავს ოჯახის ცნებას, მაგრამ იგი ამ ცნებაში ნაგულისხმევ შინაარსს პრაქტიკულად სწვდება და ახასიათებს მას.

დღესასწაული რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული ზეიმია, რაც ყოველთვის წლის ერთსა და იმავე დროს იმართება (ახალი წელი, 7 ნოემბერი, 8 მარტი, 9 მაისი და სხვ.). ამის შესახებ ბავშვებს ესმით ოჯახში, რადიოთი; სადღესასწაულო შეხვედრებს აწყობენ ბალებში. ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული ბავშვთა პასუხები ასახევა ამ სოციალური მოვლენების ცოდნისა. ჯერ ერთი, ბავშვებმა იციან რომელია სადღესასწაულო დღეები და რომ ეს დღესასწაულები სახალხოა („როცა ბევრი ხალხია ქუჩაში“). ეს კარგად ჩანს მათ მიერ გამოხატულ აზრებში: „ხალხი პარადზეა, სურათებს იღებენ, ლექსებს ამბობენ, მღერაინ“ და სხვ. იმის დასადასტურებლად, რომ მართლა ესმის თუ არა ბავშვს ამ მოვლენების



საზოგადოებრივი ხასიათი, დამატებითი კითხვით მიემართეთ: „დღესასწაულია?“ — ბავშვები კარგად არჩევენ, რომ დღეობა ცალკე ინდივიდის დღეობაა, დღესასწაული კი სახალხოა, საზოგადოებრივი: „დღესასწაულებზე დროშები კიდა, დაბადების დღეზე კი საჩუქრებს მოგიტანენ“, „ზეიმზე რიგში ჩადგებიან, დაბადების დღე კი დაბადების დღეა“, „ზეიმზე ბევრი ხალხია, დაბადების დღეზე მხოლოდ ნათესავები მოდიან“, „დღესასწაულზე სალუტებს ჩამოუშვებენ ხოლმე, დღეობა ადამიანს დაბადების დღეა“ — ამბობენ ისინი. მართალია ბავშვს არ შეუძლია სადღესასწაულო დღეების მნიშვნელობის განმარტება და მათ იმ ნიშნების მიხედვით ახასიათებენ, რომელნიც ამ დღეებს გარეგნულად გამოხატავენ ხოლმე (პარადი, სალუტები, დროშები და სხვ.); მაგრამ მთავარი ისაა, რომ 5-ნ წლის ბავშვი გრძნობს ამ ზეიმების საზოგადოებრივ ხასიათს.

ბავშვები ასევე კარგად სწედებიან ომის, როგორც სოციალური მოვლენის არსს, რომ იგი სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული ბრძოლაა. ამაში დაგვირწმუნა კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა: 1) მეზობლები რომ ჩხუბობენ ომია? 2) ბიჭს რომ ბიჭი მოკლავს ქუჩაში ეს ომი იქნება? — ბავშვთა უმრავლესობა ამ კითხვებზე უარყოფით პასუხს იძლევა, ზოგი კი ასაბუთებს: „მეზობლების ჩხუბი, კინკლაობაა, ისინი ჭიდაობენ ხოლმე, მათ ტანკები არა აქვთ“; „ბაჭმა რომ ბიჭი კუჩაში მოკლას ეს ბოროტებაა“. ხოლო ომის დახასიათებისას ისინი ამბობენ: „ომი აყო რუსებსა და გერმანელებს შორის“ და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: სკოლამდელ ასაკში სოციალურ მოვლენებზე წარმოდგენების აღმოცენებას წინ უძღვას სოციალიზაციის პროცესი, რომელსაც სოციალური გარემო განსაზღვრავს. ბავშვი თავიდანვე არაცნობიერად ბაძავს უფროსების ქცევას, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად იგი თანდათანობით წვდება ამა თუ იმ ჯგუფის ნორმებს. ბავშვის სოციალურა ქცევა ჯერ ცხოვრებისეულ პრაქტიკულ პლანში აისახება, ხოლო შემდეგ ხდება მისი გაცნობიერება და წარმოდგენების სახით ჩამოყალიბება. 5-6 წლის ბავშვთა უმრავლესობას გარემოსა და აღმზრდელობითი გავლენის შედეგად წარმოდგენები და შეხედულებები გააჩნია ისეთ სოციალურ მოვლენებზე როგორცაა: ამხანაგობა, თანამშრომლობა, ოჯახი, დღესასწაული, ომი, — ბავშვი ძირითადად სწედება ამ მოვლენების სოციალურ ხასიათს.

## ეკონომიკა

დავით ჯანაშვილი

### მასების შემოქმედებითი ინიციატივის უმნიშვნელოვანესი პირობა

სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური მშენებლობისა და მასების შრომითა აღზრდის მეთოდია, რომელიც ემყარება შრომის პროცესში ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, კოლექტივიზმს, სოციალისტური საზოგადოების მუშაკთა წარმოებრივ გამოცდილების ურთიერთ გაზაარებას, მაღალ საზოგადოებრივ შეგნებულობასა და დისციპლინას.

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმოებრივ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებების კომპლექსური გადაწყვეტა. ასეთ პირობებში განსაკუთრებით იზრდება სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის — სოციალისტური შეჯიბრების როლი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ მითითებულია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება, დამყარებული მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყოველმხრივ განვითარებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც XXIV ყრილობის მიერ დასახულა მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის წარმართავს მასების შემოქმედებით ძალებს და სოციალისტურ შეჯიბრებას, განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინური იდეებითა და მითითებებით.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა რა საბჭოთა ხელისუფლებას პირველი რივის ამოცანებს და ახალი საზოგადოების მშენებლობის გზებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი წერდა, რომ საჭიროა შეჯიბრების გაშლა „ორგანიზებულობას, დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლოვ ასამაღლებლად, უმაღლეს ტექნიკაზე გადასასვლელად, შრომისა და პროდუქტების მომჭირნობისათვის, სამუშაო დღის... თანდათანობით შესამკირებლად, ყველა ხელფასისა და ჯამაგირის თანდათანობით გასათანაბრებლად ყველა პროფესიისა და კატეგორიაში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 172.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის თითოეულ ეტაპზე შეჯიბრება მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, სოციალური კოლექტივიზმის ფორმირების მძლავრი საშუალება იყო და არის. იგი მუდამ იყო მწარმოებლური ძალების აღმავლობის, წარმოებრავე ურთიერთობების სრულყოფის, მშრომელთა აღზრდის, წარმოების მართვაში მათი ჩაბმის ეფექტიანი მეთოდი. სოციალისტური შეჯიბრება წარმოშობს მასებში შრომით ენთუზიაზმს, შემოქმედებას, ავლენს მილიონობით მოწინავესა და ნოვატორს, რაცაონალიზატორსა და გამომგონებელს. „სოციალიზმი, — ამბობს ლენინი, — არა თუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებულ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, გაშალონ თავიანთი ნიჭი, გამოავლინონ ტალანტი, რომელიც ხალხში აურაცხელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით სრესდა, თელავდა, ახშობდა“<sup>2</sup>.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, სადაც შრომა მძიმე ტვირთად, შეურაცყოფისა და დამცარების საქმედ არის გადაქცეული, სადაც შრომის მწარმოებლურობის ყოველი გადიდება კაპიტალისტების გამდიდრების ახალ საშუალებას იძლევა, შეუძლებელია სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით მუშაობა. აქ ფაბრიკა საპყრობალეა მუშებისათვის, რადგან ფაბრიკასა და ქარხანაში სისხლსა და ხორცს აცლიან მუშას. სულ სხვაა შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში. აქ შრომა გადაქცეულია „...სახელის საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცის საქმედ, გმირობის საქმედ. არაფერი ამას მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყანაში. იქ მათთან, კაპიტალისტებთან, ყველაზე უფრო სასურველი საქმე, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, არის რენტა, პროცენტებით ცხოვრება, თავისუფლად ყოფნა შრომისაგან, რომელსაც სამარცხვინო საქმედ სთვლიან. ჩვენთან, საბჭოთა კავშირში პირიქით, ყველაზე უფრო სასურველ საქმედ, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ხდება შესაძლებლობა იმისა, რომ იყო შრომის გმირი, შესაძლებლობა, რომ იყო დამკვრელობას გმირი, პატივისცემის შარავანდედით მოსილი მილიონ მშრომელთა შორის“<sup>3</sup>.

მეურნეობის სოციალისტური სისტემას პირობებში სოციალისტური შეჯიბრება სტიმულს აძლევს მასების შემოქმედებით ინიციატივასა და აქტიურობას, რაც არ აძლევს წარმოებას მოდუნების, ერთ ადგილზე გაჩერების საშუალებას, ამიტომ იგი მასი მუდმივი წინსვლისა და სრულყოფის წყაროა.

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ უნდა შეასრულოს თვისობრივად ახალი როლი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მშრომელთა აღზრდაში. სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიმართულება უნდა იყოს მშრომელთა დარაზმვა შრომის მწარმოებლურობის ყოველნაირად გადიდებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომითი დანახარჯების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მომჭირნეობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოებრივი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდება-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 26, გვ. 471—472.

<sup>3</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 12, გვ. 343.

თა გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ამისათვის კა საჭიროა განუხრავლად განვახორციელოთ შეჯიბრების ორგანიზაციის ლენინური პრინციპი — საჯარობა, შედეგების შესაღარობა, გამოცდილების პრაქტიკულა გამეორების შესაძლებლობა. ამჟამად სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიიღო საყოველთაო-სახალხო ხასიათი.

სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის მკაფიო დემონსტრაცია ვახდა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე მეცხრე ხუთწლელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. მიმდინარე ხუთწლედში ვაიზრდება (პროცენტობით): ნაციონალური შემოსავალი 38,6, მრეწველური პროდუქცია — 47, სოფლის მეურნეობრივი პროდუქცია — 21,7, კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა — 41,6, მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავალი — 31 პროცენტით.

სოციალიზმის დროს ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება საზოგადოებრივი წარმოების უმძლესი მიზანია. ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, შრომის მწარმოებულობის ამაღლების საფუძველზე. მეცხრე ხუთწლედში დასახულია მრეწველობაში შრომის მწარმოებულობის ზრდა 36—40 პროცენტით, ნაცვლად 32 პროცენტისა წინა ხუთწლედში. შრომის მწარმოებულობის ამაღლების ხარჯზე მიმდინარე ხუთწლედში მიღებული იქნება ნაციონალური შემოსავლის მთლიანი ზრდის 80—85 პროცენტი.

მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის უდიდესი როლი ენიჭება სოციალისტურ შეჯიბრებას. თანამედროვე პირობებში სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზანია დავრავლოთ მშრომელები არა მარტო პროდუქციის რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკურა პროგრესის პრაქტიკაში სწრაფი დანერგვისათვის, ახალი რეზერვების ძიებისათვის, შრომის მწარმოებულობისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სკკპ XXIV ყრილობამ მკაფიოდ და ღრმად განსაზღვრა სოციალისტური შეჯიბრების შინაარსი და დასახა ახალი ამოცანები, რამაც გამოიწვია მშრომელთა ძალღონის მობილიზაცია და ენერჯის ახალი მოზღვაება, მათა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ამაღლება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად ჩვენა რესპუბლიკის ყველა მშრომელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მშრომელთა მრავალათასიანი კოლექტივი, რომლებმაც მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტ მეოთხე წელს გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება დევაზით: „გამოუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია-ნაკლები დანახარჯებით“ — იკისრეს გადიღებული ვალდებულებები. წარმოების ახალი რეზერვების გამოვლინებისა და სოციალისტურა შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველზე გა-

დასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს გეგმის ზევით გამო-  
 უშვან და რეალიზაცია უყონ 12 მლნ მანეთის პროდუქციას.

დიდია ის წვლილი, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბ-  
 ლიკას შეაქვს სხვა მომე რესპუბლიკებთან ერთად მსუბუქა მრეწველობის  
 განვითარების საქმეში. სოციალისტური შეჯიბრებისა და მშრომელთა აქ-  
 ტივობის განვითარების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქა მრეწველო-  
 ბამ მეტხრე ხუთწლედის გადამწყვეტ 1974 წლის განვილილ რვა თვეში მნიშ-  
 ვნელოვნად ვააუმჯობესა მუშაობა და უზრუნველყო გეგმის ძირითადი მაჩ-  
 ვენებლების შესრულება. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის განვილილ რვა  
 თვეში წინა 1973 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანა პროდუქ-  
 ციის გამოშვების გეგმა შესრულა 113,9 პროცენტით, ხოლო რეალიზაციის  
 გეგმა 111,7 პროცენტით. მრეწველური წარმოების მატებამ გეგმით გათვა-  
 ლისწინებული 9,3 პროცენტისა, 14 პროცენტი შეადგინა. გეგმის ზევით გა-  
 მოშვებული იქნა 16,4 მლნ მანეთის მთლიანი პროდუქცია და რეალიზებუ-  
 ლია—16,5 მლნ მანეთის პროდუქცია. მიმდინარე წლის რვა თვეში რეს-  
 პუბლიკის მსუბუქი მრეწველობის 55 მრეწველურ საწარმოდან მთლიანი  
 პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შესრულა 6 საწარმომ და სახელმწიფოს  
 დააკლო 914 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზაციის გეგმა ვერ  
 შესრულა 2 საწარმომ, რის შედეგადაც სახელმწიფოსადმი მიყენებულმა ზა-  
 რალმა 1052 ათასი მანეთი შეადგინა. ამ საწარმოებში აღინშნულ ნაკლოვა-  
 ნებათა რაც შეიძლება მოკლე დროში აღმოფხვრა მოითხოვს მატერიალური  
 და შრომითი რესურსების მობილიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების ფარ-  
 თოდ გაშლას, მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას.  
 სოციალისტური შეჯიბრების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული წარ-  
 მოების დროს მშრომელთა აქტივობაზე და შეჯიბრების შეთანხმებულობაზე.  
 ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინა-  
 ტისა და ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მუშაობის დიდი გამოცდილება. ამ  
 საწარმოების საამქროებში არის სპეციალურად გაფორმებული სტენდი, სა-  
 დაც გამოკრულია თვითეული მუშის მიერ გეგმა-ვალდებულებების შესრუ-  
 ლების, შრომის მწარმოებლობის ზრდის მაჩვენებლები, დასახელებულია  
 სოციალისტურ-შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. მითითებულია შეჯიბრებას  
 რომელი თაოსნობა უდევს საფუძვლად, მოცემულია ამ თაოსნობის აღწე-  
 რა და ამ თაოსნობით აღებული ვალდებულებანი.

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში განსაკუთრებით ნათლადაა გა-  
 შეუქებული ყოველდღიური სოციალისტური ვალდებულებების შესრულების  
 შედეგები სპეციალურ ილუმინებულ დაფაზე, რომელიც მდებარეობს ყველა-  
 სათვის თვალსაჩინო ადგილზე — საწარმოს ტერიტორიის შესასვლელთან.  
 ასეთ გაფორმებულ სტენდზე კოლექტივი ყოველთვის ხედავს თვითეული  
 მუშას წვლილს, იცის ვინ დაწინაურდა და ვინ ჩამორჩა, ვინ ამუხრუჭებს  
 საქმის წინსვლას. ყოველივე ეს კი სტიმულს მატებს შრომით ფრონტზე მუ-  
 შათა პაექრობას, ზრდის მათ აქტივობას.

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობას აქვს მნიშვნელოვანი მიღწე-  
 ვა მრავალათასიანი მუშათა კლასის შრომითი ენთუზიაზმისა და შრომითი  
 აქტივობის განვითარების საქმეში. ამ მიღწევის მნიშვნელობა ჭეშმარიტად  
 ფასდაუდებელია, ვინაიდან მხოლოდ მრავალათასიან მუშათა შრომით აღ-

მავლობას და შრომათ ენთუზიაზმს შეუძლია უზრუნველყოს შრომის მწარმოებლურობის ის განუწყვეტელი ზრდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენება.

შრომის მწარმოებლურობის ამაღლების კომპლექსური გეგმების თანმიმდევრულად განხორციელების კარგ მაგალითს იძლევა თბილისის აბრეშუმის წარმოებრივი გაერთიანება, სადაც უკანასკნელ წლებში დაიდგა 250-ზე მეტი ახალი მანქანა-დანადგარი, რითაც ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების პარკი 30 პროცენტით ვანახლდა. ამასთან არსებული მანქანა-დანადგარების დიდი ნაწილი მოდერნიზებულია. ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვამ და არსებულის მოდერნიზაციამ უზრუნველყო შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ამაღლება. ყოველივე ამის შედეგად წელს, 1970 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა გაერთიანების მეთაური საწარმოს საქსოვ წარმოებაში გაიზარდა 75,4 პროცენტით, ჟაკარდული ქსოვილების ფაბრიკაში — 38,8 პროცენტით, ხაოანის ქსოვილების ფაბრიკაში — 23,6 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ გაერთიანების კოლექტივმა უკვე მიაღწია შრომის მწარმოებლურობის ზრდის იმ დონეს, რაც საკონტროლო ციფრებით 1975 წლისათვის არის გათვალისწინებული. გაერთიანებას კოლექტივმა აიღო ვალდებულება, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას სულ მცირე 6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსუბუქა მრეწველობა ამაყობს თავისი სახელოვანი მშრომელი ადამიანებით, რომლებიც ძალღონეს არ იშურებენ მეცხრე ხუთწლეულის დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეში. მრავალათასიან მშრომელებს გმირულა შრომის მაგალითს უჩვენებენ სოციალისტური შრომის გმირები: ელენე გამყრელიძე, ვერა ქემაშვილი, ნანული ჩერქეზიშვილი, გიგა ჩეხაშვილი; ლენინის ორდენოსნები: ვასილ გეგეშიძე, შოია არათანაშვილი, გივი რიშნისთაველი და სხვანი, რომლებიც წარმატებათ უხამებენ რა თავიანთ პირად ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებთან, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება უდიდესი წვლილი შეიტანონ ჩვენი საზოგადოების საბოლოო მიზნის კომუნისმის აშენებაში.

საბჭოთა ხალხა თავდადებით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას მიერ დასახული დიდი შემოქმედების გეგმების განხორციელებისათვის. „ამ გეგმების შესრულება, — თქვა მოხსენებაში XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დამოკიდებულია თვითეული ჩვენგანის შრომაზე, ჩვენს ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე, საქმის წარმართვის უნარსა და სიბეჯითზე. დარაზმონ მასები დასახული ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად, კიდევ უფრო მჭადროდ შეაკავშირონ მთელი ხალხი კომუნისტური მშენებლობის ლენინურ პლატფორმაზე — ასეთია პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა“.

ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მშრომელები სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ახალ წარმატებებს მოიპოვებენ. ისინი პირნათლად, მთლიანად და გადაქარბებით შეასრულებენ ხუთწლეულის მეოთხე,

<sup>4</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 133—134.



განმსაზღვრელა წლის დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ახალი დამოკიდებულების აღზრდას. კომუნიზმი შენდება ხალხის პრაქტიკული საქმიანობით და იგი წარმოუდგენელია მათი კომუნისტური შეგნებულობას თანდათანობით ამაღლების გარეშე. მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის საჭიროა და აუცილებელია მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყოველი ღონისძიებებით განვითარება. ამისათვის კი ერთ-ერთა მძლავრი საშუალებაა შეჯიბრება, რადგან იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს შრომისადმი ადამიანთა შეხედულებებზე, შრომას აქცევს ღირსების საქმედ.

სოციალისტური შეჯიბრება აძლიერებს ადამიანთა შემოქმედებით ინიციატივას და შრომით აქტივობას. მასში ჩაბმული პირები კრიტიკულად აფასებენ როგორც თავიანთ, ისე სხვების მუშაობას, ფიქრობენ გამომუშავების ნორმების სრულყოფაზე, არსებულ ტექნიკურ საშუალებათა უკეთ გამოყენებაზე, შრომისა და წარმოების უკეთ ორგანიზაციაზე. სოციალისტური შეჯიბრება აელენს ადამიანში არსებულ შესაძლებლობებს, მასობრივს ხდის მოწინავეთა გამოცდილებას, ხერხებსა და მეთოდებს, ავრცელებს და წარმოების პროცესში ნერგავს მათ.

ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობა, მათი პროფესიული დაოსტატების მაღალი დონე, შეგნებულობა, მოვალეობის მაღალი გრძნობა, — ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე. ადამიანთა შრომით საქმიანობაში ჩაბმა როდია საკმარისი მათი კომუნისტური სულსკვეთებით აღზრდისათვის, ამასთან აუცილებელია მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმის პირობებში. დაგეგვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდა აფართოვებს საწარმოთა მეურნეობრივ ინიციატივას, ზრდის საწარმოთა კოლექტივების მატერიალურ დაინტერესებულობას და პასუხისმგებლობას თავისი საქმიანობის შედეგებზე. მეურნეობრივი რეფორმა იძლევა საშუალებას რაც შეიძლება სრულად შევუხამოთ თვითეული მუშის ინტერესები კოლექტივისა და მთელი საზოგადოების ინტერესებს. იგი განამტკიცებს საწარმოთა შორის კავშირს, მოითხოვს ურთიერთშემოქმედების ჭეშმარიტად სინქრონულ სიზუსტეს, მათ დამოკიდებულებაში მაღალ დისციპლინას.

მეურნეობრივი რეფორმისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოციალისტური შეჯიბრება ავლენს ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შემუშავების ახალ მიდგომას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიას XXIV ყრილობის მიერ მიღებული ვალდებულებანი ატარებენ კომპლექსურ ხასიათს, ისინი მოიცავენ წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამაღლებისა და ცხოვრების სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფისა და ახალი ადამიანის აღზრდის საკითხებთან.



თანამედროვე პირობებში კოლექტივის სოციალისტური ვალდებულება-  
ნა გულისხმობს მშრომელთა ინიციატივას და აქტივობას, არსებული  
შერეებისა და შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას. რასაკვირველია, არ  
შეიძლება გეგმისა და ვალდებულებების ერთმანეთისაგან მოწყვეტა, მაგრამ  
ვალდებულება უნდა შეივსოს, დაკონკრეტდეს, გეგმა უნდა დაზუსტდეს და  
ემსახურებოდეს გამოუყენებელი რეზერვების მობილიზაციას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოთა წარმატებები პირდაპირ დამოკი-  
დებულებაში იმყოფება შეჯიბრების გაქანებასა და შედეგიანობასთან. ნოვა-  
ტორთა დაუცხრომელი მოღვაწეობა, ყოველდღიურად გამოვლენილი წარმო-  
ების ახალი რეზერვები და წყაროები სოციალისტური საზოგადოების განვი-  
თარების ყველა ეტაპზე გეგმიური დავალებების გადაჭარბებით შესრულების  
საწინდარია.

სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას თან-  
ამედროვე პირობებში შეადგენს ის, რომ იგი ვლინდება მუშათა კლასის შემ-  
დგომი აქტივიზაციის, მისი სოციალურა არსის სულ უფრო მეტად გამოვ-  
ლინების საფუძველზე. მუშათა კლასის ნამდვილი წამყვანი როლი იზრდე-  
ბა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება მასი საერთო კულტურა, განათლება,  
პოლიტიკური აქტივობა. სახელდობრ, შეჯიბრების მონაწილეთა შორის მუდ-  
მივად იზრდება იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ  
თავიანთ პროფესიას, რომლებსაც უკვე გააჩნიათ საშუალო სპეციალური გა-  
ნათლება, აგრძელებენ სწავლას, იცნობენ მეცნიერებისა და კულტურის მო-  
წინავე მიღწევებს. შესამჩნევია, რომ იმ მუშათა უმრავლესობა, რომლებიც  
არამედ იმ კლასის ინტერესებისათვისაც, რომელიც ანხორცაელებს თავის  
ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში. ასეთი მუშები გამოირჩევიან საქმი-  
სადმი შემოქმედებითი, ნოვატორული მიდგომით, მაღალი პასუხისმგებლობი-  
თა და დისციპლინით, კოლექტივიზმითა და ინტერნაციონალიზმით.

მილონობით საბჭოთა ადამიანი ღებულობს მონაწილეობას სოციალის-  
ტურ შეჯიბრებაში და ასრულებს რა თავის პატრიოტულ მოვალეობას, გმი-  
რული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვს სკკპ XXIV ყრალობის მიერ და-  
სახული მიზნების განხორციელებაში.

შეჯიბრება უდიდესი ხარისხით ავითარებს და განამტკიცებს კოლექტი-  
ვიზმის გრძნობას, ამხანაგობას, ურთიერთდახმარებას, სტიმულს აძლევს მის  
მონაწილეებს გამოამქლავნონ თავიანთი ინიციატივა, უჩვენონ ყველას მაგა-  
ლითი, განამტკიცონ და დაიცვან კოლექტივის, ბრივადის, საამქროს, საწარ-  
მოს ინტერესები.

პარტია თავისი უდიდესი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაო-  
ბით მუდმივად ავითარებს და სტიმულს აძლევს მასებს აქტიური შემოქმედე-  
ბითი მოღვაწეობისათვის, აგრეთვე აწარმოებს ბრძოლას მათ წინააღმდეგ,  
რომლებიც ხელს უშლიან მასების ინიციატივის გამოვლენას.

ამოცანები, რომლებიც გამოდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნის-  
ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან სოციალისტურ-  
ი შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, ავლენს  
უდიდეს შესაძლებლობებს მშრომელი მასების ინიციატივის შემდგომი ამაღ-  
ლებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის  
გადაწყვეტლებათა წარმატებით განხორციელების მიზნით.

4. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სტრია, 1975 № 1.

ილია მაცაბერიძე

### მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის შესახებ

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურებაა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც იწვევს საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებაში ღრმა სტრუქტურულ-უნებურსაღიერ ცვლილებებს, — ეს კი ასახავს პოპულარულ წარმოდგინის ნივთობრივი (ობიექტური) და პიროვნული (სუბიექტური) ფაქტორების სწრაფი ტემპით განვითარებასა და სრულყოფაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსის განხილვისას ზაიზ უნდა გავსვას „რევოლუციის მეცნიერებაში“ და ძირფესვიან ცვლილებას ტექნიკაში ანუ „რევოლუციას, ტექნიკაში გამოწვეულს მეცნიერების მიერ“. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია იწვევს მატერიალური წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეთა თანდათანობით გამეცნიერებულებას, რაც მომავალში უფრო მეტად იქნება გაპირობებული, როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, იმით, რომ „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ორგანიზულად დავუყავით მერწინების სოციალისტური სისტემის უპირატესობებს“<sup>1</sup>. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არსებითი პოსტულატია მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გლობალურად გადაქცევისა. ეს პრობლემა განსაკუთრებული კვლევის ობიექტი გახდა სკკპ ახალი პროგრამის მიღების შემდეგ, სადაც მითითებულია: „მეცნიერება სავსებით გახდება უშუალო საწარმოო ძალა“<sup>2</sup>.

მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად განსაზღვრულ ფარგლებში და განსაზღვრულ დონეზე გადაქცევის შესაძლებლობა ჯერ კიდევ კაპიტალისტური მანქანური წარმოებას პირობებში კ. მარქსის მიერ იყო აღნიშნული. მეცნიერების აღმოცენება და განვითარება თავიდან გაპირობებული იყო ადამიანთა საზოგადოების განვითარების ცხოვრებასეული მოთხოვნებით, თუმცა მეცნიერების მიმართ იმ დროისათვის წარმოების მიერ წაყენებული მოთხოვნები უმნიშვნელო იყო. „ამრიგად, თავიდანვე მეცნიერებათა წარმოშობა და განვითარება, — მიუთითებდა ფ. ენგელსი, — წარმოებითაა გაპირობებული“. შუა საუკუნეების პერიოდში მეცნიერება დაქვემდებარებული იყო რელიგიურ ადეოლოგიასთან, გადაქცეული იყო რელიგიის მსახურად, ხოლო „როდესაც შუა საუკუნეების წყვილი ღამის შემდეგ, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — მეცნიერებანი უეცრად კვლავ აღორძინდებიან მოულოდნელი ძალით და სასწაულებრივი სისწრაფით აწყებენ ზრდას, ამ სასწაულს ჩვენ ისევ წარმოებას უნდა ვუმადლოდეთ“. ნამდვილი სისტემატური ექსპერიმენტული მეცნიერება, რომელმაც მეცნიერების ურიტეცი ცალკეული ქაოტიური ფაქტები მოიყვანა მიზეზ-შედეგობრივ კავშირთაიერთობაში და ცოდნა გადაქცია ნამდვილ მეცნიერებად, პირველად შუა საუკუნეების ბოლო პერიოდისათვის არსებული მეცნიერებისათვის იყო მხოლოდ დამახასიათებელი; „თანამედროვე ბუნებისმეცნიერება ერთადერთი მეცნიე-

<sup>1</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 73.

<sup>2</sup> სკკპ პროგრამა, თბ., 1961, გვ. 100.

რებაა, რომელზეც შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც მეცნიერებაზე, წინა-  
 აღმდეგ ბერძენთა გენიალური ინტუიციებისა და არაბების სპორადიული,  
 ერთმანეთთან დაუკავშირებელი გამოკვლევებისა — იმ მძლავრი ეპოქათ  
 იწყება, როდესაც ბიურგერობამ გასტეხა ფეოდალიზმის ძლიერება<sup>3</sup>. საბუ-  
 ნებისმეტყველო მეცნიერებათა ფართო გამოყენებამ განაპირობა მწარმოებ-  
 ლური ძალების განვითარება, რამაც გამოიწვია მანქანურ წარმოებაზე გადა-  
 სვლა. წარმოების შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, მეცხრამეტე საუკუ-  
 ნის დასაწყისიდან, უკვე აღარ შეეძლოთ არც არსებულის გამოყენება და  
 არც ახალი მანქანების შექმნა შესაბამისი დარგის მეცნიერების განვითარე-  
 ბის გარეშე... როდესაც წარმოების პროცესი ხდება მეცნიერებას გამოყე-  
 ნების სფეროდ, მაშინ შესაბამისად მეცნიერება ხდება წარმოების პროცე-  
 სის ფუნქციად, წარმოების ერთ-ერთ ფაქტორად<sup>4</sup>. მარქსიზმი მეცნიე-  
 რების (რომელიც არის ბუნებისა და საზოგადოებას კანონზომიერებათა  
 თეორიული შემეცნება) ცნებაში გულისხმობს არა მარტო ცოდნის სისტემას  
 ან თუ იმ დარგში, არამედ „საზოგადოებრივ ცოდნას“ და „საერთო ინ-  
 ტელექტს“; კ. მარქსი მეცნიერულ შრომას, გამოგონებებს, აღმოჩენებს —  
 საყოველთაო-საზოგადო შრომად თვლიდა და ასხვავებდა მათ ერთად აღებუ-  
 ლი ან ერთობლივი შრომასაგან: ერთი და მეორეც წარმოების პროცესში  
 ასრულებენ თავ-თავის როლს, თითოეული მათგანი გადადის ერთიმეორეში;  
 მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავებაც, — საყოველთაო შრომას წარმო-  
 აღდგენს ყოველგვარი მეცნიერული აღმოჩენა, ყოველგვარი გამოგონება, ის  
 გაპირობებულია ნაწილობრივ თანამედროვეთა კოოპერაციით, ნაწილობრივ  
 წინამორბედთა შრომის გამოყენებით, ხოლო ერთობლივი შრომა ვარაუდობს  
 ინდივიდთა უშუალო კოოპერაციას<sup>5</sup>.

აღნიშნულიდან შეიძლება შემდეგი შინაარსის დასკვნა ვაკეთდეს:  
 კ. მარქსი საყოველთაო შრომად თვლიდა ყოველგვარ მეცნიერულ შრომას,  
 მიუხედავად იმისა: მეცნიერული გამოკვლევა გამოყენებითს ხასიათს ატა-  
 რებს, თუ მას აქვს თეორიული მნიშვნელობა. მეცნიერების არსისა და რო-  
 ლის ასეთ გაგება ნიშნავს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გა-  
 დაქცევას. მეცნიერებას უშუალო მწარმოებლურ ძალად განსაზღვრულ  
 ფარგლებში გადაქცევის შესახებ მითითებულია კ. მარქსის 1857—1859 წლე-  
 ბის ეკონომიკურ ხელნაწერებში, სადაც ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას,  
 რომ ძირითადი კაპიტალის განვითარება იმას მაჩვენებელია, თუ რამდენად  
 გადაიქცევა საყოველთაო საზოგადოებრივი ცოდნა უშუალო მწარმოებლურ  
 ძალად და აქედან იმის მაჩვენებელიცაა, თუ რამდენად ექვემდებარება სა-  
 ყოველთაო ინტელექტის კონტროლს თვით საზოგადოებრივი ცხოვრების  
 პირობება და ეს როგორ გარდაიქმნება მისი მოთხოვნების შესაბამისად<sup>6</sup>. მეც-  
 ნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა მნიშვნელოვნად აფარ-  
 თოებს მეცნიერების სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას და საერთო შტრი-  
 ხებში გამოხატავს მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად საზო-  
 გადოებრივი შრომის ფართო ინტელექტუალიზაციას პროცესს, რაც მკაფიოდ

<sup>3</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 187—188, 197.

<sup>4</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., том 47, стр. 553.

<sup>5</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., том 25, ч. I, стр. 116.

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., том 46, ч. II, стр. 215.



ადასტურებს მარქსის აზრს იმის შესახებ, რომ მეცნიერება საყოველთაო საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალაა<sup>7</sup>.

მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა განაპირობებს მეცნიერების ცოცხალი შრომისაგან თანდათანობითს გამოიჯანსაღებას, — ეს ორ-მხრივი პროცესია: ერთი მხრივ, ცოცხალი შრომა სულ უფრო მეტი რაოდენობით იყენებს მეცნიერების მიღწევებს, ხოლო მეორე მხრივ, მწარმოებლური ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეზე თანდათანობით ხდება მეცნიერების ცოცხალი შრომისაგან გამოჯანსაღება. მეცნიერება, თავისი მიღწევებით, იწყებს ფუნქციონირებას და წარმოების პროცესში მუშა ძალის ჩაურევლად აწარმოებს მატერიალურ დოვლათს, ხოლო ადამიანი თანდათან ტოვებს წარმოების უშუალო პროცესს და მისი მეთვალყურე, კონტროლიორი ხდება. როდესაც მუშა სახარატო დაზგასთან მუშაობს, მისა შრომის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობასთან, მაგრამ როდესაც რომელიმე ავტომატური სისტემის ხაზზე მიმდინარეობს პროდუქტის დამზადება, იქ ადამიანს ცოცხალი შრომა უშუალოდ არ იხარჯება, მის მაგივრობას (უმადლეს ხარისხში) ავტომატიზებული ხაზი ასრულებს. ავტომატიზებული ხაზის შექმნა იმ ერთობლივ ცოდნაშია, რაც ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობით დაგროვილ საყოველთაო ინტელექტუალისებულ შრომაშია მოცემული; ავტომატური ხაზის შექმნაში ადამიანი ჰკარნახობს ისეთა მოძრაობის შესრულებას, როგორსაც მოითხოვს წარმოების პროცესი. აქედან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი შინაარსის დასკვნა გავაკეთოთ: ავტომატიზაცია წარმოადგენს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გლობალურად გადაქცევის პროცესის ნავეთობრივ გამოვლენას. მეცნიერების მიერ წარმოშობილი საზოგადოებრივი ძალა მოქმედებს წარმოების ნივთობრივ და პიროვნულ ფაქტორებთან ერთად და შეადგენს საზოგადოების მძლავრ მწარმოებლურ ძალას.

მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის დონე და ხარისხი უნდა განასაზღვრებოდეს არა ცალკეული მეცნიერული გამოკვლევების მიხედვით, არამედ იმ ადგილითა და როლით, რომელიც მეცნიერებას უჭირავს საზოგადოებრივ წარმოებაში საერთოდ; მეცნიერული მიღწევების გამოყენება წარმოებაში უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად, მასობრივად და მაქსიმალური ეფექტით და ამან უნდა უზრუნველყოს მთელი ტექნიკური ბაზის მეცნიერული გარდაქმნა (მანქანური სისტემის, წარმოების ტექნოლოგიის, ენერჯის, მასალების და მართვას სრულყოფით დაწყებული, წარმოების პროცესში მუშის როლის შეცვლით დამთავრებული). „ჩვენს ეპოქაში, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევიმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — როცა სულ უფრო მეტად ვლინდება მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის როლი, უკვე მთავარია არა მისი ცალკეული მიღწევები, რაც უნდა ბრწყინვალე უნდა იყოს ისინი, არამედ მთელი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე“<sup>8</sup>.

თანამედროვე პირობებში მეცნიერების გამოყენება განუხრელად იზრდება, ის დევნის რუტინის ელემენტებს, მეცნიერება როგორც უშუალო

<sup>7</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 26, ч. 1, стр. 400.

<sup>8</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 71.

მწარმოებლური ძალა ჩვენს დროში ხდება უნივერსალური, რომლის საფუძველზე მწარმოებლური პროცესი თანდათან მთლიანად გარდაიქმნება; მეცნიერების, მეცნიერული მოღვაწეობისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ინტენსიური ზრდა თანამედროვეობის საყოველთაოდ აღიარებული დამახასიათებელი ნიშანია. მეცნიერება ჰერცეს მთლიანად წარმოების პროცესს, ერწყმება მას, თანდათანობით მოქმედებს მწარმოებლური ძალის ყველა ელემენტზე და ამით ახალ როლს იძენს: მეცნიერება ხდება სულ უფრო მნიშვნელოვანი და შემადგენელი ნაწილი თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობისა. ადამიანთა მოღვაწეობის ეს სფერო — მეცნიერება, რომელიც ადრე უპირატესად საზოგადოებრივი შემეცნების ფაქტორის როლს ასრულებდა თანამედროვე პირობებში მთლიანად ჩაერთო წარმოების პროცესში და დაიწყო საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალას ფუნქციის აქტიური შესრულება. განვითარება იმ სტადიაში შევიდა, რომელზედაც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მეცნიერება ნამდვილად სასხლსა და ხორცში გავვიჯღვს, საეხებით და ნამდვილად ყოფაცხოვრებას შემადგენელ ელემენტად გადაიქცეს“<sup>9</sup>.

თანამედროვე პირობებში მწარმოებლური ძალების სწრაფი ტემპით განვითარებამ გამოიწვია ის, რომ, თუ სამრეწველო რევოლუციამდე და მის პერიოდში მეცნიერება ვითარდებოდა ტექნიკასთან და წარმოებასთან ერთად და მის კვალობაზე, სადღეისოდ მეცნიერებას აღმოაჩნდა „შანაგანი“ ტენდენცია, რომ გაუსწროს ტექნიკას, ხოლო ტექნიკის ზრდა უსწრებს წარმოებას. ეს გაპირობებულია იმით, რომ დიდი ტექნიკური მიღწევები და პრაქტიკული პროექტები სადღეისოდ აქმნება უშუალოდ მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე. მწარმოებლური ძალების დღევანდელი დონე და განვითარების პერსპექტივა მოითხოვს, რომ მეცნიერება წინ უსწრებდეს ტექნიკასა და წარმოების განვითარებას. მეცნიერებასა და ტექნიკას შორის მოხდა ადგილების შეცვლა, მეცნიერება ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე ტექნიკა. ადგილების ეს გადანაცვლება საბოლოო ანგარიშში გამოწვეულია თვით პრაქტიკისა და ტექნიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის მოთხოვნებიდან. მეცნიერებამ, რომ თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია შეასრულოს, მოემსახუროს ტექნიკას თეორიული დასკვნებითა და ექსპერიმენტალური საშუალებებით, აუცილებელი იყო, რომ ტექნიკისათვის გაესწრო; ეს ამოცანა თვით ტექნიკამ წაუყენა მეცნიერებას: მეცნიერების განვითარებას ტექნიკისათვის რომ არ გაესწრო, თანამედროვე ტექნიკური პროგრესი მკვეთრად შენელებოდა, როგორც კი მეცნიერება თავისი განვითარებით გაიჭრება წინ; ის არა მარტო გზას უნათებს ტექნიკურ განვითარებას, არამედ რეალურად ქმნას ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების შესაძლებლობას.

ცნობილია, რომ მეცნიერების განვითარება ეხლაც როგორც ყოველთვის დამოკიდებულია წარმოებისა და ტექნიკის მოთხოვნებისაგან, მაგრამ ის გამოავლენს მზარდი ძალით თავის აქტიურ როლს, თავის უნარიანობას მოახდინოს შებრუნებათი ზემოქმედება მის მიერ წარმოშობილ პრაქტიკაზე. თანამედროვე პირობებში მეცნიერების გამოყენების ხარისხი პირდაპირ პროპორციულია წარმოების განვითარებას დონისა. მაგრამ მწარმოებლური ძა-

<sup>9</sup> ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 33, გვ. 577.



ლები და წარმოებრივი ურთიერთობანი განვითარების განსაზღვრულ სფეროებში, რომ მიიღწევენ, ეს შესაბამისობა შეიცვლება. საწარმოო პრაქტიკა მომავალშიც დარჩება ტექნიკის პროგრესის ძირითად წყაროდ, ხოლო ტექნიკა მეცნიერების განვითარების განმსაზღვრელ ბაზად.

მეცნიერება სოციალიზმის დროს მძლავრი საყოველთაო რევოლუციური და, საბოლოო ანგარიშში, საზოგადოების უნივერსალურა მწარმოებლური ძალაა. მეცნიერება ზემოქმედებს საზოგადოების ცხოვრებაზე, ის იქცევა ან მარტო მატერიალურ ფასეულობათა წარმოების ფაქტორად, არამედ სისტემატურად ქმნის ადამიანის მოღვაწეობისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალ სფეროებს. პრაქტიკულად რაც უფრო ფართოდ აქნება გამოყენებული მეცნიერება, მისი თითოეული ახალი დარგი გადაიქცევა უშუალო მწარმოებლურ ფაქტორად. ადრე როდესაც ტექნიკის განვითარებას მიყვებოდა მეცნიერება, ჯერ ხდებოდა ტექნიკის დარგში ცდასმიერი მასალის დიდი რაოდენობით დაგროვება, ბოლოს ამ მასალიდან დასკვნების გაკეთება ანა თუ იმ მეცნიერულ პრინციპზე. მას შემდეგ, როდესაც მეცნიერებამ და ტექნიკამ ადგილები შეცვალეს, ტექნიკურ მოძრაობაში შეაქმნა ახალი სისტემა: თავიდან ფართო ფრონტით ხდება ბუნების მოვლენების განსაზღვრული წრის გამოკვლევა უპირველესად წმინდა მეცნიერულ ჩარჩოში, შემდეგ ამ წრიდან გამოიყოფა განმსაზღვრელი მომენტი, რომელაც ხსნის გზას ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებისას. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულება განუზღვრელად უკავშირდება თანამედროვე ტექნიკის ანა თუ იმ დარგს; მათა შერწყმა ესოდენ მტკიცეა, რომ მეტად ძნელია განსაზღვრა, თუ სად მთავრდება მეცნიერება და სად იწყება ტექნიკა და პირიქით. ამის მაგალითად შეიძლება გამოვსვა ბირთვული ფიზიკა, ატომურა ენერგეტიკა, ავტომატიკა, კიბერნეტიკა და სხვა.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის, რომ თუ ადრე ან თანამედროვე ეტაპზე ბუნებისმეცნიერების რომელ დარგს მიეკუთვნებოდა წამყვანი როლი, XVI—XVIII საუკუნეებში წამყვან (მადომინირებელ) როლს ასრულებდა მექანიკა და მასთან ერთად მათემატიკა, XIX საუკუნის მანძილზე ლიდრის როლის შესრულება დაიწყო რიგმა ურთიერთდაკავშირებულმა ბუნებისმეცნიერებებმა (ქიმიამ, ფიზიკამ, ბიოლოგიამ); XX საუკუნის პირველ ნახევარში წამყვან როლს ასრულებდა ატომურა ფიზიკა; XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ბუნებისმეცნიერების განსაკუთრებულად ჩქარი განვითარება და ავანსცენაზე წამყვანი როლი მიეკუთვნება მეცნიერებათა კომპლექსს (ერთობლივად ფიზიკას, ბიოლოგიას, ქიმიას, კიბერნეტიკას, ასტრონომიას და სხვ.), — ამ კომპლექსიდან ყველაზე სწრაფად წინ მიდის თანამედროვე ბიოლოგია, ფიზიკურ-ქიმიური გენეტიკა, ბიოორგანული ქიმია, ბიოფიზიკა, ბიომექანიკა, კიბერნეტიკა, დგება ბიოლოგიის ეპოქა, შემდეგ შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში მეცნიერები ასე ვარაუდობენ, რომ ლადერის როლის შესრულება შეიძლება დაიწყოს ფსიქოლოგიამ, რომელიც დგას ბუნებისმეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ზღვარზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მკვეთრად იზრდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი ანა მარტო თეორიული და პრაქტიკული პრობლემების პო-

ზიტეურ გადაწყვეტაში, არამედ — სახალხო მეურნეობის მეცნიერული მართვის სრულყოფასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დამახასიათებელი თავისებურებებანა ანალიზის დროს ყურადსაღებია მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომ მეცნიერების განვითარებაზე და ერთობლივ სამეცნიერო კვლევის სამუშაოზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის გამოთვლას აქვს დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა. აღნიშნულ საკითხს რომ ეხებოდა, ენგელსა მიუთითებდა: ჩვენ, კმაყოფილების გრძობით ვგებულობთ, რომ მეცნიერების დარგში გაწეული სამუშაო გამოისყიდება მატერიალურადაც, ვგებულობთ, რომ მეცნიერების მხოლოდ ერთი ასეთი ნაყოფი, როგორც ჯემს უატის ორთქლის მანქანაა თავის არსებობის პირველ ორმოცდაათი წლის განმავლობაში მსოფლიოს მოუტანა მეტი ვიდრე მსოფლიომ თავიდან დახარჯა მეცნიერების განვითარებაზე<sup>10</sup>.

სოციალიზმის პირობებში მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულების განვითარებაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობას ყველაზე უფრო მიხსლოებით გამოხატავს ერთ მანეთ დანახარჯზე უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ასახავს პოულობს ეროვნული შემოსავლის სიდიდეში. აკადემიკოსი ე. ს. სტრუმინის სსრ კავშირის სახალხო შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანა ფაქტორების ანალიზისას აღნიშნავს, რომ 50 წლის (1917—1967) განმავლობაში, სახალხო შემოსავლის ნამეტი (მილიარდი მან.) შეადგენდა: მუშაძალის ხარჯზე 10,4; შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე — 227,6; მათ შორის ტექნიკის განვითარების დაბანდების ხარჯზე 43,4; მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას დაბანდების ხარჯზე 184,2<sup>11</sup>. ი. გ. კურაკოვის გამოანგარიშებით, 1959—1963 წლებში მეცნიერებაზე დახარჯული ერთი მანეთი იძლეოდა ეროვნული შემოსავლის ნამეტის 2,15 მანეთს<sup>12</sup>. აკადემიკოს ე. ა. ტრაპუნნიკოვის გამოანგარიშებით, „კვლევისა და დამუშავებაზე“ დაბანდებანი 3,5—5-ჯერ უფრო ეფექტიანია ვიდრე ჩვეულებრივი კადაბანდებანი. ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში ეკონომიკური ეფექტიანობა გაცილებით მაღალია და აღწევს 10 მანეთს და ზოგ შემთხვევაში 100 მანეთს ერთ მანეთ კაპიტალდაბანდებანზე, საბჭოთა ქვეყანაში არსებობს უფართოესი და უძლიერესი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, დღეისათვის საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში შრომობს ერთ მილიონზე მეტი მეცნიერი მუშაკი ანუ მთელი მსოფლიოს მეცნიერ მუშაკთა მეოთხედი ნაწილი, მიმდინარე ხუთწლედში (1971—1975) სამეცნიერო დაწესებულების ექსპერიმენტალური ბაზის გაფართოებისათვის და გამოკვლევათა ჩასატარებლად გაწეული დანახარჯები იქნება 60 პროცენტით მეტი მერვე ხუთწლედთან შედარებით<sup>13</sup>.

აღნიშნული მონაცემები პრაქტიკულად ადასტურებენ, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სულ უფრო ინტენსიურად და გლობალურად მიმდინარეობს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა, მეცნიერება განვითარებული სოციალიზმის პირობებში

<sup>10</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., том I, стр. 555.

<sup>11</sup> «Вопросы экономики», 1969, № 11, стр. 71.

<sup>12</sup> «Вопросы философии», 1966, № 10, стр. 13.

<sup>13</sup> Экономические науки, 1974, № 1, стр. 55, 7.



სისტემატურად და ფართო მასშტაბით გადაიქცევა საზოგადოებრივი წარმოების შემადგენელ ნაწილად, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირობად. ამასთანავე, ობიექტური აუცილებლობის ძალით ხორციელდება მეცნიერებას თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ზრდა, რაც განაპირობებს იმას, რომ მიმდინარეობს მეცნიერების ეკონომიკის, როგორც ცალკე დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესი. მეცნიერების ეკონომიკის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების საფუძველია მისი თეორიული აღნაგობის, კვლევის და მიღწეული შედეგის დანერგვის პრაქტიკული ღირებულების მასშტაბურობა.

მეცნიერების ეკონომიკის საგნის შესწავლის ობიექტის არსის განსაზღვრის თაობაზე არსებობს საბჭოთა მეცნიერ ეკონომისტთა შეხედულებათა და აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ობიექტური აუცილებლობა ის არის, რომ მეცნიერების განვითარების სადღეისო დონე და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიმდინარეობის პირობები, მეცნიერული კვლევის გაფართოების ამოცანები მოითხოვენ, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს მეცნიერების ეკონომიკის როგორც ცალკე დამოუკიდებელი დისციპლინის კვლევის ობიექტი და შემეცნების ზღვრები. მეცნიერების ეკონომიკამ როგორც დამოუკიდებელმა დისციპლინამ უნდა შეისწავლოს სამეცნიერო-კვლევითის მოღვაწეობის სფეროში ადამიანთა შორის ეკონომიკურა ურთიერთობანი განხალული როგორც განსაკუთრებული პროდუქციის წარმოება, ე. ი. ახალი და ახალი სახეობის ცოდნის წარმოება მისი რეალიზება და დანერგვა ახალი მწარმოებლურა ძალების გამოვლენისათვის წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის.

მეცნიერება საზოგადოების ყველაზე უძვირფასესი სიმდიდრეა, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში იგი ფართოდ ჰვრეტს მატერიალურ წარმოებას და არამწარმოებლურ სფეროს. როგორც ფუნდამენტალური აგრეთვე გამოყენებითი მეცნიერების სწრაფი ტემპით განვითარება ახდენს წარმოების პროცესის სფეროს გამეცნიერებულობას, იწვევს ურთიერთგანმაპირობებელ რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს. მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გლობალურად გადაიქცევის და მატერიალური წარმოების სფეროში მასი ხვედრითი წონის სწრაფი ზრდის პირობებში ერთგვარი კორექტივი უნდა იქნას შეტანილი მატერიალური წარმოების სფეროს სტრუქტურაში, მის საზღვრებში. მეცნიერება იმ ნაწილში და იმ ზომით, რა ზომითა და მოცულობითაც იგი იქცევა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მწარმოებლურ ძალად, მატერიალური დოვლათის წარმოებაში ლებულობს მონაწილეობას, — ეს მონაწილეობა თანდათან ფართოვდება, გასაგნობრივდება და განვითარდება წარმოებულ პროდუქტში, ამდენად მეცნიერება ამ გავებით, მნიშვნელობითა და მასშტაბით მატერიალური წარმოების სფეროს უნდა მიეკუთვნოს.

\* \* \*

„თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერება და ტექნიკა, — მითითებულია ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის თეზისებში, — გადაიქცა ორი მოწინააღმდეგე სოციალურ-ეკონომიური სისტემის შეჯიბრების უმნიშვნელოვანეს პლაცდარმად, აქ მოგველის ხანგრძლივა და მტკიცე ბრძოლა“<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, სკკ ცკ თეზისები, თბ., 1970, გვ. 54.



შემაღ აბულაძე

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის  
მაჩვენებლები

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა. ამიტომაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა მიმართულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებისა და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებლად. ეს ნათლად გამოხატული მიმდინარე ხუთწლედის დირექტივებში — დაჯარჯვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები, მეცნიერების ყველაზე პერსპექტიულ დარგში კვლევის ყოველწლიურ განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის ვადების შემცირების გზით<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ისეთ მოწინავე დარგში, როგორცაა ქიმიური მრეწველობა. ეს იშტომ, რომ ქიმიის მეცნიერებისა და ქიმიური ტექნოლოგიის აღმავლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების, მისი მატერიალური ელემენტების — შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების სრულყოფაზე და, შესაბამისად, საზოგადოებრივი შრომის წარმოებლობის გადიდებაზე. ა. ნ. კოსიგინმა მოხსენებაში სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკ XXIV ყრილობაზე აღნიშნა: „ყოველი ღონისძიებით უნდა გავაზარტოვოთ სახალხო მეურნეობის ქიმიაციის მასშტაბები. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მრეწველობის წამყვან დარგებსა და სოფლის მეურნეობაში ქიმიური პროდუქტები და მასალები, დავერგოთ ქიმიური ტექნოლოგიური პროცესები. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი დამნიშვნელოვანი ფაქტორი<sup>2</sup>.

ქიმიურ მრეწველობაში და ასევე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მიზნით აუცილებელია მისი დაგეგმვა, მეცნიერებასა და ტექნიკის განვითარების კონკრეტული სახალხო მეურნეობის გეგმასთან; საჭიროა ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების დაკავშირება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასთან. გეგმის სხვა მაჩვენებლებზე მათი გავლენის მეცნიერულად დასაბუთება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარების აუცილებელი პირობაა. ამ პირობის შესრულებისათვის კი საჭიროა ტექნიკური პროგრესის ფაქტორი ეკონომიკური ეფექტურობის ის მაჩვენებლები, რომლას საფუძველზედაც მოხდება ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა, მისი პროგნოზირება. ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები საშუალებას იძლევიან დადგინონ იქნას, თუ ტექნიკური პროგრესის რომელი მიმართულება რამდენად უწყობს ხელს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებას, რამდენად გამართლებულია ამ მიზნით გაწეული ხარჯები. ეს შეტად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისათვის, თუ პერსპექტი-

<sup>1</sup> სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 30.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 176.

ული დაგეგმვის დროს რა მიმართულებით გავითვალისწინოთ კაპიტალური დაბანდებები და რა თანაფარდობით, რა საშუალებებით მივალწიოთ პროდუქციის წარმოების საჭირო ზრდას, როგორი იქნება მასში მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის როლი.

ამიტომაცაა, რომ ტექნიკური პროგრესის რიგი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი ეფექტურობას გაანგარიშების სრულყოფილი მეთოდის შემუშავებას და ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. სკკპ ცკ-ისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნული იყო „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების აუცილებელი მაჩვენებლებას უქონლობა, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოვახდინოთ მეცნიერული-ტექნიკური სიახლის გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობას ფაქტობრივ შეფასება და განესაზღვროთ სახალხო მეურნეობის დარგებში ქიმიური პოლიტიკის მართებული მიმართულება“<sup>3</sup>.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურა ეფექტურობის მაჩვენებლების დადგენა, წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის საერთო პრობლემის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის საერთო მაჩვენებლის დასადგენად უკვე გარკვეული ნაბიჯაა გადადგმული და ამჟამადაც ამ მიმართულებით ფართოდ მიმდინარეობს მუშაობა.

ბოლო წლებში შესრულებულია დიდი სამუშაოები წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ირგვლივ. შექმნილია დარგთაშორისი და დარგობრივი მეთოდური დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-კვლევითა მუშაობის, კაპიტალური დაბანდებების, ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეკონომიკურ ეფექტურობას. შემუშავებულია წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემა.

ამჟამად ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებისათვის რეკომენდებულია „კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობას განსაზღვრის ტიპობრივი მეთოდიკა“, რომელიც დამტკიცებულია სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის 1969 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით. ამ მეთოდიკას საფუძველზე დარგობრივი მეთოდის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთმანეთთან დავაკავშიროთ, ერთი მხრივ, ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნიკური პროგრესის და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმვა, ხოლო მეორე მხრივ, სამეურნეო რეფორმის, ტექნიკური პროგრესისა და მისი მატერიალური სტიმულირების საკითხები, — ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობენ საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერ-ეკონომისტები: ვ. ტრაპუნიაკოვა, ო. ვოლკოვი, ფ. ზაიცევი, ბ. ლაპინი, ი. კუ-

<sup>3</sup> «Правда», 23 октября 1968 г.

რაკოვი, ი. ანისიმოვი, ნ. ერმიშინა, ს. იამბულსკა, დ. პალტეროვი, ვ. მენსფილდი, ლ. რეივა და სხვები. მიუხედავად ამისა, შემუშავებული მეთოდების პრაქტიკული გამოყენება ძალიან შეზღუდულია.

უკრაინის აკადემიის აკადემიკოსი ს. იამპოლსკი, აღნიშნავს რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რაოდენობრივი შეფასებისა და ანალიზის მეთოდოლოგიის უქონლობას, ასახელებს ამ სფეროში კვლევას ორ მიმართულებას:

1. ცალკეული მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების შესადარი ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა და საბოლოო შედეგების შეჯამება;

2. შრომის მწარმოებლობის ზრდის იმ წილას განსაზღვრა, რომელიც მიღის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე. ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების მეთოდი, ცალკეული მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრისა და მათი საბოლოო შეჯამების გზით, ამჟამად სამრეწველო საწარმოებში გამოყენებულია, თუმცა ეს მეთოდი არასწორ სურათს იძლევა. ცალკეული ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრას ხშირად საფუძვლად უდევს სრულიად სხვადასხვა საბაზისო ვარიანტები და სხვადასხვა გზითა და მეთოდით წარმოებს მათა გაანგარიშება. ეკონომიკური ეფექტის შეჯამებისას გარდაუვალია არსებული ეფექტის არასრული აღრაცხვა ან კიდევ განმეორებითი აღრიცხვა.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეორე მეთოდი — საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის ზრდის იმ წილის განსაზღვრა, რომელიც მიღწეული იქნა ტექნიკური პროგრესის გზით, ნაკლებად შესწავლილი, მაგრამ როგორც ამას საბჭოთა მეცნიერ-ეკონომისტები აღნიშნავენ, ყველაზე პერსპექტიულია. ცალკეული მეცნიერების მიერ ამ მიმართულებათ ჩატარებული სამუშაოები ღიდი მიღწევებით არ გამოირჩევიან, მაგრამ შემუშავებული იქნა ცალკეული დებულებები, რომლებიც თეორიული კვლევის გაღრმავებისა და პრაქტიკული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეორე მიმართულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ამერაკელი პროფესორი ე. მენსფილდი: „ასეთი განსაზღვრა, რა თქმა უნდა ირიბულია, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების პირდაპირი განსაზღვრის ხერხები არ არსებობს“<sup>4</sup>. ამ მეთოდის მიხედვით, საკმარისია წინასწარ განსაზღვრული იქნას დარგის ან საწარმოს შრომის მწარმოებლობის დონე და შემდეგ გამოვყოთ მისი ზრდის ის ნაწილი, რომელიც განპირობებული იყო ტექნიკური პროგრესით.

შრომის მწარმოებლობის ზრდის მიხედვით ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის დახასიათება განპირობებულია იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა წარმოებაში დანერგვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმს საზოგადოებრივი შრომის ეკონომია წარმოადგენს. შრომის მწარმოებლობა ისეთი განზოგადოებული მაჩვენებელია, რომელშიც

<sup>4</sup> Э. Менсфилд. Экономика научно-технического прогресса (перевод с английского), М., 1970, стр. 23.

გამოხატულებას პოულობს წარმოების ორგანიზაციული-მეურნეობრივი საქმიანობის ყველა ძირითადად მაჩვენებელი.

კ. მარქსის აზრით, ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმი არის საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის მაჩვენებელი. აგი წერს: „შრომის საშუალება მანქანების სახით ისეთ საარსებო მატერიალურ ფორმას იღებს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ძალის შენაცვლებას ბუნების ძალით და ემპირიკული რუტინული წესების შენაცვლებას ბუნების მეცნიერების შეგნებული გამოყენებით“<sup>5</sup>.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მრეწველობის დარგში ან საწარმოში ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისათვის საჭიროა შრომის მწარმოებლობასთან ერთად დადგენილი იქნას ამ უკანასკნელის ზრდაში ტექნიკური პროგრესის როლი, ე. ი. დადგენილი უნდა იქნას კოეფიციენტი რომელიც გამოხატავს ტექნიკური პროგრესის ამ როლს.

შრომის საკავშიროთ სამეცნიერო-კვლევათს ინსტიტუტში ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას სამი მეოთხედი ნაწილი წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების შედეგია, დანარჩენი კი მოდის ორგანიზაციულ და სხვა ფაქტორზე<sup>6</sup>.

იმავე აზრს გამოხატავს საბჭოთა მეცნიერი ეკონომისტი აკადემიკოსი ტ. საჩატუროვი სტატიაში — „Совершенствование методов определения эффективности капитальных вложений“<sup>7</sup>. მას ამ სტატიაში აღნიშნული აქვს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის დაახლოებით 30% მოდის ორგანიზაციულ ფაქტორებზე, დანარჩენი კი წარმოების ტექნიკური დონის ზრდაზე.

ასევე, იმავე აზრს გამოთქვამენ საბჭოთა მეცნიერ-ეკონომისტება კ. კლიმენკო და ვ. პეტროვი: „ქიმიურ მრეწველობაში შრომის მწარმოებლობის საერთო ნაშატიდან დაახლოებით 60—70% აუცილებელია ჩავთვალოთ ტექნიკური პროგრესის წილად“<sup>8</sup>.

მართლაც, წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანის საკუთარი შესაძლებლობა შრომის მწარმოებლობის ზრდის მხრივ შეზღუდულია. შრომის მწარმოებლობის ზრდა თანამედროვე მანქანური წარმოების პირობებში უმთავრესად შესაძლებელია მომუშავეს შრომის მანქანის შრომით შეცვლას გზით, ნაკლებად მწარმოებლური მანქანის, უფრო მაღალი მწარმოებლური მანქანით შეცვლის შედეგად.

ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტექნიკური პროგრესის წილად მოდის შრომის მწარმოებლობის ზრდის დაახლოებით 60—70 პროცენტი, ქიმიური მრეწველობისათვის ეს კოეფიციენტი შეიძლება აღებული იქნას 0,7-ის ტოლად.

მაშასადამე მრეწველობის მოცემულ დარგში, საწარმოში ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის საერთო მაჩვენებელი იქნება:

$$\text{ტექნ. პრ. ეკ. ეფ. - შრომის მწარმოებელ. } 0,7 = \frac{\text{შთლ. ინ პროდუქტ.}}{\text{მომუშ. საშ. სიობრ. რიცხი}} = 0,7$$

<sup>5</sup> კ. მარქსი. კაპიტალი ტ. I, თბ., 1954, გვ. 489.

<sup>6</sup> გ. შალაშვილი. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თბ., 1973, გვ. 67.

<sup>7</sup> ტურ. «Вопросы экономики», № 3, 1973 г.

<sup>8</sup> К. И. Клименко, Е. В. Петров. Экономическая эффективность технического прогресса в тяжелой промышленности СССР, М., 1971, стр. 192.

ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა გამოიხატება შემდეგი სახით.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში საერთო მაჩვენებლის მიხედვით \*

ცხრილი 1

|  | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. |
|--|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1 საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობა       | 5,076   | 4,907   | 5,021   | 5,649   | 7,224   | 7,042   | 7,322   | 7,375   | 7,469   |
| 2 რუსთავის ქიმიური კომბინატი               | 7,224   | 7,91    | 12,53   | 8,831   | 10,92   | 9,87    | 10,682  | 10,689  | 12,95   |
| 3 რუსთავის ქიმიური ბოქოს ქარხანა           | 1,092   | 1,652   | 3,403   | 2,912   | 4,585   | 6,057   | 6,93    | 7,028   | 8,218   |
| 4 ქუთაისის ლითონების ქარხანა               | 5,6728  | 6,055   | 10,227  | 8,634   | 12,83   | 8,211   | 15,12   | 15,89   | 16,45   |
| 5 სოხუმის ქიმიური ქარხანა                  | 7,802   | 7,303   | 19,53   | 15,05   | 46,2    | 38,22   | 14,84   | 26,81   | 23,24   |
| 6 რაჭის სამთო-მეტალურ-გელი კომბინატი       | 3,647   | 3,038   | 3,85    | 3,052   | 4,844   | 5,348   | 483     | 5,04    | 5,18    |
| 7 ფორმა საკპოლიმერ-ტარის წულუკიძის ფილიალი | 4,599   | 9,429   | 8,288   | 5,74    | 11,056  | 8,366   | 8,033   | 6,678   | 11,536  |

საწარმოებში ტექნიკური პროგრესი ხასიათდება კომპლექსურობით და მისი ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა ერთი მაჩვენებლათ არასრული იქნება. საჭიროა ეკონომიკურ მაჩვენებელთა გარკვეული სისტემის შემუშავება.

ასეთი მაჩვენებლების დადგენისას უნდა დავეყრდნოთ იმას, რომ შრომის მწარმოებლობა, წარმოადგენს რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმს, ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა წარმოების ფაქტორებზე დახასიათებული უნდა იქნას საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა სისტემით. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია მაჩვენებელთა სისტემიდან იმ მაჩვენებლების გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ ახასიათებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენას წარმოების ეფექტურობაზე, რომლებიც ასახვენ შრომის აარაღებისა და საგნების სრულყოფის პროცესების შედეგებს, ახალი სახის ენერჯის და სათბობის ათვისებას, ეფექტური ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების დანერგვის გავლენას ეკონომიკის განვითარებაზე და პირველ ყოვლისა შრომის მწარმოებლობის ზრდაზე.

ამასთან ერთად, როგორც ეციტ, წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა ხასიათდება საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის ზრდით, რომელიც შეიცავს, როგორც ცოცხალი

\* ცხრილი 1 და 2 გაანგარიშებულია საქ. სსრ ცს მასალების საფუძველზე (ფორმა № 22).

შრომის ისე განივთებული შრომის დანახარჯებს. რამდენადაც ინტენსიურია პროდუქციის ერთეულზე ცოცხალი და განივთებული შრომა, იმდენად სწრაფად იზრდება ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური სიდიდე. ამიტომაც ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურა ეფექტურობის დამახასიათებელ მაჩვენებლებთან სისტემა უნდა მოიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ ტექნიკური პროგრესის მიზანს და მის მიღწევას ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომიის გზით. პირველ რიგში ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: შრომის მწარმოებლობა, პროდუქციის ფონდტევადობა. ეს მაჩვენებლები ყველაზე ფართოდ ახასიათებენ შრომითი პროცესის სამივე ელემენტის — ცოცხალი შრომის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების — გამოყენების ეფექტურობას. შრომითი პროცესის ეს ელემენტები კი იმყოფებიან განსაზღვრულ რაოდენობრივ ურთიერთთანაფარლობაში, რომელიც დამოკიდებულია წარმოების ტექნიკურ დონეზე.

რამდენადაც ტექნიკურ პროგრესსა, წარმოების ტექნიკური დონესა და შრომის ტექნიკურ შეიარაღებას შორის არსებობს უშუალო კავშირი, იმდენადაც ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა დახასიათებული უნდა იქნას იმ მაჩვენებლებით, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულებაში არიან წარმოების ტექნიკური დონას ამაღლებასთან. ასეთ მაჩვენებლებს შეეკუთვნებიან: 1. ხვედრითი კაპიტალური დაბანდება, 2. ფონდტევება, 3. ფონდშეიარაღება, — ეს სამივე მაჩვენებელი გარკვეულ დამოკიდებულებაშია შრომის მწარმოებლობასთან, პროდუქციის ფონდტევადობასთან და მასალატევადობასთან: თუ კი მცირდება ხვედრითი კაპიტალური დაბანდება, გაიზრდება ფონდშეიარაღება და შესაბამისად ფონდტევება, მაშინ მცირდება ცოცხალი და განივთებული შრომა პროდუქციის ერთეულზე, ანუ მცირდება პროდუქციის მასალატევადობა, ფონდტევადობა და შესაბამისად იზრდება შრომის მწარმოებლობა. ასეთი ცვლილების საფუძველზე შეიძლება დავსკვნათ, რომ ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა ამაღლდა მოცემულ დარგში ან საწარმოში.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით, ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირი სახით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში ხვედრითი კაპიტალური დაბანდება შემცირებდას განიცდის, ფონდალტურვილობა იზრდება, იზრდება ფონდტევებაც, ასეთ შემთხვევაში ცოცხალი და განივთებული შრომა პროდუქციის ერთეულზე უნდა მცირდებოდეს, მართლაც შრომის მწარმოებლობა იზრდება უფრო მეტად, ვიდრე შრომის ფონდალტურვილობა. მცირდება მასალატევადობა. მაგრამ ყოველი ეს ცვლილება მიმდინარეობს დაბალ ტემპში, რაც მეტყველებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკური ეფექტის ამაღლების აუცილებლობაზე საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა, გარდა ზემოთ მოცემული მაჩვენებლებისა, შეიძლება დახასიათებული იქნას ტექნოლოგიური თვითღირებულებით. ის მოიცავს ნედლეულს, ძირითადი და დამხმარე მასალების, სათბობისა და ენერჯის ხარჯს.

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში ზოგადი მაჩვენებლების მიხედვით

ცხრილი 2

| № | მაჩვენებლები                                     | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. |
|---|--|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1 | ხედრითი კაპიტალური დაბანდება                     | 100     | 51,1    | 38,3    | 36,4    | 38,2    | 22      | 20      | 22,8    | 14,43   |
| 2 | შრომის ფონდშეიარაღება                            | 100     | 88,2    | 78,2    | 79      | 38,2    | 98,2    | 104,2   | 147     | 152,7   |
| 3 | ფონდუკუმება                                      | 100     | 113,5   | 142     | 150,4   | 164     | 146     | 136     | 133     | 140,2   |
| 4 | პროდუქციის ფონდ-ტეკალობა                         | 100     | 101,8   | 76,3    | 66,9    | 66,8    | 75,4    | 79      | 85      | 76,8    |
| 5 | პროდუქციის მასალატე-ვალობა                       | 100     | 72,5    | 55,4    | 63,9    | 65,6    | 66,3    | 64,8    | 65,1    | 44, 5   |
| 6 | შრომის მწარმოებლობა                              | 100     | 96,3    | 110,3   | 11, .8  | 141,1   | 138,1   | 142,8   | 150,4   | 146,3   |
| 7 | პროდუქციის ერთეულის ტექნოლოგიური თვით-ღირებულება | 100     | 13,3    | 55,4    | 61,8    | 61      | 73,7    | 73,2    | 63,2    | 58      |
| 8 | წარმოების რენტაბელობის კოეფიციენტი               | 100     | 13,2    | 169     | 23,4    | 228     | 340     | 176     | 70,6    | 241     |

ტექნოლოგიური თვითღირებულების შემცირების დინამიკა მკიდროდა დაკავშირებული წარმოების ტექნიკური დონის დინამიკასთან. ტექნოლოგიური თვითღირებულება ახალი პროდუქციის ათვისებისას პირველ წლებში მცირდება, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს შემცირება მიმდინარეობს ძლიერ შენელებულ ტემპში. ტექნოლოგიური თვითღირებულების ცვლილება გეჩივენებს, რომ თუ სწრაფად არ ხდება ახალ ეფექტურ ტექნოლოგიაზე გადასვლა, მოძველებული მოწყობილობის ახლით შეცვლა, მაშინ ადგილი აქვს ხარჯების სწრაფ ზრდას, ამასთან ერთად ტექნოლოგიური თვითღირებულება ახასიათებს ტექნოლოგიური პროცესების ეფექტურობას, თვითღირებულების სტრუქტურის ცვლილებას და გეჩივენებს თვითღირებულების შემცირება რა ფაქტორების ზემოქმედებით ხდება. თვითღირებულების სტრუქტურას ქიმიურ მრეწველობაში აქვს შემდეგა სახე.

ცხრილის მიხედვით, ტექნოლოგიური თვითღირებულების ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 1965 წელს შეადგენდა 69,6%-ს, ხოლო 1973 წლისათვის — 73,19%-ს. მასასადამე ტექნოლოგიური თვითღირებულების წილი საერთო ხარჯებში გაიზარდა 3,9%-ით, მაშინ როცა ნედლეულისა და მასალების ხარჯები შემცირდა 2,2%-ით, დამხმარე მასალების 1,92%-ით, სათბობის გაიზარდა 1,49%-ით. ტექნოლოგიური თვითღირებულებას ასეთი დინამიკა იმაზე მეტყველებს, რომ საქ. ქიმიურ მრეწველობაში ამ პერიოდში სუსტი იყო მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიას ხელშემწყობი ფაქტორების მოქმედება. ეს იმიტომ, რომ ნედლეულის, სათბობის და ელექტროენერჯის ხარჯი, დიდადა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია ტექნოლოგიური პროცესები, როგორ მდგომარეობაშია მო-





ტექნოლოგიური თვითღირებულება საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში 1965-1973 წლებში  
ცხრილი 3

| №.№ |   | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. |
|-----|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
|     | სულ ხარჯები   | 100     | 100     | 140     | 100     | 100     | 100     | 100     | 105     | 100     |
| 1   | ნედლეული და ძირითადი მასალები (ნარჩენების გამოკლებით) | 51,5    | 51,9    | 49,01   | 49,9    | 52,9    | 52,9    | 50,3    | 50,9    | 49,3    |
| 2   | დამხმარე მასალები                                     | 6,9     | 5,6     | 5,7     | 4,93    | 4,970   | 4,54    | 40,9    | 4,7     | 4,98    |
| 3   | სათბობი   | 1,5     | 1,6     | 1,12    | 1,37    | 1,38    | 1,16    | 1,01    | 1,1     | 3,09    |
| 4   | ენერჯია   | 9,7     | 9,04    | 12,4    | 15,01   | 13,8    | 14,7    | 15,2    | 15,5    | 15,22   |
| 5   | ტექნოლოგიური თვითღირებულება                           | 69,6    | 68,5    | 68,23   | 57,31   | 60,25   | 72,80   | 70,60   | 72,2    | 73,19   |

წყობილობები. ახალი მოწყობილობების დაპროექტებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მწარმოებლურობის ამაღლებას და ცოცხალი შრომის ეკონომიას, ხოლო მატერიალური და ენერგეტიკული ხარჯების ეკონომიას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მატერიალური და ენერგეტიკული ხარჯებას ეკონომიის აუცილებლობა თვით ტექნიკური პროგრესის მოთხოვნიდან გამომდინარეობს. ამიტომაც ტექნოლოგიური თვითღირებულების დინამიკა ნაწილობრივ ასახაობს ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის დინამიკას. ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობა შეიძლება დახასიათებული იქნას კიდევ ტექნიკური პროგრესის ცალკეული მიმართულებების მიხედვით დაანერგულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯებისა და დაანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის სიდიდეთა შედარებით.

თუ მიღებული ხუთივე ცხრილის მაჩვენებლებს ერთმანეთს შევადარებთ დავრწმუნდებით, იმაში რომ შრომის მწარმოებლობის მიხედვით გაანგარიშებული საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები მართებულია.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებელი საქ. სსრ ქიმიურ მრეწველობაში დაბალი იყო 1965—1967 წლებში, ხოლო შემდეგ წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ყველაზე მაღალი იყო 1970 წელს. ასეთსავე ცვლილებას განიცდიდა რენტაბელობის დონეც: ქიმიურ მრეწველობაში 1970 წელს მან მიაღწია ყველაზე მაქსიმალურ 5,8%-ს. შრომის მწარმოებლობაც და ფონდუკუეობაც ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდება 1968 წლიდან. ამასთან ერთად საანალიზო პერიოდში შემცირდა ტექნოლოგიური თვითღირებულება და გაიზარდა რენტაბელობის დონე.

როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ტემპი დაბალია. საჭიროა, მოქმედ საწარმოებში ძირითადი საწარმოო ფონდების გასვლის მოსალოდნელ გადიდებასთან

<sup>10</sup> ცხრილი განგარიშებულია საქ. ცს მასალების საფუძველზე (ფორმა H-3).

საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დანერგული ღონისძიებების მიხედვით ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტის გაანგარიშება (წლიური ეკონომიკური ეფექტი გაყოფილი ფაქტურად გაწეულ ხარჯებზე)<sup>11</sup>

ცხრილი 4

|   | ღონისძიებების დასახელება                      | 1968 წ. | 1969 წ. | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. |
|---|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1 | ყველა ღონისძიებების მიხედვით<br>მათ შორის:    | 0,71    | 0,476   | 0,354   | 0,662   | 0,098   | 0,54    |
| 2 | მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა                 | 2,78    | 0,624   | 0,313   | 8,82    | 0,081   | 0,11    |
| 3 | წარმოების მექანიზაცია                         | 0,525   | 1,61    | 0,584   | 0,324   | 6,9     | —       |
| 4 | წარმოების ავტომატიზაცია                       | 8,22    | —       | —       | —       | 0,6     | —       |
| 5 | ახალი სახის სამრეწველო პროდუქციის<br>ათვისება | —       | 0,322   | 0,412   | 0,49    | 0,018   | 0,62    |
| 6 | მომქმედი მოწყობილობის მოდერნიზება             | ,676    | 2,62    | 9,4     | 2,05    | 0,166   | 0,384   |

დაკავშირებით, დარგის კაპიტალურ დაბანდებაში გათვალისწინებული იქნას მეტა წილი ძველი მოწყობილობების შესაცვლელად. საჭიროა დაჩქარდეს ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისება, საწარმოო აპარატების თვისებრივი სრულყოფით — ერთეული სიმძლავრის გადიდება. პირველ რიგში უნდა შეიცვალოს დაბალმწარმოებლური აგრეგატები რუსთავის ქიმიურ კომბინატში, რადგანც ეს საწარმოო ძირითადად აღჭურვილია დაბალი მწარმოებლური აპარატებითა და აგრეგატებით. საჭიროა გაუმჯობესდეს ეკონომიკური ლაბორატორიებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ჯგუფების მუშაობა.

ტექნოლოგიური თვითღირებულების შემცირების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ენერგეტიკული და მატერიალური ხარჯების ეკონომიას.

<sup>11</sup> გაანგარიშებულია საქ. ცსს-ის მასალების საფუძველზე (ახალი ტექნიკის განყოფილება ფორმა 10-HT).



რ. სარჩიშვილი

მკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების შესახებ

მოდელირება არის ობიექტური რეალობის შემეცნებისა და მეცნიერული გამოკვლევების ჩატარების საშუალება. აზროვნების პროცესში ადამიანი იყენებს მოდელირებას როგორც ჭირ შეუცნობელი მოვლენებისა და პროცესების თავის თავში წაცნობის ფორმებისა და ხერხების საშუალებით ასახვას; ამიტომ ყოველი მოდელი არსებობს არა თავისთავად, არამედ იმის ძალით, რომ იგი იქმნება და გამოიყენება მკვლევარის მიერ გარემოს უკეთ შესაცნობად როგორც მისი შემოქმედების იარაღი. მოდელი დამუარებულია ანალოგიებზე, ახახვს სინამდვილეს მხოლოდ მიახლოებით და რომ მოდელი იგივეურ აღწერას აწარმოებდეს, მაშინ მივიღებდით სინამდვილის ასლს.

მათემატიკური მეთოდები თავის ცნებათა სისტემებით, სიმბოლოებითა და აღნიშვნებით გარკვეული შინაარსის მატარებელ მოდელის აგების საშუალებას იძლევა, რაც სინამდვილის რაოდენობრივი დამოკიდებულებების შესწავლის და შემოქმედებითი აზროვნების ჩატარების ეფექტური საშუალებაა. მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონე მოითხოვს, რომ კიდევ უფრო ღრმად შევიჭრათ მატერიალური სამყაროს არსების გაგებაში, იზრდება მათემატიკური მოდელირების როლი, ვინაიდან მათემატიკური მოდელირება სინამდვილის გამოკვლევის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდაა და იგი ცვლის ძვირადღირებულ, ზოგჯერ, შეუძლებელ ექსპერიმენტებსაც. მათემატიკური აზროვნება ადამიანს საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო ახლოს მივიდეს იგი ეკონომიკის პრობლემებთან, დააჩქაროს მოვლენათა შესწავლისა და აღმოჩენის მიღების პროცესი.

მიუხედავად ამისა მათემატიკის როლი ეკონომიკაში არ უნდა შეფასდეს გადაჭარბებულად ა. ე. კლემოგოროვმა შენიშნა: რაც შეეხება მათემატიკოსებისა და ეკონომისტების საერთო მუშაობას ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე ზოგიერთი ამხანაგი ხაზს უსვამს, რომ მათემატიკური გამოკვლევებიდან იბადება ახალი თეორია და იღებენ (მაგალითად სინათლის ელექტრომაგნიტური თეორია წარმოიშვა ელექტრომაგნიტური ველის ტანტოლებების მათემატიკური ანალიზის შედეგად; როგორც გამოირკვა, მათ გაანიათ გადაღობი ხასიათის ამონახსენი), მაგრამ ეკონომიკაში საქმე სხვანაირად დგას. მოვლენის შესწავლაზე დაქვემდებარებული ბუნება ეკონომიკაში კარგადაა ცნობილი, ხოლო მისი მეცნიერული გაგება ხახვებით სრულადაა დამუშავებული მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიით<sup>1</sup>.

მათემატიკური აპარატის გამოყენება საბჭოთა ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარეობს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით — სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენების საფუძველზე. მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება საშუალებას იძლევა ამოიხსნას წარმოების დაგეგმვისა და მართვის სხვადასხვა ამოცანები, გადაიჭრას ავტომატიზებულ სისტემებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა ერთ-ერთი დასაყრდენი მოდელირებაა. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, გამოთვლითი მათემატიკა და ეგმ-ი, როგორც დამხმარე საშუალება წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სხვადასხვა ამოცანათა გადასაწყვეტად.

<sup>1</sup> Сб. «Общие вопросы применения математики в экономике и планировании», М., 1961, стр. 185.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ეკონომიკური ამოცანის მათემატიკურ სიმბოლოებში გამოხატავს ნიშნავს. იგა შეიძლება იყოს მოცემული განტოლებათა და უტოლობათა სისტემების, ლოგიკური სიმბოლოებისა და გამოსახულებათა სახით. ყოველი მოდელი აღიწერება განსაზღვრული ენით: თუ პროცესს აღწერთ მათემატიკური ენით, მივალდებით მათემატიკურ მოდელს; თუ გამოვიყენებთ ელექტრულ მოწყობილობას, მივიღებთ ფიზიკურ მოდელს..

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და მეთოდები ეკონომიკური ამოცანათა გადასაწყვეტად საზოგადო დამხმარე საშუალებაა და რიგ შემთხვევებში მათთვის „მათემატიკა არის მექანიკური ინსტრუმენტი ლოგიკური აზროვნებისათვის“<sup>2</sup>. ვ. ს. ნემჩინოვი აღნიშნავდა: მათემატიკის გამოყენება არა მარტო საშუალებას იძლევა, დავაზუსტოთ და გავაღრმავოთ ჩვენი რაოდენობრივი წარმოდგენა იმ საგნებისა და მოვლენების არსებობაზე, რომლებიც გამოკვლევებს ემორჩილებიან, არამედ მათემატიკურა ანალიზი, როგორც მეცნიერების ისტორია აჩვენებს, მთელ რიგ შემთხვევაში თანამოქმედებდა განვითარების ახალი კანონების აღმოჩენებში და შესაძლებლობას იძლეოდა განპერტეილი ყოფილიყო ახალა მოვლენების წარმოშობა<sup>3</sup>. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ერთიანი სისტემის მეთოდოლოგია, — სწერს ნ. პ. ფედორენკო<sup>4</sup>, — მდგომარეობს ეკონომიკური და სოციოლოგიური ანალიზის, ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის კომპლექსურ გამოყენებაში.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები ეკონომიკის რაოდენობრივი ანალიზის ძლიერი აარალია და ეკონომიკურ-მათემატიკური მეცნიერების ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამჟამად, როდესაც დაგროვილია სხვადასხვა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენისა და კონკრეტულ საგემო-ეკონომიკურ ამოცანათა ამოხსნის გამოცდილება; წარმოიშობა აუცილებლობა, განზოგადდეს შედეგები, — გვქონდეს ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების თეორიული საფუძვლები. ასეთი მუშაობის აუცილებლობა ნაკარანხვეია აგრეთვე იმიტ, რომ პრაქტიკული ამოცანის სახით საჭირო ხდება მოდელის სისტემების შემუშავება მეურნეობის სოციალისტური სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის.

შევნიშნოთ, რომ მოდელირების გაიგივება თეორიასთან არ იქნება სწორი ვინაიდან მოდელს თვითონ სჭირდება თეორიული დასაბუთება, თუმცა მოდელი შეიძლება იყოს თეორიის აგების საშუალებაც. თეორიისაგან განსხვავებით, მოდელს არ შეუძლია მთლიანად ახსნას ობიექტი, მოახდინოს მისი უშუალო გაგება. პირიქით, წარმოიშობა რა წინასწარ თეორიულ წანამდღერებზე, მოდელი როგორც შემეცნების შედეგი თხოულობს შემდგომ განმარტებებს. მოდელები თეორიის ფორმულირებისას თა-

<sup>2</sup> P. A л л е н. Математическая экономия (перевод с англ.), М., 1963.

<sup>3</sup> В. С. Н е м ч и н о в. Применение математических методов в экономических исследованиях и планировании, сб. (I).

<sup>4</sup> Н. П. Ф е д о р е н к о. О разработке системы оптимального функционирования экономики, М., 1968.

<sup>5</sup> И. В. К о т о в. Применение математических методов в экономике и политическая экономия социализма, Ленинград, 1972, стр. 153.

მაშობენ შუალედ როლს და იძლევიან ორიგინალში მიმდინარე ურთიერთდამატებითა პროცესების ნაწილობრივ განმარტებებს. ასრულებენ რა ახსნისა და ინტერპრეტაციის ფუნქციას, მოდელები გვეხმარებიან გამოვიკვლიოთ ორიგინალის ახალი თვისებები და საშუალებას იძლევიან, ერთი მხრივ, შევამოწმოთ თეორია, ხოლო მეორე მხრივ, გავფართოოთ თეორიის გავლენის არე<sup>6</sup>.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები საშუალებას იძლევიან ურთიერთს დავეუკავშიროთ და უზრუნველვყოთ ეკონომიკის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების მეცნიერული ანალიზი<sup>7</sup>. ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება პირველ რიგში გულისხმობს ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელების შექმნას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ შრომატევად სამუშაოს მოითხოვს. ეს სამუშაო შეიძლება პირობითად წარმოვადგინოთ შემდეგ საფეხურებად:

1. ეკონომიკური ამოცანის დასახვა;

2. ეკონომიკური პარამეტრების დადგენა, ინფორმაციის შეგროვება და პირველადი დამუშავება;

3. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენა და მისი ანალიზი;

4. მათემატიკური მეთოდების გამოყენება და ეგმ-ზე შესაბამისი პროგრამის შემუშავება მიღებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელისათვის;

5. გამოთვლა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები.

ასეთი გზით წარმატებით იქნა გამოყენებული, მაგალითად, ტვირთის გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების დასადგენად წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანის მოდელა<sup>8</sup>.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისათვის შეიძლება შემოვიღოთ რაიმე კლასიფიკაცია თავიანთ დანიშნულებისა, მათემატიკური გამოხატვით ან სპეციფიკას მიხედვით. საერთოდ, მოდელების სრული კლასიფიკაცია შეუძლებელია: პირობითად შეიძლება იგი დავყოთ ორ კლასად<sup>9</sup>: მოდელები, რომლებიც განკუთვნილი არიან ეკონომიკური სისტემების შეცნობისათვის (თეორიული მოდელები) და მოდელები, რომელთა პარამეტრება რეალური მონაცემებით ფასდება.

ცნობილია მაკრომოდელები და კონკრეტული ამოცანისათვის ან ამოცანათა კლასისათვის შექმნილი მოდელები. მაგალითად, კალენდარული დაგეგმვის, სატრანსპორტო ამოცანის, განლაგების ამოცანის და სხვა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება მოითხოვს კლასიკური მიდგომისაგან განსხვავებით (მხედველობაშია ფიზიკისა და ტექნიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება) ახალ თვისებურ მიდგომას, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. ეკონომიკაში შეუძლებელია ცდების ჩატარება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს;

<sup>6</sup> Труды симпозиума «Моделирование в биологии и медицине», Ленинград, 1969.

<sup>7</sup> Н. П. Федоренко. Экономика и математика, М., 1967.

<sup>8</sup> Б. Л. Геронимус. Математические методы оперативного планирования грузовых автомобильных перевозок, М., 1963.

<sup>9</sup> А. Бегтрон. Построение и применение экономических моделей (перевод с английского) М., 1970.

2. ეკონომიკა ძალიან რთული ალბათური სისტემაა, რომელშიც ადამიანი მონაწილეობს;

3. არაა შერჩეული მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პარამეტრების ოპტიმალური რიცხვი, მართვის ბერკეტი, რამაც შეიძლება ცალსახად განსაზღვროს ეკონომიკური მოვლენები. საქმე გვაქვს პარამეტრებისა და ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაციის კოლოსალურ რაოდენობასთან; ამიტომ შეუძლებელი ხდება მათი ეფექტური გამოყენება დაგეგმვასა და მართვაში.

ამჟამად მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიკაში მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით:

1. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება.

2. რეგულირების თეორია, დაგეგმვისა და მართვის კიბერნეტიკული მეთოდები.

3. სისტემური მიდგომა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ზემოთ აღნიშნული ორივე მიმართულების ერთგვარ გაერთიანებად და გაგრძელებად.

ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების თავისებურებამ განსაზღვრა რიგი მათემატიკური დისციპლინის შექმნა, ამათში პოპულარული და რიგ შემთხვევებში ეფექტურიც ეკონომიკურ ამოცანათა ამოსახსნელი წრფივი პროგრამირებაა, რომელაც წარმოიშვა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში და საკმაოდ სწრაფად მიიღო დასრულებული მათემატიკური სახე, ხოლო შემდგომი განვითარება მან მათემატიკური პროგრამირების ამოცანებში ჰპოვა<sup>10</sup>. მათემატიკური პროგრამირებას მეთოდებით წარმოდგენილი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები შედგება ორი ნაწილისაგან: შეზღუდვათა სისტემისა და მიზნის ფუნქციისაგან. საჭიროა განისაზღვროს უცნობთა ისეთი მნიშვნელობანი, რომლებიც შეზღუდვებს დააკმაყოფილებენ და მიზნის ფუნქციას მაინიჭებენ ექსტრემალურ მნიშვნელობას.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები ეყრდნობიან არა მარტო მათემატიკური პროგრამირების მეთოდებს, არამედ მათემატიკის სხვადასხვა დარგსა და მიმართულებებს. ამჟამად ეკონომიკურ-მათემატიკურა მოდელების ძირითადი ნაწილი მათემატიკის ექსტრემალურ ამოცანებს გვაძლევს; ამიტომ ეკონომიკაში წარმატებით იყენებენ მათემატიკის ისეთ ახალ მიმართულებებს, როგორცაა: წრფივა და არაწრფივი პროგრამირება, დისკრეტული და დინამიკური პროგრამირება, თამაშთა თეორია და სხვა. წარმოებს როგორც მათემატიკური თეორიისა და მეთოდების, ასევე სპეციალური ამოცანებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სრულყოფა.

მათემატიკის ეკონომიკაში გამოყენებამ გავლენა მოახდინა არა მარტო ეკონომიკური მეცნიერების აპარატზე, თვით მათემატიკაზეც. ისეთი მათემატიკური გაგება, როგორცაა დაჯარიმების ფუნქცია, პროგრამირების ბლოკური მეთოდები, — შემოღებულა ეკონომიკური მოსაზრებიდან. ეკონომიკაში მათემატიკურმა პრობლემებმა მნიშვნელოვანი ზომით მოითხოვა მათემატიკური მეთოდების განვითარება უტოლობათა სისტემების ზოგად თეორიაში, ამონეჭილ სიმრავლეთა ანალიზში, გრაფთა თეორიაში და ა. შ. „რაც

<sup>10</sup> Е. Г. Гольштейн, Д. Б. Юдин. Новые направления в линейном программировании М., 1966.



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია

შეხება წრფივი პროგრამირების მოდელებსა და რიცხვით მეთოდებს, ისინი რჩებიან ცენტრალურ ნაწილად ოპტიმალური დაგეგმვის აპარატში<sup>11</sup>.

წრფივი პროგრამირების პრაქტიკულმა გამოყენებამ დაამტკიცა თავისი მაღალი ეფექტურობა. წრფივი პროგრამირების მეთოდები იძლევიან საშუალებას, შემუშავებულ იქნას ოპტიმალური გეგმა შეთანხმებული მაჩვენებელთა სისტემებთან (ორადი ცვლადების საშუალებით). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეურნეობას ჩვენს სისტემაში, სადაც წარმოებასა და განაწილებასთან ერთად იგეგმება ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი: ფასები და მათი სტრუქტურა, ამორტიზაციის ხარჯები, ბუნებრივი რესურსებით მიღებული რენტა, ეფექტურობას ნორმატივები კაპიტალდაზღვევებში და ა. შ. ყველა ზემოჩამოთვლილმა მიიღო მკაცრი დასაბუთებული წარმოდგენა მათემატიკური მოდელების სახით, რაც თანამოქმედება თვით ეკონომიკური კატეგორიების ბუნების ნათელსაყოფად. „ზოგად შემთხვევაში ეკონომიკური მოვლენები დამოკიდებულნი არიან უწყვეტი და დისკრეტული პარამეტრების სიმრავლეებთან და აღიწერებიან განტოლებათა სისტემებით, რომელთაგან ბევრს გააჩნია მთელირიცხვითი მახასიათებელი. ეს საშუალებას იძლევა დამტკიცება ვაწარმოოთ  $n$  განზომილებიანი სივრცეში, რომელშიაც თავის ასახვას პოულობს ეკონომიკური მოვლენა. სასტემების ან პროცესების დისკრეტული, ხასიათი ყველაზე სრულად მატრიცულ მოდელებში არის გათვალისწინებული და ამიტომაც ვექტორული და მატრიცული ალგებრის ინსტრუმენტთა ასე ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში“<sup>12</sup>.

მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენება მოიცავს მოდელირებასაც, ამასთან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შუალედი, გარდამავალი საფეხურია ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებასათვის. მოდელირების მეთოდს თავიანთ გამოკვლევებში იყენებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, მარქსის კვლავწარმოებას სქემა წარმოდგენს უზოგადესი სახით წარმოდგენილ, განვითარებადი სახალხო მეურნეობის თეორიულ მოდელს, რომელსაც საფუძვლად უდევს მატერიალური წარმოების სფეროს წარმოდგენა ქვედანაყოფებად: წარმოების საშუალებათა წარმოება და მოხმარების საგნების წარმოება. ვ. ა. ლენინმა შექმნა საზოგადოებრივი პროდუქციის საბაზრო რეალიზაციის სქემა. კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში ფართოდაა გამოყენებული მოდელირების პრინციპები.

ცნობილია რიცხვითი მოდელების აუცილებლობა ეკონომისტისათვის ისე, როგორც ინჟინრისათვის ნახაზი. რიცხვითი მოდელების განვითარებაზე მუშაობდნენ საბჭოთა ეკონომისტები, მათ შორის აღსანიშნავია ვ. ს. ნემჩინოვისა და ს. გ. სტრუმილიანის შრომები<sup>13</sup>. ამჟამად საბჭოთა კავშირში წარმატებით ვითარდება ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელირების ის მიმართულება, რომელსაც საფუძველი ვ. ს. ნემჩინოვმა ჩაუყარა. ეკონომიკურ-მათემატიკურმა და ეკონომიკურ-კიბერნეტიკულ გამოკვლევებმა,

<sup>11</sup> Л. В. Канторович, Е. Г. Гольштейн, В. Л. Макаров, И. В. Романовский. "Современный математический аппарат управления экономикой, Вестник АН СССР, 1972, октябрь, 10, стр. 70—79.

<sup>12</sup> Б. Т. Грязнов, Анализ и моделирование стоимости в экономических процессах, Горький, 1973, стр. 86.

<sup>13</sup> В. С. Немчинов, Экономико-математические методы и модели, М., 1964 г.

რომელშიაც საბჭოთა კავშირში ინტენსიურად მუშაობა დაიწყო 50-იან წლებიდან, გაიარა შემდეგი თანმიმდევრული ეტაპები<sup>14</sup>: პირველი — დასაწყისი (დაახლოებით 50-იან წლებიდან), ბალანსური მოდელირების შემუშავება, წრფივი პროგრამირების მოდელების გამოყენება ექსპერიმენტალურა გამოთვლებისათვის;

მეორე — დასაწყისი (დაახლოებით 60-იანი წლებიდან), ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სახით ოპტიმიზაციის მოდელების შემუშავებაზე და მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის დაგეგმვის ამოცანებში; შედგენილია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები გადაზიდვის ოპტიმალურა მარშრუტების დასადგენად, სათბობი რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის და სხვა, ეკონომიკურ ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენებული მოდელების დიდი ნაწილი წრფივი პროგრამირების მეთოდებით იქნა მიღებული;

მესამე — დასაწყისი (დაახლოებით 70-იანი წლებიდან), სახალხო მეურნეობის ოპტიმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ამოცანათა დამუშავება, სისტემური მიდგომა, გამოთვლითი ცენტრების ქსელების ბაზაზე სახალხო მეურნეობის მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოება.

საკავშირო სიმპოზიუმზე „სახალხო მეურნეობის მოდელირება, რომელიც 1970 წელს ნოვოსიბირსკში ჩატარდა, აღნიშნულია, რომ მოდელირების ის ეტაპი, როდესაც მოდელი გამოდიოდა როგორც ეკონომიკური ანალიზის შემეცნების მეთოდი, განვლილია, თუმცა ამ მიმართულებითაც ღრმავდება მუშაობა. ამჟამად არსებითია მოდელირების მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება.

სკკპ 24-ე ყრილობის დირექტავეებში სსრკ-ში სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით დასახულია ამოცანა, რომ უზრუნველყვით ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ელექტრონული გამოთვლითი და ორგანიზაციული ტექნიკის ფართო გამოყენება... გაიშალოს მუშაობა დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად და დასაწერად. სახალხო მეურნეობის მოდელირების პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოებას ეფექტურობის ამაღლების აქტუალურ ამოცანის ამოხსნასთან. ოპტიმალური სახალხო მეურნეობრივი მოდელების სისტემა, ა. გ. ავანგუდიანის აზრით უნდა აერთიანებდეს ურთიერთდაკავშირებულ მოდელებს: მკაროეკონომიკური დარგთა შორის ბალანსის, შიგადაზოგობრივ და რეგიონალურ მოდელებს; ხოლო საზოგადოდ შეუძლებელია ისეთი მოდელის შედგენა, სადაც ასახული იქნება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ყველა არსებითი თავისებურება. მოდელს შეუძლია ასახოს ეკონომიკური პროცესების განსაზღვრული წრე განსაზღვრული აბსტრაქციით. მოდელები საკმაოდ მრავალმხრივია, ამიტომ მუშავდება მოდელირებისადმი ერთიანი სისტემური მიდგომა.

ეკონომიკური მოვლენების შესასწავლად სისტემური მიდგომა გულისხმობს სისტემური ანალიზის პოზიციებიდან — როგორც ერთი მთლიანის —

<sup>14</sup> Словарь-справочник математика и кибернетика в экономике, М., 1971 г.



ეკონომიკის შესწავლას<sup>15</sup>. ეკონომიკური მოვლენების შესასწავლად სისტემური მიდგომის ფუძემდებლებია კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მათ მიერაა დასაბუთებული თეზისი მატერიალური სამყაროს დიალექტიკური ერთიანობის შესახებ.

სისტემური მიდგომით მიღებული მათემატიკური მოდელების საშუალებით შეიძლება ერთბაშად ვაწარმოოთ არა მარტო ერთი ობიექტის, არამედ მთელი რიგი მსგავსი სისტემებისა და პროცესების მოდელირება.

ამჟამად ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და მეთოდები ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ-გამოკვლევებში, ამასთან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების თეორია და მისი აგების პრინციპები განსაზღვრულ თანამედევრულ სახეს იღებენ და ყალიბდებიან ეკონომიკური სისტემების თეორიაში როგორც შემადგენელი ნაწილი.

<sup>15</sup> Н. И. Федоренко. Системный подход к изучению экономических явлений, Словарь-справочник, стр. 14.



თამაზ თურმანიძე

სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში მოკლევადიანი პროგნოზირებით

სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სკკ XXIV ყრილობამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიმდინარე ხუთწლედის ძირითადი მიზანია მოსახლეობის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სყიდვითი მოთხოვნა კი მოთხოვნილების გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა, ამიტომ მისი შესწავლა და მაღალ მეცნიერულ დონეზე პროგნოზირება უშუალოდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასთან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით მოთხოვნის სხვადასხვა განმარტებას, არსებობს ცნებები „გადახდისუნარიანი მოთხოვნა“, „სყიდვითი მოთხოვნა“, უბრალოდ „მოთხოვნა“. მოსახლეობის ფულად შემოსავალ-გახავლის ბალანსს შედგენისას სყიდვითი ფონდებისა და მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის განჯარიშების წესს უშუალო კავშირი აქვს ზემოაღნიშნული ცნებების სწორ განმარტებასთან.

საგვემო პერიოდისათვის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაანგარიშებისას ფულადი შემოსავლების მთლიან თანხას აკლდება სავალდებულო გადასახადები და ნებაყოფლობითი შენატანები. მოსახლეობის სყიდვითი ფონდები ანუ საქონლის შესყიდვაზე გაწეული ხარჯები განისაზღვრება გადახდისუნარიანი მოთხოვნის საერთო თანხიდან მომსახურების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. ამგვარად, მიზანშეუწონელია ტერმინის „გადახდისუნარიანი მოთხოვნის“ ხმარება, როცა საქმე გვაქვს საქონლის რეალიზაციის შესაძლებლობათა მეცნიერულ განჭკვრეტასთან. ტერმინი „სყიდვითი მოთხოვნა“ ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოხატავს აღნიშნული პროცესის შინაარსს.

დღესდღეობით არ არსებობს სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზების საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაცია დროის დიამაზონის მიხედვით. ზოგაერთი ავტორი მოკლევადიან პროგნოზებს მიაკუთვნებს ერთ წლამდე ვადათ, მეორენი, რამდენიმე თვიდან სამ წლამდე, მესამენი კი, ერთიდან სამ წლამდე. რომელი შეხედულებაა სწორი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გამოვიღეთ იქიდან, თუ რა მიზანს ისახავს სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირება. სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირება, ძირითადად ემსახურება მიმდინარე წლის საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურის შეფასებას და წარმოადგენს ბაზას წლიური გეგმების შესადგენად. სწორი პროპორციების დამყარების უზრუნველყოფა სყიდვითი ფონდების მოცულობასა და საბაზრო ფონდების მოცულობას შორის საგვემო წლისათვის ასახავს სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზის შინაარსს. რადგან, სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზი მამდინარე წლის საცალო საქონელბრუნვის წინაეტაპია, არ შეიძლება მისი აბსტრაპირება გეგმისაგან. ასეთ აბსტრაპირებასთან გვაქვს საქმე, როცა ვი-

ლებთ ერთ წელზე მეტ პერიოდს. ჩვენი აზრით, საბინადრო ვადებისაგან დამოკიდებულებით სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზი უნდა მოიცავდეს პერიოდს ერთ წლამდე ვადით (თვაური, კვარტალური, სეზონური და წლიური პროგნოზები).

სხვადასხვა ავტორის მიერ მოცემულია სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდი მოკლევადიან პროგნოზირებაში. ერთ-ერთი მათგანას არსი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში საკმაო პოპულარობა მოიპოვა, შემდეგში მდგომარეობს: ფულადი შემოსავლების ელასტიურობის კოეფიციენტით, რომელიც ახასიათებს მოხმარებაში ცვლილებას რიგი ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით გაიანგარიშება არა მარტო სხვადასხვა საქონლის მოხმარება, არამედ სყიდვითი მოთხოვნაც მათზე. ამ მეთოდს გვთავაზობენ პრაქტიკული გაანგარიშების სიმარტივის თვალსაზრისით. ეს მეთოდი სრულიად უგულებელყოფს წარმოებას გადამწყვეტ როლს, აგრეთვე არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოხმარების სტრუქტურა ყალიბდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების იძულებითი შეზღუდვების პირობებში, როცა მოხმარებელი იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ საქონლის შეძენით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მის მოთხოვნას. ამასთან, გაყიდვის მონაცემები ახასიათებენ არა მთლიან სყიდვით მოთხოვნას, არამედ მას მხოლოდ რეალიზებულ ნაწილს. უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე საქართველოს სსრ მოსახლეობის სყიდვითი ფონდების ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს საქონლის შექენაზე გაწეული ხარჯების ზრდის ტემპს, რაც გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკაში მოსახლეობის სყიდვითი ფონდები მთლიანად არ გამოიყენება. მოსახლეობა იძულებულია სამრეწველო საქონელი შეიძინოს რესპუბლიკის გარეთ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში (მაგ. ავეჯის შესყიდვა რიგაში). თქმა იმისა, რომ ფულის მიგრაციის მაჩვენებელი მყარი სიდიდეა, შეცდომაა. ფულის მიგრაციის წარსულში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს აქვთ თავისი მიზეზები, რაც ერთ შემთხვევაში კანონზომიერ ხასიათს ატარებს. მაგ. საქართველო კურორტებით განთქმული რესპუბლიკაა, წლის განმავლობაში, განსაკუთრებით გაზაფხულ-ზაფხულის სეზონურ პერიოდში აქ ჩამოდის ბევრი დამსვენებელი, რომლებსაც ჩამოაქვთ ნაღდი ფული, მაგრამ მათ მიერ ჩამოტანალი ფულადი თანხა არ აღემატება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილ ფულად თანხას.

ფულის მიგრაციის პასიური სალდო არ წარმოადგენს კანონზომიერ მოვლენას ჩვენი რესპუბლიკისათვის და განპირობებულია ადგილობრივი მრეწველობის მოსახლეობის მოთხოვნასთან შეუსაბამო განვითარებით. ამ არამყარი ტენდენციის რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვის წლიურ გეგმებში უცვლელად გადატანა ადგილობრივ მრეწველობას ორიენტაციას დაუკარგავდა საჭირო ხარისხისა და ასორტიმენტის საქონლის გამოსაშვებად. ამიტომ არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამა თუ იმ საქონელზე წარსულში ჩამოყალიბებული გაყიდვის მოცულობა მასზე მოთხოვნას წარმოადგენს. სყიდვითი მოთხოვნა და რეალიზებული მოთხოვნა ცალკეულ საქონლის უკმარისობის პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, შემოსავლების მიხედვით ელასტიურობის კოეფიციენტის გამოყენება სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის

განსაზღვრის მიზნით პროგნოზირებადი წლისათვის მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის პროგნოზა მიმდინარე წლისათვის შეაძლება გამოვიანგარიშოთ ფორმულით:

$$C_{II} = T_p + C_{II} \pm Mg, \text{ სადა:}$$

$C_{II}$ —სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობაა,  $T_p$  — ორგანიზებული და არაორგანიზებული ბაზრის საცალო საქონელბრუნვა,  $Mg$ —ფულის მიგრაციის სალო.

სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობა რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით), გაიანგარიშება ფორმულით:

$$C_{III} = T_p - T_{II} - T_{კომ} - T_{ფს}, \text{ სადა:}$$

$C_{III}$  —სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობაა რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში,  $T_{II}$  — არაორგანიზებული ბაზრის (საკოლმეურნეო ვაჭრობის) საცალო საქონელბრუნვა,  $T_{კომ}$  — საკომისიო ვაჭრობის გზით გაყიდულა საქონლის მოცულობა,  $T_{ფს}$  — მომსახურების ანაზღაურება, რომელიც შედის საცალო საქონელბრუნვაში (ხანგრძლივი მოხმარების საქონლის რემონტი, სამკერვალო და ფეხსაცმლის ატელიების ბრუნვა, ქიმიური წმენდა და ა. შ.).

ზემოთ მოყვანილი ფორმულა შესაძლებლობას გვაძლევს მაქსიმალურა სიზუსტით განვსაზღვროთ იმ სყიდვითი ფონდების მოცულობა, რომელსაც მოსახლეობა იყენებს სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში საქონლის შესაქენად. განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნეს მ აღებული ის გარემოება, რომ სყიდვითი ფონდების მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს მოსახლეობა იყენებს საკოლმეურნეო ბაზარზე სასურსათო საქონლის შესაქენად. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში თანმიმდევრული შემცირება საკოლმეურნეო ბაზრის ზედრითი წონისა კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც დღესდღეობით ფართო მასშტაბით ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში. შესაბამისად ამისა გაიზრდება იმ სყიდვითი ფონდების რაოდენობა, რომელიც წარიმართება სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

ანალიზმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას სყიდვითი ფონდების ზრდასა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვას შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება:

$$y = a + bx, \text{ სადა:}$$

$y$  — არის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ინდექსი პროგნოზირებადი წლისათვის,  $x$  — სყიდვითი ფონდების ინდექსი პროგნოზირებადი წლისათვის,  $a$  და  $b$  — პარამეტრები.

იმისათვის, რომ დამყარდეს სწორი თანაფარდობა მოსახლეობის სყიდვითს ფონდებსა და საბაზრო ფონდებს შორის პროგნოზირებადი წლისათვის, საჭიროა საცალო საქონელბრუნვა გავათავისუფლოთ იმ საბაზრო ფონდებისაგან, რომელსაც არ შეიძენს მოსახლეობა.

$$T_{ფრ} = T_{ფს}, - T_{რუმო} - T_{ფრ}, \text{ სადა:}$$



**Торг** — ორგანიზებული ბაზრის საცალო საქონელბრუნვა, მიმართული უშუალოდ მოსახლეობაზე.

**Торг** — ორგანიზებული ბაზრის მთლიანი საცალო საქონელბრუნვა,

**Трговля** — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს განყოფილების ბურნვა, **Зорг** — საქონლის შესყიდვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების მიერ (წვრილ ბითუმად ვაჭრობა).

სყიდვითი ფონდების სწორ აღრიცხვაზე დამოკიდებული მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი საქონელბრუნვისა და სასაქონლო მასის დადგენა, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, როგორც ეს ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, რომ საგვეგმო ორგანოებმა საცალო საქონელბრუნვის მოცულობა უნდა დაადგინონ სყიდვითი ფონდების შესაბამისად. სყიდვითი მოთხოვნა (განსაზღვრული სყიდვითი ფონდებით) მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება წარმოების მიღწეული დონით, შეზღუდულია მითივე ერთი მხრივ და მის მაერვე სტიმულირდება, მეორეს მხრივ. თქმა იმისა, რომ წარმოებითი ხასიათის შეზღუდვების გამო საცალო საქონელბრუნვის არასაკმარისი სასაქონლო დაფარვა იწვევს თანაფარდობის დარღვევას სყიდვით მოთხოვნასა და საქონლის მიწოდებას შორის, არასწორია. სოციალიზმის დროს არსებობს წინააღმდეგობა საწარმოო ძალების მიღწეულ დონესა და მოსახლეობას სყიდვითუნარიან მოთხოვნას შორის. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არაანტაგონისტურია და გამომდინარეობს მოთხოვნილებათა ზრდის კანონის მარქსისტულ-ლენინური განმარტებიდან. როცა მოთხოვნა წინ უსწრებს წარმოებას, ეს უკანასკნელი ვითარდება, რათა რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს სყიდვითი მოთხოვნა. როცა წარმოება წინ უსწრებს მოთხოვნას, წარმოიშვება ზენორმატიული მარაგი, რაც აფერხებს საცალო საქონელბრუნვის ნორმალურ მსვლელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სყიდვითი მოთხოვნა და საცალო საქონელბრუნვა არაიდენტური ცნებებია. სყიდვითი მოთხოვნა — ეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებაა, შეზღუდული მოსახლეობის სყიდვითუნარიანი შესაძლებლობებით. საცალო საქონელბრუნვა კი — რეალიზებული მოთხოვნაა, შეზღუდული როგორც მოსახლეობის სყიდვითუნარიანი შესაძლებლობებით, ისე შესაბამისი საბაზრო ფონდებით. საწარმოო ხასიათის შეზღუდვები (დეფიციტური საქონლის არსებობა) მოთხოვნის სტრუქტურას ცვლის საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურით. რამდენადაც ერთა წლის მანძილზე არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი საწარმოო ხასიათის ძვრები, ამიტომ მოკლევადიანი პროგნოზირებისას (ერთ წლამდე ვადით) სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზი ვარაუდობს უნდა იქნას საცალო საქონელბრუნვის პროგნოზად. საწარმოო შეზღუდვები ჩვენს რესპუბლიკაში განპირობებულია ადგილობრივი მრეწველობის სუსტი განვითარებით. საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის ნაკლოვანება კი იმაშია, რომ თითქმის არ გაითვალისწინება სავაჭრო ორგანიზაციების და საწარმოების განაცხადები და დაკვეთები.

სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის პროგნოზი საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$C_{\text{მ1}} = T_{\text{გრ}} + C_{\text{მ}} + M_{\text{გ}}$$

მოსახლეობის სციდვითი მოთხოვნის გაანგარიშების მატერიალური საფუძველია მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსი, რომელიც ახასიათებს ფულადი შემოსავლებისა და ფულადი გასავლების მოცულობასა და სტრუქტურას ერთი წლის მანძილზე. სციდვითი მოთხოვნა კი ფორმირდება არა მარტო მიმდინარე შემოსავლების ხარჯზე, არამედ წარსულში არარეალიზებული შემოსავლების ხარჯზეც. ამგვარად, სასაქონლო მიწოდების შედეგად, რომელიც ყოველმხარე არ შეესაბამება სციდვით მოთხოვნას, აიძულებს მოსახლეობას შეიძინოს არა ის საქონელი, რომლის ყიდვის სურვილიც გააჩნია, რასაც მიყვავართ ფულადი დანაზოგების ზრდასთან და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გაჩენასთან. ყოველ მოცემულ მომენტში და დროის გარკვეულ პერაოდში სციდვითი მოთხოვნა რეალიზაციის პროცესში გადაიქცევა რეალიზებულ და დაუკმაყოფილებელ სციდვით მოთხოვნად. სციდვითი ფონდების გაანგარიშებისას კი, გამომდინარე მოსახლეობის ფულად შემოსავალ-გასავლის ბალანსიდან, სციდვითი ფონდები განიხილება, როგორც სასაქონლო მიწოდების შესაძლებელი მოცულობა: ბალანსის გეგმურ გაანგარიშებებში მოსახლეობის ფულადი ნაშთების ზრდა არ გაითვალისწინება, მაშინ როდესაც შემნახველ სალაროებში შენატანები თანხა უნდა განიხილებოდეს, როგორც პოტენციური მოთხოვნა.

სციდვითი ფონდების გაანგარიშება დისკუსიის საგანია საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, მაგრამ ერთიანი აზრი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. აღნიშნული საკითხი დისკუსიის საგანი შეიქმნა რესპუბლიკის ეკონომიკურ ლიტერატურაშიც. გამომდინარე აქედან, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის — „ენიიკს“-ის საქართველოს ფილიალმა სციდვითი ფონდების მოცულობა 1971—1975 წლებში გაიანგარიშა შემდეგნაირად: მოსახლეობის ფულად შემოსავლებს მიემატა ფულადი დანაზოგების მთელი თანხა მიმდინარე წლის ბოლოსათვის და გამოაკლდა გადასახადები, სხვადასხვა გამონაქვითები, არასასაქონლო დანახარჯები და ყველა სახის დანაზოგის ოპტიმალური სადიდე. სციდვითი ფონდების გაანგარიშების აღნიშნული მეთოდიკა მეთოდოლოგიურად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ადრე არსებული, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სციდვითი ფონდების გაანგარიშება ჩვენს რესპუბლიკაში. იგი ითვალისწინებს ფულადი დანაზოგების (როგორც ორგანიზებულ — ანაბრების ზრდა შემნახველ სალაროებში, ისე არაორგანიზებულ — ფულის ჩაწოლა მოსახლეობაში) მნიშვნელოვან ზრდას რესპუბლიკის მოსახლეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრე არსებული მეთოდიკით სციდვითი ფონდების მოცულობა განიხილებოდა, როგორც მოსალოდნელი სასაქონლო მიწოდება და ამცირებდა სციდვითი ფონდებს დაუკმაყოფილებელი სციდვითი მოთხოვნის სიდიდით დეფიციტურ საქონელზე, აღნიშნული მეთოდიკა, პირიქით, ხელოვნურად ზრდის სციდვითი ფონდებს საგვემო წლისათვის, უფრო მეტად, ვიდრე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნაა.

მოსახლეობის ფულადი დანაზოგები არ ასახავენ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის სიდიდეს. ფულად დანაზოგებში მოსახლეობა მის მხოლოდ ნაწილს გადადებს იმისათვის, რომ გაყიდვაში ვერ ნახა საჭირო ასორტიმენ-

ტისა და ხარისხის საქონელი. ფულადი დანაზოგები ასახავენ პოტენციურ მოთხოვნას:

1. ფასიან მომსახურებაზე (მაგ. ფულის გადადება ზაფხულში დასვენებისათვის);

2. ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე (მაგ. ავეჯზე, ერთი მხრივ იმიტომ, რომ არ არსებობს გაყიდვაში მოთხოვნის შესაბამისი ავეჯი, მეორე მხრივ, მომხმარებელს ჯერ კიდევ არ გააჩნია საჭირო რაოდენობის ფული, მესამე მხრივ, შესაბამისი საბინაო პირობების არ არსებობა);

3. დეფაციტურ საქონელზე (მიმდინარე დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნა).

რესპუბლიკის მოსახლეობის ფულადი დანაზოგები არ ანალიზდება სათანადო ყურადღებით, ფულადი დანაზოგების ის ნაწილი, რომელიც შეადგენს მიმდინარე დაუკმაყოფილებელ სყიდვით მოთხოვნას, უნდა განისაზღვროს სპეციალურა გამოკვლევებით, აგრეთვე გამოკითხვის გზით (მომხმარებლებთან ინტერვიუ, შეანაბრეთა შერჩევითი გამოკითხვა და ა. შ.). ამრიგად, სოციოლოგიას მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლია გაუწიოს აღნიშნული საკითხების მაღალ დონეზე გამოკვლევაში.

სყიდვითი მოთხოვნას მოკლევადიანი პროგნოზირებისას (ერთ წლამდე ვადით) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სყიდვითი ფონდების სწორად დადგენას. იმისათვის, რომ დავამყაროთ სწორი თანაფარდობა თეორიულად გაანგარიშებულ სყიდვით მოთხოვნასა და გეგმურ სყიდვით ფონდებს შორის, ხდება სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზირებული მნიშვნელობის კორექტირება შესაბამისი მომსწორებელი კოეფიციენტით:

$$K = \frac{\Phi_{II}}{C_{II}}, \text{ სადა:}$$

$K$ —მოსწორების კოეფიციენტი,  $C_{II}$ —სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზირებული მნიშვნელობა,  $\Phi_{II}$ —სყიდვითი ფონდების გეგმური მნიშვნელობა.

$C_{II} = \Phi_{II}$  და წარმოადგენს სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობას მოკლევადიანი პროგნოზირებისას.

დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის გაანგარიშება შეიძლება ფორმულით:

$C_{II} + Mg = C_{II} - T_{\text{opr}}$ , სადაც დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის სიდიდეს რესპუბლიკაში ემატება უარყოფითი სალდოს მნიშვნელობა.

ზოგიერთ ეკონომისტს სხვაობა სყიდვითს მოთხოვნასა და რეალიზებულ სყიდვითს მოთხოვნას შორის (საცალო საქონელბრუნვა) მიაჩნია გადადებულ პოტენციალურ სყიდვით მოთხოვნად. აქ ისევ საქმე გვაქვს დაუკმაყოფილებელი და პოტენციალური სყიდვითი მოთხოვნის ცნებების გაიგივებასთან. არსებობს დაუკმაყოფილებელი სყიდვითა მოთხოვნის გაანგარიშების მეორე წესიც, გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ უკანასკნელ წლებში ორგანიზებული ფულადი დანაზოგების ზრდის ტემპი აღემატება მოსახლეობის რეალური ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპს. რამდენადაც ფულადი დანაზოგები წარმოადგენენ რეალური ფულადი შემოსავლების ფუნქციას, აღნიშნული გზით განსაზღვრული სყიდვითი მოთხოვნა არის პოტენციური და არა დაუკმაყოფილებელი.

ფულადი დანაზოგების ნაწილი, რომელიც ასახავს დაუკმაყოფილებელ სყიდვით მოთხოვნას დეფიციტურ საქონელზე, წარმოადგენს სყიდვითი ფონდების (მიმდინარე სყიდვითი მოთხოვნას) ფუნქციას. რამდენადაც იზრდება ფულადი დანაზოგების ამ ნაწილის ხვედრითი წონა სყიდვითი ფონდების საერთო მოცულობაში, იმდენად ვერ კმაყოფილდება მიმდინარე სყიდვითი მოთხოვნა. მეთოდოლოგიურად გამართლებულია, რომ მათი ზრდის ტემპებს შორის სხვაობის საფუძველზე განისაზღვროს დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობა. გარდა ამისა, დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ დეფიციტურ საქონელზე სყიდვითი მოთხოვნა დგანდება არსებული რესურსების მოცულობით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი მრეწველობის გაუმჯობესებას და იმპორტის გაფართოების შესაძლებლობების ანალიზს პროგნოზირებადი წლისთვის. მნიშვნელოვან სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ფულის მიგრაციის სალდოს პროგნოზირება, რადგან იგი არაორგანიზებული პროცესია და უშუალოდ არ იგეგმება.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე, აგრეთვე, რესპუბლიკის სახელმწიფო საეკვმო კომიტეტი ანგარიშობენ ფულის მიგრაციას, მაგრამ ეს გაანგარიშებები ხშირად პირობითია და შედეგებითაც საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფულას მიგრაციის ზუსტი განსაზღვრა ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ჭრჭყრობით არაა დადგენილი ფულის მიგრაციის (როგორც შემოტანის, ისე გატანის) ზუსტი გაანგარიშების მეთოდიკა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ფულის მიგრაციის სალდოს ერთწლიან პროგნოზი უდარესად პირობითია და მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს. შესაბამისი მონაცემებით ცნობილია, რომ რესპუბლიკას ფარგლებს გარეთ გატანილი ფული საშუალოდ 20 პროცენტით აღემატება რესპუბლიკაში შემოტანილ ფულს. ვსარგებლობთ რა იმ მოსაზრებით, რომ აუცილებლობას წარმოადგენს უახლეს წლებში ადგილობრივი მრეწველობას საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც თავის მხრივ რეგულაციას გაუწევს რესპუბლიკის მოსახლეობის სყიდვით მოთხოვნას და მინიმუმამდე შეამცირებს ფულის გატანას რესპუბლიკას ფარგლებს გარეთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფულის მიგრაციის პასიური სალდოს 4%-იანი საშუალო წლიური შემცირება. პროგნოზის ბაზად აღებული იქნება 1975 წელი. 1970 წლისათვის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების კვალობაზე ფულის მიგრაციის პასიური სალდო მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სყიდვითი მოთხოვნის მოკლევადიან პროგნოზირებას ორი ასპექტი აქვს:

1. სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის განსაზღვრა

2. სყიდვითი მოთხოვნის ასორტიმენტული სტრუქტურის განსაზღვრა ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ერთმანეთს განაპირობებენ. არ შეიძლება შემოვიფარგლოთ ან მხოლოდ საერთო მოცულობის, ან მხოლოდ სტრუქტურის განსაზღვრით — მათი პროგნოზირება უნდა მოხდეს მჭიდრო ურთიერთ კავშირში.

სყიდვითი მოთხოვნის სტრუქტურის პროგნოზი ხდება ეკონომიკურ-მეთოდიკური მოდელით, რომელიც გამოხატულია მრავლობითი რეგრესიის





განტოლებით, არსებობს გაანგარიშების ინდუქციური და დედუქციური დებები. დედუქციური მეთოდის დროს (ზოგადიდან კონკრეტულსაკენ) ჯერ განისაზღვრება სყიდვითი მოთხოვნა სამრეწველო და სასურსათო საქონელზე საერთოდ, შემდეგ ცალ-ცალკე სამრეწველო და სასურსათო საქონლის შიგნით მსხვილ სასაქონლო-ჯგუფებზე, ქვეჯგუფებზე და ბოლოს, ცალკეული ასორტიმენტის საქონელზე. დედუქციური მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ საქონელთა ურთიერთ შეცვლადობა, გარდა ამისა, სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობიდან მსველელობით არ ვცდებით საერთო თანხას და შესაძლებელია სასაქონლო ჯგუფების, ქვეჯგუფების და ცალკეული ასორტიმენტის საქონლის ფარგლებში მოხდეს მათზე სყიდვითი მოთხოვნის კორექტირება. ინდუქციური მეთოდით კი (კონკრეტულიდან ზოგადისაკენ) საქონელი სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის კორექტირება, როცა სასაქონლო ჯგუფებზე, ქვეჯგუფებზე, ან ცალკეული ასორტიმენტის საქონელზე სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზული ჯამი არ გვაძლევს ან აღემატება სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის თანხას. ასეთი კორექტირებისას ხდება სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის პროგნოზულ სიდიდეზე დასვლა, რაც თავის მხრივ იწვევს სასაქონლო ჯგუფებზე (ქვეჯგუფებზე და ცალკეული ასორტიმენტის საქონელზე) სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზების კორექტირებას სყიდვითი მოთხოვნის საერთო მოცულობის ფარგლებში.

რეპრეზენტატულობისა და სიმარტაეის თვალსაზრისით მისაღებია მეთოდი — ზოგადიდან კონკრეტულსაკენ, რის გამოც იგი უფრო ფართოდ გამოიყენება სყიდვითი მოთხოვნის პროგნოზირებისას.

სასაქონლო ჯგუფებზე სყიდვითი მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა პრობლემური საკითხია. საქმე იმით რთულდება, რომ წარმოების დაეგმვისას უნდა დაეყარდნოთ არა მხოლოდ ფაქტიურ სყიდვით მოთხოვნაზე მონაცემებს, არამედ ვიცოდეთ კიდევ მასში მოსალოდნელი ცვლილებები მომავალი წლისათვის. ფაქტიური სყიდვითი მოთხოვნის განსაზღვრა შესაძლებელია გაყიდული საქონლის ოპერატიული აღრიცხვით, მაგრამ აღნიშნული გზით მიღებული მონაცემები ყოველთვის არ ასახავენ სყიდვითი მოთხოვნის სტრუქტურას.

დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის გამოკვლევა ლოკალური მასშტაბით (ცალკეული ასორტიმენტის საქონელზე) ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. სყიდვითი მოთხოვნის სტრუქტურული პროგნოზირებისას ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შეცდომა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ არ გვაქვს საიმედო მონაცემება ცალკეულ საქონელზე დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის სიდიდის შესახებ. ვაჭრობის ფორმა № 3-ით, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას სასაქონლო მარაგების მოძრაობის შესახებ (სასაქონლო მარაგების ზრდა გულისხმობს მიწოდების ზრდას სყიდვით მოთხოვნაზე, სასაქონლო მარაგების შემცირება კი სყიდვითი მოთხოვნის ზრდას მიწოდებაზე), გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს გვიქმნის სყიდვითა მოთხოვნის სტრუქტურული მდგომარეობის შესახებ. სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ სასაქონლო მარაგების მოძრაობის აღრიცხვა ხდება მხოლოდ გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. თვითეული ჯგუფი კი შეიცავს ასობით და ათასობით დასახელებას საქონელს, რომელთა გათვალისწინებაც ვაჭრობის „ფორმა № 3-ში“ რა თქმა უნდა შეუძლებელია.

ლია. ცალკეულ საქონელზე დაუკმაყოფილებელი სყიდვითი მოთხოვნის შეფასებას საბაზისო პერიოდში აქვს სუბიექტურა ხასიათი. მისი ობიექტური შეფასება უნდა ხდებოდეს მომენტალური დაკვირვებისა და კონიუნქტურულა მიმოხილვების საფუძველზე.

„ენიქს-“ის სათაო ინსტიტუტმა შეიმუშავა სყიდვითა მოთხოვნის კვარტალური პროგნოზირებისათვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები. რესპუბლიკის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მათი კორექტირება და გამოყენება. სეზონური მოხმარება უდიდეს გავლენას ახდენს კვარტალური სყიდვითი მოთხოვნების ფორმირებაზე, სეზონური რყევადობის შედეგად სყიდვითი მოთხოვნის სტრუქტურული ცვლილებანი გამოწვეულია კლიმატური პირობების ცვალებადობით, შვებულებების უპირატესი გამოყენების პერიოდით, საკურორტო პერიოდით და ა. შ. აღნიშნული მოვლენების შესწავლასა და ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სყიდვითი მოთხოვნის კვარტალური პროგნოზების შესადგენად.

ოთარ მანჯაშარაშვილი

მეცხოველობის განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის  
საპარტოველოს სსრ-ში

საბოთა კავშირში საქართველოს სსრ მრავალდარგოვან რესპუბლიკადა წარმოადგენილი, სადაც სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მეცხოველეობა, რომლის განვითარებას საბოთა ხელისუფლების წლებში ორგანიზებული ხასიათი მიეცა. მეცხოველეობის ეკონომიკას ღრმა მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნეს: აკად. პ. გუგუშვილიმა („საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება 19-20 საუკუნეში“, სამტომეული), ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. კახეთელიძემ („საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები“, სამტომეული), დოცენტმა ა. ბუჩუკურმა („ადმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები“, საქანდიდატო დისერტაციი) და სხვ. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ დაინტერესდით მეცხოველეობის თანამედროვე მდგომარეობით, მიწანშეწონილად ვცანით მისი განხილვა მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით, რისთვისაც საკვლევად ავიღეთ მერვე ზუთწლედის მონაცემები პირუტყვის სულადობის, პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის შესახებ. შესაბამისად, ცალკეული ზონებისათვის განვსაზღვრეთ დარგის ეკონომიური მაჩვენებლები.

მეცხოველეობას დარგების ზონებისა და მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით განხილვა საშუალებას გვაძლევს იმის წარმოსადგენად, თუ ცალკე სახის პირუტყვის რიცხოვნობაში თვითთოეულ ზონას როგორი ხვედრითი წონა უჭირავს და ამ პირუტყვის ძირითადი ნაწილა რა კატეგორიის მეურნეობაშია თავმოყრილი აღნიშნული მონაცემების მიხედვით. ამ მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბოთსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში გვაქვს საინტერესო ფაქტობრივი მონაცემები პირუტყვისა და ფრინველის რიცხოვნობის, პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის თაობაზე. განვიხილეთ წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონების მიხედვით მოპოვებული კონკრეტული მასალა, ამასთან, რეგიონების მონაცემები შეჯერებულია მთელი რესპუბლიკის მონაცემებთან.

სოფლის მეურნეობას წარმოებრივი სპეციალიზაციის პირველი ზონის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა რესპუბლიკის მიმართ შეადგენს 5,3%-ს. ზონაში პირუტყვის ძირითადი ნაწილი (55%) მოდის საზოგადოებრივ სექტორზე, ხოლო აქ წამყვანი ადგილი უჭირავს კოლმეურნეობებს, თუმცა ბოლო წლებში პირუტყვის სულადობა მნიშვნელოვნად იზრდება საბოთა მეურნეობებშიც.

მეცხვარეობა ამ ზონისათვის ძირითად წარმოებრივ დარგად არ არის მიჩნეული, რადგან აქ მევენახეობასა და ტექნიკურ კულტურებს უჭირავს წამყვანი ადგილი, მიუხედავად ამისა, მისი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მიმართ 10,1%-ს შეადგენს. ცხვრის უმეტესი ნაწილი აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობებშია თავმოყრილი, აქ კი წამყვანი ადგილი ეკუთვნის სახელმწიფო მეურნეობას მას შემდეგ, რაც 1965 წლიდან ახმეტის რაიონში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების მეცხვარეობის საბოთა მეურნეობა. ზონაში საკმაო ხვედრითი წონა (35,2%) უკავია მოსახლეობას, ე. ი. პირად დამხმარე



მეურნეობებს, მაგრამ ცხვრის სულადობა კლებულობს და ეს ძირითადად ეხება საზოგადოებრივ სექტორს. ცხვრისა და თხის სულადობის ზრდა მეცხვრე ხუთწლედში I ზონისათვის გათვალისწინებულია 20,6%-ით. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ეკონომიის განვითარებას.

მელორებობაშიც I ზონას საქმად მალალი ხვედრითი წილი აქვს რესპუბლიკაში. აქაც წამყვანა ადგილი საზოგადოებრივი სექტორისაა, ხოლო აქედან ძირითადია კოლმეურნეობები. სამწუხაროდ, 1966 წელთან შედარებით 1970 წელს ღორის სულადობაც კლებულობს; ამასთან კლება ეხება მეურნეობათა ყველა კატეგორიას. სწორედ ამიტომაც, რომ მისი ზრდის ტემპი 1975 წ. გათვალისწინებულია 24,3%-ით.

I ზონაში მკვეთრად იზრდება მეფრინველეობა. ამ შემთხვევაში აღებულია მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის მონაცემები, ვინაიდან პირადი დამხმარე მეურნეობის ფრინველი საერთოდ არ აღირიცხება. ზონაში ამ დარგის ხვედრითი წონა შეადგენს 6,2%-ს 1966—70 წლების მიხედვით, ზრდის ტემპმა შეადგინა 69,6%. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს ზონის მეფრინველეობა კვლავ გაიზარდება 90,3%-ით.

პირუტყვის ხვედრითი წონა (პროცენტობით) მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით საქართველოს სსრ-ში

ცხრილი 1

| ზონები      | მსხ. რქოსანი პირუტყვი |       |                 |               | ცხვარი და თხა |       |                 |               | ღორი        |       |                 | ფრინველი      |             |       |                 |
|-------------|-----------------------|-------|-----------------|---------------|---------------|-------|-----------------|---------------|-------------|-------|-----------------|---------------|-------------|-------|-----------------|
|             | რქმ. მიმართ           | კოლმ. | სახელმწ. მეურნ. | პირადი მეურნ. | რქმ. მიმართ   | კოლმ. | სახელმწ. მეურნ. | პირადი მეურნ. | რქმ. მიმართ | კოლმ. | სახელმწ. მეურნ. | პირადი მეურნ. | რქმ. მიმართ | კოლმ. | სახელმწ. მეურნ. |
| I           | 5,3                   | 42    | 13              | 45            | 10,1          | 29    | 36              | 35            | 13,5        | 40    | 12              | 48            | 6,2         | 86    | 14              |
| II          | 4,4                   | 65    | 7               | 28            | 17,4          | 77    | 9               | 14            | 8,9         | 76    | 6               | 18            | 16,5        | 65    | 35              |
| III         | 8,2                   | 17    | 38              | 45            | 14,3          | 16    | 48              | 36            | 6,9         | 26    | 48              | 26            | 34,9        | 4     | 96              |
| IV          | 5,6                   | 40    | 8               | 52            | 23,2          | 66    | 3               | 31            | 5,7         | 19    | 6               | 75            | 0,1         | 72    | 28              |
| V           | 8,4                   | 40    | 14              | 46            | 4,8           | 42    | 8               | 50            | 9,6         | 33    | 12              | 55            | 7           | 38    | 62              |
| VI          | 8,7                   | 44    | 22              | 34            | 18,8          | 44    | 12              | 44            | 2,6         | 23    | 19              | 58            | 0,2         | 43    | 57              |
| VII         | 4,7                   | 38    | 17              | 45            | 4,6           | 54    | 12              | 34            | 1,8         | 14    | 15              | 71            | 15,7        | 34    | 66              |
| VIII        | 12,6                  | 34    | 15              | 51            | 1,8           | 15    | 1               | 84            | 15,8        | 23    | 2               | 75            | 2,9         | 12    | 58              |
| IX          | 3,4                   | 46    | —               | 54            | 0,7           | 14    | —               | 86            | 3,9         | 8     | —               | 92            | 0,1         | 96    | 4               |
| X           | 33,5                  | 25    | 12              | 63            | 4,4           | 31    | —               | 69            | 31,3        | 22    | 10              | 68            | 26,1        | 32    | 68              |
| XI          | 5,2                   | 22    | —               | 78            | 0,9           | —     | —               | 100           | —           | —     | —               | —             | —           | —     | —               |
| სულ საქ.სსრ | 100                   | 33    | 11              | 56            | 100           | 49    | 16              | 35            | 100         | 36    | 11              | 53            | 100         | 33    | 67              |

პირუტყვის ხვედრით წონაზე მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით და რესპუბლიკას მიმართ თითოეული ზონის წილზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილში (1) მოყვანილი მონაცემები, რის მიხედვითაც, მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის მხრივ, განვლილ მერვე ხუთწლედში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (33,5%) რესპუბლიკაში ჰქონდა X ზონას (მასში შემავალი 3 ქვეზონით), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აღნიშნული ზონა რესპუბლიკისათვის წამყვანი იყოს მეძროხეობაში, ეს მხოლოდ ზონის ტერიტორიამ და მოსახლეობის სიმჭიდროვემ განაპირობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მხრივ დანარჩენი ზონებიდან მას მოსდევს მერვე ზონა (12,6%), სხვა ზონები კი არ შეადგენენ 10—10%-საც. პირუტყვის

ყველაზე მცირე რაოდენობა მოდის მეცხრე, მეშვიდე და მეორე ზონებზე (3,4%, 4,7%, 4,4%). ასეთი მიდგომა მხოლოდ საკათხის ცალმხრივი განხილვით იგრძნობა, რადგან, თუ ჩვენ მას განვიხილავთ მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით, მაშინ იგი პირიქით გამოდის, რადგან საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ყველაზე მეტა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ყავს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მეორე (72%), მეექვსე (66%), მესამე (54,7%), და პირველ (55%) ზონებს; ხოლო ყველაზე ნაკლები პირუტყვია მეათე და მეთერთმეტე ზონებში, ვინაიდან პირუტყვის მეტი რაოდენობა (შესაბამისად 63,2%—77,8%) თავმოყრილია პირად-დამხმარე მეურნეობებში. პირუტყვის უფრო ნაკლები რაოდენობაა ცალკე აღებულ სახელმწიფოებრივ მეურნეობებში და საშუალოდ შეადგენს საზოგადოებრივი პირუტყვის საერთო მაჩვენებლის 11%-ს.

მეცხვარეობა თავისი პროდუქციის მრავალსახეობით (მატყლი, ხორცი, რძე) ყველგან უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ, როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემიდან ჩანს, იგი ნაკლებადაა წარმოდგენილი ასეთ მთიან რაიონებშიც, როგორცაა მეშვიდე და, ნაწილობრივ, მეხუთე (სამხრეთ ოსეთის) ზონები. საერთო სიდიდის მიხედვით პირველ ადგილზეა მეოთხე ზონა — (23,2%), რომელსაც მოსდევს მეექვსე ზონა (18,8%); შემდეგია მეორე ზონა (17,4%), მესამე ზონა (14,3%) და პირველი ზონა 10,1%; მაგრამ აქაც, თუ საკითხს განვიხილავთ ცხერის მეურნეობათა კატეგორიებში განაწილების მიხედვით, ვნახავთ, რომ პირველი ადგილა II ზონას მიეკუთვნება, ვინაიდან მთლიანი ცხვარის 86,2% საზოგადოებრივ მეურნეობაშია თავმოყრილი, მას მოსდევს IV ზონა (66,1%) შემდეგ — VII ზონა (65,8%), I ზონა (65,1%), შემდეგ III ზონა (69,8%), VI ზონაში (56,2%) და ა. შ. თუ მეურნეობათა კატეგორიის მიხედვით ცხერის რაოდენობას შევადარებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი ცხვარი ჯერჯერობით გვყავს კოლმეურნეობებში, სადაც საშუალოდ სულალობა მთლიანის მიმართ შეადგენს 48,7%-ს, იქედან წამყვანია ზემოაღწერილი ზონები. გამონაკლისია III ზონა, სადაც ცხერის 48,4%, ხოლო პირველ ზონაში 35,5% განაწილებულია საბჭოთა მეურნეობებში.

XI ზონის გარდა, მეღორეობას რესპუბლიკაში ყველგან მისდევენ, მაგრამ ცალკეულ ზონებიდან მეღორეობის ხვედრითი წონა ყველაზე მაღალია X ზონაში, სადაც შეადგენს 31,3%-ს, მერვე ზონაში (15,8%) პირველ ზონაში (13,5% და ა. შ., მაგრამ იგი მცირედაა წარმოდგენილი VII (1,8%), VI (2,6%) და IX (3,9%) ზონებში, რის გამოც აქ არსებული ბუნებრივი საკვები ადგილობრივი ჯილაგის ღორისათვის ნაკლებადაა გამოყენებული. მეობის მეღორეობა ძირითადად მოქცეულია პირად-დამხმარე მეურნეობაში; მოდის, III ზონაში — 73,6%. I ზონაში 51,8% და ა. შ. მაგრამ რიგი ზონების მეღორეობა ძირითადად მოქცეულია პირად-დამხმარე მეურნეობაში; ასე, მაგალითად: IX ზონაში იგი შეადგენს 92,2%-ს, IV ზონაში — 75,4%-ს, VIII ზონაში — 74,9%-ს, X ზონაში 68,7%, V — ზონაში 54,8 და ა. შ. ასეთი ვითარების გამო, რესპუბლიკაში მეღორეობა ძირითადად პირად დამხმარე მეურნეობაშია თავმოყრილი (მთლიანი სულალობის 53,8%), კოლმეურნეობაზე მდის 36,6%, ხოლო სახელ. მეურნეობაშია 10,6%. ამრიგად, მთელი საზოგადოებრივი სექტორის წილი, ამ დარგში, ნახევარსაც არ შეადგენს (47,2%).



რესპუბლიკაში ფრინველის რაოდენობის მხრივ წამყვანი ადგილი უჭირავს III ზონას, სადაც რესპუბლიკის საზოგადო მეურნეობათა ფრინველის 34,9%-ია თავმოყრილი, მას მასდევს X ზონა—26,1%, II ზონა 16,8% და VII ზონა 15,7%; ხოლო ამ მხრივ ყველაზე დაბალ დონეზეა VI—0,2%, IV—0,1%, IX—0,1% და მერვე—2,9% ზონები. იმის გამო, რომ მოსახლეობაში არ ხდება პირად საკუთრებაში მყოფი ფრინველის აღწერა, ამიტომ ამის შესაძარბლად გამოვიყენეთ მხოლოდ კოლმეურნეობანი და სახ. მეურნეობები. როგორც ამ ორი კატეგორიის მეურნეობათა შედარებიდან ვხედავთ, გამოდის, რომ, ბოლო წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, კოლმეურნეობრივ მეფრინველეობას გაუსწრეს სახელმწიფო მეურნეობებმა, სპეციალური დანიშნულებით შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკები გორის, მცხეთის, თეთრაწყაროს, გარდაბნის, სიღნაღის და სხვა მთელ რიგ რაიონებში. ამის შედეგად, რესპუბლიკის ფრინველის 67,5% მოქცეულია აღნიშნულ მეურნეობაში, ხოლო კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ წვილი ფერმებას სახით ფრინველის ყველაზე მეტი ნაწილი თავმოყრილია I ზონაში—86,5%, IV ზონაში—71,9%, II ზონაში—65,5% და ა. შ.

როგორც აღნიშნული ცხრილის განხილვით დავინახეთ, რესპუბლიკის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის მეტი ნაწილი ჯერჯერობათ მოსახლეობაზე მოდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ იგი ასეთ მდგომარეობაში იყო მოქცეული, განვლილი ხუთწლედის მიხედვით, განვითარების ნაცვლად იგი წინა წლების დონესაც კი ჩამორჩა, რადგან 1970 წელს 1966 წელთან შედარებით პირუტყვის ყველა სახეობა შემცირდა (გამონაკლისია ფრინველი). აღნიშნულ მოსაზრებას ამტკიცებს ცხრ. № 2.

სულაღობის ზრდის ტემპი საქართველოს სსრ მეცხოველეობაში 1966-1970 და 1966=1975 წლების მიხედვით

ცხრილი 2

| ზონების დასახელება | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი |                         | ცხვარი და თხა           |                         | ღორი                    |                         | ფრინველი                |                         |
|--------------------|-----------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
|                    | ზრდის ტემპი 1970 წ-თვის     | ზრდის ტემპი 1975 წ-თვის | ზრდის ტემპი 1970 წ-თვის | ზრდის ტემპი 1975 წ-თვის | ზრდის ტემპი 1970 წ-თვის | ზრდის ტემპი 1975 წ-თვის | ზრდის ტემპი 1970 წ-თვის | ზრდის ტემპი 1975 წ-თვის |
| I                  | 90,0                        | 108,3                   | 76,4                    | 120,6                   | 91,5                    | 124,0                   | 190,3                   | 169,5                   |
| II                 | 96,7                        | 102,3                   | 174                     | 71,4                    | 123,8                   | 103,3                   | 260,0                   | 124,5                   |
| III                | 94,5                        | 112,2                   | 81,9                    | 123,1                   | 90,9                    | 113,2                   | 338,6                   | 119,5                   |
| IV                 | 88,9                        | 113,2                   | 97,9                    | 107,6                   | 112,5                   | 152,1                   | 157,1                   | 510,1                   |
| V                  | 86,4                        | 101,2                   | 59,4                    | 264,1                   | 91,2                    | 117,7                   | 289,8                   | 244,9                   |
| VI                 | 101,7                       | 104,7                   | 77,6                    | 114,3                   | 65,7                    | 149,3                   | 448,3                   | 188,5                   |
| VII                | 92,2                        | 103,4                   | 88,2                    | 125,2                   | 91,5                    | 115,1                   | 219,1                   | 159,4                   |
| VIII               | 94,5                        | 102,2                   | 75,2                    | 109,2                   | 105,7                   | 119,2                   | 631,5                   | 248,4                   |
| IX                 | 94,2                        | 101,6                   | 56,1                    | 108,2                   | 94,2                    | 134,2                   | 55,2                    | 806,2                   |
| X                  | 97,8                        | 118,7                   | 90,9                    | 107,9                   | 112,3                   | 110,0                   | 279,8                   | 277,9                   |
| XI                 | 106,1                       | 83,3                    | 66,7                    | —                       | —                       | —                       | 151,3                   | 327,7                   |
| სულ საქ. სსრ-ში    | 97,7                        | 107,1                   | 84,0                    | 116,3                   | 102,5                   | 106,2                   | 182,3                   | 178,1                   |

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1970 წელს 1966 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ ზრდის ნაცვლად რესპუბლი-

კაში 2,3%-ით კლება განიცადა. მათ შორის ცალკეული ზონებიდან ყველაზე მეტი კლება აღინიშნა V ზონაში — 13,6%, ხოლო IV ზონაში შემცირდა 11,1%, პირველ ზონაში 10%, III ზონაში 5,5% და ა. შ. თუ თვალს გადავავლებთ ცალკე კატეგორიების მეურნეობებს, დავინახავთ, რომ შემცირების მხრივ ყველაზე დიდი კლება მოდის კოლმეურნეობაზე და მოსახლეობაზე. ცალკეული ზონების მიხედვით, კოლმეურნეობაში დიდი შემცირება აღინიშნა X, IV, V, VII ზონებში. მართალია, სახელმწიფო მეურნეობაში ყველგან მატებას ქონდა ადგილი, მაგრამ ავი მეტად უმნიშვნელოა. საერთო შემცირებასთან შედარებით მოსახლეობის პირუტყვიში ყველგან შემცირება აღინიშნა, გარდა X—XI ზონებისა. თუმცა მეცხრე ხუთწლედის ბოლოს გათვალისწინდა მსხველფეხა რქოსანი პირუტყვის ერთგვარი ზრდა, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ 1970 წელთან შედარებით, სადაც საზოგადო მეურნეობაში ზრდის ტემპი უდრის 7,1%, მაგრამ თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ 1970 წ. 1966 წ-თან შედარებით ზრდის ტემპმა ნაკლებობით შეადგინა 2,3%, მაშინ გამოდის, რომ ფაქტიური ზრდა უნდა მოხდეს 4,9%-ით. უფრო მეტიც, ცალკეული ზონებიდან მეცხრე ხუთწლედის ბოლოს ზრდის მაგივრად XI ზონაში 1970 წ. შედარებით შემცირება გათვალისწინებულია 22,7%. 1966 წელთან შედარებით 1,7%-ით მცირდება I ზონაში, II ზონაში — 1,4%, V ზონაში — 12,4%, VII ზონაში — 4,4% და ეს ასეა VIII, IX და X ზონებშიც.

ამრიგად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა განვილილ ხუთწლედში საზოგადო მეურნეობაში შემცირდა. რის გამოც, 1966 წელთან შედარებით, ზრდის ტემპი აღინიშნა მხოლოდ მეთერთმეტე (6,1%) და მეექვსე (1,7%) ზონებში, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ქონდა შემცირებას. 1975 წელს 1966 წელთან შედარებით, პირუტყვის სულადობის ზრდა რესპუბლიკაში გათვალისწინებულია მხოლოდ 4,9%, ხოლო მთელ რიგ ზონებში კვლავ შემცირებაა ნავარაუდები.

ცხრილში მოყვანილი მონაცემის მიხედვით მსგავსი მდგომარეობა იგრძნობა მეცხვარეობაშიც, რადგან, 1966 წელთან შედარებით, ცხვრის საერთო სულადობის შემცირებამ შეადგინა 16%. შემცირების დიდა ნაწილი მოდის V ზონაზე (40,6%), II ზონაზე (29,6%), VI ზონაზე — (22,4%) და ა. შ. მართალია, შემცირება უფრო მეტია IX, XI, VIII და ზოგიერთ სხვა ზონებში, მაგრამ ესენი ხომ არ წარმოადგენენ მეცხვარეობის საწარმოო მამართლებას რაიონებს, ამიტომაც სპეციალიზირებული ზონების მეურნეობაში ცხვრის შემცირება არაფრით არ არას გამართლებული.

1970 წელს 1966 წელთან შედარებით, შემცირდა ცხვრის სულადობა, მაგრამ 1975 წლისათვის ზრდის ტემპი საზოგადო მეურნეობაში გათვალისწინებულია მხოლოდ 0,3%-ით, როცა II ზონაში იგი შემცირდა 5,6%-ით, I ზონაში 3,6%-ით, VI ზონაში 8,4%-ით და ა. შ. ამრიგად, ცხვრის სულადობა მერვე ხუთწლედში მკვეთრად შემცირდა. შემცირება ძირითადად შეეხო საზოგადო მეურნეობას, რომელაც დაუშვეს მეცხვარეობის ისეთ რაიონებმა, როგორცაა, II, VI, I, IV, V და ზოგიერთი სხვა არასპეციალიზაციის ზონები. მიუხედავად იმისა, რომ 1966 წელთან შედარებით 1970 წ. შემცირება მოხდა, მისი გამოსწორების მიზნით არც მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს აღინიშნება ზრდის ტემპი. რადგან თუ ახლა 1970 წ. შედარებით იგი შეადგენს 16,3% აღნიშნული მაჩვენებელი 1966 წ. შედარებით მხოლოდ 0,3%



ზრდას ნიშნავს, უფრო მეტიც. შემცირება ეხება ისეთ სპეციალიზებულ ზონებს, როგორცაა პირველი, მეორე, მექვსე ზონები. ამიტომ საჭიროა მომავალში აღნიშნულ ზონაში თუ არ გაიზრდება ცხვრის სულადობა, უნდა აღდგეს 1966 წ. სულადობის დონე.

ცნობილია, რომ ხორცის წარმოებას გაზრდისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია მელორეობა, რომელიც საინტერესოა, როგორც სწრაფი გამრავლების უნარისა და მეორე როგორც სხვა სახის პირუტყვთან შედარებით ხორცის მაღალი შეხედვის ფასის მქონე პირუტყვი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დარგის განვითარებას ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა, რადგან 1966 წელს შედარებით 1970 წელთან მისი სულადობის ზრდამ შეადგინა მხოლოდ 2,5% უფრო მეტიც; მთელმა რიგმა ზონებმა დაუშვეს სულადობის შემცირება, ასე მავალითად VI ზონაში შემცირდა 34,3%, III ზონაში—9,1%, I ზონაში 8,5%, V ზონაში—8,8%, IX ზონაში 5,8% და ა. შ. აღნიშნული შემცირება გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლეულშიც, რის გამოც რესპუბლიკაში ზრდის ტემპი ნავარაუდევია 3,7% ამასთან უნდა ითქვას, რომ ზრდა გათვალისწინებულია ყველა ზონაში. ყველაზე მეტი ზრდა მოსალოდნელია IV ზონაში—38,6% III ზონაში—22,3%, I ზონაში—32%, II ზონაში—4,4%, მაგრამ, საკუთარი და ბუნებრივი საკვები რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, უმჯობესია პირველ რიგში ძირითადი ზრდა წარიმართოს მარცვლის მწარმოებელ რაიონებში, როგორცაა II, III, VI, V ზონები. ამასთან, ბუნებრივი საკვების ათვისების მაზნით, საჭიროა ადგილობრივი ჯილაგის ღორის მოშენებაც, რომელიც საკვების მოპოვების დიდი უნარით გამოირჩევა. მისი გამრავლება უნდა მოხდეს IX, და VIII ზონებში, რომელიც მდიდარია ტყეებით, ეს ხელს შეუწყობს იაფი პროდუქტის წარმოების საქმეს.

ნაკლოვანი მხარები, რაც აღენიშნეთ პირუტყვის სულადობას შემცირების საკითხში, არ შეიძლება ითქვას მეფრინველეობაზე, რომელიც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე, მავალითად: თუ შევადარებთ 1970 წელს 1966 წელთან, ვნახავთ რომ რესპუბლიკაში ზრდის ტემპმა 1970 წლის ბოლოს მიაღწია 182,3%-ს. მკვეთრი ზრდა ძირითადად იგრძნობა III ზონაში (238,6%), V ზონაში (189,8%, VI ზონაში (348,3%), VII ზონაში (119,1%) და VIII ზონაში (531,5%); მაგრამ კლება განიცადა IX ზონამ, სადაც, ისედაც მცირე ფრინველის რაოდენობა, შემცირდა 44,8%-ით. მართალია, ეს ზონა მეფრინველეობის სპეციალობას არ განისაზღვრავს, მაგრამ მისი მომრავლება ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ხომ აუცილებელია. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ფრინველის მკვეთრი ზრდა იგრძნობა მთისა და ბარის რაიონებში. ამასთან უნდა ითქვას რომ ასეთივე ტემპი გრძელდება მიმდინარე ხუთწლეულშიც, რადგან 1975 წლისათვის ზრდის ტემპი რესპუბლიკაში მიაღწევს 78,1%. ცალკეული ზონებიდან ყველაზე მეტი ზრდა გათვალისწინებულია IV ზონაში,—410,1%, IX ზონაში—706,2%, XII ზონაში—227,7%, V ზონაში—144,9% და ა. შ. ეს ერთი მხრივ კარგია, რათა მოსახლეობის მოთხოვნა დაეკმაყოფილოთ ფრინველის ხორციით და კვერცხით, მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მეკვერცხეული ჯიშის ქათამი გავრცელდეს თბილი კლიმატის მქონე ზონებში, როგორცაა II, III, V, X და VIII ზონები, ხოლო მეხორცული შედარებით გრილ-





სა და ცივ ზონებში, როგორც IV, VI, IX, XI ზონებში ამასთან რეზული ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარი საკვები ბაზის შექმნას ან უამისოდ თუ ადგილზე ამის საშუალება არ არსებობს, არსებული საკვები ბაზის გაუმჯობესებას, რადგან ცნობილია, რომ ფრინველზე გაწეული დანახარჯებიდან საკვებზე დანახარჯი მოდის 60—65%, რის გამოც, საკუთარი ფურაჟით უზრუნველყოფის შემთხვევაში, შემცირდება დანახარჯები და მეფრინველეობის რენტაბელურობა უთუოდ გაამართლებს საქმეს.

პირუტყვის სულადობა შემდგომ გამოხატულებას პოვებს პროდუქციაში. „ჩვენს ზომიერ ჰავაში მიწა ერთხელ იძლევა მოსავალს... მხოლოდ დამხმარე პროდუქტები, როგორცაა რძე, ყველი და სხვა შეიძლება მუდმივ, შედარებით მოკლე პერიოდში იქნეს წარმოებული და გაუიღვლია. მეცხოველეობის პროდუქციის თვალსაჩინო როლი აკისრია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის ამ დარგის მნიშვნელობის შეფასებისას სკვპ 24 ყრილობაზე ლ. ი. ბრევენევა აღნიშნა: „ჩვენს წინაშე ძალიან მწვავედ დგას სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორც არის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. კვების ყველაზე ძვირფასი პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის, მათზე საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ახალ ხუთწლეულში დიდი ნაბიჯი უნდა გადაიდგას წინ ამ დარგში. აქაც საჭიროა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების რეზერვების სრული მონილიზაცია“<sup>2</sup>. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ჭერაც დაბალი დონე ვერ პასუხობს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს: „კვების საშუალებების წარმოება უშუალო მწარმოებელთა სიცოცხლისა და საერთოდ ყველა წარმოების უპირველესი პირობაა, რის გამოც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დიდი ამოცანები დგას მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდას ძირითადად სულადობა განაპირობებს, ამიტომ მომრავლებული საქონლის გარეშე წარმოუდგენელია ხორცის, რძის, მატყლისა თუ კვერცხის სიუხვე; მაგრამ, როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ, რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობა მსხვილფეხისა და ცხვარში მკვეთრად მცირდება, ხოლო მცირე რაოდენობით იზრდება ღორის სულადობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხორცის წარმოების საქმეში. მკვეთრი ზრდით გამოირჩევა ფრინველი, მაგრამ ჯერ კიდევ მისი სიმცირის გამო ფრინველის ხორცი ფართო საწარმოო მოხმარების საქმედ არ არას გპმხდარი.

სწორედ ასეთი მდგომარეობითაა გამოწვეული, რომ ხორცის წარმოება 1 სულ მოსახლეზე (ცოცხალი წონის სახით) მეტად დაბალია. როგორც მე-3 ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რესპუბლიკაში იგი საშუალოდ არ აღემატება 2 კგ-ს. ცალკეული ზონების მახედვით 1 მოსახლეზე ყველაზე მეტი ხორცის წარმოება მოდის სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის II ზონაში — 61 კგ, IV ზონაში — 47 კგ, VI ზონაში — 36 კგ და ა. შ. მაგრამ იგი ყველაზე დაბალია VIII და XI ზონებში, სადაც არ აღემატება 4 კგ-ს; III და X ზონებში — 5 კგ, IX ზონაში — 10 კგ, V-ში — 12 კგ და ა. შ. როდესაც ამ მაჩვენებლებს ვაკვირდებით, ერთი დასკვნა გამოგვაქვს, რომ ჯერ მოთხოვნილებასთან შედარების ყველა ზონაში ძალზე დაბალია ხორცის წარმოება. ხორცის წარმოებაზე უფრო მეტ გაგებას გვაძლევს მონაცემები კოლმეურნეობაში დასაქმებული 1 კოლწევრის მიერ შექმნილი ხორ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, 1933 წ.

<sup>2</sup> სკვპ 24 ყრილობის მასალები. თბილისი, 1971 წ.

<sup>3</sup> კ. მარქსი, ტ. 3, 1933 წ.

საზოგადოებრივ სექტორში მეცხოველეობის, პროდუქციის წარმოება და ზრდის ტემპები 1966—1970 და 1970—1975 წლების მიხედვით

ცხრილი 3

| ზონები          | ხორცი                 |               |                           |                         | რძე                   |               |                           |                         | კვერტბი               |                 |                           |                         | მატყლი                |               |                           |                         |
|-----------------|-----------------------|---------------|---------------------------|-------------------------|-----------------------|---------------|---------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------|---------------------------|-------------------------|-----------------------|---------------|---------------------------|-------------------------|
|                 | ხვედ. წონა რკპ-ში (%) | I მუშაზე (კგ) | ზრდის ტემპი 1966—1970 წწ. | ზრდის ტემპი 1975 წათვის | ხვედ. წონა რკპ-ში (%) | I მუშაზე (კგ) | ზრდის ტემპი 1966—1970 წწ. | ზრდის ტემპი 1975 წათვის | ხვედ. წონა რკპ-ში (%) | I მუშაზე (ცალი) | ზრდის ტემპი 1966—1970 წწ. | ზრდის ტემპი 1965 წათვის | ხვედ. წონა რკპ-ში (%) | I მუშაზე (კგ) | ზრდის ტემპი 1966—1970 წწ. | ზრდის ტემპი 1975 წათვის |
| I               | 9,9                   | 0,86          | 105                       | 126                     | 16,9                  | 2,7           | 109                       | 141                     | 3,2                   | 97              | 95                        | 104                     | 11,2                  | 3,7           | 73                        | 79                      |
| II              | 16,9                  | 61            | 106                       | 130                     | 10,5                  | 149           | 130                       | 130                     | 13,6                  | 549             | 108                       | 473                     | 28,9                  | 36            | 89                        | 111                     |
| III             | 14,7                  | 5             | 109                       | 126                     | 13,9                  | 20,4          | 100                       | 164                     | 37,9                  | 65              | 210                       | 213                     | 14,3                  | 0,3           | 75                        | 131                     |
| IV              | 8,6                   | 47            | 106                       | 127                     | 4,3                   | 5,1           | 91                        | 207                     | 0,6                   | 30              | 155                       | 196                     | 23,4                  | 49            | 93                        | 124                     |
| V               | 7,9                   | 12            | 94                        | 114                     | 8,9                   | 3,9           | 115                       | 151                     | 6,3                   | 106             | 195                       | 84                      | 2,6                   | 2,3           | 40                        | 355                     |
| VI              | 14,9                  | 36            | 118                       | 125                     | 20,1                  | 195           | 117                       | 153                     | 0,1                   | 2               | —                         | 120                     | 16,0                  | 14,7          | 101                       | 133                     |
| VII             | 4,8                   | 1,4           | 106                       | 139                     | 6,0                   | 6,1           | 112                       | 153                     | 0,4                   | 22              | 111                       | 207                     | 3,6                   | 7,4           | 105                       | 155                     |
| VIII            | 4,6                   | 4             | 108                       | 205                     | 5,9                   | 1,8           | 94                        | 123                     | 2,3                   | 14              | 36                        | 462                     | —                     | —             | —                         | —                       |
| IX              | 1,2                   | 10            | 96                        | 172                     | 3,2                   | 7,12          | 102                       | 147                     | 0,02                  | 2               | 43                        | 130                     | —                     | —             | —                         | —                       |
| X               | 15,9                  | 0,31          | 104                       | 193                     | 18,7                  | 1,7           | 110                       | 141                     | 35,2                  | 26              | 179                       | 255                     | —                     | —             | —                         | —                       |
| XI              | 0,6                   | 4             | 169                       | 276                     | 1,6                   | 1,3           | 126                       | 174                     | 9,3                   | 103             | 143                       | 434                     | —                     | —             | —                         | —                       |
| სულ<br>საქ. სსრ | 100                   | 2             | 111                       | 161                     | 100                   | 45            | 110                       | 153                     | 100                   | 69              | 175                       | 350                     | 100                   | 4,9           | 85                        | 126                     |

ცის რაოდენობაზე. ამ მხრივ ყველა ზონებს წინ უსწრებს II ზონა, სადაც ეს მაჩვენებელი შეადგენს 370 კგ-ს, IV ზონაში—290 კგ., VI ზონაში—210 კგ., III ზონაში 110 კგ; ხოლო რესპუბლიკაში საშუალოდ მოდის—80 კგ. ხორცის წარმოების ასეთი დონე, თუ კი ის მაღწეული იქნება ყოველ ერთ მშარობებელზე, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის 4-ჯერ გაიზრდება მოსახლეობის ხორციითა და ხორცის პროდუქტებით მომარაგების დღევანდელი დონე.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, ყველაზე მეტი ხორცის წარმოება ხდება სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის II ზონაში, რესპუბლიკაში წარმოებული ხორცის 16,9% მას ეკუთვნის; X ზონაშია 15,9%, VI ზონაში—14,9%, III ზონაში—14,7%; ყველაზე მცირე რაოდენობა მოდის XI ზონაში, სადაც ეს მაჩვენებელი არ აღემატება—0,6%-ს, IX ზონაში—1,2%, VII და VIII ზონებში—4,8% და ეს მაშინ, როდესაც თავისი მშარობებლური სპეციალიზაციით VII, IX და XI ზონები ითვლება მეცხოველეობის ზონებად.

ხორცის წარმოების ზრდაზე როდესაც ვლაპარაკობთ, წლებას მიხედვით, ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ზრდის ტემპს. სწორედ ასეთი მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ მთელმა რიგმა ზონებმა განვილილ ხუთწლეულში ხორცის წარმოება მკვეთრად შეამცირეს 1966 წლის დონესთან შედარებით. ეს განსაკუთრებით ითქმის V ზონაზე, რომელმაც ხორცის წარმოება შეამცირა 5,6%-ით, IX ზონაში წარმოება შეამცირა 3,9%-ით. უმნიშვნელო მატება აღინიშნება I ზონაში—(4,6%), IV ზონაში (5,7%), X ზონაში (4,3%) და ა. შ. ეს იმ დროს, როდესაც რესპუბლიკას ხორცის წარმოების



ზრდა ჰქონდა 10,7%. აღნიშნული მონაცემები მეტყველებს ამაზე, რომ სუბპროდუქტული ზონების მეურნეობათა ხელმძღვანელები პირველ რიგში ნაკლებ მუშაობას ეწევიან პირუტყვის სულადობის ყოველწლიური გაზრდისათვის, რის გარეშე ხორცის მატებას ძირითადად ახდენენ სუქებაზე და იალაღებზე მყოფ პირუტყვში წონამატის უმნიშვნელო გაზრდის საფუძველზე, რომელიც ზამთრის პერიოდში საცვების სიმცირისა და ნაკლები მოვლა-პატრონობის გამო მეტად დაბალია.

მიმდინარე ხუთწლიანი ბოლოსათვის 1970 წელთან შედარებით ხორცის წარმოების ზრდა გათვალისწინებულია თითქმის 50% მატებით. მაგრამ ნორმების გაზრდა მცირე სიდიდითაა ნავარაუდები V ზონაში (მხოლოდ 19%), II ზონაში (14%) და ა. შ. როგორც ცხრილში მოყვანილია მონაცემებიდან ჩანს, ზრდის ტემპის ნორმა სხვადასხვა ზონისათვის ერთგვარად დარღვეულია. სწორედ დღეისათვის ხორცის წარმოების დაბალი დონე განაპირობებს იმას, რომ პირად დამხმარე მეურნეობას ხელი შევეწყობო პირუტყვის მომრავლებაში, რათა საზოგადოებრივი მეურნეობებიდან მოსახლეობისათვის საჭირო ხორცის დანაკლისი აქედან იქნას შევსებული. ამიტომ საზოგადო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელი ხდება პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებაც.

ხორცის წარმოებასთან შედარებით ერთგვარი გაუმჯობესება შეინიშნება რძის წარმოების საქმეში, სადაც ერთ მოსახლეზე წელიწადში საშუალო წარმოება შეადგენს 41 კგ-ს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული რძე — პირდაპირ ახარჯება მოსახლეობაზე, რადგან აქ გადის რძის ხარჯი ხბოების გაზრდაზე, წიწილებისა და გოჭების გამოყვებაზე. ამიტომ ეს რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. წარმოებული რძიდან მეტი რაოდენობა მოდის VI ზონაზე, სადაც ერთ მცხოვრებზე უწევს 195 კგ, II ზონაში — 149 კგ, IX ზონაში — 120 კგ; ხოლო ყველაზე მცირეა III და VIII ზონებში — 20 კგ, X ზონაში — 25 კგ. და ა. შ. მართალია, ასეთი დატვირთვა ერთგვარად დამოკიდებულია ზონის მოსახლეობის სიმჭიდროვეზეც, რადგან იქ, სადაც დასახლება მცირეა ერთ მოსახლეზე პროდუქტის ნორმებიც მაღალია, მაგრამ საერთოდ არსებული დონე მაინც დაბალია. თუ ამ საკითხს განვიხილავთ ზონებში რძის ხვედრითი წილის მიხედვით, მაშინ უნდა ითქვას, რომ ყველაზე მეტი რძის მწარმოებელია VI ზონა, რადგან მასზე მოდის რძის 20,1%. მართალია, X ზონაში რძის წარმოებას მოცულობა 18,7%-ს შეადგენს, მაგრამ აღნიშნულს განაპირობებს მისი სიდიდე, რომელიც მოიცავს 3 ქვეზონას. რძის წარმოებას საქმეში საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა უჭირავს III ზონას, რომელზედაც მოდის 13,9%, II ზონაში — 10,5%, მაგრამ ეს ასე როდია ითქმის მეცხოველეობის ისეთ რაიონზე, როგორიცაა IV ზონა, სადაც რძის წარმოების სიდიდე არ აღემატება 4,3%-ს. მისი ასეთი მცირე ხვედრითი წონა რესპუბლიკაში იმათ აიხსნება, რომ ყაზბეგის რაიონში გაუქმდა მეძროხეობა, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქონდა მოსახლეობის რძით მომარაგების საქმეში და ეს მაშინ, როდესაც აქაური ხევესურული ჯიშის საქონელი ფართოდაა გავრცელებული ადგილობრივ მოსახლეობაში. მეცხოველეობის ზონა IX ზონაც, რომელსაც რძის წარმოებით რესპუბლიკაში უჭირავს 3,2%. მსგავსა შეიძლება ითქვას XI ზონაზეც, სადაც რძის წარმოება შეადგენს მხოლოდ

1,6%. აღსანიშნავია, რომ ამ ზონებს ცხელი სულ არა ყავთ; მცირეა ფრინველების რაოდენობაც. მეცხოველეობის მიმართულებას რაიონებისათვის ხომ ეს არაფრით არ არის გამართლებული.

ზემოაღნიშნულ ზონებში რძის წარმოების დაბალი დონის გამოა, რომ დღეისათვის რძის წარმოების ტემპის სიმცირე ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, განვილილ ხუთწლეულში რძის წარმოება რესპუბლიკაში გააზარდა მხოლოდ 10,8%-ით, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ ზონებში 1966 წლის დონესთან შედარებით ზრდის ნაცვლად აღინიშნა მკვეთრი კლება. ეს განსაკუთრებით ითქმის IV ზონაზე, სადაც რძის წარმოების ნაკლებობამ შეადგინა 8,7%, VIII ზონაში — 6%, რძის წარმოება შეამცირა III ზონაშიც, სადაც შეადგინა 0,4%. ამიტომ რესპუბლიკაში წარმოების ზრდა ძირითადად მოდის II ზონაზე 30,1%, თავის წილად ერთგვარი ზრდა აქვს XI ზონას — 26,5%, VI ზონას 17,2%, V ზონას 15,1% და ა. შ. ასეთი მდგომარეობა სწორედ სულაღობის გეგმის შეუსრულებლობამ განაპირობა, რის გამოც ზონებში რძის წარმოების დაბალი დონე აღინიშნება. ამიტომაც, რომ მეცხრე ხუთწლეულისათვის რძის წარმოების ზრდა გათვალისწინებულია ყველა ზონაში, რის გამოც წარმოება გადიდება 4%-ით. იგი ძირითადად უნდა მოხდეს VI ზონაში, სადაც ზრდა ნავარაუდევია 36%-ით, IV ზონაში — 115%, III ზონაში 65% და ა. შ. მაგრამ ზრდის ტემპი ნაკლები აქვს VIII ზონას, სადაც თითქმის ზრდა არ აღემატება 28%, მატება მცირეა II, I და ზოგიერთ სხვა ზონებშიც.

რძის წარმოების დაბალი დონე განაპირობებს ამას, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს მოსახლეობისაგან რძის შესყიდვის შემთხვევებს. რძის ნაწარმის გაზრდის საქმეში აუცილებელია არსებული ძროხის ჯიშების გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით ითქმის მთის ზონის მეცხოველეობაზე, სადაც ამოვარდა ზვესურული ჯიშის ძროხა. საკვები ბაზის შექმნა, მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, მექანიზაციის გამოყენება, ფერმათა გამსხვილებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ფერმების შექმნა. რძის წარმოების მკვეთრი გადიდება საჭიროა IV, IX, V, II და სხვა მწარმოებლურ ზონებში.

ფრინველის რიცხოვნების ზრდამ თავისი გამოხატულება პოვა პროდუქციას (კვერცხის) წარმოების საქმეში, რადგან კვერცხის წარმოება 1966 წელს შედარებით გაიზარდა 74,8%-ით. აქედან ყველაზე მეტი ზრდით აღინიშნება VIII ზონა, რომელმაც წარმოება გააძლია 250%-ით. III ზონაში გაიზარდა 110%-ით, V ზონაში — 95%-ით, III ზონაში — 85%-ით და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვერცხის წარმოების შემცირება დაუშვეს IX ზონაში, სადაც შემცირებამ შეადგინა 56%, I ზონაში 4,9%; მართალია, არც I და არც IX ზონა მწარმოებლური სპეციალიზაციით არ წარმოადგენს მეფრინველეობის მიმართულებას, მაგრამ ადგილზე სამეურნეო მოხმარებისათვის ხომ მაინც საჭირო იყო წარმოების გადიდება.

წარმოების აღნიშნული დონის მიხედვით საშუალოდ რესპუბლიკის ერთ მეცხოველეზე წელიწადში მოდის 24 კვერცხი, ეს სიდიდე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ კვერცხის წარმოება ჯერ კიდევ მეტად დაბალია. უფრო მეტიც, რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით ერთ მოსახლეზე კვერ-



ცხის წარმოება ძალზე დაბალი აქვს VI ზონას. სადაც შეადგენს 0,2 ცალს. IX ზონაში—0,5 ცალს, VII, X და XI ზონებში 3 ცალს. კვერცხის მცირე რაოდენობა აღინიშნება VIII ზონაშიც—5 ცალი. IV ზონაში—7 ცალი და ა. შ. ამ მონაცემებით გამოდის რომ აღნიშნული ზონის მეურნეობები იმდენსაც ვერ აწარმოებენ, რომ მათ პირობითად მაინც უზრუნველყონ თავიანთი ზონის მოსახლეობის მოთხოვნა კვერცხზე. ასეთი მდგომარეობის გამო, კვერცხის ძირითადი წარმოება ხდება II ზონაში, სადაც ერთ მცხოვრებზე უწევს 110 ცალი. აღნიშნულ საკითხს კოლმეურნეობაში მომუშავე პირებზე რომ ვიხილავთ, გამოდის რომ 1 კოლწევრზე ყველაზე მეტი კვერცხის წარმოება მოდის II ზონაში—549 ცალი, V ზონაში—106 ცალი, X ზონაში—103 ცალი და ა. შ. ამ საკითხზეც იგივე შეიძლება ითქვას, რადგან იქ, სადაც კვერცხის წარმოება მეტად დაბალია, ნაკლებია როგორც ზონის მოსახლეობა, ისე კოლწევრის კვერცხით უზრუნველყოფის მდგომარეობა, როგორც ცხრილში აღნიშნული მონაცემებიდან ვხედავთ, კოლწევრზე კვერცხას რაოდენობა, მოსახლეობასთან შედარებით, თითქმის გაიზარდა 3-ჯერ. მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ ზონის მოსახლეობიდან ჯერ კიდევ ნაკლებია საკოლმეურნეო შრომაში დასაქმებული, ეს საკითხი კი პარდაპირ მოქმედებს პროდუქტის წარმოების გადიდებაზე.

რესპუბლიკის მიმართ კვერცხის წარმოების საქმეს თუ ზონების მიხედვით განვიხილავთ, მათი ხვედრითი წონის მიხედვით, დაეინახავთ, რომ საქართველოში კვერცხის ძირითად მწარმოებელ რაიონად ითვლება III ზონა, სადაც წარმოებული კვერცხის 37,9% მოდის, X ზონაში—35,2% და II ზონაში—13,6%; რაც შეეხება დანარჩენ ზონებს, მაგალითად I ზონა, სადაც მარცვლულის წარმოება ხდება, კვერცხის წარმოებამ აქ შეადგინა მხოლოდ 3,2%, VIII ზონაში—2,3%, V ზონაში—6,3% და ა. შ. ფრინველი ხომ მარცვლულის თანამგზავრია, ამიტომ ამ ზონებში საჭიროა მეფრინველეობის განვითარებას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეურნეობებში ქათამსა და კვერცხს ადგილობრივ ზოიზმარენ, ეს მდგომარეობა აუცილებლობის წინაშე აყენებს მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომ განავითარონ მეფრინველეობა IV, VI, VII, IX და XI ზონებში. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში აღნიშნული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაზედაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ კვერცხის წარმოების ზრდა მიმდინარე ხუთწლეულის ბოლოს გათვალისწინებულია თითქმის 180%-მდე და ეს უფრო მეტად ეხება II, VII ზონებს, სადაც თითქმის ერთი-ოთხედ იზრდება წარმოება, მაგრამ იგი კვლავ დაბალი რჩება I ზონაში, სადაც ზრდა გათვალისწინებულია მხოლოდ 9%-ით, პირიქით, V ზონაში შემცირებაც კი არას გათვალისწინებული 1970 წლის დონესთან შედარებით (23,6%). ეს მდგომარეობა უთუოდ მოქმედებს მოსახლეობის დაკმაყოფილების საქმეზე და უკმარობის გამო დღეის მდგომარეობით საჭირო ხდება პირადი მეურნეობიდან კვერცხის დამზადება.

მეტყვარეობაში სულადობის მკვეთრმა შემცირებამ თავისი ასახვა პოვა პროდუქტის წარმოებაშიც, რადგან მატყლის წარმოება 1966 წელთან შედარებით შემცირდა 14,7%-ით, რაც ცხვრის სულადობის შემცირებით არის გამოწვეული. მატყლის მკვეთრი შემცირება იგრძნობა V ზონაში, რომელმაც დაუშვა 59,9% კლება. I ზონაში შემცირება აღინიშნა 26,7%-ით, III ზონაში

ში—24,3% და ა. შ. ამ საქმეში ერთგვარი გამოხატვის აქვს VII ზონას, სადაც წარმოება გაიზარდა 4,5%-ით და VI ზონას, რომლის ზრდამ შეადგინა 1,4%, ხოლო მისი წარმოება დანარჩენ ზონაში არ აღნიშნულა. სწორედ მატყლის წარმოების ასეთი დაბალი დონითა გამოწვეული რომ წარმოებული პროდუქცია 1 მეტეოვრებზე რესპუბლიკაში არ აღემატება 0,6 კგ-ს, ხოლო V ზონაში შეადგენს 0,2 კგ-ს, VII ზონაში—0,7 კგ-ს. მატყლის წარმოების მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა IV ზონაში, სადაც 1 მეტეოვრებზე უწევს 7 კგ, II ზონაში—5,9 კგ, VI ზონაში—2,1 კგ და ა. შ. ზონის მოსახლეობიდან საყოლმეურნეო შრომაში ჩაბმულთა ერთგვარ სიმცირეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1 კოლწევრზე წარმოებული მატყლის რაოდენობა შეადგენს 4,9 კგ-ს. ამ მხრივ ყველაზე მეტი სიდიდე აღინიშნება IV ზონაში—49 კგ, II ზონაში—36 კგ, VI ზონაში—14,7 კგ და ა. შ.

რესპუბლიკაში მატყლის მწარმოებელი რაიონების მაჩვენებლებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზონების ცალკეული ხვედრითი წონა, რომლის მიხედვით, ყველაზე მაღალი სიდიდე აქვს II ზონას—28,9%, IV ზონაშია—23,4% და VI ზონაში—16%. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ ძალზე დაბალა ხვედრითი წონა უჭირავს VII ზონას, სადაც არ აღემატება 3,6%-ს. V ზონაშია—2,6%. ერთგვარი სიმცირე ახასიათებს I ზონასაც, სადაც შეადგენს 11,2%-ს.

მეცხრე ხუთწლედში მატყლის წარმოება ზრდით არის გათვალისწინებული, რადგან 1970 წლის დონესთან შედარებით უნდა გადიდდეს 26,7%-ით, მაგრამ არაფრით არის გამართლებული ის ამბავი, რომ ტრადიციული მეცხვარეობის ისეთ ზონაში, როგორც პირველია, მატყლის წარმოების მხრივ შემცირებაა გათვალისწინებული 1970 წელთან შედარებით 21,4%-ით, ნაკლებად იზრდება მისი წარმოება II ზონაში—22%, ზრდის ტემპი უფრო მაღალია V ზონაში, სადაც ერთი-სამად ხდება ზრდა, VII ზონაში შეადგენს 51%-ს და ა. შ.

ასეთი მონაცემების გამო სამწუხაროა, რომ მეცხვარეობა, რომელიც ოდითგანვე ითვლება ფულადი შემოსავლის წყაროდ, წლებას მანძილზე განვითარების ნაცვლად თანდათან უკან მიდის. მატყლის წარმოების დაბალი დონე სულადობის სიმცირით და 1 ცხვარზე მატყლის დაბალი გამოსავლით აიხსნება. რადგან, თუ კავშირის მასშტაბით 1 ცხვრის ნაპარსი საშუალოდ შეადგენს 3 კგ-ს, რესპუბლიკაში იგი არ აღემატება 2,4 კგ-ს. როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ეს წარმოება იზრდება 26%-ით, მაგრამ ზრდა გათვალისწინებულია მხოლოდ 1 ცხვარზე მატყლის გამოსავლიანობის გადიდებათ, რადგან ამის გარეშე ცხვრის სულადობა, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ; 1966 წელს მცირდება კიდევ, ამიტომ აღნიშნული წესით ზრდა ერთგვარად საეჭვოა, ამისთვის აუცილებელია სულადობის მატებაც, მატყლის წარმოების შემდგომი გაზრდა საჭიროა მეცხვარეობის ძირითადი განვითარების IV, VI, II, I, III, V, VII ზონებში. ამასთან სასურველია, შეძლებისდაგვარად განვითარდეს სხვა დანარჩენ ზონებშიც. მეცხვარეობის პროდუქციის გაზრდის აუცილებლობა მოითხოვს საძოვრების გაუმჯობესებას, მათი გაკულტურების (ბალახის შეთესვა) გზით, მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლება და ცხვრის მოვლა-პატრონობას გაუმჯობესება.

ლინა დათუნაშვილი

შრომის მწარმოებლურობის ზრდის საკითხები საქართველოს  
სსრ კოლმეშურეობრივ მებაგრეშუმეობაში

მიმდინარე ხუთწლედის მთავარი ამოცანა უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტურობის ამაღლების, მეცნიერული-ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაჩქარების საფუძველზე ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი გადიდდება 37—40%-ით. ამასთან მისი მატების 80—85% შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზით იქნება მიღებული. მე-5 ხუთწლედის გასული სამი წლის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი აღნიშნავდა, რომ მე-5 ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპს მტკი უურადდება უნდა მიეცეს, რადგანაც შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე დასახულია სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით ცხრა მეთაიდი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთწოდვის მოცულობის მთელი მატება<sup>1</sup>.

შრომის მწარმოებლურობის განუზრგელი ზრდა სოციალისტური წარმოების აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა მიიღწევა დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის გადიდებითა და შრომის მწარმოებლურობით ზრდით. წარმოების მოცულობის გადიდება პირველი გზით შეზღუდულია, ამიტომაც მისი ზრდა და ამ საფუძველზე მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება უნდა განხორციელდეს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გზით.

შრომის მწარმოებლურობის ზრდა საფუძველია საზოგადოების განვითარებისათვის, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მაღალ ფორმაციაზე გადასვლისათვის. შრომის მწარმოებლურობის განუზრგელი ამაღლება კაპიტალიზმზე სოციალისტის გამარჯვების, კომუნისმის აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმში შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალისტში ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“<sup>2</sup>.

სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს შრომის მწარმოებლურობის განუზრგელი ზრდის ეკონომიკური კანონი, რომელიც მოითხოვს შრომის მწარმოებლურობის სისტემატურ გადიდებას წარმოების ყველა დარგში ცოცხალი და განვითარებული შრომის განუწყვეტელ მშპირნეობას თვითელდ საწარმოში და მთელი საზოგადოების მსშებათი. ე. ი. მანქანების და მოწყობილობის, ნედლეულის, სათბობის, მასალების უკეთ გამოყენებას, ქვეყნის რაიონებში საწარმოების უფრო რაციონალურ გაადგილებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ა. შ.

სოფლისმეურნეობრივ წარმოებას როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების ერთ-ერთ მთავარ სფეროს რიგი თავისებურებანი ახასიათებს. ეს იმით გამოიხატება, რომ ამ დარგში წარმოების ეკონომიკური პროცესები დაკავშირებულია ბიოლოგიურ პროცესებთან, რის გამოც წარმოების დრო და შრომის პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა. აგრეთვე სოფლის მეურნეობის

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1973 წ., 13 დეკემბერი.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 499.

დრო და წარმოების პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა კლამატურ და ნიადაგობრივ პირობებში, რომ აქ „ერთი და იგივე შრომა შეიძლება მოსავლიან წელიწადში ორ ბუშელ ხორბალში გასაგნობრივდეს, მოუსავლიან წელიწადში კა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ ბუშელში. აქ ისე გვეჩვენება, თითქოს იშვიათობა ან სიუხვე როგორც ბუნებრივი პირობები, საქონელთა საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავენ, რადგან ისინი განსაზღვრავენ განსაკუთრებული რეალური შრომის მწარმოებლურ ძალას, რომელიც ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული“<sup>3</sup>. სახალხო მეურნეობის ამ დარგში, ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკურობის გამო შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშება რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

მრეწველობაში, სადაც წარმოების პერიოდი და შრომის პერიოდი, გამოწვევის გარდა, ერთმანეთს ემთხვევა, შრომის მწარმოებლურობა შეიძლება გამოვიანგარიშოთ ყოველდღიურად, თვიურად, კვარტალურად და წლიურად. სოფლის მეურნეობაში საქმე სხვაგვარადაა. რადგან საბოლოო პროდუქტი აქ, როგორც წესი, წლის ბოლოს მიიღება, ან კიდევ ცალკეული პერიოდების მიხედვით პროდუქციის მიღება არათანაბარზომიერად ხდება, შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში მაშინ შეიძლება გამოვიანგარიშოთ, როდესაც წარმოებული პროდუქციის მოცულობა საბოლოოდ გამოირკვევა<sup>4</sup>.

სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დახარჯული სამუშაო დროისა და მთლიანი პროდუქციის აღრიცხვის მონაცემებით შეგვიძლია სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ შრომის მწარმოებლურობას პირდაპირ და არაპირდაპირ მაჩვენებლებზე, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთობლიობაში მოცემული დარგის შრომის მწარმოებლურობის მთლიან სურათს იძლევიან.

შრომის მწარმოებლურობის პირდაპირი ანუ ძირითადი მაჩვენებლებია:

1. სამუშაო დროის ერთეულებზე (კაცდღე, კაცსაათი) ერთი საშუალო წლიურ მუშაკის მიხედვით გაანგარიშებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგის (მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობის) მთლიანი პროდუქციის ღირებულება;
2. სამუშაო დროის ერთეულისა და ერთი საშუალო წლიური მუშაკის მიხედვით გაანგარიშებული ნატურალური პროდუქცია (ხორბალი, ბამბა, აბრეშუმის პარკი) ან დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა მოცემულ პროდუქციის ერთეულზე.

შრომის მწარმოებლურობის არაპირდაპირი მაჩვენებლებია:

1. პროდუქციის გამოსავალი 100 ჰექტარ სახმარ მიწაზე;
2. შრომის დანახარჯები 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე მოსავლის აღებაზე, ნარგავების მოვლაზე და სხვა;
3. შრომის დანახარჯები ერთი სული პირუტყვის მოვლაზე;
4. ერთი სრული საშუალო წლიურა მუშაკის დატვირთვა პირუტყვით;
5. პროდუქციის გამოსავალი ერთ შრომისუნარიანზე და სხვა<sup>5</sup>.

შრომითი დანახარჯების აღრიცხვის თანამედროვე პირობებში კოლმეურნეობრივ მეაბრეშუმეობაში შრომის მწარმოებლურობის პირდაპირი მაჩვენებლის გაანგარიშება შესაძლებელია ერთ ცენტნერ აბრეშუმის პარკის წარმოებაზე დახარჯული კაცდღეების რაოდენობის მიხედვით. მეაბრეშუმეობაში შრო-

<sup>3</sup> ე. შარქისი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 32.

<sup>4</sup> შ. კახეთელიძე. შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზები საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივ მეცხოველეობაში, თბ., 1963, გვ. 23.

<sup>5</sup> შ. კახეთელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.



მის მწარმოებლურობის პირდაპირი მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება, აგრეთვე, ერთ პირობითს საშუალო წლიურ მეაბრეშუმეზე წარმოებული პროდუქციის ოდენობით. შრომის მწარმოებლურობის არაპირდაპირი მაჩვენებელი მეაბრეშუმეობაში არის შრომის დანახარჯები ერთი კგ აბრეშუმის ქიაზე — ერთი პირობითი საშუალო წლიური მეაბრეშუმის დატვირთვა აბრეშუმის ქიით (კოლოფებით, გრამობით).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აბრეშუმის ქიის გამოკვების ამჟამად არსებული წესი (ძირითადად ინდივიდუალური) ნაკლებად უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, რადგან ინდივიდუალური გამოკვების დროს მექანიზაციის გამოყენება შეზღუდულია, ძნელდება შრომითი დანახარჯების ზუსტი აღრიცხვა გამოკვების პროცესში მონაწილე კოლმეურნეთა შრომის დანახარჯების არაყოველღიური აღრიცხვის გამო. საერთოდ, დადგენილი წესის თანახმად, რესპუბლიკაში 1 კოლოფი აბრეშუმის ქიის გამოკვებისათვის კოლმეურნეს ერიცხება 50 კაცდღე. ეს წესი განსაზღვრავს კაცდღეების მაქსიმუმს, საჭიროა მისში მინიმუმიც იყოს ვათვალისწინებულნი.

მთელ რაგ კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობისათვის კაცდღეების დარიცხვა ხდება წარმოებრივი დატვირთვის გაუთვალისწინებლად, რაც ხელოვნურად აღიღებს შრომის დანახარჯებს მეაბრეშუმეობაში. ეს კი საფუძველი ხდება თვითღირებულების არაზუსტად გაანგარიშებისათვის, რაც თავის მხრივ უარყოფათს გავლენას ახდენს დარგის რენტაბელობის მაჩვენებელზე.

შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელთა დინამიკის ანალიზი, სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონების მიხედვით, გვიჩვენებს მას დიდ ცვალებადობას, რაც კარგად ჩანს № 1 ცხრილის მონაცემებიდან.

როგორც ცხრილიდან ჩანს რესპუბლიკაში 1966 წ. შრომის მწარმოებლურობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ შიდა ქართლის ბარის მეხილეობის V ზონის კოლმეურნეობებს, აქ პარკის წარმოებაზე 1966 წელს საშუალოდ დაიხარჯა 267 კაცდღე, ხოლო ამავე ზონის გორის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ 303 კაცდღე, ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში კი 1 ცენტნერი აბრეშუმის წარმოებაზე დახარჯეს 204 კაცდღე. შრომის მწარმოებლურობის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა X<sup>1</sup> (მეთამბაქოეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა განვითარებული საგარეუბნო მეურნეობებით) ქვეზონას. 1966 წ. ამ ქვეზონის კოლმეურნეობებში 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე საშუალოდ დახარჯეს 74,8 კაცდღე ანუ 3,3-ჯერ ნაკლები, ვიდრე — V ზონის კოლმეურნეობებში. ამ ზონაში და, რესპუბლიკაში საერთოდ, საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ გაგრის (12 კ/დ), ვულაუთისა (59 კ/დ) და სოხუმის (72 კ/დ) რაიონებს. ცხრილში მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ 1967—1971 წლებში შრომის მწარმოებლურობის უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდებოდა რესპუბლიკაში გაადგილებული წარმოებრივი სპეციალიზაციის I, II, V ზონებისა და X<sup>2</sup> ქვეზონის რაიონები. 1967 წელს 1966 წელთან შედარებით 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები შემცირდა საშუალოდ: 54 კ/დ-ით I ზონა, 4,4 კ/დ-ით — II ზონა, 60 კ/დ-ით — V ზონა, 19,3 კ/დ-ით — X<sup>2</sup> ქვეზონის კოლმეურნეობებში; ხოლო III, VIII ზონებსა და X<sup>1</sup>, X<sup>3</sup>, ქვეზონების კოლმეურნეობებში 1966 წელთან შედარებით 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები გადიდა: 16,5 კ/დ-ით — III ზონის, 17,5

შრომის მწარმოებლურობის დინამიკა საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივ მეაბრეშუმეობაში სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონებისა და ქვეზონების მიხედვით<sup>6</sup>

ცხრილი 1

| ზონების და ქვეზონების დასახელება   | 1966 წ.                              | 1967 წ.                              | 1968 წ.                              | 1969 წ.                         | 1970 წ.                              | 1971 წ.                            | შრომის დანახარჯები უმცროსად 1971 წ. 1966 წ.თან შედარებით %-ით |
|--|--------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|--------------------------------------|------------------------------------|---|
|  | 1 ო. აბრეშუმის პარკზე დახარჯული კ/დ. | 1 ო. აბრეშუმის პარკზე დახარჯული კ/დ. | 1 ო. აბრეშუმის პარკზე დახარჯული კ/დ. | 1 ო. აბრეშ. პარკზე დახარჯ. კ/დ. | 1 ო. აბრეშუმის პარკზე დახარჯული კ/დ. | 1 ო. აბრეშუმის პარკზე დახარჯ. კ/დ. |   |
| I. ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონა მეტამაქოეობით   | 174                                  | 120                                  | 122,3                                | 126,3                           | 122,9                                | 110,6                              | 36,6  |
| II გარე კახეთის ზეგნის მემარცვლეობა-მეცხოველეობის ზონა   | 193                                  | 188,6                                | 141,5                                | 152,6                           | 141,6                                | 149,5                              | 22,8  |
| III ქვემო ქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა  | 130                                  | 146,5                                | 160,5                                | 172,4                           | 185,7                                | 166,6                              | -28   |
| V შიდა ქართლის ბარის მეხილეობის ზონა   | 267                                  | 207                                  | 317                                  | 329,8                           | 295                                  | 312,5                              | -17   |
| VIII ზემო იმერეთის მაღლობისა და რაკა-ლენჩხუმის ქვაბური მევენახეობის ზონა                         | 116,9                                | 131,4                                | 142,5                                | 151,8                           | 156,4                                | 158,8                              | -35,8   |
| X <sup>1</sup> მეთამაქოეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა განვითარებული სოფლის მეურნეობათ | 74,8                                 | 107,6                                | 89,4                                 | 106,7                           | 115,2                                | 106,8                              | -42,7   |
| X <sup>2</sup> მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა                                    | 117                                  | 97,7                                 | 93,6                                 | 96,2                            | 101                                  | 105,7                              | 9,7   |
| X <sup>3</sup> მეჩაიეობის ქვეზონა განვითარებული სოფლის მეურნეობით                                | 122,6                                | 132,0                                | 119,5                                | 133,9                           | 126,2                                | 136,4                              | -33   |
| საშუალო რესპუბლიკური   | 118,4                                | 122,0                                | 106,0                                | 109,6                           | 116,6                                | 115,5                              | 2,5   |

კ/დ-ით —VIII ზონის, 32,8 კ/დ-ით X<sup>1</sup> ქვეზონის და 10 კ/დ-ით X<sup>3</sup> ქვეზონის კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ 1967 წელს 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკზე მაღალი შრომითი მაჩვენებელი ქონდათ ახმეტის (72 კ/დ), წყალტუბოს (70,0 კ/დ), ჩოხატაურის (72 კ/დ), მახარაძის (22 კ/დ), წალენჯიხის (87 კ/დ), ლანჩხუთის (91 კ/დ), ამბროლაურის (91 კ/დ) — კოლმეურნეობების მეაბრეშუმეებს. აღნიშნულ წელს 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე ყველაზე მეტი კ/დ დაიხარჯა ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში (298 კ/დ), რაც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს 1,6-ჯერ აღემატებოდა.

რესპუბლიკაში 1967 წელს შრომის მწარმოებლურობა მეაბრეშუმეობაში 1966 წელთან შედარებით 5,5%-ით გადიდდა. 1968 წელს, 1966 წელთან შედარებით, შრომით დანახარჯებზე საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი

<sup>6</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წლიური ანგარიშებიდან.

7. შ. ა. ც. ე. წ. ფილოსოფიის, ... სერია 1975 № 1.



1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შემცირდა 9,7%; უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ I, II ზონებისა და X<sup>1</sup>, X<sup>3</sup> ქვეზონების მეაბრეშუმებს. შრომის ნაკლები დანახარჯებით გამოირჩეოდნენ წალენჯიხის (44 კ/დ), ქობულეთის (67 კ/დ), ახმეტის (72 კ/დ) რაიონების კოლმეურნეობები; ყველაზე დიდი შრომითა დანახარჯებით კი — გორის, ქარელისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობები, რომლებმაც 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი კ/დ დახარჯეს 1 ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. 1968 წელს შრომითი დანახარჯები მერყეობდა 62 კ/დ (წალენჯიხის რაიონი), 456 კ/დ (გორის რაიონი). 1 ცენტ. აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების ასეთი დიდი რაოდენობა გამოწვეულია შრომის ორგანიზაციის დაბალი დონით.

მერვე ხუთწლედის მომდევნო 1969 წელს, 1966 წელთან შედარებით, რესპუბლიკაში შეიმჩნეოდა შრომითი დანახარჯების შემცირების ტენდენცია I, II ზონებისა და X<sup>2</sup> ქვეზონის რაიონების კოლმეურნეობებში, თუმცა აქვე, ადგილი ჰქონდა ამავე ზონის რაიონების 1968 წელთან შედარებით 1 ცენტ. აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების გადიდებას. შესამჩნევად გაიზარდა შრომითი დანახარჯები III, V, VIII ზონებისა და X<sup>1</sup> X<sup>3</sup> ქვეზონების კოლმეურნეობებშიც. ამ წელს შრომითი დანახარჯები მერყეობდა 62 კ/დ (წალენჯიხის რაიონი) და 465 კ/დ (გორის რაიონი) შორის. შრომითი დანახარჯების საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი 1969 წელს 8,8 კ/დ-ით ნაკლები იყო 1966 წელთან შედარებით.

როგორც ჩანს 1970-1971 წლებში წინა წლებთან შედარებით შრომითი დანახარჯები 1 ცენტ. პარკის წარმოებაზე შესამჩნევი ზრდით ხასიათდება, მაგრამ რესპუბლიკის მასშტაბით 1971 წ. 1966 წელთან შედარებით იგი 2,5%-ით შემცირდა. მოყვანილი მასალები ცხადყოფენ აგრეთვე, რომ რიგი რაიონები (ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, მახარაძის, გალის და ტყიბულის) წლების მანძილზე უკეთესი შრომითი მაჩვენებლით ხასიათდებიან, ვიდრე გორის, ქარელის, გურჯაანის, თერჯოლის, ჰიათურის, საგარეჯოს რაიონები. ეს გამოწვეულია ამ რაიონების მეაბრეშუმეობაში შრომის ორგანიზაციის დაბალი დონით და აგრეთვე კაცდღეების დარიცხვა-აღრიცხვის ნაკლოვანებებით, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეს კ/დ-ს არიბნავენ მისი საწარმოო დატვირთვის შეუფერებლად (ან ნაკლებს, ანდა — ხელოვნურად გადიდებულს).

1 გრამი ჭიიდან პარკის მოსავლისა და 1 კგ აბრეშუმის პარკის წარმოებაზე დახარჯული კაცდღეების რაოდენობა საქართველოს სსრ-ში წარმოებრივად სპეციალიზაციის ზონების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა.

№ 2 ცხრილიდან ჩანს, რომ 1966 წ. 1 გრამი ჭიიდან აბრეშუმის პარკის მოსავალი შედარებით მაღალი იყო I (1,5 კგ), III (1,4 კგ), VIII (1,7 კგ) ზონებისა და X<sup>2</sup> (1,5 კგ), X<sup>3</sup> (1,6 კგ) ქვეზონების რაიონებში. შრომითი დანახარჯები 1 კგ აბრეშუმის პარკზე ამ რაიონებში შეადგენდა საშუალოდ 1,2 კ/დ-ს. გამონაკლისია I ზონა, სადაც ეს მაჩვენებელი საშუალო რესპუბლიკურზე მაღალი იყო 0,5 კ/დ-ით. დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ



შრომის მწარმოებლურობის დონე და პარკის მოსავალი I გრამი ჰიდან<sup>7</sup>

| ზონები და ქვეზონები  | 1966 წ.                 |                          | 1967 წ.                       |                          | 1968 წ.                       |                          | 1969 წ.                       |                          | 1970 წ.                       |                          | 1971 წ.                       |                          |
|--|-------------------------|--------------------------|-------------------------------|--------------------------|-------------------------------|--------------------------|-------------------------------|--------------------------|-------------------------------|--------------------------|-------------------------------|--------------------------|
|  | I გრ. ჰიდან მიღებ. კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. | I გრ. ჰიდან მიღებ. პარკი კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. | I გრ. ჰიდან მიღებ. პარკი კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. | I გრ. ჰიდან მიღებ. პარკი კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. | I გრ. ჰიდან მიღებ. პარკი კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. | I გრ. ჰიდან მიღებ. პარკი კ/ა. | I კვ პარკზე დახარჯ. კ/დ. |
| I ალანის ვეის მევენახეობის ზონა მეთამბაქოეობით   | 1,5                     | 1,7                      | 2,1                           | 1,2                      | 2,4                           | 1,2                      | 2,1                           | 1,2                      | 2,3                           | 1,2                      | 2,2                           | 1,1                      |
| II გარეკახეთის ზეგანის მემარცხენი მცხოვრელობის ზონა  | 1,1                     | 1,9                      | 1,6                           | 1,9                      | 1,9                           | 1,4                      | 1,8                           | 1,5                      | 1,5                           | 1,4                      | 2,0                           | 1,5                      |
| III ქვემოქართლის ბარის საგარეუბნო სოფლისმეურნეობის ზონა                                      | 1,4                     | 1,3                      | 1,8                           | 1,4                      | 2,0                           | 1,6                      | 1,8                           | 1,7                      | 1,9                           | 1,8                      | 1,0                           | 1,6                      |
| V შიდა ქართლის ბარის მებლევობის ზონა შაქრის კარხლის თესვით                                   | 1,1                     | 2,6                      | 1,6                           | 2,1                      | 1,3                           | 3,2                      | 1,4                           | 3,3                      | 1,5                           | 2,9                      | 1,6                           | 3,1                      |
| VIII ზემო იმერეთის მაღლობისა და რაჭალეჩხუმის ქვაბურის მვენახეობის ზონა                       | 1,7                     | 1,2                      | 2,2                           | 1,3                      | 2,1                           | 1,4                      | 2,0                           | 1,5                      | 2,2                           | 1,6                      | 2,3                           | 1,6                      |
| X <sup>1</sup> მეთამბაქოეობისა და სუბტროპიკული მებლევობის ქვეზონა განვითარებული ს/მეურნეობით | 0,9                     | 0,7                      | 1,1                           | 1,1                      | 1,5                           | 1,9                      | 0,2                           | 1,0                      | 1,6                           | 1,1                      | 1,5                           | 1,0                      |
| X <sup>3</sup> მენაიბისა და სუბტროპიკული მებლევობის ქვეზონა                                  | 1,5                     | 1,2                      | 1,8                           | 1,0                      | 2,1                           | 0,9                      | 1,7                           | 0,9                      | 1,7                           | 1,0                      | 1,7                           | 1,0                      |
| X <sup>4</sup> მენაიბის ქვეზონა განვითარებული ს/მეურნეობით                                   | 1,6                     | 1,2                      | 1,9                           | 1,3                      | 2,2                           | 1,2                      | 1,6                           | 1,3                      | 1,8                           | 2,0                      | 2,0                           | 1,3                      |
| საშუალო რესპუბლიკური   | 1,3                     | 1,2                      | 1,8                           | 1,1                      | 2,0                           | 1,0                      | 1,7                           | 1,0                      | 1,8                           | 1,1                      | 1,9                           | 1,1                      |

II და V ზონის რაიონები, სადაც საშუალოდ 1 გრამი ჰიდან მიღებული პარკი რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით ნაკლები იყო 0,2 კგ-ით.

აღნიშნულ წელს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით აბრეშუმის 1 კვ პარკზე მაღალი შრომითი დანახარჯებით გამოირჩეოდნენ II ზონისა (0,7 კ/დ) და V ზონის (1,4 კვ) რაიონები.

1 გრამი ჰიდან აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი მიიღეს მახარაძის (2,6 კვ), ლანჩხუთის (2,1 კვ), ქობულეთის (2,1 კვ), ტყიბულას (2,5 კვ), ორჯონიკიძის (2,2 კვ), ზესტაფონის (2,2 კვ), თელავის (2,1 კვ) რაიონების მეაბრეშუმეებმა, რომლებსაც შესაბამისად დაბალი ჰქონდათ 1 კვ აბრეშუმის პარკზე შრომითი დანახარჯები. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში. შრომითი დანახარჯების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ საგარეჯოს რაიონის მეაბრეშუმეებს, სადაც 1,0 კვ პარკის წარმოებაზე 3,5 კ/დ დახარჯეს.

<sup>7</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და მეაბრეშუმეობის სამმართველოს წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.



ცხრილში მოყვანილი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხუთწევრიანი მომდევნო წლებში 1 გრამი ჭიიდან აბრეშუმის პარკის მოსავალი იზრდება, ხოლო შესაბამისად მცირდება 1 კგ პარკის წარმოებაზე დახარჯულ კ/დ-თა რაოდენობა. რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწიეს 1968 წელს, როდესაც საშუალოდ 2 კგ პარკის წარმოებაზე დახარჯეს 1 კ/დ. ამ წელს საუკეთესო შედეგით გამოირჩეოდნენ ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, ორჯონიკაძის, გეგეჭკორის, წულუკიძის, წალენჯიხის — რაიონები. საშუალოდ რესპუბლიკაში 1 გ ჭიიდან პარკის მოსავალი მერყეობდა 1,2 კგ-დან (გორის რაიონი) 2,3 კგ-მდე (თელავის რაიონი), ხოლო შრომითი დანახარჯება: 0,5 კ/დ — წალენჯიხის რაიონი, 4,5 კ/დ-მდე — გორის რაიონი.

1971 წელს 1966 წელთან შედარებით საშუალოდ რესპუბლიკაში მიიღეს 1 გრამი აბრეშუმის ჭიიდან 0,6 კგ-ით მეტი აბრეშუმის პარკი, ხოლო შრომითი დანახარჯება შემცირდა 0,1 კ/დ-ით. 1971 წელს მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ I, II, VIII ზონებისა და X<sup>3</sup> ქვეზონის რაიონები.

შრომის მწარმოებელთა დონის შესწავლა გვარწმუნებს, რომ 1 გ ჭიიდან პარკის მოსავალსა და 1 კგ აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითს დანახარჯებს შორის პარდაპირი კავშირი არსებობს. იქ სადაც დაბალია პარკის მოსავალი (II და V ზონები), მაღალია შრომითი დანახარჯები. ხოლო იმ რაიონებში, სადაც მაღალია პარკის მოსავალი (VIII ზონა და X<sup>3</sup> ქვეზონა) — დაბალია შრომითი დანახარჯები.

1 ცენტერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე ფრიად განსხვავებული შრომითი დანახარჯები აქვს რესპუბლიკის არა მარტო სხვადასხვა რაიონებს, არამედ — ერთმანეთის მოსაზღვრე რაიონებსაც, რომლებიც თითქმის ერთნაირ ბუნებრივ პირობებში იმყოფებიან. მაგალითად, გურჯაანი 356 კ/დ და სიღნაღი 174 კ/დ; ზუგდიდი 100 კ/დ და წალენჯიხა 66 კ/დ. რესპუბლიკის რაიონებს შორის შრომითი დანახარჯების თვალსაჩინო განსხვავება, სხვა მიზეზებთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ; გამოწვეულია კაცდღეების არაზუსტი აღრიცხვითაც.

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სხვადასხვა რაიონებში ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ უმრავლეს კოლმეურნეობებში არ აწარმოებენ სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელს, ხოლო სადაც ამ ტაბელს აწარმოებენ აქ არაზუსტად ავსებენ მაჩვენებლებს: მასში ნებისმიერად შეაქვთ ნამუშევარი კაცდღეებისა და კაცსაათების რაოდენობა; აგრეთვე ადგილი აქვს ნამუშევარი კაცდღეების და კაცსაათების აღურიცხაობას ან მისი ზედმეტად დარაცხვის ფაქტებს. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მეაბრეშუმეობაში, სადაც ხშირია შემთხვევა, როდესაც აბრეშუმის პარკის გამოკვებაზე დახარჯულ კაცდღეებს აღრიცხავენ ორი-სამი თვის დაგვიანებით, ან მეაბრეშუმეს უწერენ კაცდღეებს ისეთი რაოდენობით, რომელაც დიდად აღემატება კალენდარულ დღეთა რაოდენობას თვეში ან წელიწადში. ფაქტობრივად, ნამუშევარი დროის აღრიცხვაში აღნიშნული ნაკლი აპირობებს არაზუსტ მაჩვენებლებს კოლმეურნეობების წლიურ ანგარიშგებებში.

აბრეშუმის ჭიის ინდავიდუალურად გამოკვების პირობებში დახარჯული კ/დ-ის სწორად აღრიცხვის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია აბრეშუმის ჭიის გა-

მოკვებაზე დახარჯული კ/დ აღირიცხოს არა ყოველდღაურად ან პარკის ჩაბარების შემდეგ ერთბაშად, არამედ ყოველი თვის ბოლოს ჰიის გამოკვების მიხედვით. აბრეშუმის ჰიის მოვლაზე ნამუშევარი დროიდან გამომდინარე, დადგენილი წესის მიხედვით ერთი კოლოფი აბრეშუმის ჰიის გამოკვებაზე კოლმეურნობაში მიღებული გამომუშავების ნორმით საჭიროა სულ 50-მდე კაცლე. იმ შემთხვევაში, თუ ჰიის გამოკვებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები ტარდებოდა აბრილის თვეში, ამ სამუშაოზე მოცემული თვის ბოლოს დაერიცხოს ერთი კოლოფი აბრეშუმის ჰიის მოვლისათვის საჭირო კაცლეების საერთო რაოდენობის 12% ანუ 6 კაცლე. თუ აბრეშუმის ჰიის I, II, III და IV ასაკის გამოკვება ტარდებოდა მაისის თვეში, ამ სამუშაოზე დაირიცხოს 38% ანუ 19 კ/დ. თუ მეხუთე ასაკის გამოკვება ივნისის თვეში ტარდება, დაირიცხოს 34% ანუ 17 კ/დ; ხოლო დანარჩენ სამუშაოებზე, როგორცაა ცახის დაყენება, პარკის გამოკვება, ჩაბარება, შენობის დასუფთავება და სხვა დამხმარე სამუშაოები — დაირიცხება მთელ კ/დ-თა რაოდენობის 16% ანუ 8 კ/დ.

აღნიშნული კაცლეების დაირიცხვა ჰიის მოვლაზე კოლმეურნე მეაბრეშუმეებისათვის უნდა მოხდეს თითოეული მათგანის მიერ ჰიის მოვლაზე ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად იმ ანგარიშით, რომ თითოეული კოლმეურნისათვის ამა თუ იმ თვეში აბრეშუმის ჰიის მოვლაზე და მინდვრის სამუშაოებზე დაირიცხული კ/დლების საერთო ჯამი არ აღემატებოდეს მოცემული თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობას.

საქართველოს სსრ შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი ერთი პირობითი საშუალო წლიური მეაბრეშუმის მიხედვით მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

პირობითწლიურ მეაბრეშუმეზე წარმოებული პროდუქტია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონებისა და ქვეზონების მიხედვით (აბრეშუმის პარკი კილოგრამებით)

| ზონებისა და ქვეზონების დასახელება  | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. | 1970 წ. | 1971 წ. |
|--|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| I ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონა მეთამბაჰოებით  | 151     | 215     | 208     | 210     | 213     | 240     |
| II გარე კახეთის ზეგანის მემარცვლვობა-მეცხოველეობის ზონა  | 123     | 104     | 135     | 135     | 104     | 147     |
| III ქვემო ქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა  | 152     | 163     | 124     | 128     | 127     | 122     |
| V შიდა ქართლის ბარის მეხილეობის ზონა (შაქრის ქარხნის თესვით)                                     | 81      | 93      | 68      | 61      | 70      | 71      |
| VIII ზემო იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონა                         | 203     | 184     | 173     | 154     | 140     | 140     |
| X <sup>1</sup> მეთამბაჰოებისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა განვითარებული სოფლის მეურნეობით | 309     | 227     | 276     | 225     | 214     | 246     |
| X <sup>2</sup> მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა                                    | 227     | 252     | 257     | 222     | 234     | 232     |
| X <sup>3</sup> მეჩაიეობის ქვეზონა განვითარებული სოფლის მეურნეობით                                | 228     | 193     | 228     | 175     | 208     | 174     |
| საშ. რესპუბლიკური  | 207     | 219     | 229     | 203     | 210     | 212     |

<sup>8</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მეაბრეშუმეობის სამმართველოს წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ფრიად მერყეობს ზონებსა და ქვეზონებში ერთ პირობითს წლიურ მეაბრეშუმეზე შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 1968 წელს. 1971 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა შიდა ქართლის ბარას მეხილეობის V ზონას შაქრის ჰარხლის თესვით.

ერთ პირობითს წლიურ მეაბრეშუმეზე აბრეშუმის პარკის წარმოების რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელი 1971 წელს 1966 წელთან შედარებით გადიდა 2,4%, 1966 წელს საქართველოს სსრ მეცხოველეობაში მეაბრეშუმეობის შრომითი დანახარჯების მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩეოდნენ I, VIII ზონებისა და X<sup>1</sup>, X<sup>2</sup> ქვეზონების რაიონები; ხოლო დაბალი მაჩვენებლებათ კი — II ზონასა და X<sup>3</sup> ქვეზონის რაიონები.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ-ში აბრეშუმის პარკის წარმოების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა და შესაბამისად იკლო მეცხოველეობაში მეაბრეშუმეობის შრომითი დანახარჯების ხვედრითმა წონამ, 1971 წელს მას მაინც საკმაო ადგილი ეკავა I ზონისა და X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> ქვეზონების რაიონებში. I ზონის ლავოდების რაიონში მეცხოველეობაში მეაბრეშუმეობის შრომითი დანახარჯების ხვედრითი წონა 1966 წელს იყო 41,2%, ხოლო 1971 წელს 45,6%. მახარაძის რაიონში 1966 წ. მეცხოველეობაში მეაბრეშუმეობის შრომითი დანახარჯების ხვედრითი წონა შეადგენდა 61,6%-ს, 1971 წ. — 51,0%-ს.

კონკრეტულა მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ შრომის მწარმოებლურობის დონე უფრო მაღალია იმ რაიონებში, სადაც აბრეშუმის პარკის წარმოების მოცულობა დიდია, ვიდრე იმ რაიონებში, სადაც აბრეშუმის პარკის ნაკლები რაოდენობით აწარმოებენ. ასე, მაგალითად, ის რაიონები, რომლებიც აწარმოებენ წელიწადში საშუალო 79,6 ტ. აბრეშუმის პარკს, 1 ცენტნერი პარკის წარმოებაზე ხარჯავენ 195—200 კ/დ-ს, ხოლო ის რაიონები, რომლებიც აწარმოებენ საშუალოდ 1577,8 ცენტნერს, თითოეული ცენტნერი პარკის წარმოებაზე ხარჯავენ 92,4—99,2 კ/დ-ს.

როგორც ეხედავთ ის რაიონები, სადაც აბრეშუმის პარკის წარმოების კონცენტრაცია მაღალია, 1 ტ. აბრეშუმის პარკის წარმოებაზე 2,1-ჯერ ნაკლებ კაცდღეს ხარჯავენ, ვიდრე ის რაიონები, სადაც აბრეშუმის პარკის კონცენტრაცია უფრო დაბალია.

კონკრეტული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ერთ კაცდღეზე წარმოებული პარკის რაოდენობა (კგ-ით) მერყეობს როგორც ზონებს შორის, ისე ზონებს შიგნით. არიან ზონები, სადაც ერთ კაცდღეზე წარმოებული პარკის რაოდენობა იზრდება. მაგ. II ზონასა და X<sup>1</sup> ქვეზონაში, ხოლო III, V, VIII ზონებსა და X<sup>2</sup> X<sup>3</sup> ქვეზონებში კი შესამჩნევად მცირდება, რაც ნათლად ჩანს მე-4 ცხრილის მონაცემებიდან.

საქართველოს სსრ-ში არის რაიონები, რომლებიც აწარმოებენ 1 კაცდღეზე უფრო მეტ პარკს, ვიდრე საშუალოდ ზონაში ან რესპუბლიკაში. მაგ. I ზონაში ლავოდების რაიონი გამოირჩევა ამ ზონაში წარმოებული პარკის მაღალი ხვედრითი წონით, 1967 წელს აწარმოებდა 1 კაცდღეზე 0,5 კგ პარკს, რაც 0,2 კგ-ით მეტი იყო საშუალო ზონალურ მაჩვენებელზე და 0,2 კგ-ით მეტა რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელზე. 1971 წელს კი რაიონში წარმოებული აბრეშუმის პარკი 0,12 კგ-ით მეტი იყო საშუალო ზონალურ

შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლების დინამიკა სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონების მიხედვით

| ზონები და ქვეზონები    | 1967 წ.     |      | 1968 წ.     |      | 1969 წ.     |      | 1970 წ.     |      | 1971 წ.     |      |
|------------------------|-------------|------|-------------|------|-------------|------|-------------|------|-------------|------|
|                        | ერთ კაცელზე |      | ერთ კაცელზე |      | ერთ კაცელზე |      | ერთ კაცელზე |      | ერთ კაცელზე |      |
|                        | პარკი კვ    | მან. | პარკი კვ    | მან. | პარკი კვ    | მან. | პარკი კვ    | მან. | პარკი კვ    | მან. |
| I ზონა                 | 0,74        | 2,53 | 0,72        | 2,51 | 0,71        | 2,53 | 0,75        | 2,55 | 0,86        | 2,81 |
| II ზონა                | 0,41        | 1,28 | 0,45        | 1,55 | 0,46        | 1,63 | 0,48        | 1,62 | 0,51        | 1,72 |
| III ზონა               | 0,55        | 1,81 | 0,43        | 1,50 | 0,43        | 0,43 | 0,44        | 1,50 | 0,42        | 1,41 |
| V ზონა                 | 0,32        | 1,05 | 0,23        | 0,67 | 0,22        | 0,71 | 0,24        | 0,24 | 0,24        | 0,84 |
| VIII ზონა              | 0,63        | 2,21 | 0,60        | 2,11 | 0,53        | 1,97 | 0,48        | 1,63 | 0,48        | 1,63 |
| X <sup>1</sup> ქვეზონა | 0,78        | 2,34 | 0,95        | 2,75 | 0,77        | 2,74 | 0,74        | 2,51 | 0,85        | 2,88 |
| X <sup>2</sup> ქვეზონა | 0,87        | 2,79 | 0,88        | 2,86 | 0,77        | 2,58 | 0,51        | 2,78 | 0,80        | 2,72 |
| X <sup>3</sup> ქვეზონა | 0,65        | 2,65 | 0,78        | 2,78 | 0,60        | 2,02 | 2,41        | 0,60 | 0,60        | 2,04 |
| სულ რესპუბლიკაში       | 0,75        | 2,51 | 0,79        | 2,60 | 0,71        | 2,38 | 0,78        | 0,47 | 0,72        | 2,46 |

მაჩვენებელზე, ხოლო 0,23 კგ-ით მეტი — რესპუბლიკის შესადარ მაჩვენებელზე.

V ზონა არ გამოირჩევა აბრეშუმის პარკის დიდი რაოდენობის წარმოებით, მაგრამ ამ ზონაში შემავალ კასპის რაიონში 1 კაცელზე 1967 წელს აწარმოეს 0,19 კგ-ით მეტი პარკი, ვიდრე საშუალოდ ზონაში, ხოლო 0,24 კგ-ით ნაკლები — ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. 1971 წელს, შესაბამისად, 0,17 კგ მეტი — ვიდრე ზონაში და 0,31 კგ-ით ნაკლები — ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

X<sup>2</sup> ზონა 1966 წელს აწარმოებდა რესპუბლიკაში წარმოებული აბრეშუმის პარკის 55,1%, ხოლო 1971 წელს — 48,5%. აღნიშნულ ქვეზონაში შემავალი რაიონები მეაბრეშუმეობის შრომის მწარმოებლურობას მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. 1966 წელს საშუალოდ ქვეზონაში ერთ კაცელზე აწარმოეს 0,12 კგ-ით მეტი პარკი, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. ქვეზონაში არიან რაიონები, რომლებიც შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან (ზუგდიდი, წალენჯიხა, მახარაძე).

მახარაძის რაიონის მეაბრეშუმეები 1966 წელს ერთ კაცელზე საშუალოდ აწარმოებდნენ 0,24 კგ-ით მეტ პარკს, ვიდრე — საშუალოდ ზონაში. 1971 წელს კა, შესაბამისად, 0,1 კგ-ით მეტს, ვიდრე — საშუალოდ რესპუბლიკაში.

წარმატებები, რასაც საქართველოს სსრ ზოგიერთი მოწინავე მეაბრეშუმეობის ზონები და რაიონები აღწევენ ამ დარგში, გამოწვეულია მეაბრეშუმეთა დაუღალავი შრომით, გარჯით, საქმისადმი მათი სიყვარულთ, შრომის მაღალი ორგანიზაციითა და დახელოვნებით.

ჩვენ მიერ გაანგარიშებულია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონებისა და ქვეზონების მიხედვით. მოცემული მასალების ანალიზმა გვიჩვენა

\* ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.





ნა, რომ I ცენტნერი აბრეშუმის პარკის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები 1971 წელს საშუალოდ რესპუბლიკაში შემცირდა 2,5%-ით, ხოლო ზოგიერთ ზონასა და ქვეზონაში გადიდდა, მაგალითად, III ზონაში 28%-ით, VIII ზონაში — 35%-ით X<sup>3</sup> ქვეზონაში — 3,3%-ით.

ერთი გრამი კივიდან პარკის მოსავალი 1971 წ. 1966 წელთან შედარებით საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებლების მიხედვით გადიდდა 46,1%, ხოლო I ც. აბრეშუმის პარკზე დახარჯული კაცდღეები შემცირდა 2,5%-ით, შრომის მწარმოებლურობის ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა I, II ზონების X<sup>2</sup> ქვეზონების რაიონებში. 1971 წელს, 1966 წელთან შედარებით, პირობითს წლიურ მეაბრეშუმეზე წარმოებულ აბრეშუმის პარკის რაოდენობა გაიზარდა რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით 2,4%-ით.

მეაბრეშუმეობაში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას ანუ ერთეული პროდუქციის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების შემცირების მთავარი საშუალებაა აბრეშუმის პარკის წარმოების კონცენტრაცია და შრომის პროცესების რაციონალური ორგანიზაცია.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მეაბრეშუმეობაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მექანიზაციის გამოყენებას, აბრეშუმის ჭიის გამოკვების დონის ამაღლებასა და აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდის ფართოდ დანერგვას და სხვ.

## ა. თოთაძე

## ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხები

აღმნიშვნელოვანი მომენტია პროფესიის არჩევის საკითხი ერთ-ერთი რთული და დიდმნიშვნელოვანი მომენტია. პროფესიის არჩევა გავლენას ახდენს არამარტო აღმნიშვნელოვან ცხოვრებაზე, მის ოჯახზე, იმ წრეზე, სადაც იგი ტრიალებს, არამედ იგი უფრო ფართო ხასიათს იღებს და საბოლოოდ მისი გავლენის სფერო თავს იყრის საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის, კადრების დენადობის, საზოგადოების განვითარებაში არსებული შრომათა რესურსების სრული დასაქმებისა და რაციონალური გამოყენების, ნაციონალური შემოსავლის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს უდიდესი მეცნიერული და ტექნიკური რევოლუცია. ყოველწლიურად ჩნდება ათობით ახალ-ახალი პროფესია, ირდევია პროფესიული ბარიერები. ჩვენ ვცხოვრობთ უძარესად მობილურ საზოგადოებაში, სადაც სწრაფად იცვლება მოვლენები და პროცესები, რამაც გაართულა პროფესიის არჩევის საკითხი. ამ გართულებებს განსაკუთრებით შეუწყო ხელი კლასობრივი, რასობრივი და სოციალური ბარიერების მოსპობამ. საერთოდ, ახალგაზრდობის პრობლემების, მათ შორის, პროფესიული ორიენტაციის საკითხის შესწავლა და მისი სწორად გადაწყვეტა უდიდესი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა, რომელზედაც დამოკიდებულია არა მარტო პიროვნების მომავალი, სრულყოფა და წარმატება, არამედ საზოგადოების პროგრესიც. იუნესკოს მონაცემებით, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი შედგება 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდობისგან<sup>1</sup>. აღრე მოსახლეობის საერთო მასაში ახალგაზრდობა ასეთ მრავალრიცხოვანად არასოდეს არ ყოფილა წარმომდგარი. საბჭოთა კავშირში 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს — 50,8 პროცენტს, ხოლო 20 წლამდე ახალგაზრდები — 3,80 პროცენტს<sup>2</sup>. ჩვენი საზოგადოების მომავალი პროგრესი სწორედ ამ ახალგაზრდებმა უნდა იტვირთონ. ამიტომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში, არნახული მეცნიერული და ტექნიკური რევოლუციების ეპოქაში, ახალგაზრდობის პრობლემები ყველაზე მეტად აქტუალური და საჭირო გახდა, თუმცა მეცნიერული შესწავლის ობიექტი იგი ყოველთვის იყო. ახალგაზრდობის პრობლემებში პროფესიული ორიენტაციის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესია. პარტია და მთავრობა ამ საკითხს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სკკპ XXIV ყრილობის დირექტორებში აღნიშნულია: „გავაძლიეროთ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ახალგაზრდობის მიდრეკილებათა და კვალიფიკაციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Молодым наследовать мир, М., 1968, стр. 12.

<sup>2</sup> Численность, размещение, возрастная структура, уровень образования, национальный состав, языки и источники средств существования населения СССР, М., 1971, стр. 17.

<sup>3</sup> სკკპ XXIV ყრილობის ნასაღები, თბ., 1971, გვ. 347.



წინათ პროფესიების არჩევა არ იყო ძნელი. ადრე ყველაფერი წყდებოდა მარტივად: გლეხის შვილი ავტომატურად ხდებოდა გლეხი, თუ იგი ქალაქში წაედიოდა პირველ შემხვედრ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც არჩევის საშუალება ეძლეოდა, ყველაფერს სწყევტდა მეტი გასამრჯელო. ასევე, მუშის შვილი ხდებოდა მუშა, ხელისნისა — ხელოსანი, ექიმისა — ექიმი და ა. შ. შვილი უმრავლეს შემთხვევაში მიდიოდა გატყეპნილი გზით. პროფესიები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. პროფესიის არჩევა მხოლოდ პრივილეგიური წოდების მონოპოლია იყო, მაგრამ აქაც კი იშვიათად ირღვეოდა ოჯახური ტრადიცია. ამჟამად შვილები სულ უფრო ნაკლები ზომით რჩებიან თავიანთი მშობლების პროფესიულ წრეში. ახალგაზრდების წინაშე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმაგალითო ზრდის შედეგად პროფესიის არჩევის მრავალი შესაძლებლობა წარმოიშვა. გაჩნდა აუარებელი ახალი პროფესია, რომლებზედაც წინათ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. ახლა უკვე გლეხის შვილს სურს გახდეს ინჟინერი, ექიმი, კოსმონავტი, ხარატი და სხვა. თანამედროვე ახალგაზრდობას პროფესიის არჩევის ათობით მეტი ვარიანტი აქვს, ვიდრე მის მშობლებს, მაგრამ მით უფრო რთული გახდა პროფესიის არჩევა. ახალგაზრდამ არა მარტო თავისი მოწონებისა და ინტერესის<sup>4</sup>, არამედ თავისი ნიჭის, „შინაგანი ხმის“, პოტენციალურად მასში არსებული უნარის მიხედვით უნდა იზოგნოს თავისი თავი პროფესიაში.

პროფესიის არჩევაში დიდ როლს თამაშობს პროფესიის პრესტიჟი, მისი ფასეულობითი მხარე. ყველა პროფესია ერთნაირი პრესტიჟით არ სარგებლობს. ზოგი პროფესია მოდიდან გამოდის, ზოგი კიდევ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსით სარგებლობს. მაგალითად, ექიმი, ინჟინერი და სხვა. პროფესიის საზოგადოებრივი პრესტიჟი გულისხმობს არა იმდენად იმას თუ რას გააკეთებს ახალგაზრდა საზოგადოებისათვის ამ პროფესიის დაუფლების შემდეგ, არამედ თუ როგორ უყურებს ამ პროფესიას საზოგადოება. ამასთანავე, პროფესიის საზოგადოებრივი პრესტიჟი მით უფრო დიდია, რაც უფრო პერსპექტიულია პროფესია.

პროფესიის პრესტიჟს ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. პროფესიული პრესტიჟის შედეგად ზოგიერთი სპეციალისტი ცოტაა და ზოგიერთი კიდევ ბევრი. ამასთანავე, თუ ახალგაზრდა ვერ მოხვდა მის სასურველ პროფესიაზე, იგი ინტერესით არ მუშაობს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდას იზიდავს მხოლოდ პრესტიჟიანი პროფესიები, თუმცა ამ პროფესიების ღირსებათა ან სიძნელეთა შესახებ აქვს შემთხვევითი, ზედაპირული შთაბეჭდილება. ამის შედეგად სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ხდება მოსული „იძულებითი ასორტიმენტით“.

პროფესიის არჩევის პრობლემა წარმოიშვა კაპიტალისტური წარმოების პირობებში. პროფესიის არჩევის თავისუფლება გადაიქცა სოციალურ პრობლემად, მაგრამ დაყენა რა ეს პრობლემა, კაპიტალიზმმა იგი ვერ გადაწყვიტა: „შექმნა რა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საზოგადოებრივი შრომის დანაწილების განვითარებული სისტემა, მან შეინარჩუნა მნიშვნელოვანწილად ძველი და ახალი ბარიერები, ქონებრივი, კასტური, ნაციონალური და სხვა

<sup>4</sup> ინტერესს პროფესიულ ორიენტაციაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს ინტერესი შედარებით არამყარია ფსიქიკური ფაქტორია, რომელიც ახალგაზრდის ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად, ძალიან ხშირად ძირულ ცვლილებებს განიცდის.

უთანასწორობისა<sup>5</sup>. პროფესიის არჩევის თავისუფლების ცნება, როგორც სოციალური თავისუფლების შემადგენელი ნაწილისა, განიხილება როგორც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და პირად მიდრეკილებათა დიალექტიკური ერთიანობა. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, პროფესიის არჩევა დაქვემდებარებულია მატერიალურ ფაქტორს. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ კლასობრივ, რასობრივ და სოციალურ ბარიერებზე, რომლებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროფესიის არჩევის ერთ-ერთ ძირითად ზღუდელ რჩება.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა შესაბამისად გაჩნდა ახალი პროფესიები, რამაც წარმოშვა აუცილებლობა ადამიანები ერკვეოდნენ არა ერთ, არამედ რამდენიმე პროფესიაში და მათ შეხედრათა მიჯნაზე აღმოაჩინონ ახალი კანონზომიერებანი. საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აშხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ დღევანდელ მოწინავე მუშას აქვს მრავალმხრივი ცოდნა და მას „შეუძლია გადაწყვიტოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამოცანების, ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პრობლემები. იგი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტის უშუალო მონაწილე გახდა“<sup>6</sup>. რა თქმა უნდა, ასეთი განათლებული ადამიანი უნდა ერკვეოდეს ზედმიწევნით არა მარტო თავის პროფესიაში, არამედ მომიჯნავე პროფესიებშიც და მას საერთოდ უნდა შეეძლოს სხვადასხვა პროფესიის შენაცვლება, რაც თავისთავად შრომის გამოცვლას გულისხმობს. კომუნისტურ საზოგადოებაში ნაცვლად მუდმივი და ერთი და იმავე საქმიანობისა აღმნიშნები პერიოდულად გამოიცვლიან საქმიანობის სახეს მათი სურვილებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ „მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“<sup>7</sup>.

„კაპიტალიზმის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“<sup>8</sup>, რომელიც სოციალიზმმა განახორციელა, მთელი ზომით გამოვლინდა პროფესიის არჩევის თავისუფლების შესაძლებლობებშიც. „სოციალიზმი, აღნიშნავს ლენინი, პირველად ქმნის... შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად... გამოყვანილი იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში უღვრია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქეღავდა და ახშობდა“<sup>9</sup>.

პროფესიის არჩევა ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით არის ადამიანის არა მარტო პირადული, არამედ მთელი საზოგადოების საქმეც. მაგრამ საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და პირადი უნარის შერწყმა საქმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. რამდენადაც სოციალიზმი ჯერ კიდევ ვერ ქმნის პროფესიის არჩევის მთლიან თავისუფლებას კომუნიზმთან შედარებით. ის არ გამოორიცხავს

<sup>23</sup> მესამე ცხრილის მწკრივში მოყვანილია თითოეული კატეგორიის „სიმძიმე“, ე. ი. მოცემულ კატეგორიაში მოხვედრილი სიტყვა-რეაქციების ფარდობითი სიხშირეების ჯამი. თითოეულ კატეგორიაში შეიძლება იყოს მინიმუმ 0 და max-5 ერთეული (იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სიტყვა-სტიმულზე სიტყვა-რეაქციების ფარდობითი სიხშირეები მოცემულ კატეგორიაში უდრის 1-ს).

კატეგორიების ფარდობითი სიშორეების სკელებები (ა — საკლები ფარდობითი სიშორეების სიშორე)<sup>24</sup>  
ცხრილი 5

|    |    | ა — ბ |                |                 |                  |                 |                |                 |                  |                   |                 |                |                 |
|----|----|-------|----------------|-----------------|------------------|-----------------|----------------|-----------------|------------------|-------------------|-----------------|----------------|-----------------|
|    | ა  | ბ     | I<br>კატეგორია | II<br>კატეგორია | III<br>კატეგორია | IV<br>კატეგორია | V<br>კატეგორია | VI<br>კატეგორია | VII<br>კატეგორია | VIII<br>კატეგორია | IX<br>კატეგორია | X<br>კატეგორია | XI<br>კატეგორია |
| 1  | Y  | Y'    | -0,33*         | -0,0314         | -0,07*           | -0,0409         | -0,18*         | -0,0068         | -0,0189          | -0,0256           | 0,74*           | -0,6*          | 0,0362          |
| 2  | Y  | Y'    | -0,14*         | -0,0085         | -0,0256          | -0,1*           | -0,15*         | -0,9*           | -0,07*           | -0,0049           | 0,61*           | -0,0256        | 0,0168          |
| 3  | Y  | ს     | -0,22*         | -0,037*         | -0,02*           | -0,2*           | -0,16*         | -0,04*          | 0                | 0,0055            | 0,74*           | -0,04*         | 0,0128          |
| 4  | Y  | T     | -0,5*          | -0,0569         | -0,15*           | 0,0279          | -0,0406        | 0,0121          | -0,0162          | -0,0366           | 0,77*           | 0,04           | 0,0262          |
| 5  | T  | T'    | 0,18*          | 0,0255          | 0,08*            | -0,07*          | -0,13*         | -0,0189         | -0,0027          | 0,011             | -0,0204         | -0,06*         | 0,01            |
| 6  | T  | Y'    | 0,36*          | 0,0484          | 0,13*            | -0,13*          | -0,11*         | 0,1025          | -0,0521          | 0,0317            | -0,16*          | 0,0566         | -0,0094         |
| 7  | T  | ს     | 0,28*          | 0,0203          | 0,13*            | -0,23*          | -0,1227        | -0,05*          | 0,0162           | 0,0421            | 0,0179          | -0,04*         | -0,0138         |
| 8  | ს  | T'    | -0,1*          | 0,0052          | -0,04*           | 0,16*           | -0,0128        | 0,0311          | 0,0189           | -0,0311           | -0,0025         | -0,0166        | 0,0238          |
| 9  | ს  | Y'    | 0,09*          | 0,0281          | -0,0023          | 0,1*            | 0,0095         | -0,0525         | -0,07*           | 0,0104            | -0,14*          | 0,0144         | 0,0044          |
| 10 | Y' | T'    | -0,18*         | -0,0229         | -0,2498          | 0,0623          | -0,0223        | 0,08*           | 0,0494           | -0,027            | -0,14*          | -0,031         | 0,0149          |

<sup>24</sup> ცხრილში შემოკლებით აღნიშნები: Y არის ყაჯახი, T — რეხია ს — „სეფორევი“, ხოლო შტრიხით აღნიშნულია ქართული ცხრილი მონაცემები (იხ. შენიშვაჲ). XII კატეგორიის მონაცემები ამ ცხრილში არაა ასახული, რადგან ის არაა შეესაბამება მნიშვნელობისთვის.



თითოეული კატეგორიის მიხედვით, მონაცემების სხვაობის სტატისტიკური სანდოობა შემოწმდა სტუდენტის  $t$  კრიტერიუმით

$$\left\{ t = \frac{\bar{p}_1 - \bar{p}_2}{\sqrt{\frac{\bar{p}_1 \cdot \bar{q}_1}{N_1} + \frac{\bar{p}_2 \cdot \bar{q}_2}{N_2}}} \right\}$$

სტატისტიკურად სანდო განსხვავებანი (ცხრ. № 5) აღნიშნულია \*-ით (ცხრილში მოყვანილია ფარდობითი სიხშირეების სხვაობანი).

ერთ სიტყვა-სტიმულზე მიღებული ყველა სიტყვა-რეაქციათა სიხშირეების მეორე სიტყვა-სტიმულზე მიღებულ ყველა სიტყვა-რეაქციათა სიხშირეებთან სხვაობა შემოწმდა  $\chi^2$ -ით. ეს მონაცემები სანდოა. ცხრილში მოცემული  $\chi^2$ -ის მაქსიმალური მნიშვნელობა, როცა  $P=0,005$  (იმის ალბათობა, რომ მიღებული შედეგები შემთხვევითია), არის 24,7; ჩვენი მინიმალური  $\chi^2=35$ , ხოლო მაქსიმალური — 284<sup>25</sup>.

|                           |                           |
|---------------------------|---------------------------|
| узость — სივიწროვე — 284  | теснота — узость — 88     |
| узость — теснота — 220    | теснота — узость' — 42,8  |
| узость — теснота' — 219   | სივიწროვე — узость' — 42  |
| узость — узость' — 132    | სივიწროვე — теснота' — 36 |
| теснота — სივიწროვე — 100 | теснота — теснота' — 35   |

ვინაიდან თითოეულ კატეგორიაზე მიღებული სიხშირეები ფარდობითი სიხშირეებში გადაიყვანება და მათი ჯამი თითოეულ სიტყვა-სტიმულთან დაახლოებით 1-ის ტოლია, შეგვეძლო შემოგვეტანა განუსაზღვრელობა (ენტროპია), როგორც საზომი და გამოგვეთვალა თითოეულ სიტყვა-სტიმულთან სიტყვა-რეაქციების ენტროპია (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

| სიტყვა-სტიმული        | სივიწროვე | узость | теснота | узость' | теснота' |
|-----------------------|-----------|--------|---------|---------|----------|
| ჰ. ენტროპია (ბიტებში) | 2,695     | 1,37   | 1,936   | 3,019   | 2,603    |


შემდეგ მოვახდინეთ ფარდობითი სიხშირეების ანალიზი. მივიჩნიეთ, რომ შეგვეძლო გამოგვეყენებინა ალბათობების გამრავლების წესი.

სიტყვა-სტიმულ теснота-ზე რუს ცდისპირთა რეაქცია აღვნიშნეთ ასო  $a$ -თი, სიტყვა-სტიმულ узость-ზე  $b$ -თი, სივიწროვეზე —  $c$ -თი; სიტყვა-სტიმულ теснота-ზე ქართული ცდისპირთა რეაქცია აღვნიშნეთ ასო  $a'$ -ით, სიტყვა-სტიმულ узость-ზე —  $b'$ -თი.  $\bar{p}(a)$  იქნებოდა სიტყვა теснота-ზე რუს ცდისპირთა რეაქციის ალბათობა.  $\bar{p}(ab)$  იქნებოდა სიტყვა теснота და узость-ზე რუს ცდისპირთა რეაქციის მიცემათა ალბათობები ერთად.  $\bar{p}(a_1)$ -ით აღვნიშნეთ სიტყვა теснота-ზე  $i$ -ურ კატეგორიაში ( $i$  იცვლება I-დან XIII-მდე) რეაქციად მიცემული სიტყვის მოხვედრის ალბათობა.  $\bar{p}(a_1b_1)$  იქნება სიტყვა теснота და узость-ზე მიცემული სიტყვა რეაქციების  $i$ -ურ კატეგორიაში (ერთსა და იმავე კატეგორიაში) მოხვედრის ალბათობა; ე. ი.  $\bar{p}(a_1c_1)$  აღნიშნავს

<sup>25</sup> узость და теснота-ში მარჯვნივ და ზევით გაკეთებული შტრიხი ყველგან აღნიშნავს ამ სიტყვა-სტიმულზე მიღებულ შედეგებს ქართველ ცბ-თან, განსხვავებით უბრალო теснота და узость-ისაგან, რომელიც რუსი ცბ-ების შედეგს გულისხმობს.

სიტყვა-სტიმულ TESTOTA და სიტყვა-სტიმულ „სიეწროვეზე“ გაცემულ სიტყვა-რეაქციათა IV კატეგორიაში მოხვედრის ალბათობას. ამგვარი სიდიდეები გამოვითვალეთ და ისინი მოცემულია ცხრილ 7-ში და ცხრილ 8-ში.

ნახაზი 1



ეს სიდიდეები გვიჩვენებენ იმას, თუ რამდენადაა მოსალოდნელი, რომ სხვადასხვა სიტყვა-სტიმულის სიტყვა-რეაქციები ერთი რომელიმე კატეგორიისანი აღმოჩნდებიან, დამთხვევიან ერთმანეთს კატეგორიის მიხედვით.



ცხრილი 7\*

| i  | $\hat{p}(a_i b_i c_i)$ | $\hat{p}(a_j b_i)$ | $\hat{p}(a_i c_i)$ | $\hat{p}(b_i c_i)$ |
|----|------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 1  | 0                      | 0                  | 0,1125 (ბბ)        | 0                  |
| 2  | 0                      | 0                  | 0,0020 (ბბ)        | 0                  |
| 3  | 0                      | 0                  | 0,0035 (ბბ)        | 0                  |
| 4  | 0,0163 (ბბბ)           | 0,048 (ბბ)         | 0,0163 (ბბ)        | 0,0243 (ბბ)        |
| 5  | 0                      | 0                  | 0,066 (ბბ)         | 0                  |
| 6  | 0                      | 0                  | 0                  | 0,0006 (ბბ)        |
| 7  | 0                      | 0                  | 0                  | 0                  |
| 8  | 0,0003 (ბბბ)           | 0,0005 (ბბ)        | 0,0003 (ბბ)        | 0,0001 (ბბ)        |
| 9  | 0,0032 (ბბბ)           | 0,0395 (ბბ)        | 0,0032 (ბბ)        | 0,0540 (ბბ)        |
| 10 | 0                      | 0                  | 0                  | 0                  |
| 11 | 0,0004 (ბბბ)           | 0,0006 (ბბ)        | 0,0004 (ბბ)        | 0,0012 (ბბ)        |
| K  | 0,0202                 | 0,0454             | 0,1448             | 0,0802             |

ცხრილი 8\*

| i  | $\hat{p}(a'_i b'_i c_i)$ | $\hat{p}(b_i b'_i)$ | $\hat{p}(a_i a'_i)$ |
|----|--------------------------|---------------------|---------------------|
| 1  | 0,0474 (ბბბ)             | 0                   | 0,1648 (ბბ)         |
| 2  | 0,0002 (ბბბ)             | 0                   | 0,0017 (ბბ)         |
| 3  | 0,0019 (ბბბ)             | 0                   | 0,0116 (ბბ)         |
| 4  | 0,0067 (ბბბ)             | 0,0159 (ბბ)         | 0,0071 (ბბ)         |
| 5  | 0,0044 (ბბბ)             | 0                   | 0,0071 (ბბ)         |
| 6  | 0,0019 (ბბბ)             | 0,0012 (ბბ)         | 0                   |
| 7  | 0                        | 0                   | 0,0003 (ბბ)         |
| 8  | 0,0006 (ბბბ)             | 0,0002 (ბბ)         | 0,0018 (ბბ)         |
| 9  | 0,0141 (ბბბ)             | 0,1665 (ბბ)         | 0,0033 (ბბ)         |
| 10 | 0,0041 (ბბბ)             | 0                   | 0                   |
| 11 | 0,0001 (ბბბ)             | 0,0010 (ბბ)         | 0,0001 (ბბ)         |
| K  | 0,0787                   | 0,1848              | 0,1978              |

| i  | $\hat{p}(c_i b'_i)$ | $\hat{p}(c_i a)$ | $\hat{p}(a'_i b'_i)$ |
|----|---------------------|------------------|----------------------|
| 1  | 0,0324 (ბბ)         | 0,0730 (ბბ)      | 0,0474 (ბბ)          |
| 2  | 0,0003 (ბბ)         | 0,0011 (ბბ)      | 0,0002 (ბბ)          |
| 3  | 0,0006 (ბბ)         | 0,0017 (ბბ)      | 0,0019 (ბბ)          |
| 4  | 0,0038 (ბბ)         | 0,0360 (ბბ)      | 0,0236 (ბბ)          |
| 5  | 0,0251 (ბბ)         | 0,0287 (ბბ)      | 0,0270 (ბბ)          |
| 6  | 0,0077 (ბბ)         | 0,0009 (ბბ)      | 0,0019 (ბბ)          |
| 7  | 0                   | 0                | 0,0012 (ბბ)          |
| 8  | 0,0001 (ბბ)         | 0,0002 (ბბ)      | 0,0006 (ბბ)          |
| 9  | 0,0136 (ბბ)         | 0,0046 (ბბ)      | 0,0139 (ბბ)          |
| 10 | 0,0011 (ბბ)         | 0,0022 (ბბ)      | 0,0014 (ბბ)          |
| 11 | 0,0007 (ბბ)         | 0,0018 (ბბ)      | 0,0001 (ბბ)          |
| K  | 0,1354              | 0,1502           | 0,1192               |

\* ცხრ. 7—8 აღნიშვნები: a — теснота (რუს. ეკ-ებთან), b — узость (რუს. ეკ-ებთან), c — иеиწროვე, a' — теснота', b' — узость', i — კატეგორიის ნომერი. ხაზგასმულია ბირთვული სიხშირეების დამოხვევები.

ცხრილების ბოლოში მოცემულია მწკრივი (ჰორიზონტალი), რომელშიც შეჯამებულია ეს სიდიდეები თითოეულ შესადარებელ სიტყვა-სტიმულთან. რაც უფრო დიდი იქნება კატეგორიაში დამთხვევის ალბათობა თითოეული კატეგორიის მიხედვით, მით უფრო მეტი იქნება  $K$ , ე. ი.  $K$  შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ჩანაცვლებადობის მაჩვენებელი.

**შედეგების ანალიზი.** ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები მრავალი მეთოდით დამუშავდა. ამისდა მიხედვით, მონაცემები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

1) სიტყვა-რეაქციათა საშუალო რაოდენობა თითოეულ ცდისპირთან — ცხრ. 1.

2) სიტყვა-რეაქციათა ფარდობითი სიხშირეები კატეგორიების მიხედვით — ცხრ. 4, ნახ. 1.

3) სიტყვა-რეაქციათა დამთხვევის ალბათობები (კატეგორიების მიხედვით და ზოგადად) — ცხრ. 7 და 8.

4) სიტყვა-რეაქციათა ფარდობითი სიხშირეების სხვაობები კატეგორიების მიხედვით — ცხრ. 5.

5)  $\chi^2$ -ით შემოწმებული სხვაობები.

6) სიტყვა-რეაქციათა ფარდობითი სიხშირეების ნეტროპები — ცხრ. 6.

მიღებული შედეგები ძირითადად ორ დიდ ჯგუფად იყოფიან:

I) მასალა, რომელიც რუსული სიტყვების (теснота, уютъ) ურთიერთ-ჩანაცვლებადობის (სინონიმურობის) და რუსული სიტყვებისა და ქართული შესატყვისის (სივიწროვე) ურთიერთჩანაცვლებადობის (ეკვივალენტურობის) გარკვევაში გვეხმარება;

II) მასალა, რომელიც ორენოვნების პრობლემის ანალიზისთვის გვესაქიროება.

პირველ ჯგუფს ვუწოდოთ ურთიერთჩანაცვლებადობის პრობლემის ჯგუფი და მეორეს — ორენოვნების ჯგუფი. ჯერ განვიხილოთ ურთიერთჩანაცვლებადობის პრობლემა. გავანალიზოთ შესაბამისი მასალა ზემომოყვანილი 6 ჯგუფის მიხედვით.

1. პირველ ცხრილში მოცემულია სიტყვა-რეაქციათა საშუალო რაოდენობები თითოეულ ცდისპირთან. თუ დავუშვებთ, რომ ეს სიდიდე მიკვითიებებს სიტყვა-სტიმულის უნარზე — აღადგინოს სინტაგმის ნაწილი (მნემური ეფექტი), გარკვეულ მნიშვნელობას მივანიჭებთ მიღებულ განსხვავებებს  $M$ -ებს შორის. ქართველებთან ყველაზე დიდი „მნემური ძალა“, „სივიწროვე“-ს აღმოაჩნდა, რაც მოსალოდნელი იყო. რუს ცდისპირებთან уютъ-ს ვაცილებით დიდი მნემური ძალა აღმოჩნდა ვიდრე теснота-ს. მნემური ძალა, ასოციაციის გამოწვევის უნარი, თავისთავად საინტერესო მახასიათებელია. ამ მახასიათებლით მრავალი ავტორი ოპერირებს (W. Gutjar, B. Anderson)<sup>26</sup>. ეს შედეგი ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია, იგი კვლევის გარკვეულ პერსპექტივებს სახავს.

2. კატეგორიების მიხედვით სიტყვა რეაქციათა ფარდობითი სიხშირეების მთლიანი სურათის ანალიზისას ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა: თითოეულ სიტყვა-სტიმულზე გვექონდა 12 მონაცემი (12 კატეგორიის ფარდობითი სიხშირე); გვექონდა 5 სიტყვა-სტიმული (რუსული სიტყვები ქართველებთან და

<sup>26</sup> იხ. А. А. Лентьев. Психологические единицы и порождение речевого высказывания, 1969, стр. 114.

რუსებთან და ქართული სიტყვა); ე. ი. სულ გეჭონდა 60 მონაცემი. აქედან 9 შემთხვევაში  $\bar{p} = 0,28$  შემთხვევაში  $\bar{p} \leq 0,05 \pm 0,01$  და 23 შემთხვევაში  $\bar{p} > 0,05 \pm 0,01$ . ეს ფაქტები იმაზე მიგვიჩივებდნენ, რომ სიხშირე  $\bar{p} \approx 0,05 \pm 0,01$  ქმნის დონეს, რომლიდანაც ძალიანა დაშორებული „დიდი“ სიხშირეები და რომელთანაც ძალიან ახლოს არიან „მცირე“ სიხშირეები; მცირე სიხშირეების რიცხვი კი, თავისთავად, დიდია (28). ამ უხეში ანალიზის შედეგად ერთმანეთისაგან გამოვყავით სიხშირეები, რომლებიც  $0,005 \pm 0,01$  ზღვრის ქვემოთ იყვნენ და ვუწოდეთ „პერიფერიული“ სიხშირეები.  $0,05 \pm 0,01$ -ზე მეტ სიხშირეებს ვუწოდეთ „ბირთვული“ სიხშირეები. საყურადღებოა ის, რომ ნებისმიერი კატეგორიის ფარდობითი სიხშირე ან მიეკუთვნებოდა „პერიფერიულ“ სიხშირეს, ან მკვეთრად შორდება მას. შემთხვევითი განაწილების ამ ტენდენციის კანონზომიერებათა კვლევა, ჩვენი აზრით, მრავალ საინტერესო გვეპირდება.

ცხრილ 4-ში Z მწკრივში მოცემულია ფარდობით სიხშირეთა ჯამი თითოეულ კატეგორიის მიხედვით. ეს მონაცემები კატეგორიის მნიშვნელოვნობაზე მიგვიჩივებდა მოცემულ სიტყვათა კვლევისას. ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიები (ყველაზე მეტი „სიმძიმისა“) აღმოჩნდნენ I — ფართობი-შენობა (1,20), IX — ფსიქიკური ობიექტები (1,20), IV — გასასვლელი (0,74), V — ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (0,53) და ა. შ. ე. ი. ზემოთქმული 4 კატეგორია (I, IX, IV, V) ამ სამი სიტყვის ვალენტობების ძირითად ტენდენციებს ასახავს, მათი მნიშვნელობის ანალიზისათვის ყველაზე ღირებული ეს კატეგორიებია. მართლაც, ამ კატეგორიაშია მოცემული ფარდობითი სიხშირეების მთელი სურათის ძირითადი ბირთვული სიხშირეები.

ცალკეულ სიტყვათა ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ a) теснота-ს და уют-ს რუს ცპ-ებთან არა აქვთ ბირთვულ სიხშირეებში დამთხვევა არც ერთ კატეგორიაში.

b) ქართულ ცპ-თა „სივიწროვესა“ და რუს ცდისპირთა уют-ს ერთდროულად მხოლოდ IV კატეგორიაში (გასასვლელი) აქვთ ბირთვულ სიხშირეში დამთხვევა.

c) ქართულ ცპ-თა „სივიწროვეს“ და რუს ცპ-თა теснота-ს I კატეგორიაში (ფართობი-შენობა) აქვთ ბირთვული სიხშირეები და ა. შ.

ეს და სხვა დანარჩენი მონაცემები იხილეთ ცხრ. 7-ზე. მოცემული შედეგების ანალიზი გვაყენებს საკითხის წინაშე: ჩავთვალოთ თუ არა პერიფერიულ სიხშირეთა დამთხვევა რომელიმე კატეგორიაში მსგავსების საფუძვლად. მაგ. II კატეგორიაში „სივიწროვე“-ს და теснота-ს პერიფერიული სიხშირეები აქვთ მსგავსი. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ, II კატეგორიის (ფართობი-არაშენობა) მიხედვით, ეს ორი სიტყვა ერთმანეთს ჰგავს? ამ სიტყვის ასოლუტური მნიშვნელობით, ალბათ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მსგავსებაზე. მაშინ რაღა ვთქვათ იმ შემთხვევაზე, როდესაც ორივე შესაძარებელი სიტყვა-რეაქციების მსგავსი სიხშირეები ბირთვულია? მსგავსების კრიტერიუმის პოვნაში ერთგვარად დაკვეხმარა ხდომილობათა დამთხვევის ალბათობის გამოსათვლელი სტატისტიკური მეთოდები. ხოლო რაც შეეხება პერიფერიულ-ბირთვული სიხშირეების დაბირისპირებას, მივიჩნევთ, რომ ორივე ღირებულია. ეს დაყოფა მიგვიჩივებს, თუ რამდენად გამოხატავს მოცემული კატეგორია მოცემული სიტყვა-სტიმუ-

ლის ვალენტობის ძირითად ტენდენციებს ანუ რამდენად ტიპიურია მოცემული კატეგორიის სიტყვით მოცემული სინტაგმის შევსება. როგორც მასალათა ანალიზიდან ჩანს, პერიფერიული სინშირების მსგავსების მიხედვით, ერთმანეთს ჰგვანან როგორც რუსული სინონიმები *теснота* და *узость*, ასევე მათი ქართული ეკვივალენტი. ჩვენი აზრით, სწორედ პერიფერიულ სინშირებზე, საკვლევი სიტყვების არატიპიურ კონტექსტებზეა დაყრდნობილი მათი სინონიმურობა და ეკვივალენტურობა; ანუ ეს სიტყვები შეიძლება აღმოჩნდნენ ეკვივალენტურნი და სინონიმურნი, ოღონდ ის კონტექსტი, რომელშიც ისინი ერთმანეთს ჩაენაცვლებიან არ იქნება ტიპიური თითოეულისათვის (ან ყველა-სათვის). იმაზე თუ რამდენად მოსალოდნელია, რომ ეს სიტყვები ერთმანეთს ჩაენაცვლებიან (იქნებიან ეკვივალენტურნი თარგმანში და სინონიმური პერიფრაზირების დროს), მეტყველებენ სიტყვა-რეაქციებში კატეგორიათა დამთხვევის ალბათობები.

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. გვ. 176 ცხრ. 7-ში მოცემულია რომელიმე *i*-ურ კატეგორიაში სიტყვა-რეაქციების დამთხვევის ალბათობები. ცხრილების ბოლოს მწკრივში მიღებული სიდიდეები საკვლევი სიტყვების ჩანაცვლებადობის მაჩვენებლებად შეიძლება მივიჩნიოთ ზოგადად; დიფერენცირებული ანალიზის დროს კი მოვიშველიოთ კატეგორიების მონაცემები (იმის გასარკვევად, თუ რა კატეგორიაში არიან და რამდენად არიან ჩანაცვლებადნი). საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ უარყოფილი მეთოდებით (ჩ. ოსგულის სემანტიკური დიფერენციალი, სკალური გაზომვის, თავისუფალი ასოციაციის) *K*-ს მსგავსი სიდიდეების მიღებას შევძლებდით; მოვახერხებდით რაღაც სიდიდის პოვნას, რომელიც მიგვითითებდა, რომ *теснота*-ს და *узость*-ის ერთმანეთთან მსგავსების კოეფიციენტი მიახლოებით 0,0454-ის ტოლია (იხ. ცხრ. 7). მაგრამ იმის ჩვენებას, რომ ეს მსგავსება ძირითადად IX კატეგორიის (ფსიქიკური ობიექტები) სიტყვების ხარჯზე ხდება, და ძირითადად იმის ხარჯზე, რომ სიტყვა *узость*-ისთვისაა ეს კატეგორიაა ძალიან ტიპიური; ანალიზის ამგვარი გაშლის შესაძლებლობას ზემოთქმული მეთოდები არ მოგვცემდნენ.

თუ *K* სიდიდეებით ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ყველაზე „ახლოს“ ერთმანეთთან, ყველაზე ჩანაცვლებადნი არიან *теснота* და „სივიწროვე“ (0,1448). ეს ჩანაცვლებადობა ძირითადად I კატეგორიის (ფართობი-შენობა) სიტყვებით შემდგარ კონტექსტშია მოსალოდნელი; ფიგურირებს IV კატეგორიაც (გასასვლელი). ნაკლებ ჩანაცვლებადნი არიან *узость* და „სივიწროვე“ (0,0802). აქ ჩანაცვლებადობა ძირითადად IX კატეგორიის (ფსიქიკური ობიექტები) სიტყვებით შედგენილ კონტექსტშია მოსალოდნელი; ფიგურირებს IX კატეგორიაც (გასასვლელი). ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია *теснота*-სი და *узость*-ის ურთიერთჩანაცვლება (0,0454). ძალიან მცირე სიდიდეებია, მაგრამ მაინც ფიგურირებს IX და IV კატეგორიები. ყველაზე მცირე ალბათობა აღმოჩნდა ამ სმივე სიტყვის ურთიერთჩანაცვლების (0,0202). აქ ძალიან მცირე იყო, თავისთავად, მაგრამ სხვა დანარჩენებს სჭარბობდა IV კატეგორიაში ჩანაცვლების ალბათობა (0,0163). გავიხსენოთ, რომ ამ კატეგორიაში გაერთიანდნენ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ქუჩა, სადარბაზო, გზა, ბილიკი, გასასვლელი, კარი და ა. შ. მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სინშირე (0,0163) ძალიან მცირე სინშირეა მიღებული სხვა სინშირებთან შედარებით. აღნიშნული მონაცემი ვერ აკმაყოფილებს ჩვენ მიერ დასმული მეორე საკითხის I ვარიანტს — აქ უნივერ-



საღურ მნიშვნელობაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვინაიდან ეს „სურათი“ თითოეული სიტყვის მნიშვნელობების ძირითად ტენდენციებს არ აერთიანებს. სამაგიეროდ მიღებული შედეგი მიგვიჩვენებს ამ სიტყვების ეკვივალენტურობის საფუძველზე. მოცემული შედეგები იმათზეც მეტყველებენ, რომ ქართულ „სივიწროვეს“ მეტი ტენდენცია აქვს ჩაენაცვლოს რუსულ теснота-ს, ვიდრე ყзость-ს, теснота-საც იგი სხვა კატეგორიით (I კატეგორიით) „უახლოვდება“, ვიდრე ყзость-ს (მას IX კატეგორიით „უახლოვდება“) ეს მონაცემი უფრო ამყარებს ჩვენ მიერ დასმულ მეორე საკითხის II ვარიანტს, რომლის მიხედვითაც რუსული ენის ორი ეკვივალენტი ქართულ სიტყვა „სივიწროვეს“-თან ჩანაცვლებისას განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საკმაოდ მცირეა თვით რუსულში მათი ურთიერთჩანაცვლების ალბათობა, მათი სინონიმურობის ხარისხი.

4. ცხრ. 5-ის ანალიზისას ჩვენთვის მსჯელობის მასალაა სტატისტიკურად სანდო განსხვავებანი ფარდობით სიხშირეებს შორის. საგულისხმოა, რომ VIII და XI კატეგორიებში არც ერთი სხვაობა არაა სტატისტიკურად სანდო. საგულისხმოა, რომ სტატისტიკურად სანდო განსხვავებათა მცირე რაოდენობა ვეაქვს II, V, VI, VII და X კატეგორიებში. ამ მომენტს ხაზგასმით აღვნიშნავთ იმიტომ, რომ სწორედ ეს კატეგორიებია ყველაზე ნაკლებ „სიმძიმისა“ (V-ის გარდა), სწორედ მათში „ჯგუფდებიან“ პერიფერიული სიხშირეები. ე. ი. პერიფერიულ სიხშირეებს მართლაც ახასიათებთ რაღაც გარკვეული დონის შექმნის ტენდენცია, რომლიდან გადახრებიც სტატისტიკურად სანდო არაა. ეს მონაცემებიც ამყარებს ჩვენ მიერ პერიფერიულ სიხშირეთა გამოდიფერენცირების მართებულობას. სხვა მხრივ ამ მონაცემთა ანალიზი ნაკლებ სანდო და საინტერესოდ მიგვაჩნია.

5. ნაკლები ყურადღება მიიქცევს, აგრეთვე  $\chi^2$ -ის მონაცემებმაც. ჯერ ერთი, იმიტომაც, რომ ამ მეთოდით შემოწმებული ყველა განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა და მეორეც იმიტომ, რომ მოცემული მეთოდი (ისევე, როგორც გაზომვის ზემოჩამოთვლილი სხვა მეთოდები) დიფერენცირებული შედარების საშუალებას არ იძლევა. სიხშირეებს შორის შედარებას  $\chi^2$ -ით აწარმოებენ, ჩვენც ამდენად გამოვიყენეთ ეს სტატისტიკური მეთოდი. თუ  $\chi^2$ -ის მნიშვნელობებს მაინც გავუწევთ ანგარიშს, ვნახავთ, რომ ყველაზე სანდო ყзость-სა და „სივიწროვეს“ შორის მიღებული სხვაობაა, შემდეგ — ყзость-სა და теснота-ს შორის და ა. შ. ეს მონაცემები ისეთივე შედეგს გვაძლევენ, როგორც მონაცემების ანალიზი ცხრ. 7-ში. აქაც დასტურდება, რომ „სივიწროვე“ теснота-სთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ყзость-თან.

6. თავისებური მაჩვენებელია სიტყვა-რეაქციების ენტროპია. ცხრ. 6-დან ჩანს, რომ ორი რუსული სიტყვიდან теснота-ს მეტი ენტროპია აქვს, ვიდრე ყзость-ს (1,94 ბიტი და 1,37 ბიტი), მაგრამ „სივიწროვე“-ს ორივეზე მეტი აქვს (2,69 ბიტი). ენტროპია, ამ შემთხვევაში, სიხშირეთა კატეგორიებს შორის გადანაწილების მაჩვენებელია. მონაცემი, რომ ქართულ „სივიწროვე“-ს კატეგორიებს შორის „გაფანტულობა“ მეტია, ვიდრე მისი რუსული ეკვივალენტებისა, საინტერესო არგუმენტია მათი ეკვივალენტურობის სასარგებლოდ, იმის სასარგებლოდ, რომ ქართული მნიშვნელობა „მოიცავს“ ორი რუსული სიტყვის მნიშვნელობას და მათ მიერ წარმოქმნილ ვალენტობებსაც. თუმცა ეს

მეთოდი ძალიან უხეშია, იგი მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია მასალის ანალიზისათვის.

**ორენოვნების პრობლემა.** ამ პრობლემასთან დაკავშირებული მასალაც ისევ ექვსი წგუფის მიხედვით დალაგდა.

1. ორენოვნების პრობლემასთან დაკავშირებით, ძირითადად განალიზდება რუსულ სიტყვა-სტიმულებზე ქართველ ცპ-თა გაცემული პასუხები. პირველ ცხრილში მოცემულია თითოეულ ცდისპირზე სიტყვა რეაქციათა საშუალო რაოდენობები. საყურადღებოა, რომ როგორც ქართული, ასევე რუსული სიტყვები ქართველებისათვის უფრო დიდი მწეშური ძალისანი აღმოჩნდნენ, ზოგადად, ვიდრე რუსულები რუსებისთვის. ალბათ, ბილინგვულობის ეფექტად ჩაითვლება ის, რომ ქართველებისათვის TECHNOTA უფრო დიდი მწეშური ძალისაა, ვიდრე ყოცსხ; მაშინ, როცა რუსებისათვის, პირიქით, ყოცსხ საგრძნობლად მეტი მწეშური ძალისაა. თავისთავად ცხადია — სიტყვა-სტიმულების საშუალო რაოდენობის კლება რუსული სიტყვებისა — რუსული ენის ქართულთან არათანაბარი ცოდნის შედეგია.

2. ცხრ. 4 და ნახ. 1-ის მასალები ორენოვნების პრობლემისათვის საინტერესო შედეგებს იძლევიან, მრავალი რამ ძნელად გასაგებია კვლევის მოცემულ დონეზე. თვალშისაცემია, რომ, თუ 3 სიტყვიდან (რუსული სიტყვები რუსებთან და ქართული „სივიწროვე“) ერთ-ერთი ბირთვული სიხშირითაა წარმოდგენილი კატეგორიაში, მაშინ მეორე ენის სიტყვებიც (რუსული სიტყვები ქართველებთან) ბირთვული სიხშირით წარმოდგებიან. ამ მხრივ გამოჩაქიანია VI კატეგორია, სადაც ყოცსხ-ზე ქართველ ცპ-თა სიტყვა-რეაქციების სიხშირე ბირთვულია, ხოლო სხვა სტიმულზე რეაქციები — პერიფერიული. ეს ფაქტი შემთხვევითობას უნდა მიეწეროს თუ არა, დამატებითი კვლევის გარეშე ვერ გაირკვევა. მასალის ილუსტრაციისას (ნახ. № 1) მკვეთრად ჩანს ქართული ეკვივალენტის გავლენა ქართველებთან შესაბამისი რუსული სიტყვების ხმარებაზე. ამ კონტექსტშიც რელევანტურად მიგვაჩნია ბირთვული და პერიფერიული სიხშირეების დაპირისპირება. ბილინგვიზმის თვალსაჩინო ეფექტად მიგვაჩნია ის, რომ ქართველ ცპ-ებთან TECHNOTA — ყოცსხ — „სივიწროვე“-ს 3-ჯერ აქვს ბირთვული სიხშირეების თანაკვეთა (I, IV და V კატეგორიებში) მაშინ, როდესაც რუს ცდისპირთა სიტყვა-რეაქციების და ქართველ ცდისპირთა „სივიწროვე“-ს ურთიერთშედარებისას არც ერთი ბირთვული თანაკვეთა არ გვქონდა (იხ. ცხრ. 8 —  $\bar{p}$  ( $a_i$   $b_i$   $c_i$ )) და ცხრ. 7 —  $\bar{p}$  ( $a_i$   $b_i$   $c_i$ )). ბირთვულ და პერიფერიულ სიხშირეთა თანაკვეთის შედარება სხვა სტიმულების მიხედვით შესაძლოა მერვე ცხრილით.

3. ორ სიტყვა-სტიმულზე ერთნაირი სიტყვა-რეაქციების მიღების ყველაზე დიდი ალბათობა, თუ რომელ სიტყვათა წყვილებზე გვაქვს და რომელი კატეგორიის მიხედვით, შეგვიძლია ვიხილოთ ცხრ. 8. ქართული ენის გავლენას რომ არ ჰქონოდა ადგილი და ქართველ ცპ-ებს ისევე რომ სკოდნოდათ რუსული, როგორც რუსმა ცპ-მა იცოდნენ, მაშინ ერთი და იმავე შედარების დროს ერთნაირი შედეგები უნდა მიგველო (სიხშირეთა ერთნაირი განაწილების შემთხვევაში), კერძოდ, „სივიწროვე“ — ყოცსხ-ის K უნდა ყოფილიყო 0,0802 და არა 0,1354. ასე, რომ ეს და ეს სხვა ამგვარი განსხვავებანი ინტერფერენციის ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ; ე. ი. „სივიწროვე“ — ყოცსხ მიმართებაში ინტერფერენციის „ეფექტი“ 0,0552-ის ტოლია, ხოლო „სივიწრო-

ვე — теснота მიმართებაში — 0,0056-ის ტოლი (ყველაზე მცირეა). теснота-узость-ის მიმართებაში 0,0738-ის ტოლია, ხოლო теснота — узость — „სივიწროვე“ მიმართებაში — 0,0505-ის ტოლი.

საგულისხმოა, რომ არა მარტო ერთნაირი პასუხის აღბათობა, ზოგადად, არამედ მსგავსების სტრუქტურაც განსხვავებულია (შეადარეთ მე-7 და მე-8 ცხრილები) — განსხვავებული კატეგორიებით ხდება „მიმსგავსება“. ასევე საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ქართული ენის ძლიერი გავლენისა, რუსულ სიტყვებს მაინც მეტი გავლენა აქვთ. ის კატეგორიები, რომლებიც ტიპურია წმინდა რუსული სიტყვებისათვის, ტიპური ხდება ამავე სიტყვებისათვის ქართულ პოპულაციაში. ოღონდ ეს პროცესები ქართული ენის ძლიერი გავლენის ფონზე მიმდინარეობენ; ამ ურთიერთობათა გათვალისწინების საშუალებას იძლევა მოცემული მეთოდი. სიტყვა-რეაქციების დამთხვევის აღბათობების ანალიზი შეიძლება გაცილებით ღრმა და პროდუქტიული იყოს, ვიდრე ჩვენ ვაწარმოებთ. ჩვენ მეტ-ნაკლებად ზედაპირული ანალიზით ვკმაყოფილდებით.

4. ცხრ. 5-ის განხილვისას მრავალი ასპექტი შეიძლება გამოიყოს. ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტს გავუსვამთ ხაზს: რომ არ გვქონდა ბალინგვალიზმის ეფექტი, ყუ' და ტუ' ჰორიზონტალებში არ უნდა გვქონოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებანი. ყუ' ჰორიზონტალში 6 სტატისტიკურად სანდო სხვაობა გვაქვს, ტუ' ჰორიზონტალში — 5 (აქაც მასალის უფრო ზედაპირული ანალიზით ვკმაყოფილდებით).

5. უკვე აღინიშნა,  $\chi^2$ -ით შემოწმებული სხვაობები სიტყვა-რეაქციების ფარდობით სიხშირებს შორის ნაკლებ საინტერესოდ ჩავთვალეთ, თუმცა ეს მონაცემი ინტერფერენციის არსებობის თვალსაჩინო არგუმენტია.

6. ცხრ. № 6-ში ენტროპიები საინტერესო მასალას იძლევიან ორენოვანების პრობლემასთან დაკავშირებით: მეორე ენის სიტყვები მეტი ენტროპიისანი არიან, ვიდრე იგივე სიტყვები რუს ცხ-ებთან. თანაც ენტროპია იზრდება სიტყვა-uzost'-ზე, რომელსაც რუს ცდისპირთა პასუხებში ყველაზე მცირე ენტროპია აქვს, ხოლო теснота-ს ენტროპია „სივიწროვე“-ს ენტროპიის ტოლია თითქმის. ეს შედეგი საყურადღებოდ მიგვაჩნია, თუ გაეხსენებთ, რომ узость ქართველებთან ნაკლები მნემური ძალისა იყო (ე. ი. ძნელად აღადგენდა სინტაგმას) ვიდრე теснота შეიძლება ეს ორივე შედეგი ერთსა და იმავე ფაქტს ასახავდეს: ქართველ ცხ-ებს სიტყვა узость-ით ოპერირება უფრო უჭირთ, ვიდრე სიტყვა теснота-თი. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ узость-ის სინტაგმის შევსებისას სტუდენტთა ნაკლებმა რიცხვმა მიიღო მონაწილეობა (56,6%), ვიდრე теснота-ს სინტაგმის შევსებისას; გაეხსენოთ, რომ ამის მიზეზად ქართველმა ცხ-ებმა იტყვა-სტიმულის არცოდნა გამოაცხადეს.

დასკვნები. მოცემული თემისათვის უმთავრესი საკითხი — რამდენად ადეკვატური იყო მეთოდი. ზემოდასმულ პრობლემათა საკვლევად — ჩვენი აზრით, დადებითად გადაწყდა. ვინაიდან ჩვენ ძირითადად მეთოდის ადეკვატურობა გვანტერესებდა, დაწვრილებით არ გავვიჩქევია მთელი რიგი კონკრეტული საკითხებისა. რადგანაც შეზღუდული ვიყავით სტატისტიკური მეთოდებით, ვამჯობინეთ, მოცემული მეთოდით ასეთ კვლევათა პერსპექტივის ჩვენება. მიუხედავად ამგვარი ტენდენციისა, მაინც იყო შესაძლებელი კონკრეტულ საკითხებზე ზოგადი დასკვნების გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სინონიმურ (теснота, узость) და ეკვივალენტურ (теснота, узость — სივიწროვე) სიტყვებს შორის გვექონდა ერთგვარი ხმარების შემთხვევები, ოღონდ ეს შემთხვევები არ იყვნენ ტიპური მოცემული სიტყვებისათვის. სამი სიტყვის ერთნაირად ხმარება ყველაზე მეტად მოსალოდნელია „გზის, ქუჩის, სადარბაზოს“ და მსგავს ობიექტთა დახასიათებისას. ამ სამი სიტყვიდან არც ერთის ხმარების ტიპური შემთხვევა მთელი სისრულით არ ასახავს სხვა რაიმე სიტყვის ძირითად ტენდენციებს. მოცემული შედეგები ჩვენ იმის არგუმენტად მიგვაჩნია, რომ საკვლევი სიტყვათა ერთობლიობაში არ შეიძლება უნივერსალური მნიშვნელობის გამოყოფა, რომლის კონკრეტულ გამოვლინებად ჩაითვლებოდნენ მოცემული სიტყვები.

ორი რუსული სიტყვა „თანაბარუფლებიანი“ არაა ქართულ „სივიწროვესთან“ მიმართებაში. ქართული სიტყვა უფრო უახლოვდება теснота-ს მნიშვნელობას. — ისინი ყველაზე ხშირად არიან ერთგვარნი კონტექსტში: ახასიათებენ ობიექტებს, რომლებიც „შენობის“ კლასში შედიან (ოთახი, სახლი, დარბაზი და ა. შ.).

მკვეთრია სემანტიკური ინტერფერენციის ეფექტი. რუსულის მცოდნე ქართველ ცდისპირებს უფრო ეადვილებოდათ теснота-თი ოპერირება, ვიდრე узость-ით. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა узость მათ უფრო ცუდად იციან, ვიდრე теснота. შეიძლება ამის მიზეზი ზემოთქმული ფაქტი იყოს, — რომ სიტყვა „სივიწროვე“ უფრო ახლოსაა теснота-სთან, ვიდრე узость-თან. საკმარისია ამა თუ იმ კონტექსტში ხმარება ტიპური იყოს „სივიწროვისთვის“, ქართველი ცდისპირები ადვილად მიაწერენ იმავე კონტექსტის ტიპურობას მოცემული ქართული სიტყვის რუსულ შესატყვისებს. ეს მიმსგავსების (ასიმილაციის) ტენდენცია შეიძლება საინტერესო მასალა იყოს ენობრივ ქცევაში განწყობის მოქმედების შესწავლისათვის.

განწყობის თეორიისათვის საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ინტერფერენცია, თავისთავად. სემანტიკური ინტერფერენციის სიღრმის და თვისობრივი თავისებურებების კვლევისთვის პრინციპულად ადეკვატური ჩანს დამუშავებული ექსპერიმენტული მეთოდი, რომელსაც ჭერჯერობით მრავალი ნაკლი გააჩნია.

მომავალი კვლევა მიზნად ისახავს ამ ნაკლოვანებათა შეძლებისდაგვარად შემცირებას და უფრო ფართო კვლევას ზემოჩამოთვლილი საკითხებისა.



## პ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### ბუნხალტრული აღრიცხვის პრობლემებისათვის

(შ. ბურღული, ბუნხალტრული აღრიცხვის სრულყოფის პრობლემები სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში, თბ., 1974, გვ. 545, რედაქტორები — პროფ. შ. კახეთელიძე, დოც. გ. გურგენიძე).

სარეცენზიო ნაშრომი სადღეისოდ შეტად აქტუალურ პრობლემას — სახალხო მეურნეობაში ბუნხალტრული აღრიცხვის სრულყოფას ეხება, ამდენად დიდია ინტერესი ამ ნაშრომისადმი.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს ბუნხალტრული აღრიცხვა და მეურნეობრივი საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევითი ხასიათის სამუშაოები ფრიად საპასუხისმგებლო და, ამასთან, დასაფასებელია. სწორედ ასეთ კვლევითი ხასიათისაა სარეცენზიო ნაშრომი, რომელშიც სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და სოფლად არსებული ბიუჯეტური დაწესებულებების ბუნხალტრული აღრიცხვის დღევანდელი მდგომარეობისა და მათი განვითარების ისტორიის შესწავლა-გამოკვლევის საფუძველზე გადმოცემულია მისი სრულყოფის პრობლემა, გაკეთებულია საყურადღებო დასკვნები და წამოყენებულია წინადადება-რეკომენდაციები, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება გარკვეულ დადებით როლს შეასრულებს ბუნხალტრული აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში.

სარეცენზიო ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ბუნხალტრული აღრიცხვის ორგანიზაციული ფორმის — ცენტრალიზაციისა და მისი განვითარების პერსპექტივები განხილული.

ნაშრომის შესავალში ავტორი იძლევა ბუნხალტრული აღრიცხვის როლის საერთო შეფასებას და წერს, რომ მეურნეობის მართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მეურნეობრივ აღრიცხვას და ეკრძოდ ბუნხალტრულ აღრიცხვას უკავია. ბუნხალტრული აღრიცხვის მიერ დამუშავებული საინფორმაციო მასალი, თანამედროვე პირობებში, მნიშვნელოვნად იზრდება და ამასთანავე მათ უსწრაფესად გადაწყვეტას საჭიროებენ, ამიტომაც, რომ სკკ და საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მისი შემდგომი სრულყოფის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით შრომაში ეკუთვნება დასკვნა, რომ ბუნხალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის საკითხი, დღეს სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხთა შორის, პირველი რიგის ამოცანათა შორის დგას.

სააღრიცხვო-ეკონომიკური ძნელობების დამუშავების ახალი ფორმებისა და რაციონალური ორგანიზაციის თემას ეხება შრომის პირველი თავი. აქ არის მოცემული სსრ კავშირში ბუნხალტრული აღრიცხვის ანგარიშწარმოების ფორმებისა და ტექნიკის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. მრავალი საარქივო მასალის მოპოვების შედეგად ნათლადაა წარმოდგენილი ის რთული გზა, რომელიც სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ბუნხალტრულმა აღრიცხვამ განვლო, აქვეა დასაბუთებული ისიც, თუ როგორ წარმოიშვა აღრიცხვის მექანიზაციის აუცილებლობა.

ცნობილია, რომ საბჭოთა წყობილების პირველ წლებშივე საბჭოთა მთავრობამ დაიწყო სტატისტიკური და სხვა სააღრიცხვო-ეკონომიკური სამუშაოების მექანიზაციის მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. 1927 წელს პარტიის XV ყრილობამ ფართო პროგრამა დასახა აღრიცხვის მექანიზაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით 1931 წლიდან იქმნება აღრიცხვის მოწყობილობათა წარმოების ბაზა. საბჭოთა მთავრობამ 1949 წელს ამოცანად დასახა, რომ 1955 წლამდე ჩვენი ქვეყნის სააღრიცხვო სამუშაოთა მანქანათაღჭრვილობა გაზრდილიყო 15—20-ჯერ. რათა გატარებულიყო ბუნხალტრული, სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია.



არაერთი წუაროს მოშველიებით ავტორი ასკვნის, რომ აღრიცხვის მექანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით „არსებობს მმართველობის აპარატის ერთ-ერთი საშუალო უბნი — ანგარიშსწორების საშუალო უბნი“ (გვ. 30). ნაშრომის ამავე თავში ვრცლადაა განხილული ბუხმალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაციის განვითარება მთლიანად სსრ კავშირში. მრავალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ „აღრიცხვის ცენტრალიზაცია ხელს უწყობს აღრიცხვის ერთიანი ტიპური ფორმების დანერგვას, ანგარიშწარმოების პროგრესული მეთოდების, ფორმების და რაციონალური რეგისტრების გამოყენებას“ (გვ. 52). ამასთანავე ასკვნის, რომ აღრიცხვის ცენტრალიზაციის გარეშე შეუძლებელია აღრიცხვის სრული, კომპლექსური მექანიზაცია, რაც სადღეისო პირველი რიგის ამოცანაა მეურნეობის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში.

მეორე თავი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ბიუჯეტურ დაწესებულებათა აღრიცხვის ცენტრალიზაცია საქართველოს სსრ სოფლის დაწესებულებათა ცენტრალიზებული აღრიცხვის გაუმჯობესების გზები და ანალიზური აღრიცხვის სრულყოფა განსაკუთრებით ვრცლად არის წარმოდგენილი ცბ-ის შექმნის ისტორია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული მასალის ანალიზით ავტორი აკეთებს არაერთ საყურადღებო დასკვნას და სახავს მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და იძლევა რეკომენდაციებს.

ჩვენს შეხედულებით, ავტორი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ საქირა ამ დარგისთვის კვალიფიკური კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებელში და, რომ მხოლოდ საშუალო საკვალიფიკაციის სასწავლებლის კურსდამთავრებულები თავს ვერ გაართმევენ იმ დიდ სამუშაოებს, რომლებიც ცბ აკისრიათ ამჟამად.

ავტორის მიერ შედგენილი ცბ-ის ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით საშუალოა განაწილების სანიშნო სქემა და ცალკეულ მუშაკთა მოვალეობების სანიშნო განაწილება შეიძლება საფუძვლად დაედოს არაერთი ცბ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმას.

ანალიზური აღრიცხვის სრულყოფის საკითხის განხილვისას ავტორი იძლევა ბუხმალტრული აღრიცხვის სხვადასხვა ფორმის პირობებში ცალკეული თემის (ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობების, მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების და სხვ.) ანალიზური აღრიცხვის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზსა და მის შემდგომ სრულყოფის რეკომენდაციებს.

შესამე თავში გადმოცემულია სოფლის მეურნეობის საწარმოთა ბუხმალტრულ აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და დადგენილია, რომ მათი გამომწვევი მთავარი მიზეზებია: ა) ანგარიშწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაბალი დონე; ბ) აღრიცხვის აპარატის მუშაკთა დატვირთვა მინდვრის საშუალებით (შ—შ თვის განმავლობაში); გ) კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ქსელის სუსტი ორგანიზაცია; დ) რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოების ინსტრუქტორ-ბუხმალტერთა სარევიზიო საქმეებზე გამოუყენება და სხვ.

ამვე თავშია გადმოცემული ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოთა აღრიცხვის მექანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და მათი გამომწვევი მიზეზები. თავის დასასრულს, ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების ბაზაზე, მოცემულია აღრიცხვის მექანიზაციის რაციონალური ორგანიზაციის რეკომენდაციები.

მონოგრაფიაში მეორე ნაწილი უველაზე დიდი მოცულობისაა (247 გვ.) და დათმობილი აქვს სოფლის მეურნეობის საწარმოებში ბუხმალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია. მეოთხე თავში განხილულია ბუხმალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და ეურნალ-ორდერული ფორმის რეგისტრები სოფლის მეურნეობაში, რაც ძირითადად მოქმედ მეთოდურ მითითებებს ემყარება. თუმცა ავტორი გზადაგზა თავის მოსაზრებებსაც გამოსთქვამს და საკუთარ რეკომენდაციებსაც იძლევა ანგარიშწარმოების ამ ფორმის პოპულარიზაციის მიზნით.

მეხუთე თავში განხილულია ხელფასის ანაზღაურების ფორმები და სისტემები, პირველადი აღრიცხვის ორგანიზაცია, ხელფასის გამოანგარიშებისა და გაცემის წესები, მუშა-მოსამსახურეებთან და კოლმეურნეებთან ხელფასით ანგარიშსწორების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

შრომის შემდგომ თავებში გადმოცემულია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მოძრაობის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, საბუთბარუნვა, ნედლეულისა



და მასალების აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების, მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პარტუყვის, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის, დამხმარე წარმოებების, ფულადი საშუალებების, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციების, საწესდებო ფონდის, ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდის, კაპიტალური დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ფონდის და სხვ. სინთეზური აღრიცხვის საკითხები.

შრომის მეთორმეტე თავს ავტორი უთმობს იმ თავისებურებებს, რაც ახასიათებს საკლემურენობათაშორისო გაერთიანებებისა და „სოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციების ბუხმალტრულ აღრიცხვას.

მეცამეტე თავში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის საწარმოებში მეურნეობრივი და სიახარო წესით შესრულებული კაპიტალური სამუშაოების აღრიცხვის, ძირითადი ჯოგის ფარმირებისა და მისი დაფინანსების აღრიცხვის საკითხები.

მონოგრაფიის მე-1—13 თავებში გადმოცემული უყველა თემა წარმოდგენილია ანგარიშ-წარმოების თურნალ-ორდერული ფორმით, ამასთანავე მოცემულია შექანისებული აღრიცხვის თავისებურებებიც.

შრომის მეორე ნაწილ მთავრდება სოფლის მეურნეობის საწარმოთა ბუხმალტრული ანგარიშგებების შინაარსის. მათი საერთო დახასიათების, ცბრლების დაგუფებისა და მეურნეობრივი-საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის საქმეში მათი მნიშვნელობის ახსნილი (XIV თავი).

შრომის მესამე ნაწილი — „ბუხმალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია სოფლის ბიუჯეტურ დაწესებულებებსა და ფინანსურ ორგანოებში“, სამი თავისაგან შედგება. მეთხუთმეტე თავში განხილულია ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა საფინანსო ორგანოებში. ბიუჯეტური აღრიცხვის ნაკლოვანებების ახსნისას ავტორი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ბიუჯეტის დაქვემდებარებათა მიხედვით კლასიფიკაციაში არსებულ განსხვავებულობებს. აგრეთვე ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმას.

ასეთი მსჯელობის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ თითქოსდა „სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა ზოგიერთი ეს ნაკლოვანებანი. შეიმუშავა ანგარიშთა გეგმისა და მათი გამოყენების ინსტრუქციის ახალი პროექტი, მაგრამ ის ჭერ დამტკიცებული და სახელმძღვანელოდ დაშვებული არ არის“ (გვ. 392). სინამდვილეში, ხსენებული პროექტი უკვე დამტკიცებულია სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ, მაგრამ, როგორც უკვე გამოირკვა, ამ კუთხით არავითარი ცვლილება არაა შეტანილი ამ ანგარიშთა გეგმაში, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მეთექვსმეტე თავი სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ორგანიზაციას ეხება. მასში წარმოდგენილია სოფლის ბიუჯეტის შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვა ორმაგი სისტემით, ასევე ვრცლად არის გაშუქებული ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯების დაგეგმვისა და სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საკითხები აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში.

ხარჯთაუნხების შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია, ასე ეწოდება შრომის მე-17 თავს. მასში ავტორი იხილავს ძირითადი საშუალებების მოძრაობის სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას. ამასთანავე, ანალიზური აღრიცხვის მასალას იძლევა ადრე მოქმედი დებულებით დადგენილი სამი ხერხით, მაგრამ არც ახალი ინსტრუქციით გათვალისწინებული ცვლილებებია მხედველობიდან გამოტოვებული.

მასალებისა და კვების პროდუქტების აღრიცხვის გადმოცემისას ავტორი მთლიანად ემყარება ახალი ინსტრუქციის პროექტს, რომლის გამო მასალებისა და კვების პროდუქტების აღსარიცხვად იყენებს მანგარიშს, ახლად დამტკიცებულ ინსტრუქციაში კი აღნიშნული ანგარიში კვლავ მწიფრითაა წარმოდგენილი.

მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პარტუყვი, რომელიც ახლად დამტკიცებულ ანგარიშთა გეგმაში, ძველებურად მწიფრითაა წარმოდგენილი, ავტორს შეტანილი აქვს მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ანგარიშის (№ 07) შემადგენლობაში.

ამავე თავშია განხილული შრომის, ზღლფასის და ანგარიშსწორებითი ოპერაციების აღრიცხვის ორგანიზაცია; ანგარიშსწორება ანგარიშსვალდებულ პირებთან, სხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან, სტაქენდიატებთან და სხვ. აქვეა განმარტებული ფულადი ხასხრების,

ხარჯებისა და დაფინანსების აღრიცხვის წესები საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ბიუჯეტების მაგალითებზე.

მონოგრაფია მთავრდება საქმარისად ვრცელი (80 გვერდი) დასკვნით, რასაც წამშვარებული აქვს სათაური „სააღრიცხვო-ეკონომიკური და საგეგმო-ტექნიკური ინფორმაციის დამუშავების სრულყოფის გზები“.

დასკვნაში ძირითადად აღმოცემულია ბუხმალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის ფორმების დახასიათება და რეკომენდაციები მათი სრულყოფისათვის, აგრეთვე დახასიათებულია ცბ როგორც მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი ქვე-სისტემა.

სარეცენზიო ნაშრომის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ავტორი საკმაოდ დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე აშუქებს სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის პირობებში დამუშავების უყელა ძირითად საკითხს, ახასიათებს ცბ როლსა და ადგილს მართვის ავტომატიზებულ სისტემაში, იძლევა მნიშვნელოვან და უურადასაღებ წინადადებასა და რეკომენდაციებს ბუხმალტრული აღრიცხვის შემდგომი სრულყოფისათვის, მისი მეცნიერული დონის ამაღლებისათვის.

სარეცენზიო ნაშრომი არც ნაყოფანებებისა და ხარვეზებისაგან არის დაზღვეული. მათი ერთი ნაწილი შინაარსობრივ უზუსტობას უნდა განეკუთვნოს, მეორე — სტილისტურ, ენობრივ და კორექტურულ შეცდომებს. ამასთანავე, შრომაში ვხვდებით ისეთ მოსაზრებებსაც, რომელთაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

შინაარსობრივ უზუსტობას უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ასეთი წინადადება: „ანდერგლია აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია (ნაწილობრივად) (გვ. 8); სიტყვა „ანგარიშსწორება“ ანგარიშწარმოების ნაცვლად (გვ. გვ. 8, 9, 21, 61, 68... 537, 541); ის, რომ თითქოსდა „ბართ-ცნობაში“ წარმოებდეს დაქვეითებისა და ხელზე გაცემული თანხების აღრიცხვა (გვ. გვ. 82, 150); „აღრიცხვის ცენტრალიზაციის განვითარება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებში“ (გვ. 31); სიტყვა „ზედმეტად“ — „ზედმეტი-ს“ ნაცვლად (გვ. 83); „მასალების აღრიცხვის ნაშრობრივი მეთოდი“ (გვ. 89); „მასალების ხარჯვის ოპერატიულ-ბუხმალტრული აღრიცხვა“ (გვ. 91); „საბჭოთა მეურნეობებში (მუშა-მოსამსახურებებს) პირად შემადგენლობას ორად უოფენ“ (გვ. 141); საბჭოთა მეურნეობის დირექციის სახელწოდების გვერდით ფრჩხილებში „ვამგეობის“ ხმარება (გვ. 197); „საწარმო შეადგენს გატარებას“ (გვ. 291, 228 და სხვ.); 534-ე გვერდზე მოცემული ფორმულის განმარტება და სხვ.

ენობრივ, სტილისტურ და კორექტურულ შეცდომებს უნდა მიეკუთვნოს შრომის ასეთი ადგილები: „სოფლის მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციების“ (გვ. 16); „ანგარიშგების საერთო-საკრედიტო ჯამი გამოიყვანება“ (გვ. 19); „(იხ. ცხრილი 66 ა)“ (გვ. 50); „აღრიცხვის ცენტრალიზაციის პროცენტი 954, 572, 944, 1000“ (მე-8 ცხრილში, გვ. 57); „აქ ხაზგასმულია ის ფაქტი“ (გვ. 111. უნდა იყოს „ხაზგასმულია“); „თავი IV“ (გვ. 163, უნდა იყოს „თავი VI“); „დებონენტების № 7 უწყისში“ (გვ. 304); „მოტორები“ (გვ. 357); „აღრიცხვა წარმოებს № 08 ანგარიშზე ამ ანგარიშებთან“ (გვ. 357); საბჭოთა მეურნეობამ უნდა გადაიხადოს 100 მან... დებეტი ანგარიში № 54... კრედიტი ანგარიში 89...“ (გვ. 358); „ანგარიშვალდებული პირების № 16 ანგარიშზე (გვ. 501) და სხვ.

ახლა კი ჩვენთვის მიუღებელი ზოგიერთი მოსაზრების შესახებ.

105-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობების ბუხმალტრების საშუალო ხელფასი 80 მანეთს შეადგენსო, სინამდვილეში ამავე შრომაში მოცემული მე-14 ცხრილის მონაცემებით თუ ვიანგარიშებთ, ამ თანხას ვერ ვდებულვით; 160-ე გვერდზე ავტორის მოყვას ისეთი მაგალითი, თითქოს მეცნიერებობიდან მიღებული მარცვლეულის გეგმურ და ფაქტიურ თვითღირებულებას შორის გადახრის კორექტირება მხოლოდ № 04 ანგარიშის დებეტსა და № 18 ანგარიშის კრედიტში ტარდება. ამავე აზრს ატარებს მაგალითის შემოთავაზებულ. სინამდვილეში კორექტივები შეიტანება უყელა იმ ანგარიშის დებეტსა და კრედიტში, სადაც მარცვლეული იქნა აღრიცხული გეგმური თვითღირებულებით. არასწორია აგრეთვე ტრაქტორების კაპიტალური რემონტის სამუშაოების მზა პროდუქციის (№ 40) ანგარიშში აღრიცხვა იმ მოტივით, რომ ის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში უნდა ჩაირთოს. აღნიშნულის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში ჩართვა შეიძლება ასეთი მუხლითაც: დ-ტი, ანგ. № 46, კ-ტი. ანგ. № 20, ერთდროულად; დ-ტი, ანგ. № 89, კ-ტი, ანგ. № 46;



არც ისაა სწორი, თითქოსდა ცენტრალიზებული ბუხალტერიები ცალკეულ რეზერვუარებზე დაჯიშვას უზღვევენ. ცენტრალიზებული ბუხალტერიები ცალკეულ რეზერვუარებზე დაჯიშვას უზღვევენ (გვ. 515).

მიუხედავად მოტანილი შენიშვნებისა, მაინც დიდია სარეცენზიო ნაშრომის ღირსება და შეიძლება ითქვას, რომ შ. ბურდულის შრომა — „ბუხალტრული აღრიცხვის სრულყოფის პრობლემები სოფლის მეურნეობის სწარმოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში“ წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების განვითარების, აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის რაციონალური ორგანიზაციის საკითხებზე დაწერილ საუკეთესო გამოკვლევას.

ტ. არბოლიშვილი

ფანო 1 356.

ბ

73/88

ინდეკს 76 196

